ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ.

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცკ პარტიის განყოფილება

რევოლიუციის მატიანე

პარტიის ისტორიული ჟურნალი

№ 1(14)

1926

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი.

323.2/05
ა-38

ს. ს. ს. რ.

პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის სკ პარტიისა მანყოფილება

რევოლიუციის მატიანე

პარტიისა ისტორიული ჟურნალი

618
1563
8903

№ 1(14)

1926

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი.

ოფსეტბლიკური ბიბლიოთეკა
ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

110

სარჩევი

		გვ.
1.	**შ. ელიავა**—საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავი	1
2.	1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავი (ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა)	37
3.	1905 წლის რევოლიუცია (ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების კონსპექტი)	61
4.	1905 წ.—ოცი წლის შემდეგ (ამხ. ლ. ტროცკის სიტყვა)	74
5.	**ლ. დუმბაძე**—ჩემი მოგონება ბათომში რევ. მუშაობის შესახებ 1901—02 წ.	88
6.	**ს. თალაკვაძე**—ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუციის ათი წლის თავზე	97
7.	**რ. ჯღამაძე**—ფრაქციული ბრძოლის პირველი დღეები ტფილისში	107
8.	**ერ. ნაფეტვარიძე**—მძიმე წლები ჩვენი პარტიის ცხოვრებაში	110
9.	**მ. გოგუაძე**—საიდუმლო სტამბა კოჯორის გზაზე	114
10.	**ნ. ზავარიანი**—როგორ ჩაიშალა ამხ. კამოს გაქცევა	117
11.	**ალ. ბაჯიაშვილი**—პირველი გაფიცვა ტფ. თუთუნის ქარხნებში	120
12.	**ი. მანჯავიძე**—ცოტა რამ წარსულიდან	126
13.	მუშაობის აღკვეთა ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში (გაზ. „ივერიიდან“ № 172—1894 წ.)	128
14.	**დ. ნასარიძე**—ტფ. ტრამვაის მუშათა შორის (1906—1910)	132
15.	**ლ. ხელაძე**—ნაროდნიკების საიდუმლო სტამბის ისტორიიდან	139
16.	**ვ. სტურუა**—სპირიდონ ვაშაკიძის ხსოვნას	143
17.	**ბ—ლი**—ილიკო იმერლიშვილი (მცხეთელი)	145
18.	**კ. ფ.**—ანტონ გრიგოლის ძე კალანდარიშვილი	148
19.	პარტიული არქივი	151
20.	რევ. მოძრაობა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში მთავრობის მოხსენების თანახმად	160

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავი.

მიმდინარე 1926 წელს ხუთი წელიწადი შესრულდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. ჩვენი ხუთის წლის მუშაობის შედეგის გათვალისწინებამ პასუხი უნდა მოგვცეს შემდეგ საკითხზე: ღირდა რამედ თუ არა, რომ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს გადატრიალება და თავის თავზე იდვეს ხელისუფლების ტვირთი და ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მოწყობის მთელი სიმძიმე?

რასაკვირველია, დიდ ბედნიერებად ჩავთვლიდით, რომ შეგვეძლოს ვსთქვათ—ჩვენმა ხუთის წლის მუშაობამ დაუბრკოლებლად და უხინჯოდ გაიარაო. ეჭვს გარეშეა, ასე რომ ყოფილიყო, უფრო თვალსაჩინო შედეგი გვექნებოდა.

მაგრამ ჩვენი ხუთი წლის მუშაობა მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეოდა, ისეთ პირობებში, რაც წინ ელობებოდა ჩვენს ნორმალურ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობას.

თუმცა სამოქალაქო ომი უკვე დამთავრდა იმ მომენტისათვის, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება, მაინც ხუთი წლის განმავლობაში მუდამ ბრძოლას ვაწარმოებდით, რაც გვისპობდა შესაძლებლობას მთელი ჩვენი ენერგიის 100 პროცენტი სააღშენებლო მუშაობისათვის მოგვეხმარებინა.

მართალია, ამ ხუთმა წელიწადმა საომარ ბრძოლაში არ გაიარა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი პარტია მაინც შეუწყვეტლივ აწარმოებდა ბრძოლას ჩვენივე ქვეყნის ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ.

სერიოზული ბრძოლა გადავიხადეთ ჩვენზე რიცხვობრივ ბევრად ძლიერი ძალების წინააღმდეგ. ჩვენი პარტია საქართველოში ახლაც მრავალრიცხოვანი როდია. გადატრიალების წამში ჩვენი პარტია გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოთა პარტიები. განსაკუთრებით ძლიერი იყო მენშევიკების პარტია, რომელშიაც, თვით მენშევიკებისავე ანგარიშით, საქართველოს გასაბჭოების წამში 80.000 წევრი ითვლებოდა, და რომელიც თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ნაციონალურ პარტიად გადაიქცა საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუილად-კ. არ ამბობს ერთი მენშევიკ-პუბლიცისტთაგანი პარიზში გამონაცემ ჟურნალ „ბრძოლა“-ს უკანასკნელ ნომერში, რომ ქართველი ხალხის ეროვნული თვითგამორკვევა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ჩამოაყალიბაო.—დიაღ, არა ნაციონალ დემოკრატებმა, არა ფედერალისტებმა, არამედ—სოციალ-დემოკრატებმა.

ამ მრავალრიცხოვანმა პარტიამ, რომელსაც შეადგენდნენ საქართველოს ყველა სოციალური ჯგუფ-ს წარმომადგენელნი—მუშებიც, გლეხებიც და დიდძალი ინტელიგენცია, აგრეთვე სამღვდელოების ერთი ნაწილი და ბურჟუაზიული ელემენტების თვალსაჩინო რიცხვი,—აი, ამ პარტიამ დაჰკარგა ბატონობა და ხელისუფლება საქართველოში, მაგრამ მაინც ძლიერი იყო თავისი რიცხვით და გავლენით ქართველი მოსახლეობისა და საზოგადოების უაღრესად აგრესიულ ელემენტებ შორის.

მენშევიკების პარტიას მხარს უჭერდა მე-II ინტერნაციონალი და ამ ინტერნაციონალში შემავალი ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტია. 1920 წელს, თითქმის მენშევიკების ხელისუფლების მიწურულში, საქართველოს ესტუმრა მე-II ინტერნაციონალის დელეგაცია, რომელსაც შეადგენდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამოჩენილი ბელადები. ისინი მოვიდნენ საქართველოში, როგორც „დემოკრატიის მეშვეობით სოციალიზმის განხორციელების“ ცდის ქვეყანაში. ამის შემდეგ, საბჭოთა გადატრიალების მომენტის წინ, ჩვენ გავხდით მოწმენი საქართველოს ოფიციალურად, იურიდიულად ცნობისა ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მიერ და მათ შორის ანტანტის დიდი სახელმწიფოების მიერ.

და ჩვენი ხუთი წლის ბრძოლის უუმნიშვნელოვანეს შედეგად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ჩვენ დავძლიეთ არა მარტო აშკარა გამოსვლანი ანტისაბჭოთა პარტიებისა ჩვენს წინააღმდეგ, არამედ ჩვენ დავძლიეთ ამ პარტიების წინააღმდეგობა ჩვენ განზრახულებათა და ღონისძიებათა მიმართ. ამჟამად თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენ მთლად დავამთავრეთ პოლიტიკური, ორგანიზაციული და ტეხნიკური დანგრევა ანტისაბჭოთა პარტიებისა, უმთავრესად მენშევიკების პარტიისა და მისი ტეხნიკური ძალის—ნაციონალ-დემოკრატების პარტიისა.

დღეს სრულიად შესაფერისად მიგვაჩნია გავიხსენოთ, თუ რა საკითხებისა, რა ინტერესებისა და რა მიზნების გარშემო მიმდინარეობდა ეს ბრძოლა ხუთი წლის განმავლობაში ერთის მხრით ჩვენს პარტიასა და ჩვენს ხელისუფლებასა და მეორეს მხრით—ანტისაბჭოთა ელემენტებ შორის.

ძირითადი საბაბი ანტისაბჭოთა პარტიების ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისა იყო საქართველოს „დამოუკიდებლობის“ აღდგენა და საქართველოში ეგრედ წოდებული „დემოკრატიის“ დამყარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ვიდრე იმას ვიტყოდეთ, თუ როგორ მიმდინარეობდა საქართველოში ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და რით დამთავრდა იგი პირველი ხუთის წლის განმავლობაში,—საჭიროა გავახსენოთ საქართველოს ყველა მუშასა და გლეხს, როგორი დამოუკიდებლობისა და როგორი დემოკრატიის დამყარება ჰსურდათ საქართველოში ჩვენს მოწინააღმდეგეებს. ხოლო ეს თვალნათლივი გახდება ჩვენთვის, თუ მივმართავთ საქართველოს „დამოუკიდებლობის“ პროპაგანდისა და ჩამოყალიბების ისტორიას 1918 წლის მაისში.

პროფესორი ივალიშვილის წიგნი მდიდარ მასალას იძლევა იმისას, თუ რა ორიენტაციას დაადგა საქართველოს დემოკრატიული მთავრობა რუსეთთან საუკუნოებრივი კავშირის გაწყვეტის შემდეგ, იმ რუსეთთან, რომლის პროლეტარიატთანაც ქართველი მუშები მხარდამხარ იბრძოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ მთავრობის ორიენტაცია მიმართული იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაკენ, —ჯერ ცენტრალური ევროპის ქვეყნების კავშირისაკენ, რომელმაც სწორედ იმ დროს რუსეთს თავზე მოახვია უაღრესად მძიმე ბრესტის ზავი, ხოლო მერე, გერმანიის დანგრევის შემდეგ, მისი ორიენტაცია მიიქცა ანტანტის ქვეყნებისაკენ — ინგლისისა და საფრანგეთისაკენ.

საქართველოს წარმომადგენელნი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას ევროპაში ეძიებდნენ და მზად იყვნენ ისეთი მსხვერპლი შეეწირათ, რაც საქართველოს კოლონიალური თუ არა, ნახევრად კოლონიალური სახელმწიფოს ხვედრს უმზადებდა. თავისი დამოუკიდებლობის დასამყარებლად, უფრო-კი—თავისი ქვეყნის რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატისაგან გამოთიშვის განსამტკიცებლად—საქართველოს რესპუბლიკის სათავეში მდგარი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მზად იყო თავისი ქვეყანა მთლად დამოკიდებულ სახელმწიფოდ გაეხადა ევროპის სახელმწიფოებისაგან.

პირველად თავიანთ დამოუკიდებლობაზე ქართველმა არგონავტებმა შუამდგომლობა გერმანიის სამეფო კარის წინაშე აღძრეს; ამასთანავე საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საფუძვლად უნდა ყოფილიყო დროებითი შეთანხმება, რომელიც დაიდვა „ფოთში გერმანიის საიმპერატორო მთავრობასა—(ბავარიის მეფის გენერალ-მაიორის ფონ-ლოსოვის სახით)—და საქართველოს მთავრობას—(გარეშე საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის სახით (სოციალ-დემოკრატი) შორის“.

ამ შეთანხმების მე-2 მუხლით „გერმანიის მთავრობას უფლება ეძლეოდა ომის დამთავრებამდე ესარგებლნა საქართველოს რკინისგზები ჯარების გადასაყვანად და სამხედრო მასალის გადასაზიდათ. რკინის გზებისათვის კონტროლის გასაწევად ტფილისში უნდა დაარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებულიყო გერმანიის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული კომისია, რომელიც საქართველოს მთავრობასთან ერთად იმოქმედებდა. გათვალისწინებული იყო, რომ რკინის გზების სადგურებზე და ფოთის პორტში გერმანიის კომანდები იქნებოდნენ".

ამ დროებითი შეთანხმების გარდა, იმ საფუძველთა შორის, რაზედაც დამყარებული იყო საქართველო-გერმანიის სამხედრო ურთიერთობა, არსებობდა კიდევ სამი ცალკე კონვენცია, რომელთაგან განსაკუთრებით დამახასიათებელია ორი. პირველი—„ადგილობრივ ფულთან ერთად გადახდის საშუალებად დროებით გერმანიის ვალიუტის შემოღების შესახებ, განსაკუთრებული კურსისამებრ" და მეორე: „მთავრობათა განსაკუთრებული შეთანხმება ამ კურსის დამყარების წესის შესახებ". გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკას უნდა მიეცა გარმანიისათვის ზოგი რამ გასამრჯელოც „მისთვის საჭირო ნედლეულობის სახით, რაც საქართველოში მოიპოვებოდა; ხოლო, უკეთუ ომი გაგრძელდებოდა და ოპერაციები ინგლისის წინააღმდეგ განვითარდებოდა მესოპოტამიასა და სპარსეთში, გერმანიას, ოსმალეთთან ერთად, უნდა ჰქონოდა ამიერკავკასიაში ბაზისი ოპერაციებისათვის".

დადებული შეთანხმებისა და კონვენციების უზრუნველსაყოფად ფოთში მოვიდა გერმანული ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი. როგორც ზევით აღნიშნული ციტატიდან სჩანს, საქართველო დაადგა გერმანიის ორიენტაციას, მას ებღაუჭებოდა, „რათა განემტკიცებინა თავისი სახელმწიფოებრივი არსებობა და, გერმანიაზე დაყრდნობილს, შეექმნა პირობები თავისუფალი ეროვნული განვითარებისა"; ამასთანავე გერმანიასთან კავშირი უნდა ყოფილიყო მტკიცე და მჭიდრო. პროფესორი ავალიშვილი პირდაპირ ამბობს: „უბრალო კავშირი აქ საკმარისი არ იყო"-ო.

მერე, როგორი უნდა ყოფილიყო ეს კავშირი გერმანიასა და საქართველოს შორის? ამაზე პროფ. ავალიშვილი იძლევა პასუხს—გერმანიის მთავრობის წარმომადგენელის დოქტორი სიმონსის მეტის-მეტად მჭერმეტყველური სიტყვებით; დოქტორმა სიმონსმა განუმარტა ავალიშვილს, რომელიც თურმე მას შეეკითხა გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობის შესახებ საქართველოში, სიტყვასიტყვით შემდეგი: „ფორმით იგი იქნება ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელი, ხოლო შინაარსით იგი, ოღონ არ იყოს, უახლოვდება ინგლისის რეზიდენტს ინდოეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოში". თუმცა სიმონსს ამასთანავე ზრდილობიანად განუცხადებია, რომ ქართველები ინდოელნი არ არიანო, მაგრამ ეს საგნის დედააზრს როდი სცვლის. საქართველო, გერმანიასთან დამყარებულ ურთიერთობის მიხედვით, უნდა ჩავარდნილიყო ახლანდელი ინდოეთის მდგომარეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში. ავალიშვილის განცხადებით, ასეთი ვითარება სრულიად ეთანხმებოდა საქართველოს ფორმალურ დამოუკიდებლობას ასეთი დამოუკიდებელი საქართველო, ავალიშვილის აზრით, უნდა გამხდარიყო კავკასიის კონფედერაციის ქვაკუთხედად. ხოლო საქართველოს მეშვეობით გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური გავლენა გზას ადვილად გაიკვლევდა მეზობელ ქვეყნებში. თავის მოთხრობას გერმანიასთან მოლაპარაკების ასავალ-დასავალზე პროფ. ავალიშვილი ათავებს შემდეგი, თითქმის ლირიზმამდე მიღწეული, სიტყვებით: „კავკასიის ჩანჩქერნი და მდინარენი ფოლადით შეკურვილ ლაღ ბედაურებად გადაიქცეოდნენ და გერმანიის კაპიტალიზმის ეტლს აზიის შუაგულისაკენ გააქანებდნენ. თელა-ნაძვნარი ტყეები მთასა და ხეშო ქაღალდად გადაიქმნებოდნენ. რაღა ითქმის სპილენძზე, რაღა ითქმის ნავთზე?!“ აი, ასეთი უნდა ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობა, რომლის დამყარებასაც ლამობდნენ—გერმანიასთან დადებულ მჭიდრო კავშირზე დაყრდნობილი მისი დიპლომატები.

ეს იყო 1918 წელს, ვიდრე გერმანიის იმპერია დაემხობოდა. ხოლო, რაკი გერმანიის იმპერიალიზმმა წამოიჩოქა, ქართველი დიპლომატები, თავისი მთავრობის დასტურით, მაშინათვე შეეცადნენ პირი გამარჯვებული ქვეყნებისაკენ ებრუნათ, ანტანტისაკენ მიეტანათ. ეს ორიანტაციაც უმთავრესად დამყარებული იყო იმავე მოსაზრებებზე. როგორც ორიენტაცია გერმანიისადმი. მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა საქართველოს დელეგაციის მუშაობა ახალი ორიენტაციის ძებნაში, წინანდელზე ნაკლებად მჭერმეტყველური როდია და ეს ორიენტაცია მანდატორის ძებნით თავდება. საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოს მთავრობა მიადგა იმ საკითხს, რომ გამოძებნილი ყოფილიყო ისეთი სახელმწიფო, რომელიც შესძლებდა საქართველოს გამგებლობის მანდატის აღებას. ამისათვის საკმარისია რამდენიმე სტრიქონის ამოწერა პროფ. ავალიშვილის განცხადებიდან და ნამეტნავად-კი მენშევიკური საქართველოს უფრო ავტორიტეტული დიპლომატის ირაკლი წერეთლის განცხადებიდან. პროფ. ავალიშვილი სწერს: „როგორც სჩანს, ყველა თანახმაა, რომ საქართველოს არ ძალუძს თავისი ძალღონით უზრუნველჰყოს თავისი თავი ყველა გარედან მოსალოდნელ საფრთხისაგან. და თუ საჭიროა რომელიმე დიდი სახელმწიფოს მიერ მხარის დაჭერა, არავითარი საბუთი არა გვაქვს ზურგი შევაქციოთ „მანდატთა“ ინსტიტუტს, მით უფრო, რომ მანდატი განხორციელდება ერთა ლიგის, ე. ი. უმაღლესი ინსტანციის, დავალებით და მეთვალყურეობით. თავისი შინაარსით ეს მანდატი უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს შარშანდელ სქემას საქართველო-გერმანიის ურთიერთობისას“. ხოლო წერეთელმა თურმე სთქვა: „ვთხოვოთ სცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ-კი, ავწონ-დავწონოთ ყოველივე, შევიპიროთ, მაგალითად, ინგლისი და ვკითხოთ, რას აპირებს იგი იმ ჯარების შესახებ, რომლებიც ჩვენში უყენია; ვთხოოთ ნუ გაიყვანს მათ".

ანტანტის ქვეყნებთან მოლაპარაკებაში „საკითხი ამიერ-კავკასიის (საქართველოითურთ) ერთ მთლიან ოლქად მოწყობისა საერთაშორისო თავისუფალი ტრანზიტისათვის — ყოველი მიმართულებით — და ამ ხერხით ურთიერთობის უზრუნველყოფა სპარსეთთან, კასპიის-იქითა ქვეყნებთან და სომხეთთან, შეადგენდა მთავარ თემას იმავე საგნის ეკონომიურის მხრით განმარტებისას". საქართველოს უნდა უზრუნველეყო ინგლისის ჯარებისათვის კასპიის-იქითა ოლქებში მიმოსვლა, ბაქოსა და კრასნოვოდსკზე გავლით, რაკი მიმოსვლა შავ-ზღვასა და შუა და წინა აზიის ქვეყნებ შორის, ოსმალეთ-გერმანიაზე გამარჯვების გამო, პირდაპირ ინგლისს ჩაუვარდა ხელში საკონტროლოდ.

ამის შემდეგ, თავის თავად ცხადია, რა პრინციპებზე და რა ხერხით ცდილობდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობა დაემყარებინა თავისი „დამოუკიდებლობა", რითა არაფერი საერთო არა ჰქონოდა-რა რუსეთის მუშებთან და გლეხებთან. ამის შემდეგ ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რა ფასიცა აქვს იმ დამოუკიდებლობის ლოზუნგებს, რითაც საქართველოს გადახვეწილი მთავრობა 1924 წ. ლამობდა ჩაეთრია საქართველოს ზოგიერთი რაიონის გულებრ ყვილო მასსები საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

პარიზში მყოფნი, ქართველი მენშევიზმის შტატგარეშე მებუკემედოლენი როდი ჰლალატობენ თავიანთ თავს. მათ ვერ მოახერხეს საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება და ვერ გაბატონდნენ კვლავ საქართველოში, რათა განეხორციელებინათ დემოკრატიული სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკა, ეერ მოახერხეს გადაექციათ იგი კვლავ „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ; ცდილობდნენ-კი ეს დამოუკიდებლობა დაემყარებინათ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან დადებულ ახალ კავშირზე.

იმ შეთანხმებაში (მუხ. მე-5), რომელიც დაიდვა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლისათვის ინტერპარტიული კომიტეტის მოწყობის შესახებ 1922 წ. მარტის 3-ს პარიზში დარომელსაც ხელს აწერენ მენშევიკების პარტიის წარმომადგენელნი ჩხეიძე, რამიშვილი და ჩხენკელი, ნაც.-დემოკრატების პარტიის წარმომადგენელნი ვეშაპელი *), გაბაშვილი, ჯაფარიძე, თაყაიშვილი და ნიკოლაძე **) და ფედერალისტე-

*) ამჟამად პატიოსნურად ჩვენთან მუშაობს პარიზში.

**) დიდი ხანია საქართველოში დაბრუნდა და შეძლებისდაგვარად ჩვენ გვეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის წარმომადგენელნი მდივანი და კობახიძე,— სიტყვა-სიტყვით ნათქვამია, რომ დემოკრატიული საქართველოს მიზანს, სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენისათანავე, შეადგენს: „ევროპის სახელმწიფოებ შორის პოლიტიკურ მოკავშირეთა გამოძებნა და მოწინავე ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დამყარება“. ასეთი მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან, ჩხენკელის სიტყვით, რაც მან 1922 წლის მარტის 3 ს წარმოსთქვა თავის მოხსენებაში (ამასვე უჩჩევდა მათ ბრალინიც), წარმოდგენილი ჰქონდათ კავკასიის რესპუბლიკების კავშირის სახით; ამ რესპუბლიკებს თურმე დაჰპირდნენ პოლიტიკურ დახმარებას და ეკონომიური მდგომარეობის აღდგენას ევროპის კაპიტალის საშუალებით და ჯარის მოწყობით. უკვე დაინიშნენ ექსპერტები, რომელთაც სპეციალურად უნდა შეესწავლაო კავკასიის საქმეები და მოხსენება და გარანტიის პირობები საფრანგეთის მინისტრ ლუშერისათვის უნდა წარედგინათ. ამასთანავე ჩხენკელმა პუანკარესთან მოლაპარაკების დროს თურმე განაცხადა, რომ საქართველო კისრულობს გადაუხადოს საფრანგეთს რუსეთის ვალების ის ნაწილი, რაც საქართველოს შეხვდება. ჩხენკელის თანამომხსენებელმა პროფ. ავალიშვილმა აცნობა კრებას თავისი მოლაპარაკების ამბავი ამერიკასთან, რომელიც დაინტერესებული თურმე იყო საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანით და, უმთავრესად-კი, ნავთით: „ამერიკელები ცდილობენ აქციები შეიძინონ და ამიერკავკასიის ნავთის ფაქტიური პატრონები გახდენ“-ო.

ეს „უმწიკვლო მებრძოლნი დამოუკიდებლობისათვის“, როგორც თავიანთი ბატონობის დროს საქართველოში, ისე ემიგრანტობის გაჭირვებულ ხანაში თავიანთი თავის ერთგულნი დარჩნენ და ნირი არ იცვალეს. ისინი მზად იყვნენ საქართველოს ფორმალური დამოუკიდებლობისათვის გაეცათ ყველა მისი ინტერესები და ეს მოხდებოდა არა მარტო იმით, რომ თავიანთ ევროპიულ მოკავშირეთ გადასცემდნენ საქართველოს ეკონომიური ცხოვრების კონტროლს, არამედ იმითაც, რომ საქართველო უნდა გაეხადათ დასაყრდნობ სიმაგრეთ, რათა უცხოელთ ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთი და სატრანზიტო გზები, რომლებიც მათ წინა და შუა აზიის ბაზრების დაპყრობისაკენ წაიყვანდა. მაგრამ ეს ბოროტი (საქართველოს მშრომელთა მასსების აზრით) მუშაობა მოსპო და აღკვეთა ისტორიის ულმობელმა ხელმა. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა უარჰყვეს ორიენტაცია განათლებული ევროპისაკენ და ამჯობინეს ძმური კავშირი იმ მუშებთან და გლეხებთან, ვისთანაც ერთად მთლად რუსეთის რევოლიუციის ისტორიის განმავლობაში ისინი საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ეს გარემოება, რაღა თქმა უნდა, აიძულებდა საქართველოს ყველაზე ძლიერ პარტიას—მენშევიკებს—განეგრძო ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა თავისი ხელისუფლების აღსადგენად და „დემოკრატიის“ განსამტკიცებლად.

და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე იწყება ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. პირველში შეეცადნენ ბრძოლა ლეგალურად ეწარმოებინათ, მიეღოთ ნებართვა თავიანთი პარტიის ლეგალური არსებობისათვის და ლეგალურად არსებობის ნიადაგზე განეგრძოთ ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ.

შემდეგ, როცა ჩვენ გადაეწყვიტეთ მოგვესპო ეგრედ წოდებული „დემოკრატიის“ ნაშთები და სერიოზულად განვიზრახეთ დიქტატურის განხორციელება, მენშევიკთა პარტია გადავიდა არალეგალურ პოზიციაზე ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად და ხელი მიჰყო შეიარაღებული აჯანყების მზადებას.

ყველას ახსოვს, რეებს სჩადიოდნენ მენშევიკები საამისოდ. იყენებდნენ ბანდიტთა რაზმებს ჩვენს წინააღმდეგ ჩვენი მუშაობის დეზორგანიზაციის მიზნით და თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად. მოაწყეს პარიტეტული კომიტეტი და სამხედრო ცენტრი, რაც ჩვენ გამოვაშკარავეთ და მოვსპეთ. შემდეგ შეეცადნენ მოეწყოთ 1924 წლის აჯანყება და ამისათვის ემყარებოდნენ ყველა იმ ელემენტებს, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლებამ ასე თუ ისე უქმიენჯა, უპირატესად-კი მემამულეთა პარტიის—ნაციონალ-დემოკრატების—ტეხნიკურად დარაზმულ ძალას.

ყველამ უწყის რით გათავდა ეს ცდა.

იმის დასასაბუთებლად, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა უნდა მოხდეს აუცილებლად შეიარაღებული აჯანყებით, მენშევიკების პუბლიცისტები, და მაო შორის ყველაზე წარჩინებული—ნოე ჟორდანია—ამტკიცებდნენ, რომ შეიარაღებული აჯანყება უეჭველად გაიმარჯვებს, რადგანაც საბჭოთა წყობილება სავსეა შეურიგებელი წინააღმდეგობით და ამიტომ იგი უნდა დაემხოსო. ამ პირობებშიო—ამბობდნენ ისინი—შეიარაღებული აჯანყება უებარი საშუალებაა, რათა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა დაჩქარებულ იქნესო.

ჟორდანია თავის სასამზადისო წერილში, რომელიც ბროშიურად დაიბეჭდა 1924 წლის აგვისტოსათვის, და რომელსაც „საბჭოთა წყობილება“ ეწოდება, ამბობს, რომ საბჭოთა სისტემაში ხუთი ძირითადი წინააღმდეგობაა, რაც ამ ხელისუფლებას აუცილებლად დაღუჭვამდე მიიყვანსო. ხოლო, რადგანაც იმ ჟამად საბჭოთა კავშირის ბედ-იღბალი ჯერ კიდევ სრულად არ იყო გამორკვეული, სახელდობრ, კავშირი ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ და განსაკუთრებით-კი მტრულ განწყობილებას იჩენდა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგეთი, რომელმაც თავის ტერიტორიაზე შეიერდომა საქართველოს გაქცეული მთავრობა, — უეჭველი გამარჯვების მომლოდინე მენშევიკები იმ აზრს დაადგნენ, რომ აუცილებლად საჭიროა ხალხის მასსებმა იარაღს მოჭიდონ ხელიო.

თუმცა მენშევიკების ბელადნი და ჟორდანია ამტკიცებდნენ, რომ ეს აჯანყება მთელი ხალხის აჯანყება იყოო, მაგრამ ეს მართალი არ არის. მუშათა მასსები ამ აჯანყებაში არამც თუ მონაწილეობას არ იღებდნენ, პირიქით, ისინი აქტიურად იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. ამბოხების ავტორებმა ვერ მოახერხეს ბრძოლაში გლეხობის ჩართვა. ცდა აჯანყებისათვის მოსპობილ იქნა. ახლა დამარცხებულნი ლამობენ თავიანთი დამარცხება იმით გაამართლონ, რომ ვითომც ხალხი შეუიარაღებელი გამოსულიყოს.

კარგად გვესმის მათი გულის-პასუხი... ხალხის მოსატყუებლად სხვა საბუთი ვერ უპოვნიათ.

ეს გამოსვლა პარიტეტული კომიტეტის პროცესით დამთავრდა.

როგორ მიმდინარეობდა პროცესი — ყველამ იცის. ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ჩვენი ხუთის წლის მუშაობის შედეგი სრულ უფლებას გვაძლევს გადაჭრით ვსთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ანტისაბჭოთა პარტიების კავშირი დაძლეულია. დაძლეულია აგრეთვე ამ კავშირის მეთაური — მენშევიკების პარტია. აი, ეს არის უუმნიშვნელოვანესი დასკვნა, რასაც ჩვენი ხუთის წლის მუშაობა იძლევა.

რასაკვირველია, ზოგიერთ ადგილას კიდევ ჰბყუტავს წინააღმდეგობის სული, ხან აქ, ხან იქ შევხვდებით ხოლმე პროკლამაციებს თებერვლის 11-ს შესახებ, როდესაც შუალავერში გლეხთა აჯანყება დაიწყო, თებერვლის 25-ს გამო, როდესაც ჩვენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ოფიციალურად გამოვაცხადეთ. აგრეთვეა ხოლმე მაისის 26-სა და სხვ. თარიღების გამო.

თვითეული ასეთი თარიღის გამო ჩვენ კვლავ ვპოვებთ ხოლმე პროკლამაციას და ეს გასაკვირველიც არ არის. მენშევიკებს, საერთოდ, ბევრი ლიტერატორები ჰყავთ და პროკლამაციის დაწერა არც ისე ძნელია, მაგრამ ყოველივე ეს როდი ამტკიცებს მენშევიკების პარტიის რიცხვსა და ძალიერებას ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ შეგვიძლიან თამამად განვაცხადოთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეების პოლიტიკური ძალა დაძლეულია. ერთი რამ უეჭველია, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილ პარტიებს არ ძალუძთ შექმნან ცოტად თუ ბევრად ფართო მოძრაობა და ჩაითრიონ ამ მოძრაობაში მოსახლეობის ცოტად თუ ბევრად დიდი ნაწილი. მენშევიკურმა პარტიამ, როგორც ყველამ უწყის, დაჰკარგა მთლად თავისი მუშათა აქტივი, მან დაჰკარგა გლეხობის საუკეთესო ელემენტები. მაშასადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, რაღა თქმა უნდა, ბურჟუაზიულ ელემენტებისა, თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის ნაფლეთებზე ვერავითარ აჯანყებას ვერ დაამყარებენ.

ნაციონალ-დემოკრატების პარტია 1924 წლის შემდეგ განიაღებულია არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ტეხნიკურადაც. ასე რომ სრულიად თავისუფალი ასპარეზი გვაქვს მუშაობისთვის, რაკი ცოტად თუ ბევრად სერიოზული პოლიტიკური მოწინააღმდეგე არა გვყავს, რომელსაც შეეძლოს პოლიტიკურად ხელი შეგვიშალოს.

მაინც ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წინ დაბრკოლება და გაჭირვება აღარ გადაგვეღობება, რომ, ამშენებლობის გზით მავალნი, ჩვენ აღარ შევხვდებით ხელისშემშლელ გარემოებათ და პიროობებს.

მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ აღარა გვყავს მოქიშპე ძალა, რომელიც მოახერხებდეს ჩვენს წინააღმდეგ დარაზმოს მუშათა და გლეხთა ესა თუ ის თვალსაჩინო კადრი.

ამისგამო, თავის-თავად ბუნებრივია, რომ მენშევიკთა პარტიამ, როგორც შორსმჭვრეტელმა და გაგებულმა პარტიამ, რომელსაც, ასეა თუ ისე, გაუვლია მარქსიზმის სკოლა, აი ამ პარტიამ უარჰყო წინანდელი ხერხი ჩვენთან შეიარაღებული ბრძოლისა და გადადის ახალ გზაზე. ამ ახალ გზაზე დამდგარი მენშევიკთა პარტია, საეჭვოა, მოახერხებდეს ჩვენს წინააღმდეგ საზოგადოებრივ ძალთა მობილიზაციას. ჟორდანია თავის წიგნაკში „რა მოხდა?", რომელიც ჩაქრობილ აჯანყებას შეეხება, ამბობს:

„დატყვევებულმა საქართველომ შინჯა ერთი გზა ტყვეობისაგან განსათავისუფლებლად, საკუთარი ძალღონით მოსკოველთა გასადევნათ, მიზანს ვერ მიაღწია. ეს საშუალება არ გამოდგა მიზანშეწონილი. მარა დარჩა სხვა გზები, სხვა საშუალებები, გაცილებით უფრო მჭრელი და ძლევამოსილი. ეს არის საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო კრიზისი, რომელიც თანდათან ახლოვდება და ჩვენ გვიმზადებს ერთგულ მოკავშირეს. ეს იქნება ბრძოლა უკანასკნელი, სიცოცხლისა და თავისუფლების მომნიჭებელი".

და შემდეგ, ჟორდანია თავისვე წერილებში, რომლებიც დაწერილია ამ უკანასკნელ თვეებში, ხოლო ნოე რამიშვილი ნოემბერში და დეკემბერში დაწერილ წერილებში, აცხადებენ, რომ დაუძლეველმა კრიზისებმა უკვე თავი იჩინა და საბჭოთა სახელმწიფო გიგანტური ნაბიჯით მიექანება უფსკრულისაკენ; ამიტომ აჯანყება საჭირო როდია, უნდა ველოდოთ ხელსაყრელ გარემოებათ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება თავისთავად დაემხობაო—თავისვე წინააღმდეგობათა ტვირთის ქვეშ.

მენშევიკები ამბობენ, რომ ეს წინააღმდეგობანი უპირველეს ყოვლისა საგარეო ხასიათისაა. შიურიგებელია წინააღმდეგობა საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სამეურნეო ურთიერთობის სისტემასა და კაპიტალისტურ ქვეყნების სისტემას შორის; აქედან წარმოსდგება ყველა ბურჟუაზიული ქვეყნის ბლოკი, საბჭოთა კავშირის იზოლიაცია და აუცილებელი შეტაკება მათ შორის, ხოლო ამის შედეგად—საბჭოთა რესპუბლიკის დამარცხება.

მეორეო—ამბობენ მენშევიკები—აუცილებელია შინაგანი კრიზისები, რადგანაც საბჭოთა სახელმწიფოს უნარი არ მოსდგამს მეურნეობის დასამყარებლად, საწარმოო ძალთა განსავითარებლად და მსხვილი მრეწველობის მოსაწყობად, და, მაშასადამე, სოციალიზმზე გადასასვლელადო. აი, ეს უუნარობა ჰბადებს კონფლიქტებს ხელისუფლებასა და ხალხის ფართო მასებ შორის, კერძოდ, გლეხობასთან, რომლის მოთხოვნილებანიც თანდათან იზრდება და საბჭოთა ხელისუფლებას მათი დაკმაყოფილება არ შეუძლიანო. ამის გამო აუცილებელია კონფლიქტი საბჭოთა ხელისუფლებასა და მუშათა კლასს შორის და აუცილებელია დაშლა საბჭოთა კავშირისა, რომელიც მრავალ სხვადასხვა ერთაგან შესდგებაო. მენშევიკები ამბობენ, რომ ყოველივე ეს აუცილებელია და ამიტომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის უკანასკნელ არალეგარულ კონფერენციაზე შეიმუშავა ტაქტიკა—ველოდოთ ამ მოვლენტს და ვემზადოთ მის დასახვედრად, მოვახდინოთ ჩვენს რიგებში მუშათა და გლეხთა ფართო მასების მობილიზაცია და, იმისდამიხედვით, თუ როგორ გადასწყდება საკითხი, ვინ ჩადგება საბჭოთა სახელმწიფოს დამხობის შემდეგ ხელისუფლების სათავეში, რომელი პარტია და რომელი კლასსი გაბატონდება საქართველოში და რუსეთში, აი, ამისდამიხედვით, განვსაზღვროთ ჩვენი მომავალი ტაქტიკაო.

ამასთანავე ისინი აცხადებენ, რომ ორიენტაცია წარმართული უნდა იქნეს საქართველოს „დამოუკიდებლობისა“ და „დემოკრატიისაკენ“-ო. აგრეთვე ორიენტაცია იმ ქვეყნებისაკენ, რომლებიც ყველა დარგში დემოკრატიას განამტკიცებენო. ორიენტაცია ძლიერი მოკავშირისაკენ, რომელიც შესძლებს უზრუნველჰყოს საქართველოს „დამოუკიდებლობა“, რასაკვირველია, სომხეთისა, აზერბაიჯანისა, უკრაინისა და რუსეთისაგან. ამ ორიენტაციების შეფასება შეიძლება ყველა იმის მიხედვით, რაც ზევით იყო ნათქვამი. ერთის სიტყვით, მენშევიკები ემზადებიან ჩაებღაუჭნენ ხელისუფლებას, როდესაც იგი ხელიდან გაუვარდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედ პროლეტარიატს.

რაღა თქმა უნდა, რომ ყველა ეს ლათაიები უბრალო ოცნებაა. ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლიან პარიზში, თუ პარიზის მიდამოებში განცხრომით მყოფთ აღვუკრძალოთ ლირიზმით ცოდვილობა. რაღა დარჩენიათ სანუგეშოდ, თუ არა იმედი და ლოდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი?! მაგრამ ხანდახან იმედს და ლოდინს კაცი სულელობამდე მიჰ-ყავს. დაგვითმია მათთვის ეს კმაყოფილება. ჩვენ კი თავისუფლად შეგვიძლიან განვაგრძოთ შემოქმედება და აღმშენებლობა და დავ-ძლიოთ ის დაბრკოლებანი, რაც უეჭველია გზად გადაგვეღობება. და ჩვენ დავძლევთ ამ დაბრკოლებებს. მთლად ჩვენი შინაგანი მუშაობა, მთლად ის აღმშენებლობა, რასაც განუწყვეტლივ ვაწარმოებთ, აუა-რებელ ხელის შემშლელ გარემოებათა მიუხედავად, თავდებია, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. უპირველეს ყოვლისა ჩვენ მოვახერხეთ ჩაგვება აღმშენებლობაში მუშათა და გლეხთა ფართო მასსები, საღმშენებლო გულხმიერება გაგვეღვიძებინა მათში და, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა ზომამდე გავერანებული დაგვხვდა ჩვენ მენშევიკების შემდეგ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენს მხარეზე დიდი მიღწევებია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თა-ვი უნდა დავიდაფნოთ, განცხრომას მივეცეთ და კრიტიკულის თვა-ლით არ შევხედოთ იმას, რაც ჩვენ გაგვიკეთებია და მოგვიპოვებია.

პირიქით, ჩვენი პარტიის თვითეულმა წევრმა მხედველობაში უნდა იქონიოს ის ციფრები, რის უარყოფაც შეუძლებელია, და კრი-ტიკის თვალით შეხედოს იმ მუშაობას, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ და შეაფასოს ის დაბრკოლებანი, რომელთა დაძლევაც ჩვენ გვიხდება. მა-გრამ ვიდრე გადავიდოდეთ ჩვენს მიღწევათა დამასურათებელ ციფრე-ბზე, ყურადღება უნდა მიექცეს ორ-სამ უაღრესი მნიშვნელობის ფაქტს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეჩერდეთ ნაციონალური ურთიერ-თობის საკითხზე საქართველოს ფარგლებში. რაც უნდა კინკლაობა გვქონდეს ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებთან, ერთი რამ მაინც უეჭველია, რომ საქართველო, როგორც მრავალ-ერიანი ქვეყანა, გა-ნიცდის შეურყეველ შინაგან ნაციონალურ მშვიდობიანობას.

მენშევიკების დროს საქართველომ გადაიხადა რამდენიმე ომი მეზობლებთან: 1) სომეხ-ქართველთა ომი; 2) ქართველ-აფხაზთა ომი; 3) მენშევიკების მიერ სამხრეთ-ოსეთის დარბევა; 4) აჭარის ჯჯანყების ჩაქრობა; 5) ცდა მოსახლეობის ყველა იმ ჯგუფების განიარაღებისა, რომელნიც ოფიციალური „დემოკრატიული“ საქართველოს თვალსა-ზრისზე არ იდგნენ.

ამ ჟამად საქართველოში ამის მსგავსი არა არის რა. როგორც საქართველოში, ისე ეროვნულ უმცირესობათა რესპუბლიკებში, ხე-ლისუფლების სათავეში სდგას კომუნისტური პარტია. და აი, ეს არის სრული პოლიტიკური გარანტია, რომ არავითარი მიხლა-მოხლა პო-ლიტიკური ან ეროვნული ინტერესების ნიადაგზე არ შეიძლება მოხ-დეს. გაუგებრობამ შეიძლება, რასაკვირველია, იჩინოს თავი, კინკლაო-ბამაც; ისიც მოსალოდნელია, რომ სწორი ანგარიში არ გაეწიოს ამა თუ იმ გარემოებას, რითაც განისაზღვრება ეროვნული ურთიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლიან საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავზე თამამად ვსთქვათ, რომ ჩვენ მრავალ-ერიან რესპუბლიკაში სრული ეროვნული მშვიდობიანობაა. ამ მშვიდობიანობას უზრუნველჰყოფს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა იმ რესპუბლიკებში, სადაც იგი ხელისუფლების სათავეში სდგას. ამასთან ერთად ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არავითარი ნიშანი არა სჩანს იმისა, რომ შესაძლებელია ურთიერთობის გართულება ჩვენ მეზობლებთან, რომელნიც გუშინ მენშევიკების წყალობით ბრძოლის ცეცხლში იყვნენ გახვეულნი. ამიერკავკასიის ფედერაციის მოწყობა—სრული გარანტიაა მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობისა ამიერკავკასიის პირობებში, ამიერკავკასიის მასშტაბით. ფედერაცია ჩვენ დავამყარეთ ერის სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბების პრინციპზე, იმ პრინციპზე, რომლითაც ხელისუფლებას ხელმძღვანელობას უწევს კომუნისტური პარტია. ამაზე ძლიერი დღღაბი შეუძლებელია. ბევრს ეხსომება ამიერკავკასიის ხალხთა ერთად ცხოვრების პირობები კერენსკის დროს ან რუსეთში საბჭოთა გადატრიალების შემდეგ, როდესაც აქ ეგრედწოდებული ამიერკავკასიის სეიმი არსებობდა, რომელიც ვითომც ერთ მთლიან ამიერკავკასიას წარმოადგენდა. მას შეადგენდნენ ერთმანეთის მოწინააღმდეგე, შეურიგებელი ელემენტები. ჯერ ერთი, ეროვნული პარტიები—ქართული, აზერბაიჯანული და სომხური—სხვადასხვა მისწრაფებისა, სხვა-და-სხვა კლასობრივი ინტერესის წარმომადგენელნი თავიანთივე ქვეყნებში, სხვა-და-სხვა საგარეო ორიენტაციისა. რაღა თქმა უნდა, ასეთი ფედერაცია ვერ გაისაძლისებდა და პირველსავე შეხებაზე უნდა დაღუპულიყო. ჩვენი ფედერაცია ურყევია, თუმცა ყოველ მხრიდან გაცოფებით გვეხეთქებიან. ეს იმიტომ, რომ ჩვენ განვაგებთ ერთი პარტიის მეშვეობით და სისწორით ვაფასებთ და მუშტრის თვალით ვსინჯავთ იმ სამეურნეო ელემენტებს, რომელნიც ფუძედ უნდა დაუდვათ ჩვენი ერების ერთიანობას. ამას გარდა, ჩვენ შეკქმენით საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რომლის შედგენილობაშიაც შედის ჩვენი რესპუბლიკა—საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა—და რომელიც ამ ჟამად ცნობილია ყველა ქვეყნის მიერ, ამერიკისა და „დიდი“ შვეიცარიის „სახელმწიფოს“ გარდა. შვეიცარია, მოგეხსენებათ, დარაჯად უდგას ბურჟუაზიული ცივილიზაციის ყველა მონაპოვარს და ჩვენც იმიტომ არა გვცნობს, რომ უარვყოფთ ამ ცივილიზაციას. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ყველასგან ცნობილი კავშირი, ჩვენ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში გაბედულად ვგრძნობთ ჩვენს თავს, ვიდრე სხვა ვინმე. საბჭოთა ხელისუფლების მოწყობამ საქართველოში, ფედერაციამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან (საბჭოთა აზერბაიჯანთან და საბჭოთა სომხეთთან) და კავშირში მონაწილეობამ შესაძლებლობა მოგვცა მეგობრული გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობილება ვიქონიოთ ჩვენს მეზობელ ოსმალეთის რესპუბლიკასთან. ისეთი ბუმბერაზი კავშირის ფრთეთაქვეშ, რომელიც ყველასგან ცნობილია, და რომელსაც ყველა ანგარიშს უწევს, შეგვიძლიან თავისუფლად განვავითაროთ ჩვენი მეურნეობა, მაღალ დონემდე ავწიოთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები და ჩვენი ხალხი ავიყვანოთ ეკონომიკის უმაღლეს საფეხურზე, მაშასადამე, კულტურის მაღლობზედაც. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სტაბილიზაცია უფრო მყარია, ვიდრე კაპიტალისტური სახელმწიფოების სტაბილიზაცია, ჩვენ ამთავითვე გაბედვით შეგვიძლიან დავისახოთ ორგანიული აღმშენებლობის პროგრამა, მრავალ წელთა განმავლობაში გამოსადეგი.

ის გარემოება, რომ აღარ არსებობს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენს მუშაობას ხელი შეუშალოს, აგრეთვე—მუშათა და გლეხთა ფართო მასსებას მონაწილეობა ჩვენს შემოქმედებითი მუშაობაში, შინაგანი ეროვნული მშვიდობიანობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში და ყოველმხრივ ხელის შეწყობა ჩვენი ძლიერი კავშირის მიერ,—ყველა ეს ერთად აღებული,—უზრუნველჰყოფს ჩვენს წარმატებას შემდეგშიაც. ყველა ამ ფაქტორის გავლენა უკვე თვალნათლივად ეტყობა ჩვენს მიღწევებს. ხოლო რას მივაღწიეთ, რას გვეუბნება ჩვენი ხუთი წლის მუშაობის ჯამი?

პირველყოვლისა უნდა შევეხოთ ჩვენს ბიუჯეტს. საერთოდ, ცნობილია, რომ ბიუჯეტი საუკეთესო სარკეა ყველა სახელმწიფოსი.

ჩვენ არ განვიხილავთ მთელი კავშირის ბიუჯეტს. შევეხებით მხოლოდ ჩვენს, საქართველოს ბიუჯეტს. ნამდვილი საქმიანობის თვალსაზრისით ჩვენ უკვე ვადგენთ მეორე ნორმალურ წლიურ ბიუჯეტს. ამ ორ წლამდე ეხლოდ ცდა იყო შედგენისათვის, ხოლო წარსულ წელს და, განსაკუთრებით, მიმდინარე წელს ჩვენნა გვაქვს ნორმალური წლიური ბიუჯეტი, დიდის დაკვირვებით შემოწმებული. მართალია, ჯერ-ჯერობით იგი ღარიბია, მაგრამ, სამაგიეროდ, სრულიად ნორმალურია. წლევანდელი ბიუჯეტი რომ შარშანდელს შევუდაროთ—თვალნათლივად დავინახავთ მის ზრდას. ლიტონ სიტყვებად რომ არავის ეჩვენოს ნათქვამი, დავასახელებთ საქართველოს—მასში შემავალი რესპუბლიკებითა და ოლქებითურთ—ბიუჯეტის ციფრებს. 1924—25 წელს საკავშირო მთავრობამ საქართველოს ბიუჯეტი დაამტკიცა 13.679.000 მანეთის რაოდენობით. 1925—26 წლის ბიუჯეტი, რომელიც, მართალია, ჯერ დამტკიცებული არ არის საკავშირო ცენტრალური აღმსრულებელი კომიტეტის მიერ, ხოლო უკვე გატარებულია საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში, აღრიცხულია 20.741.000 მანეთის რაოდენობით.

ჩვენი ბიუჯეტის ზრდა 30 პროცენტს აღემატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო თუ გადავთვალიერებთ ამ ბიუჯეტის ცალკე მუხლებს, შემდეგს დავინახავთ: განათლების სახალხო კომისარიატს შარშან ჰქონდა 5.982.000 მან. სოფლის მასწავლებელთა სამუშაო ხელფასითურთ. წელს აქვს 7.722.000 მან. სოფლის მასწავლებელთა სამუშაო ხელფასითურთ, ე. ი. 1.740.000 მანეთით მეტი, ვიდრე შარშან იყო.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს,—რომელიც საკულტურო კომისარიატია, შარშან ჰქონდა 1.050.000 მან., წელს აქვს 1.679.000 მ.

მიწათმოქმედების კომისარიატს, რომელიც დიდი მნიშვნელობის კომისარიატია, შარშან ჰქონდა 985.000 მან., წელს აქვს 1.513.000 მ.

ამრიგად, თვალი რომ გადავავლოთ ჩვენი ბიუჯეტის ცალკე ნაწილებს, ყველგან აუცილებელ ზრდას შევნიშნავთ წარსულს წელთან შედარებით. მაგრამ ეს ჩვეულებრივი ბიუჯეტია უწყებათა შესანახად და ამ უწყებათა ღონისძიებების განსახორციელებლად.

ამ ჩვეულებრივი ბიუჯეტის გარდა ჩვენ გვაქვს აგრეთვე ასიგნები მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საჭიროებისათვის. მართალია, ბიუჯეტის ეს ნაწილი ჯერ-ჯერობით საბოლოოდ ჩამოუყალიბებელია სხვადასხვა გარემოებათა გამო, და იმისგამო, რომ ჯერ კიდევ საჭიროა მოხდეს ჩვენი რესურსების უფრო სწორი, უმეტნაკლებო აღრიცხვა. ამ მხრივ საქართველოსათვის ჩვენ გვაქვს საასიგნოდ შეტანილი 3.000.000 მან. ეს თანხა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაეცემა ახალი სამრეწველო საქმეებისათვის. გვაქვს აგრეთვე სხვა ფონდით ელექტროფიკაციისათვის 1.700.000 მან.; ამ თანხაში არ შედის ასიგნება ზემო-ავჭალის სადგურისათვის, რისთვისაც გადადებულია 1.900.000 მან.. ამ წელსვე აღმშენებლობისათვის ჩვენ გვაქვს საასიგნოდ განზრახული 300.000 მან.; რაღა თქმა უნდა, ეს თანხა შედარებით მცირეა, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ შეტანილი გვაქვს საასიგნოდ საქართველოს მელიორაციისათვის 1.315.000 მან.

ამრიგად, ჩვეულებრივი ბიუჯეტის გარდა, რაც შარშანდელ ბიუჯეტს ექვსი მილიონით აღემატება, ჩვენ ხელთ იქნება ხუთ მილიონზე მეტი სხვადასხვა მშენებლობისა და მრეწველობისათვის და, თუ მხედველობაში შეიიღებთ იმ სახსარს, რაც აქამდე სხვადასხვა მშენებლობაზე, კერძოდ ელექტროფიკაციაზე, დაგვიხარჯავს,—მშინ ჩვენი ქვეყნის მატერიალური ზრდა უფრო თვალნათლივი იქნება.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ჩვენ დიდი მუშაობა მიგვიძღვის; განსაკუთრებით, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რა ძნელ პირობებში ვიდოდა ეს მუშაობა. მშენებლობის წარმოება ჩვენ გვიხდებოდა პირდაპირ გავერანებულ ადგილზე, რადგანაც მენშევიკებმა საქართველოდან გაქცევის დროს თან წაიღეს არა მარტო კაპიტალები და საქონლის ზვინები, არამედ დააცალიერეს თვით უწყებებიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დასტოვეს ფანქრები და კალმებიც კი. ამასთან ერთად თეული ჩვენი ქვეყანა ავი ბალახივით მთლად მოდებული იყო ძველი წესწყობილების ნატამალით. სამკვიდროდ ჩვენ გვერგო: გადაუწყვეტელი საადგილმამულო საკითხი, გადაუჭრელი მუშათა საკითხი; სოციალურ დაზღვევას შენშევიკები ანხორციელებდენ 1912 წლის კანონით, რომელიც მიღებული იყო ივნისის 3-ს კანონის სახელმწიფო სათათბიროს მიერ, სადაც უმრავლესობას მემარჯვენე პარტიები წარმოადგენდნენ (ოქტიაბრისტები); გადაუწყვეტელი საკითხი სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობისა; გადაუწყვეტელი, პირიქით, საშინლად გამწვავებული, ეროვნული საკითხი. ყველა ეს საკითხი პოლიტიკურად ჩვენ უკვე გადავჭერით. საბოლოო ლიკვიდაცია მოვახდინეთ მემამულეთა მიწათმფლობელობის ნაშთებისა და მასთან ერთად თვით მემამულეებისაც. ჩვენ მთლიანად და სრულად განვახორციელეთ ჩვენი საბჭოთა კანონი მუშების სოციალური დაზღვევისა. ჩვენ საბოლოოდ გამოვაცალეთ ეკლესიას და სამღვდელოებას საფუძველი. და, ბოლოს, ჩვენ შევქმენით ჩვენი ქართული წითელი არმია. ჩვენ ამჟამად გვყავს საკმაოდ საგრძნობი ძალა, რათა შეურყეველი წესიერება არსებობდეს ჩვენს ქვეყანაში, და, თუ საჭირო იქნება, დავიცვათ ჩვენი საზღვრები წითელი არმიის რუსულ, სომხურ და თურქულ ნაწილებთან ერთად.

ახლა გადავშალოთ სურათი ჩვენი მიღწევებისა სახალხო მეურნეობის თვითეულ დარგში ამ ხუთ წლის მანძილზე. საქართველოში ქალაქის მოსახლეობა 26,54 პროცენტს უდრის. თითქმის არც ერთ სახელმწიფოში ამოდენა ქალაქის მოსახლეობა არ არის. საინდუსტრიო ქვეყნებში ქალაქის მოსახლეობა ძალიან დიდია, მაგრამ ჩვენისთანა ქვეყანაში, რომელიც სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, ქალაქის მოსახლეობა მაინც 26,54 პროცენტს უდრის, ხოლო სოფლის მოსახლეობა 73,46 პროც. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქალაქის მცხოვრებთა ერთი ნაწილი სოფლის მეურნეობას მისდევს, მაშინ 80 პროც. მაინც სოფლის მოსახლეობა გამოვა და 20 პროც. ქალაქისა.

ჩვენმა სოფელმა ამ ხუთი წლის განმავლობაში დიდი წარმატება გამოიჩინა ნათესის გაფართოების საქმეში. 1917 წ. საქართველოში პურეულით დათესილი იყო 489.000 დესეტინა; 1919 წ.—მენშევიკების დროს—522.000 დეს.; 1921 წ. (რევოლიუციონური მოქმედება სწორედ ხანა-თესვის პერიოდში იყო გაჩაღებული —თებერვალსა და მარტში) 479.000 დეს., ხოლო 1925 წელს 616.000 დეს. 1913 საქართველოში დათესილი იყო 710.000 დეს., ასე რომ, ჩვენ თითქმის გავუთანასწორდით ომამდე არსებულ დონეს.

ახლა მევენახეობის დარგი. მევენახეობა ამჟამად დიდ გაჭირვებას განიცდის. ვენახები დაასნეულა ფილოქსერამ. მათი სივრცე თანდათან კლებულობს. 62.000 დესეტინიდან, რაც 1896 და 1900 წლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ითვლებოდა, ვენახების სივრცე 30.000 დეს. ჩამოვიდა და თუ 1924 წლის მოსავალს შეეუდარებთ 1911-15 წლების მოსავალს, როდესაც 45.000 დეს. ითვლებოდა, დავინახავთ, რომ 1911-15 წლების მოსავალი 7.233.000 ვედროს უდრიდა, ხოლო 1924 წლის მოსავლი 5.484.000 ვედროსა უდრის. 1917 წ. ღვინის მოსავალი 4.735.000 ვედრო იყო. საშუალო მოსავალი 1911-15 წ.წ. 160 ვედროს უდრიდა დესეტინაზე, ხოლო 1924 წ. —170 ვედ. უდრის, ე. ი. 6,25 პროცენტით აღემატება ომამდე არსებულ რაოდენობას.

მევენახეობისა და მეღვინეობის წარმატებისა და ვენახების გამანადგურებელ ფილოქსერასთან ბრძოლის მიხნით—ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არსებული ამერიკული ვაზის სანერგეების სივრცის გადიდებისა და ახალი სანერგეების შექმნისათვის: სანერგეების საერთო სივრცე ომამდე 14 დეს. უდრიდა; 1923 წ. ეს სივრცე ერთი სამად გადიდებულია და 1924 წლის დამლევისათვის ჩვენ გვქონდა 76 დეს. სივრცის სახელმწიფო სანერგეები. არას ვამბობთ იმ სანერგეებზე, რომელთა ჩაყრაც განზრახულია, ვეხებით მხოლოდ უკვე არსებულ სანერგეებს.

სამრეწველო ხეხილის ბაღებს 1917 წ. ეჭირა 7.303 დეს., ხოლო 1924—წ. 8.556 დეს. აღმატება 17 პროც. უდრის. ეს არ უნდა გვაკვირვებდეს, რადგანაც ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის პროდუქციამ მოიპოვა საბჭოთა ბაზარი და, იმისდამიხედვით, თუ რამდენად წინ წავიწევთ ამ ბაზარზე, იმდენად ჩვენი პროდუქციაც იმატებს, ხოლო აქედან კი წარმოსდგება ძლიერი სტიმული ვენახეობისა, ხეხილის ბაღებისა და ყველა იმ დარგის გაფართოებისა, რაც ჩვენს სასოფლო მეურნეობას შეადგენს.

მეთამბაქოეობას შესამჩნევი ადგილი უჭირავს ჩვენს მეურნეობაში, განსაკუთრებით აფხაზეთში. თამბაქოს პლანტაციების სივრცე 1.000 დესეტინიდან, რაც მენშევიკების დროს იყო, 1924 წ. 4.353 დესეტინამდეა გადიდებული. მოსავალი 50,000 ფუთიდან 350,000 ფუთამდეა გადიდებული 1924 წ., ხოლო 1925 წ. მოსავალი (ჯერ გამორკვეული არ არის) 550.000 ფუთამდე მიაღწევს.

მებამბეობას ოდესღაც ჰქონდა ფუძე ახლანდელი საქართველოს ზოგიერთს ადგილას. 1917 წ. ბამბის პლანტაციებს ეჭირა 1.200 დეს. და მოსავალი 15.800 ფუთს უდრიდა. 1924 წ. ჩვენ გვაქვს 4.500 დეს. ნათესი და 50.000 ფუთი მოსავალი. 1925 წელს ბამბის ნათესი 5.871 დეს. უდრის და თითქმის 1915 წლის სივრცეს გაუთანასწორდა (5.900 დეს.) საქართველოს მებამბეობის ორგანიზაციები შედიან ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის შედგენილობაში და აწარმოებენ საბამბო ოპერაციებს, ავანსებს აძლევენ გლეხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს მათ გასცეს 704.000 მან. ავანსი. ამასთან ერთად წელსვე ჩვენ მოვაწყეთ სამი ახალი ბამბის საწმენდი ქარხანა: ორი—აღმოსავლეთ საქართველოში, ერთი—დასავლეთ საქართველოში.

მეაბრეშუმეობას საქართველოში დიდი ადგილი უჭირავს. დასავლეთ საქართველოს გლეხის ფულადი ბიუჯეტის მიხედვით ამ სასოფლო მეურნეობის დარგმა დიდი ცვლილებანი განიცადა. სარეკორდო წელიწადად საქართველოში ითვლება 1914 წელიწადი, ომის წინ, როდესაც ჭია გამოყვანილ იქნა 105.000 კოლოფი თესლისა და მიღებულ იქნა 128.000 ფუთი პარკი.

1914 წლიდან წარმოება დაბლა ეცემა. 1917 წ. იძლევა 37.000 კოლოფ თესლს და 42.000 ფუთ პარკს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წელიწადი—1918 წელი—იძლევა 32.000 კოლოფ თესლს და 40.000 ფუთ პარკს. 1920 წ.—45.000 კოლოფს და 50.000 ფუთ პარკს. აღმატება მცირეა.

1921 წ.—54.000 კოლოფი თესლია და 85.000 ფუთი პარკი; 1922 წ.—64.000 კოლ. და 100.000 ფუთი პარკი; 1924 წ.—104.000 კოლ. და 139.000 ფ. პარკი.

როგორც ვხედავთ, 1924 წ. მოსავალი ერთი-სამად აღემატება 1920 წლის მოსავალს. ამ ჟამად მოეწყო მეაბრეშუმეთა სპეციალური შენაერთი, რომელიც აწარმოებს ყველა ოპერაციას და მოახდენს მშრალი პარკის რეალიზაციას შინა და საგარეო ბაზარზე.

შემდეგი დარგი ჩვენი სასოფლო მეურნეობისა არის ჩაი. ჩვენ ყველანი ჩინურ ჩაისა ვსვამთ; ყოველ შემთხვევაში, ამ ჩაის ეტიკეტები ჩინურია. და უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ხელთაა ყველა ნიშნები და საბუთები, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩაის კულტურა დიდის მასშტაბით უნდა განვითარდეს. ჩვენი სტატისტიკოსებისა და აგრონომების გამოანგარიშებით, ჩვენ გვაქვს 120.000 დესეტინა მიწა, ჩაის კულტურის განვითარებისათვის გამოსადეგი, ხოლო სხვა დანარჩენ სასოფლო მეურნეობის კულტურისათვის გამოუსადეგარი.

ამ ჟამად ჩვენ მოვკიდეთ ხელი ამ 120.000 დესეტინა მიწის სათანადოდ გამოყენების საკითხს და ეს მიწა შემუშავებული იქნება იმ ხნის განმავლობაში, რაც შესაძლებელია ჩვენს ხელთ ქონებული სახსარით. ამ მიზნით ჩვენ ვაწყობთ საქართველოს „ჩაის“ საზოგადოებას, რომელშიაც შედიან: მიწათმოქმედების კომისარიატები: საქართველოსი, აჭარისტანისა და რუსეთის **სფსრ**-სა, სასოფლო-სამეურნეო ბანკი, ცენტროკავშირი, ჩაის სამმართველო,—ერთის სიტყვით, ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია, როგორც ჩაის კულტურის აღორძინებით, ისე ჩაის ვაჭრობით.

ამ სამრეწველო დარგის პერსპექტივები მეტის-მეტად ფართოა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მთელი ჩვენი კავშირის მოთხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილების უდიდესი ნაწილი შეგვიძლიან დავაკმაყოფილოთ იმ ჩაით, რასაც 120.000 დესეტინის სივრცეზე მოვიყვანთ.

1914 წ. იმ სახალხო მამულებში, სადაც ჩაის პლანტაციებია, მოიკრიფა 265.550 გირვანქა ჩაი. შემდეგ ჩაის მოსავალი თანდათან დაბლა ეცემა 1920 წლამდე. 1920 წ. მოიკრიფა 202.066 გირვ. ჩაი; 1921 წ.—155.000 გირ., 1922 წ.—215.000 გირ., 1923 წ.—310.000 გირვ., 1924 წ.—376.000 გირ. საბჭოთა პერიოდის 4 წლის განმავლობაში—1921—1925 წ.წ.—(1925 წ. ცნობები ჯერ არა გვაქვს) ჩაის პროდუქცია შეადგენდა 1.056.000 გირ., ხოლო მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ომამდე იყო—1900—1914 წ. წ.—ჩაქვის მამულების ჩაის პროდუქცია უდრის 1.968.000 გირვან., ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოთხის წლის პერიოდის პროდუქცია უდრის ომამდე (15 წლის განმავლობაში) მიღებული პროდუქციის მთელი რაოდენობის 53,6 პროცენტს. ამასთანავე, საბჭოთა პერიოდის პროდუქცია ერთი-ორად აღემატება მენშევიკების პერიოდის პროდუქციას (511.755 გირვ.).

ჩვენ არ შეეჩერდებით იმ სააგრონომიო დახმარებებ ლონისძიებებზე, რასაც ჩვენი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ჰხმარობს. შეეხებით მხოლოდ საჯუმლო ციფრებს ჩვენი მეურნეობის თვითეულ ცალკე დარგში.

მესაქონლეობის საქმე, სხვა დარგებთან შედარებით, საკმარისად ჩამოიქვეითებს. ეს იმიტომ, რომ ომის დროს დიდძალი წვრილფეხა საქონელი (ცხვარი) დაგვიზარალდა და, ამასთანავე, დიდძალი საძოვრები დავკარგეთ.

ყველამ იცის, რომ საქართველოს ზოგიერთი ნაწილი გვალვიანია და ფიცხი ნიადაგიანი, ხოლო ზოგიერთი ნაწილი—ჭაობიანი. სამელიორაციო მუშაობას ჩვენი ქვეყნის სასოფლო მეურნეობისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ჩვენ ვაწარმოებთ ორმხრივ მუშაობას—ფიცხი ადგილების მოსარწყავად და ჭაობიან ადგილების დასაშრობათ. ზეეთ უკვე იყო აღნიშნული საგანგებო ბიუჯეტის ცნობები და, სხვათა შორის, ის, რა გვეძლევა წელს სამელიორაციო სამუშაოსათვის. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთის წლის განმავლობაში ჩვენ დიდი საქმე გავაკეთეთ. გაყვანილია ექვსი სარწყავი არხი, რომლის საერთო სიგრძე 114 ვერსს უდრის და რომელიც 43.500 დეს. რწყავს. ამ ჟამად ითხრება 4 არხი 98 ვერსი საერთო სიგრძისა და 26.400 დეს. სარწყავი სივრცისა.

ამას გარდა, დაწყებულია მუშაობა ფოთის ჭაობების დასაშრობად 130.000 დეს. სივრცეზე და ყარაიას სარწყავი სისტემის შესაკეთებლად. აგრეთვე დაწყებულია მუშაობა ალაზნის ხეობისა (50.000 დეს.) და ელდარის ველის სარწყავი სისტემისათვის. სწარმოებს მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი რიგი გამოკვლევა სხვა სარწყავი სისტემებისათვის, სხვათა შორის, სამგორის ველისა—42.000 დეს. სივრცეზე.

მელიორაციას საქართველოში აქვს მნიშვნელობა არა მარტო იმ გლეხთა სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად, რომელთაც უკვე მიწა აქვთ და ამუშავებენ, არამედ იმისთვისაც, რომ შეიქმნას მიწის ახალი ფონდი უადგილმამულო და მცირე ადგილმამულიანი გლეხების დასასახლებლად.

ჩვენი ქვეყანა მეტისმეტად მჭიდროდაა დასახლებული. მიწა ცოტა გვაქვს, ინდუსტრია ხომ სრულიადაც არა. ძველმა წყობილებამ არავითარი სამკვიდრო არ დაგვიტოვა, და ჩვენს წინაშე თავსატეხი საკითხი სდგას, რა ვუყოთ ამ ზედმეტ მოსახლეობას. ჩვენა ვფიქრობთ, რომ, თუ მოვრწყეთ ყველა ფიცი ადგილები და დავაშრეთ ჭაობები,—შევძლებთ ამ მიწებზე მოვათავსოთ რამდენიმე ათი ათასი საგლეხო მეურნეობა. ხოლო ეს საქმე აუარებელ სახსარსა საჭიროებს, აგრეთვე, სხვადასხვა გარემოების გამო, დიდ დროს მოითხოვს, კერძოდ იმიტომ, რომ საკმაო სპეციალისტ-მელიორატორები არა გვყვანან. ყველა ამ მოსაზრების გამო ამ საკითხს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული.

ჩვენს მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს მიწათმოწყობის საქმეს. მართალია, ჩვენ მოვსპეთ მემამულეთა მიწათმფლობელობის ნაშთები, მოვახდინეთ ექსპროპრიაცია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მიწების გლეხების სასარგებლოდ დამტკიცება ვერ მოვახერხეთ. საერთოდ, ჩვენ ჯერ ვერ მოვახერხეთ დაგვემთავრებინა სოფლის-შინა-მიწათმოწყობისა და მაზრის-შინა-მიწათმოწყობის საქმე. ეს სამუშაო საჭიროებს დიდ დროსა და დიდ სახსარს. ჩვენა გვაქვს მიწათმოწყობის ხუთწლედი გეგმა. ჩვენ განზრახული გვაქვს ამ ხუთის წლის განმავლობაში მიწათმოწყობის განსახორციელებლად დავხარჯოთ 3.000.000 მანეთი. რასაკვირველია, ძნელი სათქმელია წინადვე, მოვახერხებთ თუ არა, მთლად ამ საქმის გაკეთებას, რადგანაც თუნდ ეს სახსარი თავის დროზე მთლიანად ჩვენ ხელთ იყოს, მაინც დაბრკოლება მოსალოდნელია, თუნდაც იმიტომ, რომ შეიძლება ამ საქმისათვის საჭირო საკმარისი რიცხვი სპეციალისტებისა ვერ ვპოოთ. აგრონომები არა გვყვავან. ქვემოდ იქნება ნათქვამი, რა კრიზისს განიცდის ამ მხრივ ჩვენი სასოფლო მეურნეობა.

მიწის რეფორმა, რაც მხოლოდ დამტკიცებას საჭიროებს, განხორციელებულია შემდეგნაირად: მეფის დროს ხაზინას ეკუთვნოდა მთლად მიწის სივრცის 57,8 პროც., ე. ი. 3.535.544 დეს., თავადაზნაურობას—31,3 პროც., ე. ი. 1.914.214 დეს. ამრიგად ხაზინას და თავად აზნაურობას ეკუთვნოდა 89,1 პროც. დანარჩენი მიწა შემდეგნაირად იყო განაწილებული: გლეხობას ეკუთვნოდა 6,2 პროც., სამ-

ლვდელოებას და ვაჭართა წოდებას—2,4 პროც. საუფლისწულო მიწები შეადგენდა 1,9 პროც., ეკლესიებსა და მონასტრებს ჰქონდათ 0,4 პროც. მთლად საქართველოში ითვლებოდა 6.120.000 დეს. აქედან ხაზინას და თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა 89,1 პროც. და საუფლისწულო უწყებას—1,9 პროც. დანარჩენი განაწილდებოდა მოვაჭრეთა, სამლვდელოებათა და გლეხთა შორის. მიწის კონფისკაცია მენშევიკების დროს შეეხო 3.412 თავად-აზნაურთა და 411 გლეხთა კომლს. საბოლოო ანგარიშით—27.971 თავად-აზნაურთა, სამლვდელოთა და მოვაჭრეთა კომლს შერჩა 204.785 დეს., ხოლო 274.721 გლეხთა კომლს—1.019.767 დეს. მაშასადამე, საშუალოდ, თავად-აზნაურთა კომლზე მოდიოდა 7,8 დეს., ხოლო გლეხთა კომლზე—3,7 დეს. მენშევიკების რეფორმით თავად-აზნაურობისათვის ჩამორთმეული მიწებიდან 86.419 დეს. მიეყიდა გლეხებს ფულად. ეს იყო საგვემო მიწის რეფორმა, რომელსაც მენშევიკები ანხორციელებდნენ საფრანგეთის დიდი (ბურჟუაზიული) რევოლიუციისადგვარად—თავად-აზნაურობას ჩამოერთვას, რომ გლეხობას მიეყიდოს. ჩვენ ეს რეფორმა ბოლომდე განვახორციელეთ და ყველა მიწის ნაშთი, რაც არა-მშრომელ ელემენტების ხელში იყო, ჩამოვართვით და გლეხებს გადავეცით. ახლა ეს გადაცემა დამკვიდრებულ უნდა იქნეს. ამისათვის საჭიროა აგრონომთა სათანადო კადრის მომზადება და საჭირო თანხის გადადება. ყველა ეს გათვალისწინებულია საპერსპექტივო გეგმაში.

საქართველოში ტყეებს დიდი სიერცე უჭირავს. მთლად ამირკავკასიაში საქართველოს ტყეები შეადგენს 64 პროცენტს ტყეების საერთო სივრცისს. ხოლო საქართველოს ტერიტორიის 30 პროცენტი ტყიანია. ამ ჟამად მიწათმოწყობასთან ერთად ჩვენ ვაწარმოებთ ტყის მოწყობის საქმეს. თავის დროზე ჩვენ ტყეები სახელმწიფო საკუთრებად გამოვაცხადეთ, მაგრამ პრაქტიკულ განხორციელებაზე რომ მიდგა საქმე, ისეთ ვითარებას წავაწყდით, რომ ჩვენი გადაწყვეტილება რამდენადმე გლეხთა ინტერესების წინააღმდეგი გამოდგა. მართალია, ჩვენ მივეცით გლეხებს ტყეები, ნება დავრთეთ ხე-ტყე მოეჭრათ, მაგრამ სარგებლობისათვის სათანადო ტყის ნაკვეთები ვერ მივუჩინეთ. ამ ჟამად ეს მუშაობა უკვე დაწყებულია და ჯერ-ჯერობით, 1926 წლის იანვრისათვის, გლეხობას გადაეცა 127.700 დეს. ეს ტყეები ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებია. მენშევიკების დროს ტყეები ნაციონალიზაცია ქნნილი იყო და ტყის ფონდში მოქცეული; ამ ტყეების მომეტებული ნაწილი კერძო მესაკუთრეებს ჩამოერთვა. ტყეებში შეიძლებოდა სხვა-და-სხვა მუშაობის წარმოება და მუშაობა გადაცემული ჰქონდათ თვით ყოფილ მესაკუთრეთ. ჩვენ ამ ყოფილ მესაკუთრეებს არ ვცნობილობთ და არავითარ მუშაობას მათ არ ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლევთ. ამ ტყეებიდან გამოიყოფა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდი გლეხთა სარგებლობად.

სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კრედიტს. და ჩვენი ძირითადი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო სფეროში მიმდინარეობს ამ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით.

საბიუჯეტო ასსიგნევებს შეუძლიან გააუმჯობესოს მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციების, მაგალითად, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ღონისძიებანი როგორიც არის აგრო-კულტურული დახმარება, საჩვენებელი მინდვრებისა და სადგურების მოწყობა და სხვ. მაგრამ სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გადიდების გეგმის განხორციელება, უეჭველია, წარმართული იქნება კრედიტის ხაზით. ამ მიზნით შექმნილია სასოფლო-სამეურნეო ბანკი სამის განყოფილებით: ქუთაისში, ბათუმში და სიღნაღში.

ამას გარდა, არსებობს 122 საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობა, რომლებშიაც 39.085 წევრი ითვლება. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითად კაპიტალს შეადგენს 1.500.000 მან. ამ ბანკის ჯუმლობრივი ბალანსი 1925 წ. აგვისტოს 1-თვის უდრიდა 6.708.000 მან. ბანკის განყოფილებათა ბალანსი გამოიხატა: ქუთაისის განყ.—405.000 მან., ბათუმის განყ.—374.000 მან. და სიღნაღის განყ.—693.000 მან. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ჯუმლობრივი ბალანსი უდრის 10.000.000 მან., ხოლო ძირითადი კაპიტალი 2.000.000 მან.

თითქოს ამ მხრით მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ეს ასეც არის, მაგრამ მეორეს მხრით სასოფლო მეურნეობის სფეროში ზოგიერთი საქმე მოიქვეითებს: ჩვენს სასოფლო მეურნეობას არა ჰყავს მუშაობისათვის საჭირო ტეხნიკოსები. ქართველი ხალხი თითქოს გაურბის ტეხნიკურ განათლებას და მიელტვის ზოგად, ჰუმანიტარულ ცოდნას, ფილოსოფიური და პოლიტიკური საგნებისაკენ გადახრით. დიაღ, ასეთი გადახრა უეჭველია, ხოლო პრაქტიკული და ტეხნიკური მუშაობა იშვიათად ვისმე აინტერესებს.

სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე ფიქრიც არ შეიძლება, თუ სათანადო ტეხნიკა არა გაქვს. ლექსს რამდენიც გინდა, იმდენს დასწერ, პლატონსა და არისტოტელზე კამათით ქვეყანას გააბრუებ, კოსმიურ საკითხებისათვის ენა არავის მოუცვდება, მაგრამ საგლეხო მეურნეობის საკითხები: მეთამბაქოება, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა და სხვ.—საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. ამიტომ აუცილებელია, პირველ ხანში მაინც, გზა აეუქციოთ ზოგად—ჰუმანიტარულ საგნებისაკენ გადახრას. საჭიროა ხელი მოვკიდოთ პრაქტიკულ საქმეს. საჭიროა ვიყოლიოთ საშუალო საკომანდო პირთა შედგენილობა, რაც ჩვენ არა გვყავს. ჩვენი ეკონომიკა სრულიადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოითხოვს იმოდენა განათლებულ პირთ, რაც ჩვენა გვყანან. ყოველი ღონისძიება მიწათმოწყობისა, ტყისმოწყობისა და სასოფლო მეურნეობის წარმოების კულტურის გაუმჯობესებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საკმარისი ტეხნიკური კადრით. უამისოდ ჩვენს სასოფლო-მეურნეობას ვერ ვიხსნით. და რადგანაც ჩვენში მოსახლეობა მეტისმეტად მატულობს, ხოლო მიწა-კი ცოტა გვაქვს, ჩვენს წინაშე სდგება საკითხი ჩვენი ქვეყნის ნაყოფიერების გაძლიერებისა, სასოფლო მეურნეობის ინტესიფიკაციისა და სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის დანერგვისა სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გადასამუშავებლად. ყველა ამ მუშაობისათვის დაგვჭირდება დიდი რიცხვი საშუალო ხარისხის სპეციალისტებისა. ამის გამო ჩვენი უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს აგრონომებისა, მეტყეებისა, ტაქსატორებისა, მელვინეებისა და სხვ. მომზადების საქმეს.

ახლა გადავიდეთ სახელმწიფო მრეწველობაზე. სახელმწიფო მრეწველობა ჩვენს პირობებში მეტის-მეტად რთული საქმეა. როგორც ვიცით, პარტიულ ყრილობაზე აღიძრა კამათი—რა არის სახელმწიფო მრეწველობა? არის იგი სახელმწიფო კაპიტალიზმი, თუ სოციალისტური მრეწველობა? მივდივართ კერძო კაპიტალიზმისაკენ, კერძო სამეურნეო თაოსნობისაკენ, თუ მივდივართ სოციალიზმისაკენ? აი, ეს კამათი იყო პარტიულ ყრილობაზე. ესეც საკითხი. საკამათოდ გახდა მთლად ჩვენი ემიგრაციისა და დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ელემენტებისათვის. მათ ასწონ-დასწონეს ეს საკითხი და სთქვეს, რომ საბჭოთა კავშირი აუცილებლად კაპიტალიზმის განვითარების ხაზით უნდა წავიდესო.

ჟორდანია სწორედ ამაზე ამყარებს თავის იმედებს. იგი ამბობს, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ დაღუპამდე უნდა მიიყვანოს ის პოლიტიკური ზედნაშენი, რომელიც კაპიტალიზმს ებრძვისო. შეუძლებელიაო, ამბობს ჟორდანია, მეურნეობის კაპიტალისტური ფორმებისა და პროლეტარიატის დიქტატურის ერთად შეთავსებაო. ჩვენს საბჭოთა მრეწველობას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და, მაშასადამე, უაღრესივე მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის განსაზღვრას, თუ საითკენ მიისწრაფის იგი და რა ხასიათისაა. ჩვენს პარტიას მიჩნია, რომ ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობა, ის მრეწველობა, რომელსაც ჩვენ საკომანდო მწვერვალს ვუწოდებთ, აი, ეს მრეწველობა თანამიმდევრობით სოციალისტური ტიპის მრეწველობაა. იგი უნდა უწევდეს ხელმძღვანელობას ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ყველა დარგს და, კერძოდ, სოფლის მეურნეობასაც. სწორედ ამ მრეწველობის, მსხვილი ინდუსტრიის, განვითარების ნიადაგზე შესაძლებელია მუშათა და გლეხთა საქმიანი და მტკიცე კავშირი და სასოფლო მეურნეობის გაძლიერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის ისეთი ფუძენი, რომელთაც შეეძლოთ თან გაიყოლიონ გლეხობა, საქართველოში ჯერ-ჯერობით არ მოიპოვებიან. სწორედ ამით განვსხვავდებით ჩვენ რუსეთისა და უკრაინისაგან. ხოლო, ჩვენ რომ დიდი მოთხოვნილება გვაქვს ამგვარი მრეწველობის მოწყობისა, ეს უეჭველია და უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ უამისოდ ჩვენ ვერ მოვსპობთ უმუშევრობას, რაც მოსახლეობის ზედმეტი ზრდის შედეგია. მეორეც იმიტომ, რომ მხოლოდ ინდუსტრიის განვითარებას შეუძლიან მოამზადოს გლეხობის ფართო მასსების შეგნება იმისათვის, რომ სოციალიზმის დანერგვა და განმტკიცება აუცილებელია. აი, ამიტომაც მრეწველობის აღორძინებას ჩვენთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ქვეყანა გლეხური ქვეყანაა, მუშური ფენი მასში მეტისმეტად თხელი და საჭიროა მისი გამკვრივება, შედეგება; მუშათა კლასის ხვედრითი წონა უნდა გადიდდეს, მაშინ გლეხი მუშას არ ჩამოშორდება.

და აი, ჩვენც ამ ჟამად ვცდილობთ ჩვენი პროგრამა ისე განვავითაროთ, დავნერგოთ ის მრეწველობა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის პირობები ხელს შეუწყობს, სახელდობრ: ნედლეულობა, სათანადო სა თბობი მასალა და შესაფერი ბაზარი.

ამ მხრივ კავშირი ჩვენ გვეხმარება. კავშირსა და ჩვენს პარტიას საჭიროდ მიაჩნია აღორძინდეს მრეწველობა იქ, სადაც წინად იგი არა ყოფილა. და აი, ამას ჩვენ უკვე შევუდექით.

ხოლო იმ მცირე მრეწველობის სფეროში, რაც ჩვენ გვაქვს, მიღწევები თვალსაჩინოა. ჩვენ ამას იმიტომ ვამბობთ, რომ დავამტკიცოთ — მართალნი არ არიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უნდა დაემხოს, რადგანაც მას უნარი არ მოსდგამს მოაწყოს სახალხო მეურნეობა, განავითაროს ქვეყნის საწარმოო ძალები და დააკმაყოფილოს გლეხობის მოთხოვნილება მრეწველობის ნაწარმოებით. ამ მაგალითს, საქართველოს მრეწველობიდან ამოღებულს, რომელსაც, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენი მეურნეობისათვის იმიტომ აღვნიშნავთ, რათა თვალნათლივ ვყოთ, რომ თვით ცუდ პირობებშიც-კი ჩვენ შეგვიძლიან მივაღწიოთ დიდ შედეგს.

ამ საკითხზე მრავალჯერ ყოფილა ლაპარაკი. თვით ამ სტრიქონების დამწერს შემთხვევა ჰქონდა წარსული წლის პარტიულ ყრილობისათვის წარედგინა მოხსენება ჩვენი მრეწველობის შესახებ. იმ მოხსენებაში ვრცლად იყო აღნიშნული ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა, გადაშლილი იყო სურათი ტეხნიკური გაწყობილობისა და განსაზღვრული იყო ამ მრეწველობის ნაყოფიერების ხვედრითი წონა. აგრეთვე განვმარტეთ გეგმა ჩვენი სამრეწველო აღმშენებლობისა.

ამის გამო აქ ვიწროდ შემოვფარგლავთ საგანს და აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რას მივაღწიეთ ჩვენ ხუთის წლის განმავლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში იმ სამრეწველო საწარმოთა გამოყენებით, რაც მოწყობილი იყო ცალკე მეწარმეთაგან მარტოოდენ იმ მიზნით, რომ მოგება მიეღოთ და არაერთარ ანგარიშს არ უწევდნენ ქვეყნის ნამდვილ სამეურნეო მოთხოვნილებათ. ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რაც ამ საწარმოთ ხელსაწყო და გაწყობილობა გააჩნდათ, ჯერ ერთი—მთლად მოძველებული იყო თავისი კონსტრუქციით, თუ ჩვენს დროს შევადარებთ, და მეორეც—75 პროცენტამდე მოცვეთილი. უპირველეს ყოვლისა ჩვენ შევინარჩუნეთ ის მცირე კადრი კვალიფიციური მუშებისა, რომელნიც ჩვენ გვეანდნენ.

ამ წლების განმავლობაში ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქცია შემდეგია: 1922—23 წელში ომამდე არსებული ფასებით იგი შეადგენდა 4.498.000 მან.; 1923—24 წ.—4.823.000 მან.; 1924—25 წ.—8.980.000 მან.

ჩვენს საწარმოებში მომეცადინე მუშების რიცხვი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა. საქართველოში, საერთოდ, მუშა 100.000-დეა, თუ რკინის გზის მუშებსა და ყოველგვარი სახის მუშებს,—პროფესიონალურ კავშირის წევრო,—ვიანგარიშებთ. ხოლო ნაციონალიზაციაქმნილი სახელმწიფო მრეწველობის საწარმოებში 1923 წ. იყო 3.457 მუშა; 1924 წ.—4.398; გადიდება 27 პროც. უდრის; 1925 წ.—5.263; გადიდება თანდათანი ზრდა ემჩნეოდა. ხოლო ამ ჟამად შავიქვა ჩვენ გადავეცით საკონციესიოდ ამერიკელ კაპიტალისტების ჯგუფს ჰარიმანის მეთაურობით, რომელმაც მოაწყო სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი". ამის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური ასტეხა თეორმა პრესამ. ჟურნალ „ბრძოლა"-ში ამაზე სწერენ ყველანი: პოლიტიკოსებიც, ეკონომისტებიც და ყოფილი მინისტრებიც. ყოფილ მინისტრს, როგორც შორს მყოფ ადამიანს შეჰშვენის, თავის ანგარიშში ციფრები არევ-დარევით მოჰყავს და ბრალსა გვდებს, რომ ჩვენ შავიქვა, ე. ი. ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე მეტად შემოსავლიანი საგანი, უცხოელებს გადავეცით. ამ საკითხის შესახებ არა-ერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული განმარტება. ამრიგობაზე მხოლოდ ერთ რამეს აღვნიშნავთ: ყოველ შემთხვევაში, მენშევიკებს, და კერძოდ იმ წერილის ავტორს კანდელაკს, ძალიან ცოტა რამ ეთქმით იმის შესახებ, ვითომც ჩვენ უცხოელებისათვის გადაგვეცეს რამ. იყო დრო, როდესაც მათ სურდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელებისათვის დაეგირავებინათ მთელი საქართველო ხუთ მილიონ გირვანქა სტერლინგად; იყო დრო, როდესაც ისინი მზად იყვნენ, ბრესტის ზავის შემდეგ, 1918 წელს გერმანიის კაპიტალისათვის, რომელიც ჯერ კიდევ დამარცხებული არ იყო, გადაეცათ მთლად საქართველოს სიმდიდრენი. ჩვენს კონცესიას ის აზრი აქვს, რომ ოცის წლის განმავლობაში ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ განსაზღვრული თანხის შემოსავლით. ჩვენ ვიცით, რომ ოცის წლის განმავლობაში, რაც უნდა გაყინული იყოს შავიქვის მრეწველობა, ჩვენ მაინც მივიღებთ განსაზღვრული რაოდენობის ფულს. და, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ამჟამად მარგანეცის მოთხოვნა იზრდება და განსაკუთრებით-კი ამერიკის მომართულებით, რადგანაც ამერიკა გაფთრებით ანვითარებს სამეტალურგიო მრეწველობას (ამერიკა ამზადებს ფოლადის მსოფლიო წარმოების 60 პროც.), შავიქვის შემოსავალი თვალსაჩინოდ გაიზრდება.

რასაკვირველია, შავიქვის მოთხოვნა იმატებს, როგორც ქიმიურ მრეწველობაში, ისე მეტალურგიულში. ამ მრეწველობის ზრდის მიხედვით გაიზრდება აგრეთვე შავიქვის ამოღება და გატანა. რაღა თქმა უნდა, ჩვენ ამ საქმეზე ზოგ-რამეს ეკარგავთ, რადგანაც კონცესიონერს დახარჯული კაპიტალზე სარგებელს ვაძლევთ და იმ მოგებას, რასაც იგი უნდა გამორჩეს. ხოლო ჩვენ მივიღებთ ჩვენ წილ შემოსავალს ისე, რომ არაფითარ ხარჯს არ გაგწევთ.

ჩვენს ქვანახშირის მრეწველობას, როგორც ვიცით, დიდი ბაზარი არა აქვს. ეს ჩვენი წარმოება მცირეა. 1913 წ. ამოღებული ქვანახშირი 350,000 ფუთს უდრიდა; 1923 წ. ეს რაოდენობა 153.000 ფუთამდე დაეცა; 1924 წ., იყო 319.000 ფუთი; 1925 წ. 381.000 ფუთი. ეს არის ტყიბულის ქვანახშირი. ჩვენ გვაქვს აფხაზეთში ტყვარჩელის ქვანახშირი აუარებელი რაოდენობისა, მაგრამ მისი დამუშავება ჯერ კიდევ არ სწარმოებს. გამოკვლევისათვის გადადებულია განსაზღვრული თანხა. ქვანახშირის ამოღება, საერთოდ, მატულობს. ამ ქვანახშირის ზოგი რამ ნაწილი უცხოეთის გემებს მიაქვთ, დანარჩენი—დასავლეთი ნაწილის რკინის გზას ხმარდება.. შემდეგში ერთი ნაწილი დასჭირდება ნავთის მილის ქარხნებს ბათუმში, რასაც აზერბაიჯანის ნავთის ტრესტი მოაწყობს.

როგორც ვხედავთ, ზოგ-რამ პროდუქციას ეს მრეწველობაც იძლევა. არარაობისაგან რაღაც-რამ შეექმენით.

ნედლი თამბაქოს წარმოებასთან ერთად იზრდება აგრეთვე ამ ნედლეულობის საწევ თამბაქოდ და პაპიროსად გადამუშავებაც. თამბაქოს წარმოების თვიური პროდუქცია უდრიდა 1924 წ. ოქტომბერში 72.000 სამრეწველო საშრომო ერთეულს, ხოლო 1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისში—102.000 სამრ. საშრ. ერთეულს. გადიდება 41,67 პროცენტია.

თვალსაჩინო ზრდა ეტყობა ტყავეულობის წარმოებას. 1922—23 წ. ტყავეულობის წარმოებაში დამუშავებული იყო დიდი ზომის ტყავი: 17.233 ცალი; 1923—24 წ.—23.706 ცალი; 1924—25 წ.—35.253 ცალი. წვრილ-წვრილი ტყავი: 1922—23 წ.—16.511 ცალი; 1923—24 წ.—6.679 ცალი; 1924—25 წ.—30.586 ცალი. დამზადებულ იქნა ფეხსაცმელი—ევროპიული: 1922—23 წ. 4.220 წყვილი; 1923—24 წ.—6.280 წყვ.; 1924—25 წ,—13.650 წყვ. აზიური: 1922—23 წ.—31.281 წყვ.; 1923—24 წ.—47.335 წყვ.; 1924—25 წ.—88.975 წყვ. ტყავეულობის მრეწველობა, უეჭველია, იზრდება და ეს ხდება იმ პირობებში, რომ ეს მრეწველობა ჩვენამდე მთლად განადგურებული იყო.

ახლა შევეხოთ ჩვენი მრეწველობის სხვა დარგებს. ამ ჟამად ჩვენ ვაწყობთ ტყის მრეწველობას. ტყე ჩვენ ბევრი გვაქვს. ჩვენი ტყეები იმდენად ხნოვანია, რომ ერთის მხრით მოგების მიზნით და მეორეს მხრით—სახელმწიფო ზარალის თავიდან ასაცდენად, საჭიროა ამ ტყეების დამუშავება აჩქარებულის ტემპით. ეს დამუშავება ისე უნდა სწარმოებდეს, რომ ტყე გამოყენებულ იქნეს საშინაო საჭიროებისათვის და აგრეთვე გაიცეს საკონცესიოდ და უცხოეთში გასატანად.

ამისდა, მიხედვით ჩვენ ვაპირებთ ქაღალდის ფაბრიკის აგებას; ვაწყობთ ნაგრეხი მებილის ფაბრიკას, სამოჭკე ფიცრების ქარხანას, სახერხ ქარხნებს და სხვ. ტყის მრეწველობაში ჩვენ უკვე მოვათავსეთ 2.000.000 მანეთამდე. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დღევანდლამდე ჩვენ ტყის მრეწველობა სრულიად არა გვქონია. ამ საქმეს ახლა შეუდექით და, იმედია, კარგს ნაყოფს მოგვცემს.

შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სამთო-ქიმიურ საქმეს. აგრეთვე ჩვენ გვაქვს მთელი რიგი წიაღის ამონათხარი, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს მეურნეობას. სამთო-სამრეწველო საქმეს ჩვენში დიდი მომავალი აქვს, განსაკუთრებით იაფ-ფასიანი ელექტრონის ენერგიის წყალობით.

ელექტრონის ენერგია და წიაღის ამონათხარი ხელს შეუწყობს ჩვენი ქიმიური მრეწველობის განვითარებას, რომელსაც ამ ჟამად ჩანასახის ხასიათი აქვს.

ამას გარდა, ქუთაისში ჩვენ მოვაწყეთ მაუდის ფაბრიკა, რომელიც თვეში 3.000 მეტრ მაუდს ამზადებს. მიღებულია უკვე ღონისძიება ამ ფაბრიკის ხელახალ მოწყობისათვის, რათა წლიურმა პროდუქციამ 530.000 მეტრამდე მიაღწიოს. ოზურგეთში შენდება აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა. ამ ფაბრიკის გაწყობილობა საზღვარგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ არის შეკვეთილი. მალე მივიღებთ. იმედია, მომავალი წლის ცხ-ზაფხულო სეზონისათვის ეს ფაბრიკა მთლად გამართული გვექნება.

სამრეწველო საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის ჩვენი ბორჯომის კომბინატიც, სადაც გვაქვს შუშის ქარხანა ბოთლების დასამზადებლად, ნახშირმჟავის ქარხანა და მინერალური წყლების ქარხანა.

ნახშირმჟავის ქარხანა საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში იძლეოდა 9.260 კილოს; უკანასკნელ წელს მისმა პროდუქციამ მიაღწია 53.520 კილომდე, ასე რომ ერთი-ექვსად იმატა.

მინერალური წყლების ქარხანამ 1920 წელს, მენშევიკების დროს, გაანაღდა 383.000 ბოთლი ბორჯომის წყალი. 1924 წ. ჩამოისხა 2.200.000 ბოთლი და განაღდებულ იქნა 1.850.000 ბოთლი. 1925 წ. განაღდებულია 3.200.000 ბოთლი, ე. ი. გადიდება 45, 45 პროცენტს უდრის.

შუშის ქარხანა იძლევა ყოველდღე 12.000-დან 14.000 ბოთლამდე.

რამდენიმე სიტყვა ჩათახის ქარხანაზე. იგი მოქმედობს, მაგრამ პრიმიტიულად არის მოწყობილი. ამას გარდა, იგი ძალიან დაშორებულია და უხეირო სატრანსპორტო პირობებშია. ქარხანა ხის ნახშირს ხმარობს, რაც სხვაგან მიღებული არ არის. მაინც ქარანას ზოგი-რამ შენაკვეთი აქვს. აქამდე ქარხანა ზარალს იძლეოდა და დოტაციას იღებდა. ხოლო, რაკი თუჯის მოთხოვნა გადიდდა, იქნებ ქარხანა ისეთ პირობებში ჩადგეს, რომ მოგებას იძლეოდეს. ჯერ-ჯერობით-კი ეს ქარხანა ჩვენს სამრეწველო ბალანსზე ხარჯის მუხლად არის მოქცეული.

მთლად ეს ჩვენი მრეწველობა სულდგმულობს არა საბიუჯეტო ასიგნევებით, არა იმ კაპიტალის ანგარიშით, რაც სამკვიდროდ მიგვიღია, არამედ საკრედიტო ოპერაციებით. ბევრი იმ აზრისა იყო, როცა ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას ვამყარებდით, რომ საქართველოს ბანკები არ უნდა ჰქონდესო. მათ ეგონათ, რომ საბანკო სისტემის შემოღება—კაპიტალიზმის აღდგენაა.

ახლა-კი აშკარაა, რომ ჩვენი მრეწველობა დამოკიდებულია საბანკო სისტემაზე. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ჩვენ 1921 წელს შემოვიღეთ, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უნდა ეყრდნობოდე ნაციონალიზაციქმნილ საკომანდო მწვერვალებს, პროლეტარიატის ხელში უნდა იქონიო ტრანსპორტი, სამთო-საქარხნო საქმე, ქარხნები და ფაბრიკები, მიწა და ტყე, ფულის სისტემა და ბანკები,—ამავე დროს მეურნეობაში ქვეყნის სიმდიდრეთა გასაძლიერებლად, უნდა გამოიყენო საბაზრო ურთიერთობანი.

ამ სისტემაში ბანკებს შესამჩნევი ადგილი უჭირავთ, ხოლო ამჟამად—უპირველესი ადგილი, რადგანაც სახელმწიფო ბიუჯეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასსიგნებებით მრეწველობას სუბსიდია არ ეძლევა და მრეწველობა აშენებულია შინაგანი კრედიტის გაცემის პრინციპზე. ჩვენ გამოუშვებთ ხოლმე მეურნეობის აღსადგენ სესხს და ყოველგვარ სხვა სესხს: საგლეხო, ოქროსი და სხვ. ყველაფერი ეს საკრედიტო ოპერაციებია. რასაკვირველია, დედამიწის ზურგზე არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს საბიუჯეტო სახსარით. აი, ამერიკა სწორედ იმით არის ძლიერი და ევროპასაც სწორედ იმით ყიდულობს, რომ აუარებელი საკრედიტო კაპიტალი აქვს თავის ქვეყანაში და უცხოეთშიაც გაიქვს. ამერიკამ დაიგროვა სამი მეოთხედი მთლად მსოფლიო ოქროს მარაგისა; იგი ხელს უმართავს საბანკო კრედიტს, სხვა ბანკებს კრედიტს აძლევს, იპყრობს მრეწველობას და სხვ.

საბჭოთა მეურნეობაშიაც საბანკო კრედიტის სისტემამ უნდა იქონიოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჯერ-ჯერობით საქართველოში არსებობს სახელმწიფო ბანკი —ქუთაისის, ბათუმის და სიღნაღის განყოფილებებით, კოოპერატიული ბანკი, საგარეო ვაჭრობის ბანკი, სამრეწველო ბანკი, კომუნალური ბანკი, სასოფლო სამეურნეო ბანკი, ელექტრო-ბანკი, ქალაქის ლომბარდი და სხვ. ეს სულ საკრედიტო დაწესებულებანია.

1925 წლის თებერვლის 1-ს ცნობებით, იმ ხნის განმავლობაში, რაც ეს ბანკები არსებობს, მათ საქართველოში მრეწველობისა და ვაჭროებისათვის კრედიტად გაუციათ 13.457.000 მან. ეს პატარა ფული როდია და არც საბიუჯეტო თანხებია.

ამ თანხიდან—13.457.000 მან.— სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთ კრედიტად მიუღიათ 4.659.000 მან., ხოლო კოოპერაციას — 5.923.000 მან.

კერძო კლიენტებს მიუღიათ 939.000 მან., კომუნალურ საწარმოთ და საბინაო აღმშენებლობას—1.784.000 მან.

აი, როგორ ინერგება ჩვენში საკრედიტო სისტემა და რა მნიშვნელობისაა იგი.

შინა-მრეწველობას საქართველოში მკვიდრი საფუძველი აქვს განვითარებისათვის. სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგი ამ მიმართულებით ვითარდება. სამწუხაროდ, შინამრეწველობა ჯერ-ჯერობით ორგანიზაციულად მოუწყობელია.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერამ რეგისტრაციაში გაატარა 100.000 სული და 49.000 ოჯახი, რომელნიც შინა-მრეწველობას ეწევიან. საერთო შემოსავალი ამ მრეწველობისა 7.000.000 მან. უდრის.

ამ ჟამად სხვადასხვა ღონისძიებაა მიღებული შინა-მრეწველთა კოოპერატიულად მოწყობისათვის, მათთვის სახელმწიფო დახმარების გაწევისათვის და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ კარგი ორგანიზაცია იქნება და საქმის კულტურული გაძღოლა, ჩვენი შინა-მრეწველობა დიდ დახმარებას გაგვიწევს მოსახლეობისათვის სხვადასხვა საქონლის მიწოდების საქმეში.

გადავიდეთ ახლა კოოპერაციაზე. ეს ძალიან დიდი და ამასთანავე ტვირთ-მძიმე დაწესებულებაა.

ჩვენში ორგვარი კოოპერაციაა: მომხმარებელთა კავშირი—ცეკავშირი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია—წარმოკავშირი. ცეკავშირი ხნოვანობით უფროსია, მისგან გამოიყო წარმოკავშირის ორგანიზაცია. დავიწყოთ უფროსისაგან. ცეკავშირი მთლად საქართველოში ითვლიდა 132 კოოპერატიულ ამხანაგობას 106.000 წევრით. ერთი წლის შემდეგ უკვე 141 სამომხმარებლო ტიპის კოოპერატიული ამხანაგობა ირიცხებოდა და 144.000 წევრი. ეს იყო წარმოკავშირის გამოყოფის შემდეგ. როგორც ვხედავთ, ზრდა როგორც ამხანაგობებისა, ისე დუქნებისა და წევრებისა ექვ-გარეშეა. შემჩნეულია აგრეთვე გლეხთა წევრების რიცხვის თანდათანი ზრდა. სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რიცხვის 42 პროცენტი გლეხობაა. ამ სამომხმარებლო კოოპერაციის საალებ-მიცემო ბრუნვა დიდია, რასაკვირველია შედარებით. ავიღოთ მაგალითისათვის წარსული 1924—1925 საოპერაციო წელიწადი. პირველ კვარტალში ყოველი სახის კოოპერატივების (საქალაქოს და სასოფლოს) საერთო საალებ-მიცემო ბრუნვა უდრიდა 3.629.866 მან. მეორე კვარტალში—3.878.611 მან.; მესამე კვარტალში—4.781.246 მან; და მეოთხე კვარტალში—5.326.195 მან. საერთოდ წლიური ბრუნვა უდრიადა 17.515.918 მან.

1924 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში საალებ-მიცემო ბრუნვა უდრიდა 7.000.000 მან., ხოლო მთელი წლის განმავლობაში—9.595.000 მან. მთელი წლის განმავლობაში ცეკავშირის მიერ საერთოდ შეძენილი საქონლიდან 39,1 პროც. იყო კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან, 60,2 პროც. სახელმწიფო ორგანოებისაგან და დანარჩენი 0,7 პროც.—სხვებისაგან. ცეკავშირის მუშტარს შეადგენენ 65,2 პროც. კოოპერატიული ორგანიზაციები, 33,7 პროც. სახელმწიფო ორგანოები და 1,1 პროც. სხვანი.

უბედურება ის არის, რომ მთელი ეს ბრუნვა სხვისი ფულით სწარმოებს. საკუთარი სახსარი ცეკავშირს არა აქვს და, თუ აქვს რამე,—ძალიან ცოტა; იგი მოქმედობს კრედიტით. უკეთეს პირობებში ცეკავშირს დიდი საქმის გაკეთება შეუძლიან. ერთი დიდი საქმე მაინც განახორციელა: მან კოოპერატიულად დარაზმა 150.000 წევრი.

ტფილისის ერთიანი კოოპერატივი განცალკევებითა სდგას. 1923-24 წ. მისი საქონლის ბრუნვა გამოიხატა 5.423.334 მან., 1924 წ.—8.343.603 მან. გადიდება 59,6 პროც. უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანი კოოპერატივი დიდ სამსახურს უწევს ტფილისის მუშა-ხალხს და ხელს უწყობს სამუშაო ხელფასის ერთ დონეზე დგომას მით, რომ საქონელს საბაზრო ფასებზე ნაკლებ ფასებში ჰყიდის და პურსა, რძესა და სხვ. პროდუქტებს თავის დროზე და სისტემატიურად აწვდის მოსახლეობას. მან დაარსა მთელი ქსელი პურის ვაჭრობის პუნქტებისა და სწორედ ამაში გამოიხატება მისი დიდი დამსახურება.

სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას—წარმოკავშირს—1923 წელს 4 კოოპერატივი ჰქონდა. 1924 წ. იანვრის 1-თვის უკვე 25 კოოპერატივი ითვლებოდა; 1924 წ. დეკემბრის 1-თვის—97 და 1925 წ. ოქტომბრის 2-თვის—163. წარმოკავშირში წევრებად მთლიანი მეურნეობანი შედიან. 1922 წ. ითვლებოდა 2.900 საგლეხო მეურნეობა; 1923 წ.—10.897; 1924 წ.—19.413 და 1925 წ.—32.058.

იმ ცნობების მიხედვით, რაც ჩვენ ხელთაა, მათი სოციალური შედგენილობა გამოიხატება შემდეგნაირად: უღარიბესი ელემენტი უდრის 60-70 პროცენტს, შუათანა—20-25 პროც. და შემძლე ელემენტი—10-15 პროცენტს.

საქონლის ბრუნვა 53 ამხანაგობაში (იმ ცნობით, რაც ჩვენ ხელთაა), რომელთაც 22.258 წევრი ჰყავთ, წელიწადში შეადგენს 6.751.696 მან., ხოლო საშუალო წლიური ბრუნვა თვითეულ ამხანაგობაში—127.390 მან., ე. ი. თვითეულ წევრზე მოდის 303 მან. წარმოკავშირის მიერ უკანასკნელ წელიწადში ნაყიდი საქონლის 20½ პროც. მოდის სახელმწიფო ორგანოებზე, 78.6 პროც. კოოპერატიულ ორგანიზაციებზე, ხოლო 0,9 პროც. კერძო პირებზე. წარმოკავშირის მუშტარის 57,6 პროც. სახელმწიფო ვაჭრობაზე მოდის, 38,2—კოოპერატიულ ორგანიზაციებზე და 4,2 პროც.—კერძო ვაჭრობაზე.

აქ არ შევეხებით ღვინისა და სხვ. პროდუქტების შესყიდვა, რადგანაც ეს დიდ დროს წაგვართმევს. წარმოკავშირში გარედან შემოსულ სახსართა რაოდენობა გამოიხატება შემდეგი ციფრებით: 1923 წ. ოქტომბრის 1-თვის—345.025 მან., 1924 წ. იანვრის 1-თვის—338.913 მან., 1924 წ. ოქტომბრის 1-თვის—1.834.590 მან., 1925 წ. იანვრის 1-თვის—2.805.348 მან., 1925 წ. ოქტომბრის 1-თვის—4.979.413 მან. ეს სხვისი სახსარია. აი, სწორედ ამის გამო წარმოკავშირის სალარო დეფიციტს გვიჩენებს, ე. ი. სავაჭრო დეფიციტს.

ასეთია კოოპერაციის საქმე. კოოპერაციას ჩვენს მეურნეობაში, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს და თუ არა აქვს, უეჭველად უნდა ჰქონდეს.

ხოლო ამისათვის საჭიროა მივიღოთ სათანადო ღონისძიება, რა საც შეეძლოს კოოპერაციის საქმის გაუმჯობესება. უპირველეს ყოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა, კოოპერაციამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ ყველა საქმეს ვერ მოჰკიდებს ხელს. საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს უნივერსალობისადმი მისწრაფება — მეტის-მეტად მავნე მოვლენაა. იგი უნდა აკეთებდეს იმას, რასაც დასძლევს და მუდამ მხედველობაში უნდა ჰქონდეს თავისი კაპიტალის შემძლეობა. ფეხი ისე უნდა გაიწვდინოს, როგორც საბანი გასწვდება. რასაკვირველია, თავლისათვის კარგია 17-18 მილიონიანი ბალანსი, მაგრამ ეს სხვისი, ფულია. ამ ფულს ხომ მოგება არ მოაქვს, რადგანაც დიდ სარგებელს მოითხოვს.

წარმოკავშირის რეორგანიზაცია უკვე მოხდა და, უეჭველია, საქმე მოწესრიგდება. ისიც ეჭვგარეშეა, რომ წარმოკავშირი დიდ როლს ითამაშებს, თუ მისი საქმე ჯანსაღი იქნება. ამას, რასაკვირველია, პარტია ყურადღებას მიაქცევს და მოიხსარს ყოველ ღონისძიებას, კოოპერაციამ სწორე გზას არ გადაუხვიოს.

ჩვენს ცხოვრებაში და სახალხო მეურნეობაში უაღრესი მნიშვნელობა აქვს ელექტროფიკაციას. ელექტროფიკაციის პოპულიარიზატორი ამხ. ლენინი-იყო. ყველაზე მეტად მას ჰქონდა ნათლად გარკვეული ამ საქმის მნიშვნელობა და ამასთანავე საკითხის ფართოდ გაშლის უნარი. სწორედ მისი ინიციატივით არის ელექტროფიკაციის საქმე კავშირში დაყენებული. პროგრამა გამორკვეულია და გეგმაც არსებობს. ჩვენც მოვკიდეთ ხელი ელექტროფიკაციას. მართალია, იგი ჩვენს გეგმაში არ შედიოდა, მაგრამ როგორღაც სტიქიურად აღორძინდა და ამ ჟამად ჩვენ გვაქვს უკვე რამდენიმე დაწყებული საქმე; ზოგი დამთავრების მიწურულშია, ზოგიც აგების პროცესში. ყოველ შემთხვევაში, ელექტროფიკაციამ საქართველოს მეურნეობაში დიდი როლი უნდა შეასრულოს.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე დამთავრდება ზემო-ავჭალის სადგური, რომელსაც 36.000 ცხენის ძალის ენერგია ექნება.

შენდება აგრეთვე აბაშის სადგური. საამისო ფული გადადებულია.

შენდება აჭარისტანის სადგური. განზრახულია ახლო მომავალში ქუთაისის სადგურის აგება რიონზე.

აბაშის სადგური ნავარაუდევია 2.000 ცხენის ძალის ენერგიისთვის, აჭარისტანისა — 7.000, ქუთაისისა — 40.000 ცხენის ძალის ენერგიისათვის. როდესაც ეს უკანასკნელი სადგური დამთავრდება, ჩვენ ალბად ყველა სადგურებს გადავაბამთ ერთ გადამცემ ხაზად და ამრიგად დამთავრდება ერთი მთლიანი წრე საქართველოს ელექტროფიკაციისა, რაც დღევანდელი დღისათვის საკმარისი იქნება.

ჩვენ ამ სადგურებით დავაკმაყოფილებთ არსებულ მოთხოვნილებას და, თუ მრეწველობისა და კაპიტალის ზრდა მოითხოვს, ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურებსაც ავაგებთ. ყოველ შემთხვევაში, ელექტრო-აღმშენებლობა საქართველოში ჩქარის ტემპით მიდის.

ერთი უსაქმოდ დარჩენილი მენშევიკი, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება, ეკამთები თავის წერილში აბზ. ფილიპე მახარაძეს, რომელმაც საქართველოს გასაბჭოების წლის თავზე აღნიშნა ჩვენი მიღწევები და, კერძოდ, ზემო-ავჭალის ელექტრო სადგურსაც შეეხო. ავტორი იმ წერილისა დაგვცინის, მაგისთანა სადგურები ევროპაში ყოველ ნაბიჯზე არისო, დანუ თუ ამ ერთი სადგურის აშენებისათვის საჭირო იყო მოსკოვისათვის საქართველოს მიყიდვა და თავისუფლების მოსპობაო.

რა ნება გვაქვს ჩვენი საზღვრების გადალმა მყოფ ადამიანს ავუკრძალოთ სწეროს ის, რაც მოეპრიანება? მაგრამ რად ავიწყდებათ, რომ მენშევიკებს არც ერთი სადგური არ აუშენებიათ და დაქცევით კი ბევრი რამ დაქციეს. ისინი ფულს გაფაციცებით დაეძებდენ პურის სასყიდლად, ჩვენ-კი ზემო-ავჭალისა, აბაშისა, აჭარისტანისა და ქუთაისის სადგურებს ვაშენებთ. ჩვენ არავის წინაშე ბოდიში მოსახდელი არა გვაქვს და ბედსაც ვერ დავემდურებით. დეე, მენშევიკებმა გვლანძღონ, ჩვენ მაინც ჩვენსაკ არ დავიშლით და მათ გასაბარაზებლად სადგურს სადგურზე ავაშენებთ. ჩვენ რომ შეგვეძლოს — ყველა ასეთ წერილზე თითო, თუნდა პაწია, სადგურის აშენებით ვუპასუხოთ ხოლმე,—ეს მენშევიკების სრული გაკოტრება იქნებოდა მსოფლიო მასშტაბით.

ზემო-ავჭალის სადგური განზრახულია ქალაქის მრეწველობისათვის. ჩვენის აზრით, ქუთაისის სადგური საფუძველი იქნება ჩვენი რკინის გზების ელექტროფიკაციისათვის. ზემო-ავჭალის სადგურს ჯერ-ჯერობით მომხმარებელი უკვე ჰყავს. შემოდგომიდან, იმედია კარგი და იაფი ენერგია გვექნება.

მრეწველობაში ჩვენ უფრო ნაკლები ტეხნიკური ძალები გვყვანან, ვიდრე სოფლის მეურნეობაში. არიან ყოველგვარი ტეხნიკოსები. მათი რიცხვი, პროფესიონალური კავშირის საბჭოს რეგისტრაციით, 700 კაცამდეა. მაგრამ მათ შორის ძალიან ცოტაა სამრეწველო აღმშენებლობისათვის გამოსადეგი ინჟენერი, პრაქტიკულად გაწაფული ტეხნიკოსი. და ეს ჩვენი ზოგადი უბედურების ბრალია, ჩვენს ხალხს არ უყვარს ტეხნიკური ცოდნის შეძენა. ჩვენს ახალგაზრდობას სრულიადაც არ ეტყობა მიდრეკილება ტეხნიკური განათლებისა და პრაქტიკული მეცადინეობისადმი. ხოლო იმ მიზნის განსახორციელებლად, რომ საქართველო საინდუსტრიო ქვეყანად ვაქციოთ, აუცილებლად საჭიროა ტეხნიკურ მომუშავეთა სათანადო კადრი. სწორედ ამიტომ საჭიროა, ჰუმანიტარულ სკოლების სანაცვლოდ, დავაარსოთ სატეხნიკო სკოლები, სადაც მომზადდებოდეს საშუალო-ტეხნიკური ცოდნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონე პირთა კადრი, ინჟენრები და ტეხნიკოსები. და ეს საქმე საერთო, ამიერკავკასიის, მასშტაბით უნდა იქნეს დაყენებული. ტეხნიკას ხომ არ უყვარს ერთი რომელისამე განკერძოებული ენის ფარგლებში მეცადინეობა. ამიტომ, საქმე ასე უნდა იქნეს მოწყობილი: ამიერკავკასიაში უნდა არსებობდეს ერთი, სერიოზულად დაყენებული ინსტიტუტი ყოველგვარი ფორმაციის ინჟენერის მოსამზადებლად. ჩვენის აზრით, ეს საქმე ბაქოში უფრო მოეწყობა.

ხოლო სოფლის მეურნეობისათვის შესაფერი სწავლულნი შეიძლება ჩვენშივე მომზადდნენ. საქართველოში არის ჩაი, ბამბა, მანდარინი, ყურძენი და სხვა, რაც გინდა. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის შეძენა ჩვენშიაც შეიძლება. უამისოდ-კი წინ ვერ წავიწევთ.

აქ ჩვენ პირისპირ დავუახლოვდით სახალხო განთლების საკითხს. ეს საკითხი საკამათოდ არის გადაქცეული ჩვენშიაც და ჩვენს გარეშეც. ჩვენ მრავალი მასწავლებელი და მეცნიერი გვყავს და ბევრი სამეცნიერო დაწესებულება გვაქვს, მაგრამ პრაქტიკულ სარგებლობას ჯერ-ჯერობით ცოტას ვხედავთ. აი, სწორედ ამიტომ, ხელი უნდა მივყოთ ჩვენი სახალხო განათლების რეკონსტრუქციის საქმეს. ჩვენ უნდა მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, რათა ჩვენს მოზარდ თაობაში ყველამ იცოდეს წერა-კითხვა. ხოლო ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა უნივერსიტეტში უნდა შედიოდეს. ჩვენში მოსწავლეთა საერთო რიცხვი 200.000 უდრის. 1924—25 წ.—237.631 მოსწავლე ირიცხებოდა. წარმოიდგინეთ, 9 წლის შემდეგ რომ ყველა ეს მოსწავლე უნივერსიტეტში შევიდეს, რა მოხდება? ჩვენ გერმანიის მაგალითს უნდა მივმართოთ. ყოველწლივ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გავატაროთ იმდენი და ისეთი კვალიფიკაციის მოსწავლე, რამდენსაც შეისისხლხორცებს განვითარების გზაზე დამდგარი ჩვენი მრეწველობა. გერმანია გამოუშვებს ხოლმე სასწავლებლებიდან იმდენ პირს, რამდენიც მის მრეწველობას დასჭირდება. ამიტომ გერმანიაში უსაქმო ინჟენერს ვერ შეხვდებით. ის, ვინც თავის ცოდნას საქმეში ვერ გამოიყენებს, სასარგებლო როდია.

ახლა, ორიოდე სიტყვა საკურორტო საქმეზე, რომელიც ხალხის დასვენებისა და გაჯანსაღების მიზანს ემსახურება. ამასთან ერთად ჩვენს კურორტებს სამრეწველო ხასიათიც უნდა ჰქონდეთ.

საქართველო—კლიმატიური სადგურია, მაგრამ ყოველმხრით გამოყენებული როდია.

ჩვენ ვცდილობთ რამდენიმე წლის შემდეგ ევროპიული ხასიათის კურორტები გვქონდეს, რომ სახელმწიფოს შემოსავალი მისცეს. ამისგამო, კურორტების გასაუმჯობესებლად სათანადო საქმის დაწყებისათვის განზრახულია ფულის გადადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ყოველივე ის, რაც შეიძლება, რასაკვირველია სქემატიურად, ითქვას ჩვენი მეურნეობის შესახებ ამ ხუთის წლის განმავლობაში. რაც რამ გაკეთებულა—ძალიან კარგია. ამისათვის ჩვენ ვერავინ დაგვძრახავს. მენშევიკები, რაღა თქმა უნდა, გაგვლანძღავენ, მაგრამ არა უშავს-რა. როცა ისინი ილანძღებიან—კარგი ნიშანია, მაშ, საქმე რიგზე ყოფილა. ბებელი ამბობს: როცა მტერი გვლანძღავს—მაშ კარგად გვიმოქმედნიაო. მართალია, კარგად ვმოქმედობთ, მაგრამ მაინც ჩვენი საქმე უნდა გავაუმჯობესოთ. ჯერ ერთი, უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელსაც მემკვიდრეობით ძველიდგან ზოგი რაც ნაკლი შერჩენია, იგი არ არის საკმაოდ მოქნილი, მუშაობას დაყოვნება ეტყობა ხოლმე. კერძოდ, სამრეწველო მეურნეობაში სჩანს საქმის გაჭიანურება და სხვ.

საჭიროა ფართო მასების მუშაობაში ჩაბმა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭიროა უაღრესი მნიშვნელობა მიექცეს იმას, რომ სასოფლო მეურნეობაში გადიდდეს საქონლიანობა და გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების საქმე. რათა ჩვენი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები კარგად გასაღდეს, საჭიროა თვით პროდუქციის ხასიათის გაუმჯობესება. ჩვენი მეურნეობის პროდუქტები უმეტეს ნაწილად ადვილად და სწრაფად ფუჭდება. საჭიროა მათი გადამუშავება. საჭიროა სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, რათა ისეთი პროდუქცია შეიქმნას, რომ მან თავისი სამომხმარებლო მნიშვნელობა და ფასი არ დაჰკარგოს, რადგანაც, მაგალითად, თუ გლეხმა ხილი ან ბოსტნეულობა თავის დროზე არ გაასაღა, მალე გაუფუჭდება. ამისათვის საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ გლეხს საშუალება მიეცეს ადვილად გასაფუჭებელი პროდუქტი ფასიან და ხანგრძლივ შესანახ საქონლად გარდაქმნას. ეს გააძლიერებს გლეხის აღებ-მიცემობის უნარს. ასეთ საქმედ შეიძლება ჩაითვალოს საკონსერვო წარმოება, ხილეულ-ბოსტნეულობის გახმობა და სხვ.

შემდეგ, საჭიროა სხვადასხვა სამრეწველო ფუძის შექმნა. აი, ის ორი დარგი, რასაც უნდა მიექცეს ჩვენი უპირატესი ყურადღება,

რაც შეეხება თვით სახელმწიფო აპარატის მოწყობას, საჭიროა ახლო მომავალში მისი სრულყოფამდე გაუმჯობესება ბიუჯეტის ასაგებად. ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი მეტის-მეტად ღარიბია, სამაგიეროდ, იგი მტკიცეა. საჭიროა აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტის ქონა. უნდა ვსთქვათ, რომ თუ უახლოეს ორის წლის განმავლობაში ჩვენი სახელმწიფო აპარატის სათანადო რეორგანიზაცია არ მოვახდინეთ, ადგილობრივ ბიუჯეტს ვერ დავამყარებთ. ჩვენი ადმინისტრატიული სისტემის წყალობით, თემური სისტემის წყალობით, შეუძლებელია ბიუჯეტის აგება. უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული თემი რუსული ვოლოსტი როდია; ამ ვოლოსტს აქვს სამეურნეო ფუძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი ბიუჯეტის აგებისათვის. ქართულ თემს ეს ფუძე არ გააჩნია. ამისგამო ჩვენს მიზანს შეადგენს ისეთი ადმინისტრატიული შენაერთი მოვაწყოთ, რომელსაც შეეძლოს თავისი საკუთარი ბიუჯეტი შექმნას. საჭიროა ჩვენი ქვეყანა ტერიტორიალურად ისე დავანაწილოთ, მოსახლეობის რაოდენობისა და სამეურნეო სახსართა მიხედვით, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის აგება შესაძლებელი გახდეს. თუ ადგილობრივი ბიუჯეტი არ გვექნა, მარტო სახელმწიფო ბიუჯეტით თავს ვერ გავიტანთ. ყველა ქვეყანაში არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტი. ამას გარდა, აუცილებელია აპარატის გამარტივება და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ყველა დაბალი და მაღალი საორგანიზაციო უჯრედის შეფარდება პირდაპირ ამა თუ იმ სამეურნეო საჭიროებისათვის. ჩვენ უნდა ისეთი რეფორმა განვახორციელოთ, რომ რაც შეიძლება ცოტა სახსარი ვხარჯოთ აპარატის შენახვაზე და რაც შეიძლება მეტი მოვათავსოთ მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში.

ქართველ მუშებსა და გლეხებს არავითარი საბუთი არა აქვთ გული გაიტეხონ იმ ორიენტაციის გამო, რომელიც საბოლოოდ აირჩიეს. მათი მიზანია თავიანთი ცხოვრება აღადგინონ და განავითარონ ახალი გზით, სოციალისტური აღმშენებლობის გზით.

თუ ჩვენ ეს შევძელით, ამით მთლად და სრულად განვახორციელებთ იმ მიზანს, რომელიც დაგვისახა ამხ. ლენინმა და რომელიც, ხანგრძლივი კამათის შემდეგ, დაამყარა მე 14 პარტიულმა ყრილობამ. ჩვენ ვლაპარაკობთ ინდუსტრიისა და გლეხობის ერთმანეთზე გადაბმის შესახებ და სოციალისტურ აღმშენებლობაში გლეხობის ჩაბმის თაობაზე.

დარწმუნებული ვართ, მომავალი ხუთის წლის გასვლისას, ჩვენ მოგვიხდება, ცოტა არ იყოს, სხვაგვარი საზომით შეეფასოთ ჩვენი მდგომარეობა. მაშინ ხელთ სულ სხვა ციფრები გვექნება და ის ციფრები დაგვიახლოვებენ იმ წესწყობილებას, რომლისაკენაც ამხ. ლენინი მოგვიწოდებდა.

შ. ელიავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავი.

(ტფილისის საბჭოს სადღესასწაულო სხდომა ფაბრიკარხკომებისა და ადგილკომების მონაწილეობით 1925 წლის 19 დეკემბერს).

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა.

ამხანაგებო! სწორედ ოცი წლის წინად მოსკოვის პროლეტარიატმა ომი გამოუცხადა მთავრობას და ჩაება მასთან შეიარაღებულ ბრძოლაში. მთელი ორი კვირა გაგრძელდა ეს სასტიკი ბრძოლა მთავრობისა და პროლეტარიატის ძალთა შორის, მაგრამ წინდაწინ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ცენტრის, რევოლიუციის მთავარი ცენტრის —პეტერბურგის (ამხანაგებო, წინასწარ ვაცხადებ, რომ ამ მოხსენების დროს მე მოვიხსენიებ ძველს თარიღს და ძველ სახელებს) და აგრეთვე სხვა ქალაქების დაუხმარებლათ მოსკოვის პროლეტარიატს არ შეეძლო გამაგრება. და ჩვენ ვიცით, რომ რევოლიუცია მოსკოვის აჯანყებასთან ერთად სასტიკად დამარცხდა.

ამხანაგებო, მიუხედავათ ამ დამარცხებისა რუსეთის რევოლიუციას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. მისი სიდიადე ოდნავადაც არ მცირდება ამ სასტიკი დამარცხებით.

ჩვენმა პირველმა რევოლიუციამ შეარყია და მოძრაობაში მოიყვანა საზოგადოების სხვა-და-სხვა ფენები, მასთან ყველაზე ჩამორჩენილნი. მაშინდელი რუსეთის იმპერიისა და მასში მცხოვრებ ხალხთა ისტორიაში პირველად იქნენ მოწოდებული შემოქმედებისა და თვითმოქმედებისათვის დაბალი ფენები—მუშათა კლასი გლეხობასთან ერთად, პირველად ამათში გაიღვიძა თვითშეგნებამ და ადამიანის ღირსების გრძნობამ. ამხანაგებო, მე ვისურვებდი აზროვნობით გადავსულიყავ 1905 წლის პირობებში, იმიტომ, რომ მას შემდეგ გავიდა ორი ათეული წელი, აღიზარდა მთელი ახალი თაობა, ძველები მოგვშორდენ და გვშორდებიან. ამ ხნის განმავლობაში იმდენათ შეიცვალა მთელი ჩვენი ცხოვრების პირობები, რომ განსხვავება ახლანდელსა და მაშინდელ პირობებს შორის დიდია. იმდენათ შეცვლილია ჩვენი ცხოვრება, რომ შესაძლებელია ამჟამად ეს პირობები და მაშინ მომქმედი პირნი ჩვენ ვიპოვნოთ არქივებში ან სიძველეთა მუზეუმებში.

უპირველესად შევეხოთ რევოლიციონურ წლის. რევოლიუციონური მოძრაობის რაიონს. რომელი ადგილები, რომელი ქალაქები, სოფლები და მაზრები იყო მოცული რევოლიუციონური მოძრაობით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო, პირველ რიგში უნდა ვილაპარაკოთ რკინის გზის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ რეოლიუციონური მოძრაობით იყო მოცული რკინის გზის მთელი ხაზი, ზოგან სუსტად, ზოგან ძლიერ. შემდეგ თუ გვინდა წარმოვიდგინოთ მაშინდელი მდგომარეობა, იმ დროინდელი ადმინისტრატიული დაყოფვა მთელი ამიერ-კავკასიისა, რევოლიუციონური მოძრაობა ვითარდებოდა უმთავრესად ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში, ბათუმის ოლქში. რაც შეეხება აღმოსავლეთ ამიერ კავკასიას, სამხრეთ ამიერ-კავკასიას—ახლანდელ ადერბეიჯანს და სომხეთს, უნდა დავასახელოთ პირველად უმთავრესად ქალაქი ბაქო და მისი მრავალათასოვანი პროლეტარიატი. ერევნის და ელისავეტოპოლის გუბერნიები უმთავრესად დასახლებულია სოფლის მცხოვრებლებით და ეს გუბერნიები რევოლიუციონური მოძრაობის გარეშე დარჩნენ.

მე ვამბობ, რომ სოფლის მოსახლეობა, გლეხობა დარჩა რევოლიუციონური მოძრაობის გარეშე. ტფილისის გუბერნიაში რევოლიუციონური მოძრაობა გავრცელებული იყო გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის მაზრებში. რაც შეეხება ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებს, იქ რევოლიუციონური მოძრაობა არ ყოფილა. ამხანაგებო, აქ მე არ შევდივარ იმის ახსნა-განმარტებაში, თუ რად მოხდა ეს ასე, აღვნიშნავ მხოლოდ ფაქტებს. ჯერ ჯერობით მივაქცევ თქვენს ყურადღებას ერთს საკითხს: ესაა 1905 წლის, რუსეთის ამ პირველი რევოლიუციის, რომელიც მოხდა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ხასიათი. ამ რევოლიუციის ხასიათზე, მის შინაარსზე ბევრს ლაპარაკობდენ ჯერ კიდევ მაშინ, გამოსთქვამდენ სხვადასხვა აზრს—რა ნაირია ეს რევოლიუცია—ბურჟუაზიულია თუ სხვაგვარი? მართლაც, რაღაც ახალი მოხდა. ბურჟუაზიული რევოლიუციები ისტორიამ იცოდა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან. ისინი განმეორდენ მე-18 საუკუნეში, შემდეგ განმეორდენ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, განმეორდენ იმ დროს, როცა პროლეტარიატი, როგორც კლასი, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, ის ჯერ კიდევ არ იყო რევოლიუციონური მოძრაობის ავანგარდი, მას არ ჰქონია საკუთარი პოლიტიკური პარტია. აი ამ ხანებში ხდებოდა ბურჟუაზიული რევოლიუციები იმიტომ, რომ რევოლიუციონურ აჯანყებათა და მოძრაობათა მოთავედ გამოდიოდა ბურჟუაზია როგორც კლასი, უკვე ჩამოყალიბებული, რომელსაც იმ დროს უკვე ჰქონდა თავისი პოლიტიკური პარტიები. მაგრამ მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა რუსეთში უკვე ირაზმებოდა ქალაქის პროლეტარიატი როგორც კლასი, რომელმაც სხვებზე ადრე შექმნა თავისი პოლიტიკური პარტია, თავის თავად იგულისხმება, ამ პირობებში ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთში ხდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რევოლიუცია ისეთ ფორმებში, როგორ შიაც ის წინად სხვა ქვეყნებში მოხდა, არ შეიძლება.

ამხანაგებო, წინად ბურჟუაზიამ ჩამოაგდო ფეოდალური ხელისუფლება და დაიკავა მისი ადგილი იმიტომ, რომ მაშინ ის იყო მთელი ხალხის ავანგარდი. მაგრამ რა ნაირია ამ კლასის—ბურჟუაზიის მდგომარეობა იმ ჟამად რუსეთში, როცა არსებობდა რევოლიუციონური პროლეტარიატი განსაზღვრული იდეალებით, რომელსაც ჰყავდა თავისი საკუთარი პარტია. აი ამ საკითხს უტრიალებდენ ჯერ კიდევ მაშინ ყველა რევოლიუციონური მოღვაწენი. მენშევიკებმა ეს საკითხი შაბლონურად გადასწყვიტეს. ისინი ამბობდენ: რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა, იმიტომ, რომ თუ პროლეტარიატი უხელმძღვანელებს ამ რევოლიუციას, მან უნდა უეჭველათ მოახდინოს სოციალისტური, პროლეტარული რევოლიუცია და რადგანაც ეს შეუძლებელია, უნდა მოვახდინოთ ბურჟუაზიული რევოლიუცია, ამიტომ უკეთესია თვით ბურჟუაზიამ მოახდინოს ეს რევოლიუცია, ჩვენ კი ბურჟუაზიას წავუბიძგებთ, დავეხმარებით, ოპოზიციაში ვიქნებით და ასე ბურჟუაზიას გადავხრით რევოლიუციის მხარეზეო.

აი, ამხანაგებო, ასეთი იყო მენშევიკების შაბლონური ახსნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი ანგარიშს არ უწევდენ იმ პირობებს, რომელშიაც მოექცა მაშინდელი რუსეთი, მაგრამ აშკარა იყო, რომ ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობდით სოციალისტური რევოლიუციის მოხდენას მე 20 საუკუნის დასაწყისში. პროლეტარიატი არ ფიქრობდა ამაზე, მაგრამ მეორე მხრით ბურჟუაზიას არ შეეძლო ხელი მოეკიდა რევოლიუციისათვის, სათავეში ჩასდგომოდა მას, იმიტომ, რომ მას არავითარი ანგარიში არ ჰქონდა იმ დროს, როდესაც პროლეტარიატი, როგორც კლასი, ყალიბდებოდა და რომელიც (პროლეტარიატი) ამ რევოლიუციას გადააქცევდა ბურჟუაზიის საწინააღმდეგო რევოლიუციათ. ცხადია, ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი იყო საქმე ჰქონოდა იმავ თვითმპყრობელობასთან, რომელთანაც ასე თუ ისე უკეთესად შეეძლო ეცხოვრა ვიდრე პროლეტარიატთან.

როგორი იყო ამ პირველი რევოლიუციის ამოცანები ბოლშევიკების გაგებით. ეს რევოლიუცია გულისხმობდა ფეოდალიზმის ყველა ნაშთების მოსპობას და ნამდვილი დემოკრატიული წყობილების, დემოკრატიული რესპუბლიკის დამკვიდრებას. პროლეტარიატი ძლიერ იყო დაინტერესებული როგორ ჩატარდებდა ქვეყნის დემოკრატიზაცია და მივიდოდა ის თავის ლოიკურ დასკვნამდე თუ არა იმიტომ, რომ პროლეტარიატი დაინტერესებული იყო, რათა რევოლიუციას მოეხდინა სრული გადატრიალდება, რომ მას უზრუნველეყო ის ისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი კანონებით, რომლებიც გაუადვილებდა ბრძოლას სოციალიზმისათვის.

ამხანაგებო, აი როგორია 1905 წლის რევოლიუციის ახსნა-გაგება. მას არ შეეძლო ყოფილიყო წმინდა ბურჟუაზიული რევოლიუცია არა მარტო იმიტომ, რომ მთავარ მის ხელმძღვანელად გამოდიოდა არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი, არამედ იმიტომაც, რომ ეს რევოლიუცია მოხდა პროლეტარული ბრძოლის მეთოდებით. მას არ შეეძლო ყოფილიყო წმინდა ბურჟუაზიული რევოლიუცია უკვე იმიტომ, რომ რუსეთში არსებობდა პროლეტარიატი, როგორც კლასი, მაგრამ მას არ შეეძლო იმ ჟამად ყოფილიყო აგრეთვე სოციალისტური იმიტომაც, რომ პირობები არ იყო მომწიფებული ამისთვის. ის არ ჰგავდა სხვა, წინად მომხდარ რევოლიუციებს. დამდგარი იყო სწორედ ახალი ეპოქა. ამ აზრით განმარტავდენ მაშინ ამ რევოლიუციას, ახლაც ასე ეხებიან მას ბალშევიკები, აგრეთვე ისეთი სოც. დემ. როგორც მაგ. კაუცკი—ეს არ არის ბურჟუაზიული რევოლიუცია ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით. ეს რევოლიუცია აუცილებელი იყო რუსეთისათვის. თუმცა ლაპარაკობდენ, რომ რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ რევოლიცია ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. რევოლიუციის აუცილებლობას უკარნახებდა მთელი ისტორიული მსვლელობა. ის გამოწვეული იყო მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობით ერთის მხრით და მუშათა კლასისა და გლეხობის უუფლებობით, მეორე მხრით. მუშათა კლასს და გლეხობას, ცხადია, სული ეხუთებოდა თვითმპყრობელობის კლანჭებში მეტად, ვიდრე ბურჟუაზიას. განვითარება მომავალში, თავისი მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება, მატერიალური პირობების გაუმჯობესება მუშათა კლასს არ შეეძლო. უკვე ყველაფერი მზად იყო რევოლიუციისთვის. მუშათა და გლეხთა მდგომარეობა უარესდებოდა დღითი-დღე. არავითარი გამოსავალი ამ კლასებს არ მოეპოვებოდათ, და ცხადია, ის უნდა გამონახულიყო. დიახ, ერთად ერთი გამოსავალი თვითპყრობელობის ჩამოგდება იყო.

მე 19 საუკუნის გასულს, ყოველ შემთხვევაში, მე 19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში იწყება აგრარული არეულობანი, იწყება მუშათა კლასის მღელვარება, ხდება მუშების სტიქიური ბრძოლა ჯერ კაპიტალისტების, შემდეგ კი არსებული წყობილების წინააღმდეგ. ამასვე ვამჩნევთ ჩვენ ამიერ-კავკასიაში. მუშათა კლასის და გლეხობის სტიქიურ აჯანყებასთან ჩვენ საქმე გვაქვს მე 19 საუკუნის გასულს. საჭირო იყო ამ სტიქიური მოძრაობის შეგნება, მისი მოთავსება განსაზღვრულ კალაპოტში, მისი ხელმძღვანელობა, რათა გლეხთა და მუშათა ეს სტიქიური მოძრაობა გადაგვეყვანა შეგნებულ რევოლიუციონურ მოძრაობათ.

ეს ამოცანა დაეკისრა სოციალ-დემოკრატიას. ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით ტფილისში, ბათომში, ბაქოში და სხვა ქალაქებში ამ მოძრაობას სათავეში უდგება სოც. დემოკრატიული მუშათა პარტია. სხვა პარტიები მაშინ თითქმის არ ყოფილა. მე არ ვლაპარაკობ ნაციონალისტურ პარტიებზე, როგორც მაგ. დაშნაკცუტიუნია და სხ., რომელნიც მიზნად ისახავდენ ნაციონალურ განთავისუფლებას. მაგრამ კლასიური პარტია, რომელსაც დაეცვა განსაზღვრულ კლასთა ინტერესები ამიერ-კავკასიაში მე 20 საუკუნის დასაწყისში არ ყოფილა. რევოლიუციონური მოძრაობის აღმოცენების შემდეგ ქალაქებში, რაც მოხდა სოც. დემკრატების მეთაურობით, ამ მოძრაობის უშუალო გავლენით იწყება მოძრაობა გლეხობაშიაც, პირველად ასეთი მოძრაობა, როგორც მოგეხსენებათ, იწყება ოზურგეთის მაზრაში, გურიაში. 1902 წელს გურიის გლეხობა გამოდის რევოლიუციონურ ასპარეზზე. პირველად გლეხობა ომს უცხადებს მემამულეებს და როცა მემამულეთა დასაცავად გამოდის პოლიცია და საერთოდ თვითმპყრობელური ხელისუფლება, ამის შემდეგ გლეხობა იწყებს პოლიტიკურ ბრძოლას ე. ი. იბრძვის ის თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ. მეტად ჩქარა ვითარდება ჩვენში მუშათა და გლეხთა მოძრაობა, სულ რაღაც 2-3 წელში ჩვენს ქალაქებს მოედო გაფიცვები და მასთან ერთად პოლიტიკური მოძრაობა, წამოყენებული იქნა არა მარტო ეკონომიური ხასიათის მოთხოვნები, არამედ—წამოყენებულ იქნა, ჯერ კიდევ 1905 წლამდე, პოლიტიკური მოთხოვნები. ასევე ხდება გურიის გლეხობაშიაც, საიდანაც ნელ-ნელა გლეხთა მოძრაობა გადადის მეზობელ მაზრებში ჯერ კიდევ 1905 წლიდან; განსაკუთრებით ახალსენაკის და ქუთაისის მაზრებში. საკმაოდ ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა იყო სოც. დემ. უშუალო ხელმძღვანელობით 1900-დან 1905 წლამდე; ამასთან ერთად, ამხანაგები, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქ უნდა აღვნიშნო, რომ მაშინ სოც. დემ. ამიერ-კავკასიაში ერთავად იდგა ბოლშევიკური პლატფორმაზე, ძველი „ისკრისა“ და ამხ. ლენინის ნაწერებზე, ამ ხანებში ჩვენში საკმაოდ ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა იყო, მაგრამ აშკარა ბრძოლის სახე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მას არ მიუღია, ე. ი. არ ყოფილა ის, რასაც ეწოდება რევოლიუცია. 1904 წლის გასულს, დეკემბერში, ბაქომი იწყება საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა თითქმის მთელი თვე და რომელიც კინაღამ გადაიქცა შეიარაღებულ შეტაკებათ და რომელიც კინაღამ არ შეიქმნა ასეთი აჯანყების გამოსავალ წერტილად ეს გაფიცვა ჯერ კიდევ 1905 წლის დასაწყისში, იანვრის პირველ რიცხვებში, გადადის ბათუმის ქარხნებში. ამ სახით, დამძიმებული ატმოსფერა ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, უკვე არსებობდა, მით უფრო, რომ გურიის გლეხთა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობა გადადიოდა სხვა მაზრებში. მაგრამ ამ მომენტში ადგილი აქვს ერთს მოვლენას, რომელიც საზღვრად ედება წინანდელ რევოლიუციონურ მოძრაობას და ახალ ხანას. ეს მოვლენა, ეს ამბავი ხდება პეტერბურგში იანვრის 9-ს.

ამ მოვლენას მე აქ დაწვრილებით არ შევეხები, მაგრამ მიუხედავათ ამისა საჭიროა გაშუქებულ იქნას აქ რისთვის, სწორედ ამ დღიდან, (9 იანვარი) დაიწყო რუსეთში რევოლიუცია. რა მოხდა? არავითარი შეიარაღებული გამოსვლა არ ყოფილა. პირიქით, მუშათა მასები მიდიოდენ მეფესთან საეკლესიო დროშებით, ნიკოლოზის სურათით, ხატებით, ოხრანის აგენტის მღვდლის გაპონის მეთაურობით. აი ასეთი იყო მდგომარეობა. აქ რევოლიუციონურ გამოსვლაზე ლაპარაკი ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით, არ შეიძლება. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო—იქ იყო ხატები, მეფის პორტრეტი და მუშების სრულიად მშვიდობიანი სულიერი განწყობილება, მაგრამ საქმით კი, ეს იყო არსებითად ნამდვილი რევოლიუციონური გამოსვლა. ჯერ ერთი ნუშებს მიჰქონდათ თან წმინდა პოლიტიკურ და სოციალურ მოთხოვნათა პეტიცია. ისინი ამბობდენ: „მეფევ, შენ ან აასრულებ ყველა ჩვენს მოთხოვნილებებს, ან ყველანი ჩვენ დავიხოცებით შენი სასახლის წინო“. ეს კი რევოლიუციას ჰგავდა. ეს უკვე აღარ ნიშნავდა იმას, რომ ხალხი პატივს სცემს და ენდობა მეფეს, აქ ხალხი მეფეს ეჭვის თვალით უყურებდა. ამხანაგებო, მხოლოდ ეს ერთი ფაქტი, რომ პეტერბურგში 1905 წლის დასაწყისში მუშათა მასა—200 ათას კაცამდე მეფესთან მიდის იმედით, რომ ის შეასრულებდა მათ მოთხოვნილებებს, მხოლოდ ეს ფაქტი ლაპარაკობს იმაზე, რომ რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში არ იყო მისული რევოლიუციამდე, იმიტომ, რომ თუ პეტერბურგის პროლეტარიატს იმდენი ნდობა ჰქონდა მეფისა, იმდენათ გამჭვალული იყო იმ აზრით, რომ მეფე შეიწყნარებდა მის თხოვნას, მხოლოდ ეს ამტკიცებს რამდენათ დაბალი ყოფილა ამ პროლეტარიატის შეგნება. და ასეთი შეგნების ხალხი, ცხადია, რევოლიუციას ვერ მოახდენდა. და აი აქ ხდება რაღაც დაუჯერებელი... და როცა მეფემ არ შეიწყალანა მათი თხოვნა, ხდება ამ შეგნების განვითარება, გაფართოვება. მეფემ არა თუ შეიწყალანა მუშების თხოვნა, არამედ—ტყვიებითაც კი გაუმასპინძლდა. მუშები ათასობით იქნენ დახოცილნი.

ამხანაგებო, ამან შეასრულა უდიდესი როლი, ამან გაარევოლიუციონერა პეტერბურგის პროლეტარიატი და მასთან ერთად მთელი რუსეთის პროლეტარიატი. დაანახვა, რომ მშვიდობიანი გზა უვარგისია. არავითარი პეტიციები მათ არ იხსნის, არამედ—იხსნის მხოლოდ სხვა. ძალას უნდა დაუპირდაპირდეს ძალა, იარაღს—იარაღი. აი რა გაიგო ამ სისხლიან დღეს მთელი რუსეთის პროლეტარიატმა და უმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრესად, პეტერბურგის პროლეტარიატმა. აი ეს ნიშნავდა, რომ იწყებოდა ნამდვილი რევოლიუცია. რევოლიუცია დაიწყო.

ჩვენ ვიცით თუ პეტერბურგის მუშების ამ გამოსვლამ როგორი გამოძახილი ჰპოვა სხვა ქალაქების მუშათა შორის. ამ გამოსვლამ გამოაფხიზლა და აღაშფოთა მუშათა კლასი და დააყენა ის ბრძოლის გზაზე.

ამასთან ერთად იწყება გლეხთა მოძრაობა. თქვენ იცით, აღნიშნაგებო, რომ გლეხთა მოძრაობა რუსეთში მიმდინარეობდა სტიქიურად და არა ისე, როგორც ჩვენში, ამიერ-კავკასიაში,—ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მან იფეთქა რუსეთის გლეხთა მოძრაობასთან ერთად. ჩვენში გლეხთა მოძრაობა ორგანიზაციულად იყო ჩამოყალიბებული სოც. დემოკრატიის მიერ. ასე არ ყოფილა რუსეთში. იქ გლეხთა მოძრაობა სტიქიურად ვითარდებოდა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხები არბევდენ მემამულეთა სახლ-კარს, ერთმევდენ მემამულეთ მიწებს და იყოფდენ ურთიერთ შორის, ჰკლავდენ თავად-აზნაურთ და სხ. სოც. დემოკრატია ჯერ კიდეც არ ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას. სოც. დემ. სხვა ამოცანებს ემსახურებოდა და არავითარი გავლენა მას გლეხობაზე არ ჰქონია. მაგრამ გლეხთა ასეთმა სტიქიურმა მოძრაობამ იქ მაინც უდიდესი როლი შეასრულა.

გლეხთა მოძრაობამ ამ ფორმით უდიდესი როლი ითამაშა. რად? იმიტომ, რომ დაქსაქსა მთავრობის ძალები. 9 იანვრის შემდეგ იფეთქა მუშათა მოძრაობამ ამიერ-კავკასიაში. იანვრის მეორე ნახევარში ყველგან დაიწყო გაფიცვები და საპროტესტო დემონსტრაციები. ამ ხანებში მოძრაობა კიდეც უფრო ძლიერდება. მთავრობა შეშფოთებულია და პირველ რიგში ის მოწადინებულია ჩააქროს გლეხთა მოძრაობა გურიაში. ამ მიზნით თებერვლის დამდეგს იქ იგზავნება გენ. ალიხანოვის მეთაურობით დიდძალი ჯარი. უკვე მობეზრდა მთავრობას გურიის მოძრაობის მოთმენა; გურიაში კი მოძრაობა ძლიერი იყო იმ აზრით, რომ ადმინისტრაცია, ამ სიტყვის სრული შინაარსით, სავსებით დაშლილი იყო, ხალხი უკვე რამდენიმე წელი ბოიკოტს უცხადებდა ადმინისტრაციას, ხალხს ჰქონდა საკუთარი ორგანოები—არც სასამართლო, არც პოლიცია, არც სხვა რომელიმე მთავრობის ორგანო იქ არ მოქმედებდა. თუ სადამდე შეიძლებოდა მისულიყო გურიის ასეთი მდგომარეობა, ეს მთავრობისათვის აშკარა იყო. მას კარგათ ჰქონდა ყველაფერი ეს შეგნებული, ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა საბოლოოდ, „სამაგალითოდ დაესაჯა“ როგორც ამბობდენ, გურიის გლეხობა, გაენადგურებია გლეხთა მოძრაობის ქერა გურიაში და ასე მთელს ამიერ-კავკასიაშიც ჩაეხშო რევოლიუციონური მოძრაობა. აი, ამხანაგებო, ამ მიზნით იგზავნება იქ ცნობილი ალიხანოვი. მაგრამ ამ გარემოებამ მეტად შეაშფოთა მაშინდელი საზოგადოება. საქმე იმაშია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს იყო არაჩვეულებრივი დრო. საზოგადოებაში მეტადძლ იერი აღელვება იყო მთავრობის რეპრესიების წინაბღმდეგ, ასე რომ გენ. ალიხანოვის გაგზავნა ჩუმად არ ჩატარებულა. კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის წარუდგა დეპუტაცია შუამდგომლობით, რომ გენ. ალიხანოვის რაზმი გამოწვეული ყოფილიყო გურიიდან და მის მაგივრად გაგზავნილიყო გურიის გლეხობის საჭიროებათა გამოსარკვევად სხვა პირი, რომ პრესაში თავისუფლად ეწერათ იმის შესახებ, რაც გურიაში ხდება. მოულოდნელათ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა, მხოლოდ გენ. ალიხანოვი არ გამოუწვევიათ, მაგრამ მისი შესვლა ჯარით გურიაში შეჩერებულ იქნა. გურიაში გაიგზავნა სულთან-კრიმ-გირეი, კავკასიის მთავარმართლების საბჭოს წევრი სასამოქალაქო საქმეთა მოხელე; ყოველ შემთხვევაში, არა პოლიციელი, არა სამხედრო; რომ ასე თავისი მდგომარეობით, გარეგნობით გავლენა მოეხდინა, გლეხობაზე, დაეშინებია მოეკუთანებია, იგზავნება თითქოს მშვიდობის მოყვარე კაცი. კრიმ-გირეი მივიდა ოზურგეთში და იქ გადასწყვიტა გურიის ყველა სოფლების ჩამოვლა, გლეხთა ყრილობებზე ხალხის საჭიროებათა მოსმენა. ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ ყველა ყრილობებიდან განდეგნილ იქნენ პოლიციელები და საერთოდ მოხელენი. ასეთ ატმოსფერაში გლეხებს შეეძლოთ თავისუფლად ლაპარაკი. მოლაპარაკეთა სახელსა და გვარებს არ იწერდენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ გლეხობას შეეძლო თავისუფლად ლაპარაკი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი ეს იყო ორგანიზაციის, სწორედ სოც. დემ. ორგანიზაციის საქმე, რომელიც გურიაში მაშინ მეტად ძლიერი იყო; გურიის ყველა საზოგადოებებში, სოფლებში ორგანიზაციას თავისი წარმომადგენლები ჰყავდა. და აი, სულთან-კრიმ-გირეიმ ყრილობებს მიმართა დაახლოვებით შემდეგი სიტყვით. მე მსურს გაგაცნოთ იმ კილოს, რომლითაც კრიმ-გირეი მოვიდა გურულებთან. პირველი სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა და რომელსაც ყველგან იმეორებდა შემდეგ, ასეთი იყო: „მოგესალმებით გურიის შვილებო, თქვენში ბევრია ისეთი პირები, რომელთაც რუსული ენა იციან: მეტად მოხარული ვარ, რომ მომიხდა მშვენიერ გურიაში ყოფნა, რომ გავცნობოდი გურულებს და ბედნიერად ჩავსთვლი თავს, უკეთუ ჩემი მოსვლა თქვენ მოგიტანთ სულიერ სიმშვიდეს“ და სხ. „მე გადმომცეს, რომ თქვენს შორის არიან მეტად გატაცებული სუბიექტები, სასტიკად ნუ დასჯით მათ, მაგრამ ნურც მოისმენთ მათ მოუფიქრებელ რჩევას“ (აქ აშკარაა ვინ ყავდა მხედველობაში). „გურიის მდგომარეობა მძიმეა, ბევრი გაუმჯობესება და მოწესრიგებაა საჭირო, მაგრამ იქონიეთ მოთმინება. თქვენ დიდი ხანია იტანჯებოდით, მაგრამ იქონიეთ მამაცობა, მოითმინეთ კიდევ ცოტა“. შემდეგ კრიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეი მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობა ზრუნავს, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ჩამოთვლის სხვადასხვა მანიფესტებს და შემდეგ ურჩევს ხალხს იყოს „კეთილგონიერი.

„გურიაში მომხდარი ამბების ახსნა შეიძლება—ამბობს ის—მაგრამ მისი გამართლება არა. თქვენ არ შეგიძლიათ არ აღიაროთ, რომ ბევრი თქვენგანი უკანონოდ მოქმედებდა“. დაბოლოს მისი მიმართვა ასე თავდებოდა: „ღმერთი იყოს თქვენი შემწე ამ ძნელ წამში, რომ მოგანიჭოსთ ჩვეულებრივი სიმშვიდე, სიფრთხილე და კეთილგონიერება“.

ამ მისალმებაზე გლეხებმა უპასუხეს იმ ტანჯვა-წვალებათა ჩამოთვლით, რაც მათ უკანასკნელ წლებში განიცადეს. გლეხთა მოთხრობილი საშინელ სურათს წარმოადგენდა, თვით კრიმ გირეი გაკვირვებული იყო, აჩერებდა ორატორებს და ეკითხებოდა—ნუ თუ ყველაფერი ეს სიმართლეაო. მაგრამ გლეხები არ კმაყოფილდებოდენ მხოლოდ გაჭირვებათა ჩამოთვლით, ისინი აყენებდენ აგრეთვე ისეთ მოთხოვნილებებსაც, რაც ჩვეულებრივ ფარგლებს სცილდებოდა, რაც სოცდემ. მუშათა პარტიის პროგრამა-მინიმუმში შედიოდა. თითეული მუხლი ასეთი მოთხოვნილებისა დასაბუთებული იყო: რატომ უნდა მოხდეს ყველას გათანასწორება, ე. ი. მოსპობილ იქნას წოდება; რადაა საჭირო სიტყვისა და წვრის თავისუფლება, რისთვის უნდა იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება, რად უნდა გამოეყოს ეკლესია სახელმწიფოს,—ყოველივე ამას ყოველ სოფელში თითეული გლეხი საკმაოდ ასაბუთებდა, ზოგჯერ კი ზოგიერთ სოფელში გლეხები კრიმ გირეის გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდენ. სხვათა შორის, ერთ სოფელში მას ასე უპასუხეს: „თუ თქვენ იმისათვის მობრძანდით გურიაში, რომ აქ იპოვოთ რაღაც არაჩვეულებრივი ისეთი რამ, რაც არსად რუსეთში ან სხვაგან არ გინახავთ და არ გსმენიათ, დიდათ შესცდებოდით. არაფერი არაჩვეულებრივი ჩვენში არ მომხდარა. ჩვენში ისეთი ამბები ხდება, რაც ყველგან რუსეთში. ჩვენი მოთხოვნილება გამოიხატება სამ სიტყვაში: ჩვენ გვინდა პური, მართლმსაჯულება და თავისუფლება. ჩვენ არც ერთი ეს არა გვაქვს“.

ამნაირათ გლეხი აღწერდა რა თავის მდგომარეობას, ამბობდა: „როდესაც დავწვები, ჩემს მიწაზე თავი მიდევს, ფეხები კი სხვის მიწაზეო“. ამით გარკვევით იყო ნათქვამი, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, რომ გლეხობის უმრავლესობას არა თუ ცოტა აქვს მიწა, არამედ—ზოგიერთებს სრულიადაც არ აქვთო.

ერთ-ერთ სოფელში კრიმ-გირეის ერთმა გლეხმა შემდეგის სიტყვებით მიმართა: „თქვენ გვითხარით, რომ ბევრი გითმენიათ და კიდევ მოითმინეთო, მაგრამ ჩვენ მეტი მოთმენა აღარ შეგიძლია“. ჩვენი მთავრობისაგან კარგს არაფერს მოველით, განა თქვენ ჩვენზე უკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესად არ მოგეხსენებათ, რომ ერთი დიდი კაცი, (ლაპარაკია მეფეზე) მხოლოდ თავისი სურვილებისამერ მართავს ქვეყანას, ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევს და მოქმედობს ჩვენს მტრებთან ერთად. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ჩვენი მოთხოვნილების ასრულება მოასწავებს ახლანდელი წყობილების დანგრევას. ჩვენ ახლა პასუხს მოვითხოვთ იმ დიდი კაცისაგან. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენი მოსყიდვა, ან დაშინება შესაძლებელი იყოს".

მოისმინა რა ყველაფერი ეს, კრიმ-გირეი თავის ნაწერებში ამბობს: „იმათ ვერ დააკმაყოფილებს არა თუ ჩვენი კონსტიტუცია, არამედ—საფრანგეთის რესპუბლიკა". და მართლაც, მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო. ამ აზრით დაბრუნდა კრიმ-გირეი ტფილისში. ალიხანოვის ჯარი კი შევიდა ოზურგეთში, მაგრამ საომარი მოქმედებისთვის არ მიუცია ხელი.

ერთსა და იმავე დროს ეს მოძრაობა გურიიდან გადადის სხვა მაზრებში. უნდა აღინიშნოს, ამხანაგებო, რომ მთავრობამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა გურიაში კრიმ-გირეი გაგზავნა. რად? იმიტომ, რომ რასაც იქ ლაპარაკობდენ კრებებზე, სტენოგრაფიულად იწერებოდა და იბეჭდებოდა ყველა გაზეთებში. ამნაირად, ის ვრცელდებოდა მთელს საქართველოში. გლეხებიც სხვა მაზრებში ამბობდენ, როცა ეკითხებოდენ რა გინდათო—ის, რაც გურულებს უნდათო და ჩამოთვლიდენ ყველა იმ მოთხოვნილებებს, რასაც აყენებდა გურიის გლეხობა. უკვე 1905 წლის დასაწყისში, როგორც მოგახსენეთ, მოძრაობა გადადის სხვა მაზრებში, მასთან ერთად ტფილისის გუბერნიაშიც. ოფიციალური ცნობა გვაუწყებს, რომ მარტიდან დაწყებული გლეხთა მოძრაობა დღითი-დღე მწვავდება. (ის ეხება გორის მაზრას). სოფლის მოხელე პირთ არ ძალუძთ მოძრაობის წინააღმდეგ გამკლავება. გლეხები ანადგურებენ სასოფლო კანცელარიებს, ფოსტა არ მუშაობს, გლეხები მოითხოვენ, რომ მემამულეებმა დასტოვონ თავიანთი სახლ-კარი, გადასახადს არ იხდიან მიწაზე, და საერთოდ უარს ამბობენ ყოველგვარი გადასახადის გადახდაზე. და ბოლოს ამბობენ, რომ ეს არ არის ეკონომიური, არამედ—ის ღებულობს პოლიტიკურ ხასიათსო. გორის მაზრაშიაც გაგზავნილ იქნა მეორე მოხელე, მეფის მოადგილის კანცელარიას მოსამსახურე, მაგრამ არა ნამდვილი მოხელე, არამედ—ცნობილი სწავლული ვეიდენბაუმი. ისიც სრულიად უწყინარი კაცი. რა ირკვევა? ოფიციალურ მოხსენებაში ის ამბობს: „ყველა რაიონებში მოწვეულ იქნა სასოფლო ყრილობები. გლეხების საუბრიდან მე გამოვიტანე ის დასკვნა, რომ ახლანდელი სულიერი განწყობილება გორის მაზრის მცხოვრებთა, ჩემის ღრმა რწმენით, აგიტატორების გავლენის ნაყოფია და სხ.". ამით მას სურდა გლეხთა რამდენიმეთ თავის მხარეზე გადაყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ასეთი იყო, ამბანაგებო, მდგომარეობა. ასეთია საერთო სურათი. განსაკუთრებული რამ გორის მაზრაში არაფერი ყოფილა. ასეთსავე სურათს ვხედავთ ჩვენ დანარჩენ მაზრებშიაც. არ იფიქროთ, რომ მთავრობა მაინც ასეთსავე მდგომარეობაში დარჩა, რომ მას არ მიუმართავს რეპრესიულ ზომებისათვის. იმ ხანებშივე გლეხებსა და მთავრობის მოხელეთა შორის ბრძოლა იყო გაჩაღებული. ამის დასამტკიცებლად მე მოვიყვან ერთს შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დუშეთის მაზრის სოფ. მჭადის ჯვარში. იქ გლეხებმა უარი უთხრეს მემამულეს საიჯარო გადასახადის მიცემაზე. მაზრის უფროსმა ამის გამო განკარგულები გასცა 3 გლეხის დაპატიმრებისა, რომელთაც ის მოძრაობის წამქეზებლებათ თვლიდა. შეიკრიბნენ გლეხები მრავლათ და დაპატიმრებული გლეხები გაანთავისულეს. ამის გამო იქ გაიზავნა ერთი როტა ჯარისკაცები და ყაზახები. გლეხებს ძალით ახდევინებენ საიჯარო გადასახადს. მეორე დღეს გლეხები მიდიან მემამულე მუხრანსკისთან და ძალათ ართმევენ ფულს. ამ ნიადაგზე მოხდა შეტაკება, მოკლულ იქნა რამდენიმე ათეული გლეხი. ეს არ ყოფილა არაჩვეულებრივი ფაქტი. ამგვარსავე ფაქტებს ადგილი ჰქონდა ბევრ სხვა ადგილებშიაც, მაგრამ გლეხები მაინც იცავდენ თავიანთ უფლებებს, ისინი ებრძოდენ ადმინისტრაციას, მემამულეებს და უნდა ითქვას, რომ მოქმედებდენ მეტად ენერგიულად. მიუხედავად რეპრესიებისა, დევნისა და მკვლელობისა, ისინი მაინც ატარებდენ ცხოვრებაში თავიანთ მოთხოვნებს.

ასეთია საერთო სურათი საქართველოში. რა ხდებოდა ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში? ყველაზე მეტად ჩვენ აქ გვაინტერესებს ბაქო. ჩვენ ვიცით, რომ 1905 წლის დასაწყისში ბაქოში მოეწყო მუშათა ისეთი დიდი გაფიცვა, რომელიც საერთო შეტაკებათ კინღალამ გადაიქცა, ზოგიერთ ალაგას კი—ეს გაფიცვა გადაიქცა შეიარაღებულ შეტაკებათ. მუშები ამ გაფიცვებიდან მაინც გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

შემდეგშიაც ბაქოს პროლეტარიატს მოწინავეობა უნდა გაეწია რევოლიუციონურ მოძრაობაში. ეს კარგათ იცოდა მთავრობამ. მთავრობის მიზანი იყო ბაქოს პროლეტარიატში რევოლიუციონური მოძრაობის შესუსტება. რა საშუალებებით? ერთად ერთი საშუალება, რომელიც მთავრობას მოეპოვებოდა, ეს იყო პროვოკაციის მოწყობა სომხებსა და თათრებს შორის. სომეხ-თათართა შეტაკების ნიადაგი დიდი ხნიდან იყო მომზადებული. მთავრობამ ისარგებლა ერთის მხრით თათრის მასათა სიბნელით, შეუგნებლობით, მეორეს მხრით დაშნაკცუტიუნის პარტიის ნაციონალისტური აგიტაციით და ასე, წაჰკიდა ერთმანეთს ორი ერი. და ეს იმ დროს, როდესაც რევოლიუციონური მოძრაობა ვითარდება მთელს დასავლეთ ამიერ-კავკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიაში, ამ დროს ბაქოში, რევოლიუციონური მოძრაობის ამ ცენტრში, იწყება სომეხ-თათართა ჟლეტა. ეს მოვლენა თავისი შედეგებით ისეთი საშინელება იყო რევოლიუციისათვის, რომ აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის, როგორც ერთი შემაფერხებელი მიზეზთაგანი რევოლიუციისა. ბაქოში და საერთოდ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში რამდენიმე დღე გაგრძელდა ეს სისხლის ღვრა, რამაც შეაჩერა რევოლიუციონური მოძრაობა. მუშათა კლასს უკვე აღარ ახსოვდა თავისი მოვალეობა რევოლიუციონური მოძრაობის მიმართ. მთელი თავისი ძალღონე მუშათა კლასმა იმას მოახმარა, რომ შეეჩერებია ეს ჟლეტა. ნამდვილათ მთავრობას არა თუ არ მიუღია არავითარი ზომები, არამედ— არც შეეძლო რაიმე ზომების მიღება და მთელი სიმძიმე სომეხ-თათართა ჟლეტისა, მისი ჩაქრობა მუშათა კლასს, განსაკუთრებით სოც.-დემ. პარტიას დაატყდა თავს. ჟლეტა თუმცა შეწყვეტილ იქნა, მაგრამ თვით ფაქტი აღიბეჭდა მეხსიერებაში. სომეხ-თათართა შეტაკება მოედო სხვა, სომხებითა და თათრებით დასახლებულ ქალაქებს. ასე რომ, ამ მოვლენამ, ამხანაგებო, დიდათ შეუწყო ხელი რევოლიუციონური მოძრაობის შესუსტებას თვით მთავარ ცენტრში—ბაქოში, რაც, ცხადია, გავლენას ახდენდა დასავლეთ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ მოძრაობაზე. მე თქვენ გელაპარაკე იმის შესახებ, თუ როგორი აღელვება იყო მაშინ საზოგადოებაში. გლეხობისა და მუშათა კლასის გარდა საზოგადოების ყველა ფენები იყვნენ ჩათრეული მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლაში. მემამულეთა და კაპიტალისტების მცირე ჯგუფის გარდა საზოგადოების ყველა ფენები, თვით დაბალი, ჩამორჩენილი ფენები, მეტად იყვნენ აღშფოთებული არსებული წყობილების წინააღმდეგ, უმთავრესად ღელავდა საშუალო სკოლათა მოსწავლე ახალგაზრდობა. ამ ხანებში ჩატარებული ყოველგვარი კრებები დიდის აღფრთოვანებით მიმდინარეობდა და თუ ვინმე გაბედავდა იმის წინადადებით გამოსვლას, რომ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ რეპრესიებისათვის მიემართათ, ასეთ პირს უეჭველად სასაცილოდ აიღებდნენ. ასეთი გაბედული პირები ითიქმის არც კი გამოჩენილან, ყველა კლასები ასე თუ ისე განმათავისუფლებელ მოძრაობას თანაუგრძნობდა. აი, ეს არის, ამხანაგებო, ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი მომენტი, ასეთი მომენტი არც მანამდე, არც შემდეგ, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა. მე ვლაპარაკობ აქ ამიერ-კავკასიაზე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. არ შეიძლებოდა მუშებისა და გლეხების ასეთ აღელვებულ მდგომარეობაში გაჩერება. მოძრაობის სათავეში მყოფთ უნდა გაერკვიათ, თუ რა უნდა გაეკეთებიათ შემდეგში. განეგრძოთ ამ სახით გაფიცვები, დემონსტრაციები, კრებები და როდემდის? აი აქ გამოირკვა, რომ ამ მხრით ჩვენში მდგომარეობა ცუდათაა. მე თქვენ მოგახსენე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ 1905 წლამდე სოციალ-დემოკრატია კავკასიაში მხარს უჭერდა ძველ „ისკრა“-ს და ლენინს, მაგრამ 1905 წლის შემდეგ ხდება უეცარი ცვლილება. სოც.-დემ. სათავეში მყოფნი თავს აცხადებენ მენშევიკებათ და აი, ამასთან ერთად იწყება ტაქტიკის შეცვლა რევოლიუციონურ მოძრაობისათვის.

რას გვეუბნებოდა მენშევიკების ტაქტიკა? ის გვეუბნებოდა, რომ რევოლიუციონურ მოძრაობაში უმთავრესად დაინტერესებულია ბურჟუაზია, რომელმაც უნდა აწარმოვოს რევოლიუციაო. მეორეც ის, რომ სოც.-დემ. სრულიადაც არ უნდა გამოიმუშაოს ამ მოძრაობის გეგმა, ის უნდა მოქმედებდეს სტიქიურად, როგორც თვით რევოლიუციონური მოძრაობა სწარმოებსო. ჩვენში კი რევოლიუციონური ბურჟუაზია, ეგრეთ წოდებული რადიკალური და ლიბერალური ბურჟუაზია, არ ყოფილა. თუ ასეთი ბურჟუაზია იმ ხანებში რუსეთში მოიპოვებოდა, ჩვენში, კავკასიაში, კერძოთ საქართველოში, არ ყოფილა, არსად ის არ გამოჩენილა. ლიბერალურ ბურჟუაზიას არსად თავისი სახე არ გამოუჩენია და ასე, მას არ შეეძლო ხელმძღვანელობის გაწევა საჭიროც რომ ყოფილიყო ეს. მეორეს მხრით მენშევიკები სრულიადაც არ ფიქრობდნენ რაიმე გეგმის გამომუშავებაზე მომავალი რევოლიუციონური მოძრაობისათვის. ერთად ერთი ფორმულა, რომლის ცხოვრებაში გატარებას ისინი მხარს უჭერდენ, ეს იყო რევოლიუციონური თვითმართველობა. ისინი ამტკიცებდენ, რომ ქალაქის თვითმართველობათა ხელში ჩაგდებით პროლეტარიატი თანდათანობით ხელს შეუწყობს ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგო, მაგრამ არავის წარმოდგენილიც კი არ ჰქონდა, თუ რა ფორმის უნდა ყოფილიყო ასეთი რევოლიუციონური თვითმართველობა. ასეთი თვითმართველობა ხომ მოიპოვებოდა ზოგიერთ ადგილებში მაგ. გურიაში და სხვა ადგილებში, სადაც ხალხი თვით მართავდა თავის თავს, მაგრამ ამით თვითმპყრობელობის ჩამოგდების საკითხი სრულიად არ წყდებოდა, რადგანაც თვითმპყრობელობას შეეძლო, როცა მოისურვებდა, იერიში მიეტანა ამ ორგანიზაციაზე და გაენადგურებია ის. და თუ დროებით ის თავს იცერდა ასეთი მოქმედებისაგან, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ამისი განგრძობა კიდევ შესაძლებელი იქნებოდა. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით, ასეთი ტაქტიკის წარმოებით შეიძლება აიხსნას ტფილისში მომხდარი სისხლის ღვრა აგვისტოს 29-ს. მენშევიკები, რომლებიც ხელმძღვანელობდენ 29 აგვისტოს გამართულ მიტინგს და რომლებიც გაბატონებულნი იყვნენ ტფილისის ორგანიზაციაში, იმედოვნებდენ, რომ საკმაოა შევიდეთ ქალაქის თვითმართველობაში, გავმართოთ იქ მიტინგი, წარმოვსთქვათ სიტყვები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და საქმე ამით გათავდებაო. სხვაფრივ ფიქრობდა მთავრობა. მუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომაში იქნენ შეყვანილი და ყველა ის მოქალაქენი, რომელთაც მოუწოდებდენ ქალაქის თვითმართველობაში, ცხადია, მოტყუილებულნი იყვნენ, რადგანაც ისინი სრულიადაც არ ფიქრობდენ რაიმე წინააღმდეგობის გაწევაზე. მეორეს მხრით მთავრობა ფიქრობდა, რომ ქალაქის თვითმართველობაში შეკრებილი ხალხი წინააღმდეგობას გასწევსო. აი, ამხანაგებო, ამ ნიადაგზე, ამ უბედურ გაუგებრობაზე აშენდა ერთი უსაშინელესი ტრაღედია, რაც კი ახსოვს რევოლიუციონურ მოძრაობას. სრულიად უაზრო ტრაღედია, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. ბევრი სისხლი დაღვარა, ხალხს სჩეხავდენ და როგორ ფიქრობთ—ვის სდებდენ ბრალს ამაში მენშევიკები? მომხდარი სისხლის ღვრის გამო მენშევიკების მიერ გამოკეკეულ პროკლამაციაში ასეთი ლოზუნგი იყო: „ძირს მშიშარა ლიბერალებიო“. თითქოს, ვერმიშევის ნაცვლად რომ ქალაქის თვითმართველობაში ვინმე სხვა ლიბერალი ყოფილიყო, რომელიც იქიდან არ გაიქცეოდა, არ მოხდებოდა ის ტრაღედია, რაც მოხდა. რა შეიძლებოდა მომხდარიყო უკეთეს შემთხვევაში: შეიძლებოდა ვერმიშევის იქვე მოკვლა. სხვა არაფერი არ მოხდებოდა. მენშევიკების წარმოდგენით კი ბრალი ედებოდა სწორედ მშიშარა ლიბერალებს. მენშევიკების ლოზუნგი, ვიმეორებ, იყო: „ძირს მშიშარა ლიბერალები“. ამ დროს აშკარავდება კრიზისი. ყველასათვის საგრძნობი გახდა, რომ რაღაც გვაკლია. 29 აგვისტოს შემდეგ რაღაც დაფანტულობა გამოსჩენოდა. „რა ვაკეთოთ“. თითქოს მომხდარი ფაქტი გამომაფხიზლებლათ იმოქმედებდა მენშევიკებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. მათი ტაქტიკა ერთ ადგილზე გაჩერებისა, გაგრძელდა ამის შემდეგაც. ხელ-ახლა დადგა საკითხი—როგორ მოვიქცეთ შემდეგში: ახალი გაფიცვების მოწყობა, თუ სხვა რამ. ცხადია, მენშევიკებმა 29 აგვისტოს სისხლის ღვრას უპასუხეს არა მარტო პროკლამაციების გამოცემით, რომელთა შესახებ ვილაპარაკეთ, არამედ—ტერორისტულათ აქტებით, რაც მიმართული იყო კაზაკების წინააღმდეგ. რამდენრიმე ყუმბარა იქნა გადასროლილი ყაზახთა ყაზარმაში. მაგრამ, ცხადია, ამით საქმის გამოსწორება არ შეიძლებოდა. მენშევიკები მართალია, შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ხშირად მიმართავდენ ტერორისტულ აქტებს, თუმცა ოფიციალურად ტერორს უარყოფდენ. ასეთი არეგ-დარეგის, დაბნეულობის, რაღაცას მოლოდინში, რაც არავინ იცოდა რა სახეს მიიღებდა, იწყება საყოველთაო გაფიცვა. ეს იყო ოქტომბრის დასაწყისში.

გაფიცვა დაიწყო მოსკოვში. პირველად იქ იყო კერძო ხასიათის გაფიცვა, რომელიც თანდათან გაიზარდა და ოქტომბრის შუა რიცხვებში გადაიქცა საყოველთაო გაფიცვად. ეს უმაგალითო გაფიცვაა მთელ ისტორიაში. ამ დრომდე ხდებოდა კერძო ხასიათის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფიცვები, ეს გაფიცვა კი იყო საყოველთაო მთელი რუსეთის მასშტაბით ჩატარებული. მაგრამ უნდა ითქვას, აშინაგებო, რომ ეს საყოველთაო გაფიცვა აღმოცენდა სტიქიურად, მოუმზადებლათ, უგეგმოთ. საქმე უბრალოთ გადაწყდა—საჭიროა გაფიცვა, მოთხოვნების წამოყენება დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, შემდეგ კი,—როგორ ჩატარდეს ეს გაფიცვა, ამის შესახებ არავითარი დარიგება, არავითარი დირექტივები არც ერთი პარტიისაგან არ ყოფილა. როგორც შემდეგ გამოირკვა, თვით მოსკოვის მუშები ფიქრობდენ ამ გაფიცვის შეიარაღებულ აჯანყებათ გადაქცევას და შეიძლება ეს გაფიცვა შეიარაღებულ აჯანყებათაც გადაქცეულიყო, მაგრამ საქმე ამ ზომამდე არ მისულა. იქონიეთ მხედველობაში, რომ თვითმპყრობელობა ინგრეოდა, მაშასადამე, ბევრი იყო იმის მომხრე, რომ გაფიცვის წინააღმდეგ რეპრესიული ზომებისთვის მიემართათ. ე. ი. ჩაექროთ ის შეიარაღებული ძალით. მეორეს მხრით, ცნობილი ვიტეს მეთაურობით იყვნენ იმის მომხრენიც, რომ დაეთმოთ. როგორც იცით, გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა მიმდინარეობამ. მინისტრ ვიტეს მოხსენების თანახმად 17 ოქტომბერს მეფემ გამოსცა მანიფესტი.

უნდა მოგახსენოთ, რომ 9 იანვრიდან მეფის მთავრობა დათმობის გზას დაადგა. მაგრამ ეს დათმობა იყო უმნიშვნელო, რომელსაც არ ჰქონია არავითარი არსებითი მნიშვნელობა აჯანყებული ხალხისთვის. როგორც იცით, თებერვალში მეფემ მიანდო მინისტრ ბულიგინს შეედგინა კომისია სახელმწიფო სათათბიროს მოსაწვევე კანონის გამოსამუშავებლათ. ასეთი კანონი მართლაც გამოცემულ იქნა 6 აგვისტოს სათათბირო ორგანოს შესახებ, რომელსაც არ ჰქონდა მინიჭებული არავითარი საკანონმდებლო ფუნქცია. თვითმპყრობელობა, როგორც ამბობდენ, რჩებოდა სრულიად შეურყეველი. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ დათმობას არავისი დაკმაყოფილება არ შეეძლო, თუმცა უნდა ითქვას, რომ მენშევიკებმა ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, გადასწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო სათათბიროში.

და აი, მეფე მიდის დათმობაზე, სცემს 17 ოქტობერს მანიფესტს, სადაც ნათქვამია, რომ ამიერიდან მართლაც მყარდება პიროვნების ხელუხლებლობა, კრების თავისუფლება და სხ. და ამასთან ვერავითარი კანონი სახელმწიფო სათათბიროს დაუდასტურებლათ ძალაში ვერ შევალ. ამით 6 აგვისტოს კანონი უქმდებოდა. ასე რევოლუციონურმა მოძრაობამ მიაღწია უმაღლეს წერტილს, რადგანაც, რევოლიუციონური მოძრაობის მიზანი იყო თვითმპყრობელური წყობილების დანგრევა, ელემენტარული თავისუფლების დამყარება, თუ გინდ შეკვეცილი პარლამენტარიზმის სახით, რომელსაც იძლეოდა 17 ოქტომბრის მანიფესტი. ეს რამდენიმეთ საფუძველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლეოდა რევოლიუციონური მოძრაობის გასავითარებლათ. მაგრამ როგორ ფიქრობთ,— ნუ თუ თვითმპყრობელობა ფიქრობდა ამ მანიფესტის განხორციელებაზე? მას არ უფიქრია ამაზე. როგორც კი გამოცემულ იქნა მანიფესტი, იმ წამსვე გაიცა განკარგულება, რომ მანიფესტის განხორციელება შეეფერხებიათ, არ მიეცათ ნება შავრაზმელი დემონსტრაციების საპასუხოთ მოეხდინათ მუშათა რევოლიუციონური დემონსტრაციები. აი, ეს იყო თვითმპყრობელი მთავრობის ცბიერობა. მას სურდა საზოგადოების ერთი ნაწილის, (ლიბერალური ბურჟუაზია), რომელიც პროლეტარიატის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, თავის მხარეზე გადაყვანა, მეორეს მხრით მას სურდა დროს მოგება, რადგანაც მთავრობა იმ ხანებში კრიტიკულ მომენტში იმყოფებოდა; ერთი სიტყვით, მოკლედ რომ ვსთქვათ, მას სურდა რევოლიუციონური ხალხის მოტყუილება. ამ მხრით თავისი განზრახვა მთავრობამ სისრულეში მოიყვანა, რაც აიხსნება რევოლიუციონური ორგანიზაციების სისუსტით, მოუწყობლობით, რომ ეს ორგანიზაციები ვერ უწევდენ სათანადო ხელმძღვანელობას რევოლიუციონურ მოძრაობას.

ამ მანიფესტის ცხოვრებაში განსახორციელებლათ საჭირო იყო ყველა მოხელეთა შეცვლა, რათა ასე რევოლიუციისათვის შექმნილიყო მაგარი დასაყრდნობი, სხვაფრივ ეს მანიფესტი ჰაერში გამოკიდებული რჩებოდა. გამოცემული მანიფესტი ცხოვრებაში უნდა გაეტარებია იმავ მოხელეებს, რომლებიც ემსახურებოდენ თვითმპყრობელობას. ამ მოხელეთა ხელში იყო მთელი სამხედრო ძალა-უფლება.

იმ ხანებში ჯარში საკმაოდ ძლიერი იყო მოძრაობა, რევოლიუციონურ გამოსვლებსაც ჰქონდა ადგილი — საკმაოა აქ „პოტიომკინ"-ის მეზღვაურთა გამოსვლა მოვიხსენიოთ ნათქვამის დასასურათებლათ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯარი საერთო რევოლიუციონური მოძრაობის გარეშე რჩებოდა და მის გამოსვლებს სრულიად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. საერთო კავშირი მუშათა მოძრაობასა და ჯარებს შორის არ ყოფილა. ჯარები მთავრობის განკარგულებაში იმყოფებოდენ.

ამნაირად, მანიფესტით თითქოს ყველაფერი იყო მოცემული, მაგრამ თვითმპყრობელობა მაინც თავის ალაგას რჩებოდა, არსებითად არაფერი არ ყოფილა მოცემული. საჭირო იყო ამ მომენტში რევოლიუციონურ ორგანიზაციებს ხელი მოეკიდათ მაგარი ხელისუფლების შექმნისათვის, რათა ასე ცხოვრებაში გატარებულიყო მანიფესტით დაპირებული თავისუფლებანი. ამისათვის არ იყო საკმარისი მხოლოდ რევოლიუციონური თვითმართველობა. საიმედო მხარის დაჭერის გარეშე მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც აღმოცენდა სწორედ საყოველთაო გაფიცვების დროს, ჰაერში გამოკიდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩებოდა, თუნდაც პროლეტარიატის უდიდესი ნდობით სარგებლობდა. საბჭო ვიტეს მთავრობის გვერდით დროებით მთავრობას წარმოადგენდა. მაგრამ თვითმპყრობელობა საბჭოს ითმენდა, ამასთანავე ემზადებოდა მის მოსასპობად, ადგენდა საამისო გეგმებს და ამ შემთხვევაში, მთავრობა თავისი თვალსაზრისით მოქმედებდა სწორად.

მთავრობას მოეპოვებოდა ცენტრი, საიდანაც ის იძლეოდა განკარგულებებს, დირექტივებს, რევოლიუციას კი ასეთი ცენტრი არ გააჩნდა. ამ ხნის განმავლობაში მაინც ვერ მოხერხდა ასეთი ცენტრის შექმნა. ამის მიზეზად ჩაითვლება ხელმძღვანელის არ ყოლა. რატომ არ იყო არც ერთი ხელმძღვანელი? იმიტომ, რომ ხელმძღვანელის როლში გამოდიოდა რამოდენიმე პარტია—ერთი მხრით მენშევიკური, მეორეს მხრით ბოლშევიკური, შემდეგ სოციალისტ-რევოლიუციონერების. ამას მე ვამბობ რუსეთის შესახებ. ჩვენში სოციალისტ-რევოლიუციონერები არ ყოფილან. და თითეული პარტია თავისებურათ მოქმედებდა. პეტერბურგის საბჭო მენშევიკური ორგანიზაციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. და აი, ყველაზე კრიტიკულ მომენტში არ ყოფილა მიღებული შესაფერი ზომები, არ მოუხდენიათ საჭირო განკარგულებანი. ყველა ენდობოდა სათავეში მყოფ ორგანიზაციას—მენშევიკურ ორგანიზაციას, სწამდათ გაფიცვების სასწაულ მომქმედი ძალა. მაგრამ გაფიცვებმა თავისი გაიკეთეს. რაც შეეძლოთ მიეცათ გაფიცვებს, უკვე მისცეს. ამის შემდეგ გაფიცვებს არაფრის მოცემა არ შეეძლოთ. ასეთი მოქმედებით წათამამებული მთავრობა შეტევაზე გადავიდა. ჯერ დაანატიმრეს პეტერბურგის საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტის სრული შემადგენლობა. აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა მანიფესტი, მაგრამ ვის უნდა გაეტარებია ის ცხოვრებაში? ვის უნდა დაყრდნობოდა აღმასკომი? ისეთი ორგანიზაცია, ისეთი ძალა, რომელზედაც შეეძლო დაყრდნობა აღმასკომს,—არ იყო.

აქ მდგომარეობა კიდევ უარესი იყო იმიტომ, რომ მენშევიკები ატარებდენ განსაზღვრულ ხაზს, სახელდობრ, უწევდენ პასიურ წინააღმდეგობას, არ ფიქრობდენ შეიარაღებულ გამოსვლებზე.

რას ფიქრობდა გურიის ორგანიზაცია მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა მანიფესტი? (სხვათა შორის აქ მე არაფერი მითქვამს ეგრეთ წოდებულ ნასაკირალის თავდასხმის შესახებ, რომელიც მოხდა გურიაში ოქტომბრის დღეებში). ეს ორგანიზაცია ამბობდა, რომ რუსეთში უკვე შემოღებულია 17 ოქტომბრის მანიფესტზე დამყარებული კანონი. ახლა უნდა განხორციელებულ იქნან თავისუფლებები. ჩვენ ვხსნით ბოიკოტს მთავრობის ყველა დაწესებულებათაგან და ვიწყებთ პარტიულ მუშაობას ლეგალურ ნიადაგზე. ჩვენ, ამბობდენ ისინი, დღემდე ვასრულებდით მთავრობის როლს, ეს არ შეჰფერის პარტიას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა უარვყოთ ეს, ახლა ჩვენ ოპოზიციაში უნდა ჩავუდგეთ მთავრობას, რომ არ დავკარგოთ ხალხში ნდობა, თუ კი მთავრობა განახორციელებს ხსენებულ მანიფესტსო. საიდან იცოდენ მათ, რომ მთავრობა ანხორციელებდა მანიფესტს? ამ მანიფესტის გამოცემის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა იმიტომ, რომ იმ წამსვე დაიწყო მთავრობის მიერ მოწყობილი „პოგრომები", ისე როგორც ჩვენში შავრაზმელმა პატროიტებმა მოაწყვეს „პოგრომები". ამნაირათ, არავითარი საფუძველი არ ჰქონია გურიის სოც. დემ. კომიტეტს დაეჯერებია, რომ მთავრობას სურდა 17 ოქტომბრის განხორციელება. მიუხედავათ ამისა კომიტეტი აცხადებს: „ამ დღიდან ჩვენ ვხსნით ბოიკოტს მთავრობას, მთავრობას უბრუნდება თავისი კანონიერი ძალა, ჩვენ კი კრიტიკას გაუწევთ ამ მთავრობასო. ასევე მოიქცენ მენშევიკები ნაძალადევში 4 დეკემბრის კრებაზე, როცა მთავრობა შეტევაზე გადავიდა პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამ კრებაზე მენშევიკებს გამოაქვთ რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ამიერიდან შეგვიძლია მოვაწყოთ რევოლიუციონური თვითმართველობა, დავაყენოთ ჩვენი განკარგულების ქვეშ ჯარი, პოლიცია და ჩვენი ნება-სურვილი ვუკარნახოთ ცენტრალურ მთავრობასო.

ეს იყო თავის მოტყუილება, რადგანაც არავითარ თვითმართველობას არ შეეძლო არაფრის კარნახი, ვინაიდან მთავრობას შეეძლო გაენადგურებია ასეთი თვითმართველობა, როდესაც კი მოისურვებდა. ბოლო ახლოვდებოდა, რადგანაც რევოლიუციონური ძალები აღმოჩნდენ მეტად დასუსტებულნი და დაშლილნი.

როგორც მოგახსენეთ, არ ყოფილა ერთი ცენტრი, საიდანაც შეიძლებოდა დირექტივების გამოცემა. პროლეტარიატმა მიიღო ომი, მაგრამ ის გამოვიდა ამ ომში უორგანიზაციოდ. ვლეხთა მოძრაობა თავისი გზით მიდიოდა, მუშათა მოძრაობა—თავისი გზით. ჯარის კაცთა მოძრაობასაც აგრეთვე არ ჰქონია არავითარი კავშირი მუშათა მოძრაობასთან. თავის თავად ცხადია, ასეთ პირობებში გამარჯვების ყოველივე შანსი თვითმპყრობელობის მხარეზე იყო.

ამიერ-კავკასია იმ ხანებში, როგორც მოგეხსენებათ და როგორც მე ვსთქვი, იმყოფებოდა ერთი, მენშევიკების ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. აქ იყვნენ: როგორც მოგახსენეთ, ბოლშევიკური ორგანიზაცია, იყვნენ სხვა პარტიებიც. მაგრამ მთავარ როლს ასრულებდენ მენშევიკები. აქ არ შემდგარა მუშათა დეპუტატების საბჭო, თუმცა ბოლშევიკები წინადადებას იძლეოდენ ასეთი საბჭოების შესადგენათ. მენშევიკები თუმცა აღიარებდენ, რომ საბჭოები მათი გამოგონილი იყო, მაგრამ მაინც არ ოანხმდებოდენ მის შედგენაზე. მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში ისეთი იყო, რომ რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუციის მხარეზე მეტად დიდი ძალები მოიპოვებოდა, მხოლოდ საჭირო იყო მათი გამოყენება.

იგივე გურიის ორგანიზაცია, რომელსაც გამოაქვს ასეთი დადგენილება, უკვე ნოემბერში აცხადებდა, რომ ხელისუფლების ფუნქციიზე ხელს იღებს და რჩება პარტიულ ორგანიზაციადო. ამასვე ურჩევდენ და თავის ძალებს სთავაზობდენ გურულები ქუთაისს, ბათუმს, სამტრედიას, ტფილისს. ასეთივე ძალები რევოლიუციას შეეძლო მიეღო სხვა მაზრებიდანაც, მაგრამ საქმე იმაშია, სათავეში ისეთი ორგანიზაციები იყო საჭირო, რომლებიც მოიხრე იქნებოდენ შეიარაღებული აჯანყების, მთავრობის ძალთა შეიარაღებული ძალითვე დანგრევის. მხოლოდ ასეთი საშვალებებით შეიძლებოდა გამარჯვება. მიუხედავათ იმისა, რომ საქმე მთავარ ცენტრში სწყდებოდა, ამიერკავკასიაში მაინც იყო ისეთი პირობები, როცა სწორი ტაქტიკითა და სტრატეგიით შეიძლებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ჩამოგდება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ვიმეორებ, ყველა ეს პირობები იყო, მაგრამ მით ვერ ისარგებლეს.

როდესაც მოსკოვში და პეტერბურგში დეკემბრის დასაწყისში გაისმა მოწოდება საყოველთაო გაფიცვისა, აქ ბოლშევიკების წინადადებით შედგენილ იქნა გაფიცვის ბიურო, რომელიც რამდენიმეთ ეწეოდა მუშათა დეპუტატების საბჭოს მაგიერობას, მაგრამ გადამწყვეტი როლის შესრულება მას ყოველ შემთხვევაში არ შეეძლო, მით უფრო, მენშევიკური ტაქტიკით. გაფიცვის ბიუროში შევიდნენ: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლიუციონერები, სოციალსტ-ფედერალისტები, ჰნჩაკისტები, დაშნაკცუტიუნი. უნდა ვსთქვათ, რომ ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში დაშნაკცუტიუნი ამ ბიუროდან გავიდა და მით დაამტკიცა, რომ ის სრულიადაც არ არის რევოლიუციონური პარტია.

საერთო გაფიცვა ჩვენში დაიწყო რკინის გზაზე 10 დეკემბერს. 12-ს დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. უნდა ითქვას, რომ გაფიცვა მიმდინარეობდა მეტად გონიერად, ე. ი. იმის გამო, რომ რევოლიუციონური ორგანიზაციის გეგმონიას აღირებდენ საზოგადოების ყველა ფენები, ისინი ყოველმხრით ხელს უწყობდენ, რომ გაფიცვას მიეღო საყოველთაო ხასიათი. ბაქოში გაფიცვა ჩაიშალა იმ განხეთქილების მიზეზით, რომელიც წარმოიშვა სომეხ-თათართა ქლეტის გამო.

15 დეკემბერს ადგილობრივი ადმინისტრაცია უკვე გადადის აშკარა შეტევაზე: ტფილისში ცხადდება სამხედრო წესები, ყველა ადგილებს იკავებენ ჯარის ნაწილები. რკინის გზასაც ჯარი იკავებს.

იქონიეთ მხედველობაში, რომ სანამ მთავრობა გადადგამდა ასეთ ნაბიჯს, ის დიდხანს არკვევდა ხაკითხს—მოქცეულიყო ასე თუ არა, რადგანაც ის ფიქრობდა, რომ რევოლიუციონური ორგანიზაცია აქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიურ წინაალმდეგობის გაწევას შესძლებდა. წარმოიდგინეთ, რომ სივური წინაალმდეგობის გაწევის მეტი მთავრობას არაფერი შეხვედრია. მისთვის არაფერს არ წარმოადგენდა სადგურის ჯარიანი დაკავება, სადაც იმყოფებოდა გაციცის ბიურო. მაგრამ რკინის გზის დასაკავებლათ მთავრობას დიდი ძალა სჭირდებოდა, რადგანაც მუშები მას ეწინააღმდეგებოდენ. მთავრობას დახმარება გაუწია პატრიოტულმა პარტიამ გოლოვაჩევსკის მეთაურობით. ეს პარტია აღუთქვამდა მთავრობას ყოველგვარ დახმარებას, მაგრამ დაბოლოს ესეც არ დარჩა საკმაო. უნდა ითქვას საერთოდ, რომ 15 დეკემბრიდან ტფილისში იწყება შავი რაზმის სრული ბატონობა. ხალხს იჭერდენ, სადღაც მიჰყავდათ, ჰკლავდენ. ჩვენ ვიცით, რომ 18 დეკემბერს ყაზახებმა მოჰკლეს 10 მუშა, რომელთაც აზრათ არ ჰქონიათ რაიმე თავდასხმის მოწყობა. როგორც მოგახსენეთ, მთავრობისთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა რკინის გზის დაკავება. განსაკუთრებით ეს ძნელი იყო დასავლეთ საქართველოში. გორიდან დაწყებული თითქმის ყოველი სადგურის დაკავება ძალით ხდებოდა. იქ მთავრობას წინააღმდეგობას უწევდენ, რადგანაც არ იცოდნენ, თუ რა ბედი ეწია რევოლუციას, არ იცოდენ ჯერ კიდევ, თუ რანაირი მდგომარეობა იყო ცენტრში, უმთავრესად რუსეთში; იცოდენ, რომ იქ ხდებოდა შეიარაღებული აჯანყება, მაგრამ არ იცოდენ, თუ რით დამთავრდა, ამ დროს კი რევოლიუციის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მაგრამ მიუხედავათ წინაალმდეგობისა, მთავრობა მაინც ახერხებდა დასავლეთ საქართველოსკენ წაწევას და იქ რევოლიუციონური მოძრაობის ლიკვიდაციას. დეკემბრის გასულს შეიძლებოდა თქმა, რომ რევოლიუცია დამარცხებული იყო, მაგრამ ნაწილობრივათ შეტაკებები ხდებოდა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. რევოლიუციის ლიკვიდაცია გაგრძელდა რამდენიმე წელს. ხდებოდა „პოგრომები“, განსაკოთრებით შურს ძიობდენ გლეხებზე, სწვავდენ ქალაქებს, სოფლებს, ხალხს აპატიმრებდენ, ხვრეტდენ, ასახლებდენ. საქმეები ირჩეოდა სამხედრო, საველე და სხ. სასამართლოებში. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა რამდენიმე წელს 1906 წლიდან დაწყებული 7, 8 და 1909 წელსაც კი. ამ ხნის განმავლობაში, დაწყებული 1903 წლიდან 1909 წლის პირველ ნახევრამდე მთელს ამერკავკასიაში ოფიციალური ცნობით სასამართლოში გაირჩა 8334 კაცის საქმე. ამას გარდა ადმინისტრატიული წესით ციხეში გატარდა 13 ათასი კაცი. უმთავრესად დაპატიმრება ხდებოდა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში. ტფილისის გუბერნიაში დაპატიმრებული იყო. 2931 კაცი, ქუთაისში—2164 კაცი, სულ 5994 კაცი ე. ი. 61% მეტი.

აქ არ არის ცნობა ბათუმის ოლქის შესახებ. დაისაჯა მეტ წილად ეს ორი გუბერნია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქ ცნობა გვაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ შესახებ, ვინც ასე თუ ისე დაისაჯა სასამართლოს ან ადმინისტრატიული წესით. დანარჩენნი, რომელთა საქმეც გაირჩა სამხედრო ან სამხედრო-საველე სასამართლოებში, ან საერთოდ მოკლულ იქნენ შეტაკების დროს, აქ არ არიან მოხსენებული. იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, შეტაკების დროს მსხვერპლი მცირე არ ყოფილა. თუ ვიმსჯელებთ ამ ცნობების თანახმად, ცხადია, შეუმოწმებლათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი 1000 ნაკლები არ იქნებოდა. დახვრეტილთა და ჩამოხრჩობილთა რაოდენობა ჩვენ არ ვიცით, ვიცით, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მთავრობას სიკვდილის განაჩენი ბლომათ გამოჰქონდა. ყველა ის ცნობები, რომელიც გაზეთებში იყო გამოქვეყნებული და რომელიც ეხებოდა მაშინდელ რუსეთს, მოკლეთ იყო 14 ან 15 ათასი. დახვრეტილი 1000 მეტი. დაჭრილი 20 ათასამდე მეტი და გადასახლებული 70 ათასამდე. არ ვიცი, ვგონებ, ამ რიცხვში არ შედიან ისინი, ვისზედაც მე აქ ვლაპარაკობ. იმ ცნობების თანახმად, რომელიც აქ მოგახსენეთ, სჩანს, თუ რა დაუჯდა მუშათა კლასს და გლეხობას რუსეთის რევოლიუცია. სწორედ ამიერკავკასიაში ეს მსხვერპლი მეტად დიდი იყო, დიდი მსხვერპლი გავიღეთ ჩვენ. მსურს კიდევ რამოდენიმე სიტყვა ვთქვა ამ პარტიებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ რევოლიუციონურ მოძრაობაში. როგორც ვსთქვი, რევოლიუციონური პარტიებიდან 1905 წლის დასაწყისიდან ჩვენში მოქმედებდა სოც.-დემოკრატია—ორ ნაწილად გაყოფილი, მაგრამ 1905 წლიდან ხელმძღვანელ როლს ასრულებს მეწმევიკური პარტია. სოც.-რევ. აქ არავითარ როლს არ თამაშობდენ, რადგანაც ეს პარტია მცირერიცხოვანი იყო და მისი მოღვაწეობა განისაზღვრებოდა მხოლოდ ტერორისტული აქტებით.

რაც შეეხება ქართველ ფედერალისტებს, ეს იყო წმინდა ქართული ნაციონალისტური პარტია, რომელსაც არავითარი საქმე არ ჰქონდა სოციალიზმთან. ეს პარტია მიზნად ისახავდა მხოლოდ ნაციონალისტურ იდეას, მოითხოვდა საქართველოს ავტონომიას. რევოლიუციონურ პერიოდში ამ პარტიამ მიიღო სოციალისტური ელფერი. რა თქმა უნდა, მხოლოდ გარეგნობით, არსებითად კი ის დარჩა მხოლოდ ლიბერალურ, წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიად.

. უნდა მოგახსენოთ, რომ სიტყვა ფედერალისტი იმ აზრით, როგორც მას ატარებდენ ქართველი ფედერალისტები, ითვლებოდა სალანძღავ სიტყვად. საკმაო იყო გეთქვათ, რომ ის „ფედერალისტი“-ო, ეს ნიშნავდა, რომ მას ლანძღავდენ. რევოლიუციონური აზრით ეს პარტია არავითარ როლს არ თამაშობდა. ის ეტმასნებოდა რევოლიუციონურ პარტიებს, რომ ასე შეეძინა ცოტაოდენი კაპიტალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშნაკცუტიუნის როლზე არ ვილაპარაკებთ. ამ პარტიის მუშაობა ყველასათვის ცნობილია. რევოლიუციონურ მოძრაობას ამ პარტიამ ცუდი სამსახური გაუწია, გაალვიეა რა ნაციონალისტური უთანხმოება 1905 წელს, ამით გამოიწვია მთავრობის მიერ უდანაშაულო სომხის ხალხთა დარბევა. კრიტიკულ მომენტში ეს პარტია სრულიად ჩამოშორდა რევოლიუციას, უარყო გაფიცვის კომიტეტში მონაწილეობა.

ლიბერალური პარტიები, ვიმეორებ, ჩვენში არ ყოფილა 1905 წლის რევოლიუციის ბოლომდე. თვალსაჩინო როლი ითამაშა ჩვენში პატრიოტულმა ორგანიზაციამ, ე. წ. „რუსი ხალხის კავშირმა"; ეს „კავშირი" მოეწყო 1905 წლამდე მისიონერთა ცნობილ ეკლესიაში, სადაც ბატონობდა დეკანოზი ვოსტორგოვი, 1905 წლიდან კი—მღვდელი გოროდცევი, რომელიც თავის გარშემო იკრებდა ყველა კონტრრევოლიუციონურ ელემენტებს და ნაძირალებს. ის ჩასჩიჩინებდა რუს მოხელეებს, რომ ეს რევოლიუციონური მოძრაობა არის „ინოროდცების,—ტუზემცების" მოძრაობა, მიმართული რუსების წინააღმდეგ და რამდენიმეთ მათ შესძლეს თავიანთ მხარეზე მუშათა შეუგნებელი ელემენტების მიმხრობა რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან. ვორონცოვ-დაშკოვის ჩამოსვლისთანავე, რომელიც მაისის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა, პატრიოტებმა მოაწყვეს სასახლის წინ მანიფესტაცია, მიართვეს მეფის მოადგილეს პეტიცია მეფისადმი. ცნობილი გოლიცინის შემდეგ ვორონცოვ-დაშკოვს თავი მოჰქონდა ლიბერალად. მან დანიშნა ქუთაისის გუბერნატორად უეჭველად არა თავის ფრის კაცი, რადიკალი სტაროსელსკი, რომელიც შემდეგ გახდა რევოლიუციონერი. მაგრამ სულითა და გულით ეს ვორონცოვ-დაშკოვი მაინც შავრაზმელი იყო. ეს გამოირკვა ტფილისში 22 ოქტომბერს გამართული პატრიოტული მანიფესტაციის შემდეგ. პატრიოტების ბრბო ქუჩაში გამოვიდა ამ დღეს და ასე ის დაუპირდაპირდა მუშათა დემონსტრაციებს. ვორონცოვ-დაშკოვმა ეს მანიფესტაცია მიიღო, მას მიესალმა. პატრიოტებმა თავიანთი ხულიგნურო მოქმედობით წინააღმდეგობა გამოიწვიეს, რადგანც ისინი ხალხს აიძულებდენ ქუდი მოეხადათ, ემღერათ „ბოეკ ცარია ხრანი" და სხ. ეს კი წმინდა წყლის პროვოკაცია იყო. და აი, გოლოვინის (ახლა რუსთაველის პრ.) მოხდა ერთი საშინელი „პოგრომთაგანი". გაელეტილ იქნა სრულიად უდანაშაულო ხალხი, დაანგრიეს სახლები. ეს მოიმოქმედეს იუნკრებმა, ოფიცრებმა და, ჩვენდა სამარცხვინოდ, მთავარ სახელოსნოების მუშათა ერთმა ნაწილმა. ეს მუშებივე დეკემბრის გაფიცვის დროს გამოყენებულ იქნენ მთავრობის მიერ გაფიცულთა წინააღმდეგ.

ზედმეტი არ იქნება ამგვარივე შავრაზმელი ქართული ორგანიზაციის შესახებაც ცოტა რამ ვთქვათ. ეს ორგანიზაცია დაარსდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის მაზრაში. მას სათავეში ჩაუდგა უმაღლეს სწავლა მიღებული აზნაური აბდუშელიშვილი. ამ ორგანიზაციამ მიზნად დაისახა მემამულეთა სახლ-კარის დაცვა გლეხთა განადგურებისაგან და გლეხი-რევოლიუციონერების და საერთოდ რევოლიუციონერების მოსპობა. ორგანიზაციაში შედიოდა 600-მდე კაცი, რომელთაც კარგად შეეძლოთ იაოალის მოხმარა. ესენი იყენენ თავად-აზნაურნი, მათ ბლომათ ჰქონდათ ფული, იარაღი და სხვა საშვალებანი. გლეხებმაც მოაწყვეს თავიანთი რაზმები, რომელსაც უწოდეს წითელი რაზმი და დაუპირდაპირეს შავს რაზმს. გლეხებს თუმცა ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა, მათ არ ჰქონდა არც იარაღი, არც ფული, მაგრამ მაინც შესძლეს ამ შავი რაზმის განადგურება. თავად-აზნაურთა მიზანი იგივე იყო, რაც „რუსთა კავშირისა“, რომლის სათავეში იყო ვორონცოვ-დაშკოვი.

ამხანაგებო, მე აქ ვილაპარაკე იმის შესახებ, თუ რათ დამარცხდა 1905 წლის რევოლიუცია. ამის მიზეზი იყო ერთი ავტორიტეტის მქონე ხელმძღვანელი ორგანიზაციის არ ყოლა. შემდეგ, გლეხთა მოძრაობა თავისი გზით მიდიოდა, მუშათა მოძრაობა—თავისით და ჯარისკაცთა მოძრაობა სრულიად არ ყოფილა დაკავშირებული რევოლიუციასთან, თუმცა ჯარში დიდი მოძრაობა იყო, განსაკუთრებით მოსკოვში, შემდეგ—შორეულ აღმოსავლეთში.

ჩვენში, საქართველოში, 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ რევოლიუციონურ მოძრაობას დიდის ინტერესით ეკიდებოდენ ჯარისკაცები, მაგრამ ასეთი მდგომარეობა ვერ იქნა გამოყენებული. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ბევრ ორგანიზაციას სწადდა, რომ გაფიცვა იყო მთავარი იარაღი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ,—ისეთი გაფიცვა, რომელიც არ გადაიქცეოდა შეიარაღებულ აჯანყებათ. მაგრამ მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ ის გაკვეთილი მიიღო, რომ მომავალში ეს მიზეზები უნდა აშორებული ყოფილიყო, რომ რევოლიუციის გამარჯვება, თვითმპყრობელობის დამარცხება მოხდებოდა სრულიად სხვა გზით, გაითვალისწინა რა მან 1905 წლის გამოცდილება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გარდა იმისა, რომ გამოაშკარავდა უარყოფითი მხარეები, მაინც იყო დადებითი შედეგები, სახელდობრ: საბოლოოდ დაეკარგა მუშათა კლასს და გლეხობას ნდობა მეფისადმი, ამასთან ერთად შეთვისებული იქნა შეიარაღებულ აჯანყების აუცილებლობა, რაზედაც მუდამ ლაპარაკობდენ ბოლშევიკები. ამას გარდა 1905 წლის რევოლიუციას შემდეგ მუშათა კლასის თვალში ფასი მიეცა ორგანიზაციებს, თუმცა ეს ორგანიზაციული მუშაობა გადატანილ იქნა არალეგალურ ნიადაგზე, რომელსაც შემდეგ თავს დაატყდა სტოლიპინის რეაქციის მთელი სიმძიმე, მაგრამ მუშები მაინც დარწმუნდენ, რომ აუცილებელია საკუთარი ორგანიზაციები, რომ ასეთი ორგანიზაციების გარეშე—იქნება ის პოლიტიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, თუ პროფესიონალური, მუშათა კლასს არ შეუძლია არსებობა. ეს დადებითი შედეგები გამოჩნდა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ. ეს არის 1905 წლის რევოლიუციის პირველი სტადია. ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ 1905 წლის რევოლიუციის გარეშე არ იქნებოდა არც თებერვალი, არც ოქტომბერი,—არც თებერვლის, არც ოქტომბრის რევოლიუციაო.

ეს იმას ნიშნავდა, რომ რევოლიუციონურ მოძრაობას რუსეთში უნდა განეცალა რამდენიმე საფეხური, სხვაფრივ მას არ შეეძლო ამ საფეხურების გადალახვა და პირდაპირ სოციალისტურ გზაზე დადგომა.

პირველი ეტაპი—ეს 1905 წელია, ეს პირველი საფეხურია ჩვენი სოციალისტური და რევოლიუციონური განვითარებისა, ეს აუცილებელი იყო. ამასთან ერთად ამ რევოლიუციამ დაგვანახვა, თუ შემდეგში მუშათა კლასი როგორ აწარმოებს ბრძოლას დამჩაგვრელთა წინააღმდეგ გლეხობასთან ერთად. ამის შემდეგ მუშათა კლასის და გლეხობის მოტყუილება არ შეიძლებოდა.

ამხანაგებო, გადავხედავთ რა განვლილ ბრძოლას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1905 წლის მთელი გამოცდილება გამოყენებულ იქნა მუშათა კლასის და მისი ერთად ერთი კომუნისტური პარტიის მიერ, მენშევიკები კი ჩამოშორდენ რევოლიუციას. პირველი რევოლიუციის დამარცხების შემდეგ მათ საბოლოოდ აღიარეს, რომ რუსეთში რევოლიუცია აღარ მოხდებოდა, რომ პირველი რევოლიუციის დამარცხებით დამთავრდა რევოლიუციონური პერიოდი. ბოლშევიკებმა მაშინვე განაცხადეს, რომ ეს დამარცხება იყო დროებითი და რომ ჩქარა დაიწყებოდა მოძრაობა, რომელიც ახალი რევოლიუციონურ აფეთქებამდე მიგვიყვანდა, და მაშინ გამოყენებული იქნებოდა 1905 წლის მთელი გამოცდილება, გათვალისწინებული ყველა ის შეცდომები, რომელთაც რევოლიუცია დამარცხებამდე მიიყვანეს.

ვიგონებთ რა იმ მსხვერპლთ, რომლებიც მიტანილ იქნენ ამ რევოლიუციაში, ჩვენ თავს ვიხრიან ბრძოლებში, კატორღაში, გადასახლებაში და სახრჩობელებზე დაღუპულ ამხანაგთა ხსოვნის წინაშე. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ საქმემ, რომლისთვისაც ისინი იბრძოდენ, გაიმარჯვა, რომ ჩვენ დავსძლიეთ ე. ი. მუშებმა და გლეხებმა, გაიმარჯვეს. უკეთუ პირველმა რუსეთის რევოლიუციამ მიგვიყვანა ოქტომბრამდე, ჩვენ, ამხანაგებო, დარწმუნებული ვართ, პროლეტარიატი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო მასშტაბით მიგვიყვანს მსოფლიო ოქტომბრამდე (ცხარე ტაში). ამის გარანტიაა მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირი, გაერთიანებული ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა დაურღვეველ კავშირს! გაუმარჯოს მსოფლიო ბოლშევიზმს და ლენინიზმს! (ცხარე ტაში. ინტერნაციონალი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1905 წლის რევოლიუცია.

(კონსპექტი **ამხ. მამია ოჩახელაშვილის** მოხსენებისა თბილისის პარტ-აქტივის კრებაზე 16 დეკემბერს) *).

რევოლიუციის დაგვიანება.

რუსეთის პირველმა რევოლიუციამ ისტორიულად „დაიგვიანა“ ნახევარი საუკუნით. თუ ინგლისში ბურჟუაზიულმა წესწყობილებამ შესცვალა ფეოდალური წესწყობილება ჯერ კიდევ მე-17-ე საუკუნეში, საფრანგეთში—მე-18-ე საუკუნის ბოლოს, ცენტრალურ ევროპის ქვეყნებში—მე-19-ე საუკუნის შუა წლებში, ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, მეფის ვეებერთელა იმპერიაში, რომელიც ამასთან ერთად წარმოადგენდა „ხალხთა ციხეს“, პირველი ნამდვილი რევოლიუცია მოხდა მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში, და ამასთან ერთად რევოლიუცია დამთავრდა არა გამარჯვებით, არამედ დამარცხებით, თუმცა დროებითი დამრცხებით. რუსეთის რევოლიუციის ეს დაგვიანება, ცხადია, იყო შედეგი განსაზღვრულ ეკონომიურ, პოლიტიკურ და საერთაშორისო მიზეზების, მაგრამ თავის მხრივ ეს დაგვიანება იყო რუსეთის პირველი რევოლიუციის იმ მთელ რიგ თავისებურ ოვისებათა მიზეზი, რომლითაც ის განირჩევა ყველა მის წინანდელ ბურჟუაზიულ რევოლიუციებისაგან ევროპაში.

პირველი რევოლიუციის ხასიათი.

„რუსეთის რევოლიუციის თავისებურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის მისი სოციალური შინაარსით იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, მაგრამ ბრძოლის საშუალებით იყო პროლეტარული, ის იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ვინაიდან მიზანი, რომლისკენაც ის უშუალოდ მისწრაფოდა და, რომლის მიღწევა უშუალოდ შეეძლო თავისი საკუთარი ძალებით, იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, რავ საათის სამუშაო დღე, თავად აზნაურთა დიდძალი მიწების კონფისკაცია, ყველაფერი ეს წარმოადგენდა იმ ზომებს, რომლებიც თითქმის სავსებით განახორციელა ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ საფრანგეთ-

*) იხ. „კომუნისტი“ № 291 (1446)—1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში 1792 და 1793 წლებში, რუსეთის რევოლიუცია ამავე დროს იყო პროლეტარულიც, არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ პროლეტარიატი წარმოადგენდა ხელმძღვანელ ძალას, მოძრაობის ავანგარდს, არამედ იმ მხრივაც, რომ ბრძოლის სპეციფიურად პროლეტარული საშუალება, სახელდობრ კი გაფიცვა, წარმოადგენდა მთავარ იარაღს მასების ასამოძრავებლად და ყველაზე უფრო დამახასიათებელ მოვლენას გადამწყვეტ ამბების ტალღისებურად განვითარებაში" (ლენინი).

რას წარმოადგენდა ძველი რუსეთი.

მეფის იმპერია მე-20-ე საუკუნის დასაწყისში წარმოადგენდა უმთავრესად წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყანას, ფეოდალურ ურთიერთობათა ნაშთებით. მაგრამ ამ მიწათმოქმედების ქვეყანაში იყო არა თუ განვითარებული შინაური და საგარეო ვაჭრობა, არამედ აგრეთვე თანამედროვე მსხვილი მრეწველობაც და ამასთან ერთად უცხოეთის კაპიტალი სიამოვნებით ებმებოდა სარკინისგზო აღმშენებლობაში და სამთომადნო მრეწველობაში.

ფეოდალური ხუნდები, რომლებიც ხელ-ფეხს უბორკავდენ გლეხს, როგორც მწარმოებელს, ფაქტიურად აგდებდა მას მონურ დამოკიდებულობაში მსხვილი მემამულისადმი, რომელიც სარგებლობდა არა მარტო საუკეთესო მიწებით (მათ შორის იმ მიწებით, რომლებიც ჩამოართვეს გლეხებს 1861 წლის რეფორმის დროს), არამედ აგრეთვე მეფური წესწყობილების მფარველობით და მხოლოდ შერბილებულ ფეოდალური უფლებით. უმიწაწყლობა სულს უხუთავდა მრავალმილიონიან გლეხობას—საქმეს არ შველიდა ციმბირში, იმპერიის განაპირა მხარეებში გლეხურ მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გადასახლება. ამავე დროს ყოველივე სარგებელი ხელსაყრელ საბაზრო პირობებიდან პურის ბაზარზე (ქვეყნის შიგნით და საგარეო ბაზრებზე) ხელში უვარდებოდა მემამულეს, რომელიც ასეთ ხელსაყრელ პირობებით უერთებდა თავის მეურნეობას ყველა მიწებს, რომელთაც პურის ბაზარზე შექმნილ კრიზისების დროს უმეტეს შემთხვევაში აძლევდა იჯარით (მონურ პირობებში) გლეხებს. ეკონომიური წინააღმდეგობა გლეხობისა და მემამულეს შორის ღებულობდა წინააღმდეგობის ხასიათს წვრილ-ბურჟუაზიულ გლეხურ მეურნეობასა, რომელიც ცდილობდა თავისუფალ ბაზარზე გამოსვლას, და მიწებით მდიდარ, ზოგიერთ ფეოდალურ პრივილეგიებით დაჯილდოვებულ მემამულეების მეურნეობის შორის. აგრარული საკითხი რუსეთში იმდენად გამწვავდა და გართულდა, რომ არ შეიძლებოდა მას არ ეპოვნა თავისი გამოხატულება გლეხობის აჯანყებაში მემამულეებისა და ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენდა რუსეთის სავაჭრო კა-

პიტალის და რუსეთის მსხვილი მემამულეების სამხედრო დიქტატურას. ამის გამო სამეფო იმპერიის გლეხობა წარმოადგენდა ძალას, რომელსაც შეეძლო მხარი დაეჭირა რევოლიუციონურ გამოსვლისათვის თვითმპყრობელურ თავად-აზნაურულ წესწყობილების წინააღმდეგ, ძალას, რომელსაც შეეძლო მიეცა ასეთი გამოსვლისათვის „ხალხური ხასიათი“.

რუსეთის ბურჟუაზია არ იჩენდა ბრძოლის უნარს.

ღატაკ და დაბეჩავებულ გლეხობას—იმპერიის მოსახლეობის მთავარ მასას (80 პროცენტზე მეტს) არ შეეძლო ყოფილიყო ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციის საკმაო მომხმარებელი. მტკიცე და მდიდარი შინაური ბაზრის შექმნას ხელს უშლიდა სწორედ გლეხობის გაღატაკება. ამ გაღატაკების შედეგი იყო უმუშევართა დიდძალი სარეზერვო არმიის შექმნა, რაც მრეწველებს ყოველთვის ხელში უგდებდა მზა-მზარეულ იაფ მუშა ხელს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზია არ იჩენდა საკმაო სურვილს რევოლიუციონური ბრძოლისა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიული წესწყობილებისათვის: მუშების უზომო ექსპლოატაციიდან მიღებული სარგებელი ზოგჯერ ავიწყებდა ბურჟუაზიას იმ ხანგრძლივ სარგებელს, რომელსაც მოუტანდა მას მეფური რუსეთის ბურჟუაზიულად გარდაქმნა და შინაური გლეხური ბაზრის გაჩენა ფეოდალური მიწათმფლობელობის ნამსხვრევებზე. ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო ნაკლებ სურვილს იჩენდა სავაჭრო კაპიტალი, რომელიც გზას იკაფავდა მეფური ბიუროკრატიის დახმარებით აღმოსავლეთის ბაზრისაკენ (კავკასია, შუა აზია, შორეული აღმოსავლეთი, სპარსეთი, ჩინეთი, და სხვ.). უკანასკნელ დროს მეფის ყველა ომები (მათ შორის რუსეთ-იაპონიის ომიც) წარმოადგენდენ ომებს რუსეთის სავაჭრო კაპიტალის სფეროს გაფართოებისათვის, ანუ სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებისათვის.

ასეთ კაპიტალს, ცხადია, არ შეეძლო ბრძოლა ცარიზმის დამხობისათვის. და ჩენი პარტიის პირველი ყრილობის მანიფესტმა ასე შეაფასა რუსეთის ბურჟუაზიის შინაბუნება და პოლიტიკური პოზიცია: „რაც უფრო შორს მიდის აღმოსავლეთით, მით უფრო ირყვნება ბურჟუაზია“. ეს პოლიტიკური გათახსირება, როგორც ზევით არის ნათქვამი, ნაწილობრივ ახასიათებდა სამრეწველო ბურჟუაზიასაც, რომელიც მოწოდებული იყო განეხორციელებია ისტორიული ამოცანა—ბრძოლა ფეოდალურ-მეფურ წესწყობილების ბურჟუაზიული წესწყობით შეცვლისათვის. მაგრამ ეს ბურჟუაზია დიდათ არ გასცილებია მოლიბერალო მემამულეებს: როგორც მათ, ისე მასაც სურდა გადაეჭრა საკითხი ცარიზმთან შეთანხმების გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილ ბურჟუაზიის როლი 1905 წ. რევოლიუციაში.

საშუალო ფენები, ეგრეთწოდებული ქალაქების წვრილი ბურჟუაზია, სუსტად იყო წარმოდგენილი პოლიტიკაში. მაგრამ, როცა დასავლეთ ევროპის დედა-ქალაქის ხელოსნები შეადგენენ ბურჟუაზიულ რევოლიუციებში რევოლიუციონურ მასების უაღრესად აქტიურ ნაწილს, ჩვენში ხელოსნები წარმოადგენდენ მშრომელთა ყველაზე ნაკლებ და მცირე გავლენიან ფენას. მათ არ შეეძლოთ რაიმე საკუთარი დაღი დაესვათ რევოლიუციის წინანდელ ეპოქისათვის ან რევოლიუციონურ პერიოდისათვის.

ინტელიგენციის აქტივობა.

სამაგიეროდ ნაწილობრივ წვრილ ბურჟუაზიიდან გამოსულმა ინტელიგენციამ (როგორც ტეხნიკურმა, ისე იდეოლოგიურმა) საკმაოდ თვალსაჩინო როლი ითამაშა: ინტელიგენცია რუსეთში უყურადღებოთ იყო მიტოვებული, კაპიტალმა ვერ შესძლო მისი „გულის მოგება“. თითქმის მთელი ზედმეტი ღირებულება, რომელსაც აგროვებდა უცხოეთის კაპიტალი, არ რჩებოდა სახელმწიფოში, არ ხმარდებოდა რუსეთის მეცნიერებას და ხელოვნებას, ოამედ ადიოდა უკხოელ კაპიტალისტების სამშობლოში. მეფის სახელმწიფოებრივი მანქანა დაბორძიკობდა ისე მოუხეშავად, ის ნთქავდა ხალხის და მისი მომავალის საზარალოდ იმდენ საშუალებებს, კულტურული სიბნელე მის გარშემო იყო იმდენად გაუვალი, რომ ინტელიგენციას არ შეეძლო არ მიმხრობოდა რევოლიუციას, რომლიდანაც ის მოელოდა თავისი, როგორც „ინტელექტის“, მატარებელის, ხელმძღვანელობის საერთო აღიარებას. ამ ინტელიგენციის მოწინავე, ყველაზე უფრო მოძრავი და სინდისიერად გატაცებული რაზმი—სტუდენტობა ეხმაურებოდა რევოლიციას, სოციალიზმს, სანამ ცხადი არ გახდა მისთვის წინათ გაუგებარი ჭეშმარიტება, რომ რევოლიუციის მთავარ ძალას, ხელმძღვანელობას, წინამძღოლს, გეგემონს წარმოადგენს მუშათა კლასი.

რევოლიუციის ხელმძღვანელი ძალა.

ამ კლასს 1905 წელს უკვე ჰქონდა თავისი კლასობრივი მოძრაობის 30-ზე მეტი წლის ისტორია. ბევრი იყო უიმედობა, გულუბყვრილობა და თვით ცრუმორწმუნოებაც საეოთოდ ჩამორჩენილ და კულტურულად დაბლა მდგომ მუშათა კლასში, მაგრამ ის იყო ძლიერი და ორიგინალური მით, რომ მას არ გაუვლია ლიბერალური გამოთაყვანების და გაყვლეფილთა და გამყვლეფელთა ინტერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესების ჰარმონიის ქადაგების გამხრწნელი სკოლა. შეგნების ნაკერ-წყლები, რადენადაც ისინი გამოდიოდენ მუშათა კლასიდან, ყოველ-თვის მიიმართებოდენ თავის საკუთარ კლასიურ ინტერესებისაკენ. ის რწმენაც კი „კეთილი მეფისადმი“, რომელიც აქა-იქ ჩამორჩენილი მუშების ფენებში (ამ ნახეგრად გლეხებში) ყოველთვის რთულდებოდა იმ შეგნებით, რომ არ შეიძლება მეფე წინააღმდეგი იყოს მუშის და ფაბრიკანტის, გლეხის და მემამულის თანანწორობისა. რუსეთის მუშების კლასობრივი შეგნება რევოლიუციის და სოციალიზმის ჩარჩოებში მიმდინარეობდა. ამით რუსეთის მუშათა მოძრაობა განირჩეოდა ინგლისისა და ჩრდილოეთ ამერიკის მუშათა კლასის მოძრაობისაგან, სადაც ბურჟუაზიული გაიძვერები ან „სოციალისტური“ მაკდონალდები კარგად ახერხებდენ მუშათა კლასის მოტყუებას და მასში იმ რწმენის ჩანერგვას. რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კლასობრივი ჰარმონია არსებობს საკმაოა მოვიგონოთ კ. კაუცკის წიგნაკი „რუსეთის და ამერიკის მუშა“, როდესაც კაუცკი ჯერ კიდევ არ იყო ბურჟუაზიული შხამით ოიწამლული, რომ ღირსეულად დავაფასოთ რუსეთის მუშათა კლასის ეს დამახასიათებელი თვისება.

რუსეთის მუშის აი ეს თვისება—რევოლიუციონერობა, კლასობრივი განცალკევება და შეგნება თითქმის სავსებით აქარწყლებდა რუსეთის ბურჟუაზიის „რევოლიუციონერობას“. მას არა სწამდა, რომ ასეთი მუშათა კლასი დასთანხმდებოდა მხოლოდ საომარ მასალის როლზე ცარიზმთან ბრძოლის დროს. მას არ სჯეროდა, რომ ის ბრძოლისა და გამარჯვების ნაყოფს დაუთმობდა „ნამდვილ“ პატრონს, რუსეთის ბურჟუაზიას და მის განათლებულ ვექილებს. ეს ბურჟუაზია საკმაოდ სუსტი სხეულით და სისხლნაკლული იყო; ის აღიზარდა მეფის თვითმპყრობელობის ორანჟერეაში და საზრდოობდა სახელმწიფო დაკვეთებით; მის თვისებას შეადგენდა პოზიორობა, ლიბერალური სიტყვები, შემთანხმებლობა მეფესთან და არა რევოლიუციონური ბრძოლა. ის არ იყო რუსეთის რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა. ამგვარ ძალას წარმოადგენდა მხოლოდ მუშათა კლასი თავისი ბუნებრივი მოკავშირით—გლეხობით.

მენშევიკების პოზიცია.

ეს არ უნდოდათ და არ ესმოდათ მენშევიკებს, რადგან ისინი თვით იყვნენ წვრილ-ბურჟუაზიული და ინტელიგენტური ფენებიდან გამოსული. მათ რევოლიუცია უდაოთ ბურჟუაზიულად გამოაცხადეს და მის ჰეგემონათაც სწორედ ბურჟუაზიასა სთვლიდენ, ხოლო მუშებს დაუტოვეს ბრძოლის ვალდებულება და ბურჟუაზიის „გადაჩოჩება“ მარცხნით ზოგიერთი სოციალური ხასიათის რეფორმებისათვის მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შათა სასარგებლოდ. გლეხობას კი ისინი სთვლიდენ „მქონებელ კლასად“, მას არ სთვლიდენ რევოლიუციონურ ძალათ—და უკეთეს შემთხვევაში სცნობდენ ისეთ ნეიტრალურ ელემენტად, რომლის გულის მოგება საჭირო იყო მიწის რეფორმით.

მაგრამ დიადი 1905 წლის ამბებმა გამოაშკარავეს რუსეთის სოციალური ფენების ყველა განსაკუთრებული თვისებები, ხოლო რეაქციის პერიოდმა კი ჯამი გაუკეთა როგორც რუსეთის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებს, ისე მის მოვლენებს.

სავსებით დადასტურდა მარქსისტი პლეხანოვის წინასწარმეტყველება სოციალისტური ინტერნაციონალის ჯერ კიდევ პირველ კონგრესზე (პარიზი, 1889 წ.) „რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშური რევოლიუცია, ან სრულებით არ გაიმარჯვებსო“.

1905 წლის გაფიცვები.

1905 წელს რუსეთის მუშათა კლასი სათავეში ჩაუდგა ყველა მშრომელებსა და დაჩაგრულებს და აამხედრა ისინი დიადი ბრძოლისათვის კლასობრივი და ეროვნული მჩაგვრელების წინააღმდეგ. მუშათა კლასმა გაამახვილა ამ წელს თავისი სპეციფიური იარაღი—გაფიცვა. თუ რუსეთში გაფიცულთა საშუალო წლიური ციფრი 10 წლის განმავლობაში რევოლიუციამდე 43 ათასს უდრიდა, 1905 წლის იანვარში კი, ესე იგი რევოლიუციის პირველი თვის განმავლობაში, გაფიცულთა რიცხვი იყო 440 ათასი. მაშასადამე, მხოლოდ ერთ თვეში მეტი, ვიდრე წინა ათეული წლის მანძილზე. ხოლო მთელი ამ წლის განმავლობაში გაფიცულთა რიცხვი ავიდა 2 მილიონ 800 ათასამდე. „...ეს გვიჩვენებს იმას, თუ რამდენად დიადი შეიძლება იყოს პროლეტარიატის მთვლემარე ენერგია, ეს გვეუბნება იმას, რომ რევოლიუციონურ ეპოქაში პროლეტარიატს შეუძლია ასჯერ მეტი ენერგია განავითაროს, ვიდრე ჩვეულებრივ მშვიდობიან დროს. ეს მოწმობს იმას, რომ კაცობრიობამ 1905 წლამდე არ იცოდა კიდევ, თუ რა დიადი, რა გრანდიოზული შეიძლება იყოს პროლეტარიატის ძალთა დაჭიმვა, თუ საქმე შეეხება ნამდვილად დიადი მიზნებისათვის ბრძოლას („ლენინი“).

„რუსეთის რევოლიუცია მსოფლიო ისტორიაში არის პირველი, და ის იქნება უეჭველად არა უკანასკნელი დიდი რევოლიუცია, რომელშიაც მასიურმა პოლიტიკურმა გაფიცვამ არაჩვეულებრივ დიდი როლი ითამაშა“ (იგივე): ამასთანავე სპეციალურად უნდა გაესვას ხაზი პროლეტარული მასსის ავანგარდის—მელითონეთა—მოღვაწეობას.

მათი ხელმძღვანელობა წონა და მათ მიერ გაწეული მსხვერპლი პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკურ ბრძოლაში სამჯერ აღემატებოდა მთელი დანარჩენი მასის მსხვერპლსა და წონას.

გლეხობა 1905 წელში.

რა უწყობდა ხელს და უადვილდებდა მუშათა კლასს რევოლიუციის სათავეში ჩადგომას და მისი ნამდვილ სახალხო, „ნაციონალურ“ რევოლიუციათ გადაქცევას. ეს იყო გლეხობის მონაწილეობა რევოლიუციაში. გლეხობის შევიწროების და გაღატაკების იმ განუწყვეტლივ მომქმედ მიზეზებს, რომლის წყარო იყო გლეხების და მემამულეთა მეურნეობის ინტერესების მტრული შეტაკება ერთის მხრივ და გლეხის შეტაკება მემამულესთან წოდებრივ ხაზზე მეორეს მხრივ, ახლა მოემატა რუსეთ-იაპონიის ომი, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით მშრომელთ, მუშებს და გლეხებს დააწვა.

9 იანვარი მეფის წყალობით შეიქნა დღეთ, როდესაც ასეულ და ათასეულ მუშებთან ერთად დახვრეტილ იქნა არა მარტო მუშების რწმენა კეთილ მეფისადმი, არამედ გლეხობის ფართო მასსების რწმენაც მირონცხებულის ღვთიურობაში. გლეხობა იეღინთება რევოლიუციონური სულისკვეთებით, ის შეძლების დაგვარად და თავის შეზღუდულ საშუალებათა მიხედვით იღებს მაგალითს ქალაქის მუშებისაგან, რომელთაც რევოლიუციის გადამდები სენი შეჰქონდათ სოფლად და იერიში მიაქვს მემამულეთა ციხე-სიმაგრეზე.—„ჩვენ ვაცხადებთ, რომ თავის ძმებათ ვსთვლით იმათ, ვისაც ქალაქში მთავრობა „შეამბოხებებს ეძახის“ (გურიის გლეხობის განცხადება მეფის მოადგილის წარმომადგენელ სულთან-კრიმ-გირეისათვის). გლეხების ეკონომიური მოძრაობა გართულდა გლეხების ფართე პოლიტიკურ მოძრაობით ქალაქში, პროლეტარიატის მასსიური გაფიცვების გაერთიანება გლეხობის მოძრაობასთან სოფლად საკმარისი იყო იმისთვის, რომ შერყეულიყო ცარიზმის ყველაზე „მტკიცე“ და უკანასკნელი დასაყრდენი არმია: „იწყება სამხედრო აჯანყებათა მთელი რიგი ფლოტში“ (ლენინი). სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მუშები და გლეხები აჯანყების სულის ჩამდგმელი იყვნენ; მოძრაობა ხალხური გახდა. მაგრამ მას აკლდა ერთის მხრივ სიმტკიცე და გამბედაობა მასსების, რომელნიც დაავადებული იყვნენ ნდობის სენით, მეორე მხრით აკლდა სამხედრო მუნდიერში გამოწყობილ სოციალ-დემოკრატიულ მუშების ორგანიზაცია: მათ არ შესწევდათ უნარი აეღოთ მეთაურობა თავის ხელში, დამდგარიყვნენ რევოლიუციონურ არმიის სათავეში და გადასულიყვნენ შეტევაზე სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობის ორი უმაღლესი წერტილი.

რევოლიუციონური მოძრაობის მიღწევებს შორის უნდა აღინიშნოს ორი უმაღლესი წერტილი: საგაფიცვო მოძრაობის ხაზზე—რკინისგზის სახელოვანი გაფიცვა ოქტომბერში, რომელმაც გამოიწვია 17 ოქტომბრის მანიფესტი, სასიკვდილოთ დაშინებული ცარიზმის კონსტიტუციონური ბუნე; უშუალო რევოლიუციონური ბრძოლის ხაზზე—მოსკოვის პროლეტარიატის დეკემბრის აჯანყება. „რუსეთის რევოლიუციის განვითარებას აუცილებლად უნდა გამოეწვია შეიარაღებული გადამწყვეტი შეტაკება მეფის მთავრობისა და მოწინავე კლასიურად შეგნებულ პროლეტარიატს შორის“. (ლენინი).

მაგრამ დეკემბრის აჯანყება ჩაქრობილ იქნა და რევოლიუცია შესუსტების გზით წავიდა.

დამარცხების მიზეზები.

რა არის რევოლიუციის დამარცხების მიზეზი?

„გლეხებმა დასწვეს ორი ათასამდე მემამულის სასახლე, გაიყვეს ურთიერთ შორის მემამულეების მიერ, ხალხში ნაძარცვი ქონება. საუბედუროთ ეს მუშაობა ვერ იყო საკმაოდ საფუძვლიანი. საუბედუროდ გლეხებმა მაშინ გაანადგურეს მემამულეთა სასახლეების მხოლოდ ერთი მეთუთხმეტედი ნაწილი იმისა, რაც მათ უნდა გაენადგურებიათ, რათა მიწის პირიდან აღეგვათ ფეოდალურ მსხვილ მიწადმფლობელობის სამარცხვინო მოვლენა საუბედუროდ გლეხები მეტად დაქაქაულად, უწესრიგოდ, არა ენერგიულად მოქმედებდენ და სწორედ ამაში მდგომარეობს რევოლიუციის დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი“. (ლენინი).

მრავალ მილიონ გლეხების მოძრაობის ხელმძღვანელობა მუშათა კლასის მიერ არ იყო ყველგან საკმაოდ ორგანიზაციული და საკმაოდ მტკიცე. კავშირი ვერ გამოდგა საკმაოდ მჭიდრო.

იაპონიასთან ომის დამთავრება თავის თავად აძლევდა სულის მოთქმის საშუალებას გლეხობას. ცარიზმს კიდევ ერთხელ შეეძლო გამოეყენა გლეხების შვილები—ჯარისკაცები მშრომელი ხალხის წინააღმდეგ.

ცარიზმმა ამ შემთხვევაშიაც „საუკეთესოდ გამოიყენა მოსახლეობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ, უვიც ფენების საზიზღარი ცრუმორწმუნეობა“ და მოაწყო ებრაელების დარბევა, სომეხ-თათართა ჟლეტა და სხვა. ამგვარად ეროვნული მოძრაობა, რომელიც უნდა გამხდარიყო რევოლიუციის დამხმარე ძალად, ზოგიერთ ადგილებში საშინლად დამახინჯებულ იქნა და დიდი სარგებლობა მოუტანა რეაქციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ულალატა რევოლიუციას.

ბურჟუაზიამ, როგორც აფრთხილებდა ჩვენი პარტია, ულალატა რევოლიუციას და გაჰყიდა ის. როცა პეტერბურგის პროლეტარიატმა ნოემბერში გამოაცხადა გაფიცვა, რათა განემტკიცებია რევოლიუციონური წესით განხორციელებული 8 საათის სამუშაო დღე—ბურჟუაზიისათვის არჩევანი აშკარა გახდა: მან და მისმა იდეოლოგებმა თვით „სახალხო თავისუფლების“ პარტიამდე, თავი შეაფარეს თვითმპყრობლობის საიმედო კალთას. რევოლიუციის დამარცხებაში, თავის თავად ცხადია, ბურჟუაზიულ პარტიებს გარდა დამნაშავენი არიან ორ სკამზე მჯდომარე და მათ კუდში მაჩანჩალა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები. ესენია მენშევიკები, ესერები და სხვ. ჭქონდათ რა გავლენა მუშათა კლასის და გლეხობის მნიშვნელოვან მასსებზე, ეს პარტიები რევოლიუციის დასაწყისში თამაშობდენ რევოლიუციონური მოძრაობის განვითარების მუხრუჭის როლს, ბოლოს კი მკვდარის, უსარგებლო ვვამის როლს. რევოლიუციის კლასიური ხასიათის შეფასებაში, მისი მოძრავი ძალების და ბრძოლის საშუალებათა საკითხში მენშევიზმი თავის თავს ბოლშევიზმს უპირდაპირებდა. ამ მტრულ და შეურიგებელ განსხვავებას ვხედავთ ისეთ ცენტრალურ საკითხებში, როგორიც არის: 1) აჯანყების მომზადება, 2) რევოლიუციის ხელმძღვანელობა, 3) ბურჟუაზიული დიქტატურა თუ პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ-დემოკრატიული დიქტატურა ნამდვილ დემოკრატიული რესპუბლიკის უზრუნველსაყოფად და მუშათა კლასის პროგრამა-მინიმუმის განსახორციელებლად, 4) საბჭოების როლი.

მენშევიზმის ოპორტიუნიზმი და კუდში მაჩანჩალობა ასუსტებდა რევოლიუციის ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, როგორიც იყო რევოლიუციონური პროლეტარიატის პარტია. მენშევიკურმა ყანგმა, რომელიც ნახევრად მოედო ჩვენს იარაღს, დაასუსტა მთელი მოძრაობა. ბურჟუაზია ამოეფარა თვითმპყრობელობის კალთებს, ბურჟუაზიას და ლეგალიზმს გაჰყვა მენშევიზმიც.

მუშათა კლასის პარტია განიწმინდა და მით გაძლიერდა. მან შეითვისა 1905 წლის, ამ „გენერალურ რეპეტიციის“, მთელი გამოცდილება და 1 ნახ. ათეული წლის შემდეგ ხელმძღვანელობა გაუწია გრანდიოზულ პროლეტარულ გადატრიალებას ბურჟუაზიის, მემამულეების, მენშევიკების, ესერების და კაპიტალის სხვა მოკავშირეების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის წარმოიშვა საბჭოთა ორგანიზაციული ფორმა.

თუ ამ გადატრიალების გულს შეადგენს მარქსისა და ლენინის მთელი მოძღვრება პროლეტარული დიქტატურის შესახებ, რომელიც ამ მოძღვრებით წარმოადგენს უკლასობრივი და უსახელმწიფოებრივი კომუნისტურ საზოგადოებას, სამაგიეროდ დიქტატურის მამოძრავებელ კუნთებს რუსეთის სამეურნეო-კულტურულ პირობებში შეადგენს ლენინის მოძღვრება და საბჭოთა სახელმწიფოებრივობის პრაქტიკა—მუშურ-გლეხური ბლოკი, კავშირი, პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ მოძღვრების საფუძვლები წარმოიშვა სწორედ 1905 წელს, ის განსახიერდა ბოლშევიკების უმნიშვნელოვანეს ლოზუნგში პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ-დემოკრატიულ დიქტატურის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლება—ნაპოვნი ისტორიული ფორმა არის; მასში ხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც მუშათა და გლეხთა ბლოკს ხელმძღვანელობს.

ეს თავისებური მისიური ორგანიზაცია გაჩნდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში 1905 წელშიაც, და ლენინის ანალიზატორულმა გონებამ მაშინვე დაინახა მასში აჯანყების ხელმძღვანელი ორგანო, ორგანო რევოლიუციონური ხელისუფლების, მუშათა და გლეხთა ახალი ტიპის სახელმწიფოს ჩანასახი. სოც. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის 8 წლის არსებობა მეფის იმპერიის ნანგრევებზე უდავო დამტკიცება არის იმისა, რომ მშრომელთა საბჭოების როლი სწორადაა შეფასებული,—ეს საბჭოები წარმოადგენენ აჯანყებისა და მუშურ-გლეხური სახელმწიფოების ორგანოებს.

1905 წლის რევოლიუციის ციცხლში პროლეტარიატმა გამობრძმედა თავისი იარაღი, ლენინურად განამტკიცა თავისი პარტია და მით უზრუნველჰყო უფრო გრანდიოზული „შესწორება“ და ძლევამოსილი გამოცება 1905 წლის.

1905 წელი ამიერ-კავკასიაში.

რევოლიუციონურ მოძრაობას ა/კ. (და საქართველოში) ზოგიერთი განსაკუთრებული თვისებები ჰქონდა, რომლებიც უნდა აღინიშნოს.

მოძრაობის განსაკუთრებული ორგანიზაცია არა მარტო სამრეწველო ცენტრებში (და საერთოდ ქალაქებში) როგორიც არის ბაქო, თბილისი, ბათომი და ქუთაისი, არამედ სხვა ასეთ ქალაქებშიაც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის პროლეტარულ მასებთან მწყობრი მოძრაობის სურათს.

საყოველთაო გაფიცვები ბაქოში ნიმუში იყო სიმტკიცისა და წესრიგისა.

ქალაქის მუშათა უშუალო გავლენის ქვეშ ზოგიერთ რაიონში გლეხებიც ამოძრავდენ. დასავლეთ საქართველოს (განსაკუთრებით გურიის) სოფელი მემამულეებისა და მეფის ბიუროკრატიის წინააღმდეგ დარაზმულ ბრძოლაში უკან არა რჩებოდა ქალაქს. იქ 1903 წლიდან იყო მღელვარების ფერმენტი, როდესაც ქარხნებიდან დათხოვნილი ბათუმის მუშები ნაწილობრივად სოფლებში იყვნენ ძალად დამკვიდრებულნი.

ქართველი და რუსი მენშევიკები ერთი წყლის ხალხია.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ქართველი მენშევიკები მაშინ იყვენ თითქმის ბოლშევიკები, რადგან ისინი გაბედულად ებრძოდენ მემამულეებს, ბოქაულებს, ჯაშუშებს და სხვ. შემცდარი აზრია. ტერორის მიმართავდენ (და უფრო ხშირადაც მიმართავდენ) დაშნაკელებიც, მაგრამ ამ გარემოებას არ გამოუცვლია ისინი. და რომ ქართველი მენშევიკები, რომლებიც თოფს ესროდენ ზოგიერთ „ძლიერ“ მემამულეებს, ჯაშუშებს, მეფის ბოქაულებს, მაინც შორს იდგენ ბოლშევიკურ რევოლიუციონერობისაგან, ამას ამტკიცებს თუნდაც ასეთი ცნობა: როდესაც გურიაში გაუქმებული იყო მთავრობის და სამოსამართლო აპარატი, როდესაც იქ შემოღებული იყო ხალხის თვითმართველობა, მენშევიკებმა მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციის ნაცვლად დაიწესეს მხოლოდ დაკლებული, „სამართლიანი“ საიჯარო გადასახადი მიწებზე, რომლებზედაც გლეხები ეწეოდენ მეურნეობას. ქართველ მენშევიკების წვრილ ბურჟუაზიული ბუნება, რომელიც ასე საზიზღრათ გამოაშკარავდა პროლეტარულ რევოლიუციის წლებში, შესამჩნევი იყო ჯერ კიდევ 1905 წ.

მოძრაობას ამიერ-კავკასიის გადამწყვეტ ცენტრებში (და განსაკუთრებით საქართველოში) ჰქონდა ზედმიწევნით ინტერნაციონალური ხასიათი.

კლასიური მომენტი იყო მთავარი. მშრომელნი ნაციონალურ მოთხოვნილებებს არ აყენებდენ, რადგან ფიქრობდენ, რომ წესწყობილების დემოკრატიზაციის შემდეგ ეროვნული ინტერესები სავსებით დაცული იქნებოდა. არავითარ სიძულვილს ან უნდობლობას რუსეთის მუშისა და გლეხისადმი ადგილი არ ჰქონია. მათთან ერთად სიხარული, მათთან ერთად ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთან ერთად უკეთესი მომავლის მიღწევა—ასეთი იყო განწყობილება.

მეფის ჯოჯოხეთურმა ზრახვამ ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის შუღლის ჩამოგდების შესახებ, გამარჯვება ჰპოვა ამიერ-კავკასიის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში: სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, მოძმეთა დაღვრილი სისხლის ზღვა აქოთხდა რევოლიუციონურ ცეცხლს.

მიუხედავად განმეორებითი ცდისა ცარიზმმა და მისმა მოციქულებმა (პუბლიცისტი ველიჩკო) ვერ მოახერხეს ეროვნებათაშორისო ბრძოლის გაჩაღება საქართველოში. უფრო მოხერხებული იყვენ ამ ჯოჯოხეთურ მუშაობაში ქართველი მენშევიკები ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როდესაც ნაციონალიზმის და შოვინიზმის ყველა მხეცებთან ერთად ფრონტი შეაბრუნეს არა მარტო რევოლიუციის, არამედ სომხების, რუსების, თათრების, ოსების, აფხაზების, აჭაოლების და სხვ. წინააღმდეგ.

1905 წლის რევოლიუციის მნიშვნელობა მსოფლიოში.

1905 წლის რევოლიუციას, რომელიც იყო საერთო სახალხო, ეროვნული რევოლიუცია, ჰქონდა მსოფლიო მნიშვნელობა. მან არა მარტო სასიკეთოდ დააფრთხო თვითმპყრობელობა რევოლიუციონურად ამოძრავებულ ხალხთა საშიშროებით, არამედ მან გამოაღვიძა აღმოსავლეთიც. „რუსეთის რევოლიუციამ გამოიწვია მოძრაობა მთელ აზიაში. რევოლიუცია ოსმალეთში, სპარსეთში, ჩინეთში, ამტკიცებს, რომ 1905 წლის მძლავრმა აჯანყებამ დააჩნია ღრმა კვალი და აღმოუფხვრელია მისი გავლენა, რომელიც გამოიხატა ასეულ მილიონიან ხალხთა შეტევითი მოძრაობაში“. (ლენინი).

ჩვენი პირველი რევოლიუციის გამოხმაურებათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ბრძოლა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ავსტრიაში სრული გამარჯვებით დამთავრდა. მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ მიუხედავთ რევოლიუციის დამარცხებისა, წარმოიშვა რევოლიუციონური რუსეთი და ამიერიდან მეფის რუსეთი, „ევროპის ჟანდარმი“ განწირულია სასიკვდილოთ მშრომელთა რევოლიუციის მეორე შემოტევის დროს.

1917 წ. იანვარში ლენინმა თავისი მოხსენება ციურიხის ახალგაზრდობის აუდიტორიის წინაშე შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „რუსეთის რევოლიუცია (1905 წ.) წარმოადგენს ევროპის მომავალ რევოლიუციის შესავალს. ეჰვს გარეშეა, ეს მომავალი რევოლიუცია, შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარული რევოლიუცია. ეს მომავალი რევოლიუცია კიდევ უფრო თვალსაჩინოდ დაგვანახვებს, რომ მხო-

ლოდ სასტიკი ბრძოლები, სწორედ სამოქალაქო ომები გაანთავისუფლებენ კაცობრიობას კაპიტალის უღლისაგან და მეორეს მხრივ, რომ მხოლოდ კლასიურად შეგნებულ პროლეტარებს შეუძლიათ გამოვიდენ და გამოვლენ კიდეც ექსპლოატაციის ქვეშ მყოფთა დიდ უმრავლესობის სახით"...

არ გასულა 10 თვე და ამ სიტყვების ავტორი ხელს აწერდა დედამიწის ერთი მეექვსედის პროლეტარულ მთავრობის დეკრეტებს. ყველა მშრომელებთან ერთად 1905 წელს ლენინმა მოაწყო „გენერალური რეპეტიცია", 1917 წელს მან დაანახვა მთელ მსოფლიოს „თუ როგორ კეთდება ეს საქმე" და რას ნიშნავს იგი. ამით ლენინმა დაიმსახურა სოციალისტური რევოლიუციის უდიდესი ხელოსანის, პროლეტარული გადატრიალების დანტონის სახელი (ტაში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1905

ოცი წლის შემდეგ.

(ამხ. ლ. დ. ტროცკის მოხსენება სრულიად საკავშირო პოლიტ-კატორღელთა მეორე ყრილობაზე 1925 წ. დეკემბრის 26 ს.

ამხანაგებო! კაცობრიობის ისტორიამ იცის მთელი რიგი მაგალითები, როდესაც ტანჯული მასა კონვუსიულურად აღმდგარა მტანჯველთა და ტანჯვა-წვალების წინააღმდეგ. წლებისა და ათეულ წლების ბნელეთით მოცული მონობა გაურღვევია, არღვევს და კვლავ გაარღვევს აღშფოთებით გამოწვეული აფეთქებანი, ხოლო ამ აფეთქებათა ისტორიული მნიშვნელობა განისაზღვრება ქვეყნის, სადაც ის მოხდა, კულტურული დონით, მასის რაოდენობით, რომელიც მასში მონაწილეობდა და ხელმძღვანელთა შეგნებით, რომელთა მეთაურობით აჯანყებული მასა ბრძოლას აწარმოებდა. კაცობრიობის ისტორიაში არის წლები, რომელნიც არა მარტო თითეული რევოლიუციონერის, არამედ თითეული წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის მეხსიერებაში ტანჯულთა ბანაკიდან, მოსჩანან ბრინჯაოსაგან სამუდამოთ ჩამოსხმულად და აშკარად განირჩევიან იმ წელთა დაუბოლოვებელი მწკრივისაგან, რომელთაც არ გააჩნია არც ტანი, არც სახე.

1793 წელი კაცობრიობის მეხსიერებაში დარჩა როგორც ერთი ასეთი ლითონის წელთაგანი, როდესაც იაკობინელების, მე-18 საუკუნის ამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, პლებსმა, სანკიულოტებმა, ხელოსნებმა და ნახევრად პროლეტარებმა, პარიზის მიდამოთა ჩაგლეჯილებმა, ნახევრად ტიტვლებმა, დააწესეს რკინის დიქტატურა და მოახდინეს დაუვიწყარი გასამართლება ძველი საზოგადოების მპყრობელ გვირგინოსანთა და პრივილეგიის მქონე პირთა.

1848 წელი სკოცხლობს კაცობრიობის მეხსიერებაში იმდენათ არა, რომ ჩამორჩენილი ბურჟუაზია შეეცადა იმ წელს ხელთ ეგდო ძალა-უფლება, რამდენათაც იმით, რომ თავისი პოლიტიკური სურვილების გამომხატველი მხდალი და მრუში ბურჟუაზიის გავლენისაგან განთავისუფლდა და უკვე ახალგაზრდა, ლომისებური თავი წამოჭყო პროლეტარიატმა.

1871 წელი აღიბეჭდა მშრომელთა მეხსიერებაში იმ წელიწადათ, როცა პარიზის გმირმა პროლეტარიატმა სცადა ხელში აეღო ახალი, განათლებული საზოგადოების მართველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წელი ერთი ასეთი ბრინჯაოს წელთაგანია კაცობრიობის ისტორიაში და განსაკუთრებით ჩვენთვის. 1905 წლამდე ჩვენმა ისტორიამ რევოლიუცია არ იცოდა. ჩვენში იყო სასტიკი გლეხური „ბუნტები“ როგორც რაზინშჩინა და პუგაჩოვშჩინა. ოთხმოცი წლის წინად ჩვენს პირველ რევოლიუციამდე,—1825 წელს—პეტერბურგი დეკაბრისტების გმირული აჯანყების ასპარეზი იყო. ყველაფერი ეს რევოლიუციის აუცილებელი ელემენტებია, მაგრამ ის რევოლიუცია კიდევ არ არის. გლეხთა მოძრაობას არ გააჩნდა ხელმძღვანელობა ისეთი კლასისა, რომელსაც შეეძლებოდა ხელთ ძალა-უფლების აღება. დეკაბრისტების აჯანყებას არ გააჩნდა სოციალური დასაყრდენი. ნამდვილმა რევოლიუციამ რუსთა მიწა-წყალზე პირველად იფეთქა მხოლოდ ოცი წლის წინად.

1905 წლამდე რევოლიუცია ჩვენთვის იყო ან თეორეტიული შემეცნება, ან რომანტიული მოგონება სხვათა ბრძოლაზე, ან იმედი. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის სახენი, კონვენტისა და პარიზის მიდამოთა სცენები, პირველად ეთანაბრებოდენ მოგონებებს პუგაჩოვშჩინაზე, შემდეგ უფრო და უფრო—საყოველთაო გაფიცვის იდეას. და მხოლოდ 1905 წელი ჭქმნის ჩვენთვის რევოლიუციას მშობლიურ ნაციონალურ სტიქიათ. მშრომელთა ახალი თაობანი მონაწილეობენ ამ რევოლიუციაში,—მის განცდებს, მის სანახევრო გამარჯვებებს, მის სასტიკ გაკვეთილებს ისისხლხორცებენ. ხდება ხალხის სულიერი გადახალისება. მხოლოდ 1905 წლის რევოლიუციაში გავლით ჩვენმა ქვეყანამ 12 წლის შემდეგ შესძლო შთაეწერა ის ჰორიაში ყველა წლებზე უუდიდესი—1917.

1905 წლის რევოლიუციაში ერთსა და იმავე დროს გამოსავალსა და გადაჭრას ეძიებდა სამი სხვადასხვა ისტორიული წინააღმდეგობანი. რომ გაგებულ იქნას ამ წლის შინაგანი დინამიკა, მისი მსვლელობა და გამოსავალი, უნდა აუცილებლათ თვალწინ ვვედგას წინააღმდეგობათა რთული თვითქმედება სამი თანამიმდევნობითი ისტორიული რიგებისა: უპირველესად, ფეოდალური საზოგადოებიდან აღმოცენებული წინააღმდეგობა ნახევრად ბატონ-ყმურ გლეხობისა და ბატონ-ყმურ მემამულეთა კლასს შორის; მეორედ, წინააღმდეგობა განვითარებაში მყოფ ბურჟუაზიულ საზოგადოებასა და ძველ, ნახევრად ბატონ-ყმურ წყობილებას შორის; დაბოლოს, წინააღმდეგობა მესამე, ახალი რიგისა: პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

1905 წლისათვის რომ ისტორიას არ მოეტანა უაღრესი წინააღმდეგობა გლეხსა და ბატონს შორის, ჩვენ ვერ გავხდებოდით სამი რევოლიუციის მონაწილენი, რომელნიც ასე კანონიერ-შეწონილათ არიან ასახულნი: 1905 წელი, 1917 წლის თებერვალი და ოქტომბერი. ანტაგონიზმი გლეხობასა ერთის მხრით, მემამულეთა წოდებასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოს შორის მკრეს მხრით—ის დაუწრეტელი მარაგი იყო ხალხური რევოლიუციონური ენერგიისა, რომლის წყალობითაც ასეთი გიგანტიური გაჭანება მიიღო ჩვენმა რევოლიუციამ. მაგრამ მხოლოდ ეს ერთი ანტაგონიზმი რევოლიუციისათვის საკმაო არ არის: რევოლიუციონური ქალაქის ხელმძღვანელობის გარეშე გლეხთა მოძრაობას არ შეეძლო ამაღლებულიყო ახალ პუგაჩოვშინაზე ზევით.

რომ არ გვქონოდა პოლიტიკურად მომწიფებული წინააღმდეგობანი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ე. ი. რომ ჩვენ არ გვყოლოდა მძლავრი, ინდუსტრიალური პროლეტარიატი, რევოლიუცია, როგორც დიდი რევოლიუცია, შეუძლებელი იქნებოდა; მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გლეხთა მასების სათავეში ჩადგებოდა ქალაქთა წვრილი ბურჟუაზია,—ჩვენში მოხდებოდა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ტიპის რევოლიუცია. მაგრამ ამ შესაძლებლობას ჩვენ წარმოვიდგენთ მხოლოდ ლოღიკურად. რეალურმა ეკონომიურმა განვითარებამ ის მეტის-მეტად უკან დასტოვა.

ბატონყმობამ და მეფობამ ჩვენში მიაღწიეს იმ ეპოქამდე, როცა მათ კალთებს ქვეშ დამკვიდრდა მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა, რომლის საშოში ღრმა წინააღმდეგობა დაგროვდა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. აი რატომ 1905 წლის რევოლიუცია ნიშნავდა აუცილებლათ კითხვის დაყენებას იმის შესახებ, თუ ვინ უხელმძღვანელებდა ძველს, ნახევრად ბატონყმური წესების მოსპობას —ბურჟუაზია თუ პროლეტარიატი? ეს კი ნიშნავდა ახალი კითხვის დაყენებას—ქალაქის მებრძოლ ორ კლასთაგან რომელი აიღებდა თავის თავზე გლეხთა სტიქიური მოძრაობის ხელმძღვანელობას: ლიბერალური ბურჟუა, თუ სოციალისტური პროლეტარი?

ქვეყანა ჯერ კიდევ ბურჟუაზიული რევოლიუციით იყო ფეხ-მძიმეთ. ეს უკანასკნელი კი თავის საშოში ატარებდა პროლეტარიატის რევოლიუციას. აი, რატომ, როდესაც გამოირკვა, რომ დამარცხებულმა 1905 წ. გადაუჭრელი დასტოვა აგრარული საკითხი, ჩვენ ასე დარწმუნებით მოველოდით მეორე რევოლიუციონურ ტალღას. და აი რატომ, როცა პირობები მომწიფდა, ეს მეორე ტალღა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუცია 1917 წლის თებერვლისა, 8 თვის შემდეგ განთავისუფლდა სოციალური ფეხმძიმობისაგან პროლეტარიატის რევოლიუციის შობით. ის, რაც ინგლისში, უძველეს კაპიტალისტურ ქვეყანაში, გაგრძელდა სამი საუკუნე (1648 წლის დასაწყისიდან და უფრო ადრე) ის ჩვენში, ჩამორჩენილ ქვეყანაში, გაკეთდა 12 წლის განმავლობაში (1905—1917).

ეს დავიმახსოვროთ: სამი რიგის ისტორიული წინააღმდეგობანი შემეიდროვდა 1905 წელში, მათ ასაზრდოვეს რა ერთმანეთი, იმავე დროს გათიშეს, გაანადგურეს ერთმანეთი. 1905 წლის მსვლელობა და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავალი განისაზღვრება ამ წინააღმდეგობათა ურთიერთ გავლენით.

რევოლიუციის წელიწადი იწყება 9 იანვრის სისხლიანი კვირით და თავდება 19 დეკემბერს, როცა დარბეული მოსკოვი სავსებით მინისა და დუბასოვის ხელში აღმოჩნდა. ამნაირათ, 1905 წელი სხვა რევოლიუციონური წლებისაგან განსასხვავებლათ კალენდარულათ ეთანხმება მომხდარ ამბავთა ძირითად გაჭანებას. იანვარიდან დეკემბრამდე იშლება პროლეტარიატის რევოლიუციონური ამაღლება, რომელიც შემდეგ მსწრაფლ ეცემა აქ, მოსკოვში, პრესნის საბარიკადო ბრძოლაში. მუშათა კლასის ძალუმი მოძრაობა ნებას არ აძლევს ბურჟუაზიას მიზნად დაისახოს აბობოქრებული გლეხობის დაპყრობა, თავის გავლენის ქვეშ დაყენება, მაგრამ მუშაც ვერ ახერხებს გაიყოლიოს სოფელი. **ბურჟუაზია ვერც ბედავს და არც სურს, პროლეტარიატს კი—არ ძალუძს.** და აი, ამ რევოლიუციონური უმეფობით განისაზღვრება 1905 წლის ბოლო.

მართალია, 1905 წელს სოფელმა უკვე გამოიჩინა ბრძოლის უდიდესი ენერგია, მაგრამ გლეხთა მოძრაობა დაქაქსული, გაფანტული, რომელიც პოლიტიკურად ოდნავ შორდებოდა საშუალო საუკუნეს, ვერ უთანხმდებოდა პროლეტარიატის მოძრაობას, რომლის მობილიზაცია შედარებით ჩქარა მოხდა. გლეხთა მოძრაობის ფართო გაჭანება იწყება მხოლოდ 1905 წლის შემოდგომიდან და გრძელდება 1906 წლის ზაფხულამდე, ამასთან ეს მოძრაობა უმაღლეს წერტილს აღწევს, თუმცა არა საკმაო სიმაღლემდე, მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატის შეტევა უკვე მოგერიებული იყო.

ჯარი, ყაზარმაში მოთავსებული, გლეხობის გამომხატველია, მაგრამ ეს ჯარისკაცები გაწვეულნი არიან რევოლიუციის დაწყებამდე. და აი, იმ გლეხთა არმიას, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუვლია გლეხთა აგრარული მოძრაობის სკოლა, მუშათა კლასი ვერა სძლევს. 1905 წელმა, ახლანდელი სიტყვებით რომ გამოვსთქვათ, ჯერ კიდევ არ იცოდა პოლიტიკური კავშირი ქალაქსა და სოფელს, პროლეტარიატსა, გლეხობასა და გლეხობიდან გამოსულ ჯარს შორის.

მაგრამ რევოლიუციონური კავშირის აუცილებლობას მწვავედ გრძნობდენ მასები, არა მარტო პროლეტარული, არამედ გლეხური. მართლაც აღსანიშნავია, რომ 1905—1906 წლებში რევოლიუციას სოფელი ეძახდა არა სხვა სახელს, თუ არ გ ა ფ ი ც ვ ა ს... ეს ჩვენ უკვე დაგვავიწყდა: მცირე წელთ არ გაუვლია და თითეულ მათგანს ჩვენს მეხსიერებაში საკმაო ჭრილობანი დაუტოვებია. მაგრამ ეს ფაქტი უნდა მოგონებულ იქნას, რადგანაც ის უაღრესად ნიშანდობლივია. გლეხები ამბობდენ ჩვენ გ ა ვ ი ფ ი ც ე თ მემამულის პირუტყვი, ჩვენ გ ა ვ ი ფ ი ც ე თ მემამულის პური, ჩვენ გ ა ვ ი ფ ი ც ე თ მიწა, ზოგიერთ შემთხვევაში ასეც ამბობდენ ჩვენ გ ა ვ ი ფ ი ც ე თ მემამული (Забастовали

ეროვნული ბიბლიოთეკა

помещика). ეს უკანასკნელი გამოთქმა კი ნიშნავდა, რომ გლეხებმა მიიღეს რა „საკუთარი ზომები“, წითელი ტერორი, მოჰკლეს უახლოესი მტერი. ასეთი გამოთქმით გლეხობა აშკარად ამბობდა, რომ პოლიტიკურად მისი ხელძღვანელი იყო მუშათა კლასი. და თუ არ მოხდა და არც შეიძლება მომხდარიყო სათანადო კავშირის გაბმა ერთბაშად, რევოლიუციის პირველსავე ამბობკრებისთანავე, ეს იმიტომ, რომ მასები სწავლობენ არა წიგნების საშუალებით და რევოლიუციაც არ ხდება გეგმის თანახმად. შემეცნების საფუძველია გამოცდილება, გამოცდილების საფუძველი—მოქმედება. სწორედ უპირველესად იმიტომაა დიდებული 1905 წელი, რომ მან პირველად ჩვენი განვითარების ყველა საკითხი დააყენა არა ქაღალდზე, არამედ გიგანტიურ რევ ოლიუციონურ შეტაკებებში; რომ ყველა სოციალური წინააღმდეგობანი მან გვაჩვენა თავის ურთიერთ ზედმოქმედებაში: რომ ყველა კლასები დაუპირდაპირა ერთმანეთს, ასწონა რა ისინი რევოლიუციის სასწორზე. ამ ბრძოლაში პროლეტარულმა ავანგარდმა ჰპოვა თავისი გზა. ამ ცდაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბოლშევიზმი.

მას შემდეგ, რაც დაპატიმრებულ იქნა პეტერბურგის საბჭო; მას შემდეგ, რაც სემიონოვის პოლკმა დაარბია პროლეტარული მოსკოვი და ქალაქის ბატონ-პატრონი შეიქნა დუბასოვი; მას შემდეგ, რაც რკინის გზის ხაზებზე დაიწყო რეპრესიები,—აგრარულ მღელვარებას, თუმცა გაძლიერებულს, არ შეეძლო მეფობის დამხობა. აი, აქ არის დამარცხების მიზეზი.

მაგრამ იყო თუ არა ეს სრული დამარცხება. არა. როგორც 1905 წლის 17 ოქტომბერს ჩვენ ვამბობდით, რომ გამარჯვება ჯერ კიდევ არაა, არის ნახევრად გამარჯვება, ისე 1905 წლის დეკემბრის გასულს ჩვენ ვამბობდით, რომ დამარცხება არ არის. არის ნახევრად დამარცხება. მეფობა თავის ალაგას შერჩა, მაგრამ ის იყო შერყეული მეფობა, თუმცა ის რეაქციის ხანაში თავხედურად იწვევდა ხალხს. სტოლიპინი, ეს ყველაზე უფრო „წარჩინებული“ სამი ივნისის მონარქიის წარმომადგენელთაგან, გაიძახოდა სათათბიროში: „ვერ შეგვაშინებთ“-ო. ხოლო გავიდა ხანი და შეაშინეს (ტაში), დააშინეს—სიკვდილით. (ტაში). 3 ივნისის მეფობა, რომელმაც გამოიარა 1905 წელი, მაინც მეტის მეტად მამაცობდა, მაგრამ მის ხერხემალში მაგრად იყო ჩაჭდობილი ტყვია შემდეგი დაღით—„წითელი პრესნა 1905 წლისა“. (ტაში).

და ამ ნახევრად გამარჯვებულმა, ნახევრად დამარცხებულმა 1905 წლის რევოლიუციამ შეარყია ძველი საზოგადოების საფუძველნი ევროპასა და აზიაში. ეს უნდა გვახსოვდეს ოცი წლის თავზე.

ავსტრიის ერებმა პეტერბურგის და მოსკოვის მუშათა ხელიდან მიიღეს მაშინ საყოველთაო საარჩევნო უფლება: ჰაბსურგთა მონარქია შედრკა რევოლიუციონური გაფიცვის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომელსაც მაშინ ღრღნიდა ოპორტიუნიზმი, მუშათა მასების ძალდატანებით იძულებული შეიქნა ბრძოლის საშუალებათა რიცხვში ოფიციალურად შეეტანა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა და თუ ბელადები თვალთმაქცობდენ, გერმანელი მუშების ახალი თაობა სერიოზულად ჰკიდებდა ხელს ამ იარაღს და სწორედ 1905 წლის გაკვეთილებზე აღიზარდენ მომავალი სპარტაკელების კადრები.

საფრანგეთში 1905 წლის ძალუმი ბრძოლების უშუალო ზეგავლენით იშვა რევოლიუციონური სინდიკალიზმი, რომელმაც ნიადაგი მოამზადა ახლანდელი კომუნისტური პარტიისათვის.

იმავე პერიოდში ინგლისში ჩვენ ვხედავთ ძლიერ გაფიცვებს, რომლებმაც შეარყიეს ძველი კონსერვატიული ტრედ-უნიონები და პირველი მაუწყებელნი შეიქნენ იმ დიადი სამოქალაქო ბრძოლისა, რომლებიც ინგლისში ხდება.

აზიაში, რომელშიაც მოსახლეობს კაცობრიობის ნახევარზე მეტი და რომელიც დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც სამუდამო გაყინვის, გაჩერების მატერიკად ითვლებოდა, 1905 წელმა გამოიწვია სამი რევოლიუცია: სპარსეთში, ოსმალეთში და ჩინეთში.

არა, 1905 წელს უკვალოდ არ ჩაუვლია კაცობრიობის ისტორიაში, ის არ ჩაითვლებოდა უკვალოდ იმ შემთხვევაშიაც, მას რომ არ ეშვა 1917 წელი. მაგრამ თავისი უშუალო მიზანი, თვითპყრობელობის ჩამოგდება, ბატონ-ყმობის მოსპობა, ჩვენმა პირველმა რევოლიუციამ ვერ გადასჭრა. თვით პროლეტარიატმა მხოლოდ 1905 წ. დეკემბერში გაიგო, ახლანდელი აზრით, რას ნიშნავს რევოლიუცია, რას ნიშნავს ბრძოლა ძალა-უფლებისათვის,—შეიგნო საბოლოოდ როგორის დაუდევრობით, როგორის სისასტიკით მქონებელი კლასები იცავენ და დაიცავენ თავიანთ ბატონობას. მარქსის სიტყვები იმის შესახებ, რომ კრიტიკის იარაღს რევოლიუცია გადააქცევს კრიტიკად იარაღისა, ახლანდელის გაგებით შეითვისა მუშათა კლასის ავანგარდმა ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, როცა რეაქცია გადმოვიდა კონტრ-შეტევაზე.

ამასთან დაკავშირებით მე მაგონდება ორი სცენა პეტერბურგის საბჭოს იმ დროინდელ ცხოვრებიდან. ერთი—29 ოქტომბერს, ქალაქში გავრცელებული იყო საშიში ხმები იმ „პროგრომი“ შესახებ, რომლისათვისაც ემზადებოდა შავი რაზმი და საბჭო საწინააღმდეგო ზომებს იმუშავებდა. მუშა დეპუტატები, მოსულნი საბჭოს სხდომაზე პირდაპირ ქარხნებიდან, ტრიბუნედან აჩენენებდენ იმ იარაღის ნიმუშებს—ხმლისა, ხანჯლისა და სხ. რაც მუშებს გაეკეთებიათ შავი რაზმის წინააღმდეგ. ისინი აჩჩენებდენ ფინურ დანებს, კასტეტებს, ხანჯლებს, მავთულის მათრახებს, აქნევდენ ჰაერში, მაგრამ ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი ეს უფრო გართობა იყო, ვიდრე საქმე,—ეს იყო ოხუნჯობა, ხუმრობა. ისინი თითქოს ფიქრობდენ, რომ მზადება თავის თავად სწყვეტდა წინაალმდეგობის გაწევის საკითხს. მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ გამსჭვალულიყო იმ აზრით, რომ იდგა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი და მხოლოდ ულმობელ კრიტიკას იარაღით შეეძლო საბოლოოდ განადგურება სახელმწიფოსი და უპირატესობით აღჭურვილი საზოგადოებისა, და აი, ეს ასწავლეს მათ დეკემბრის დღეებმა.

3 დეკემბერს პეტერბურგის საბჭოს ალყა შემოარტყეს გვარდიელებმა, იქ იყო ამ ჯარის ნაწილები ყოველგვარი იარაღით. აღმასრულებელმა კომიტეტმა ქანდარიდან ძირს, სხდომის დარბაზში, სადაც უკვე თავშეყრილი იყვნენ დეპუტატები ასობით, გადაისროლა შემდეგი ლოზუნგი: „წინაალმდეგობას ნუ გაუწევთ, მტერს იარაღს ნუ ჩააბარებთ“ იარაღი იყო ხელით სახმარი, უფრო ჯიბის: რევოლვერები, ბრაუნინოგები, მაუზერები... და აი სხდომის დარბაზი, რომელიც უკვე გარშემორტყმული იყო ყოველის მხრით გვარდიელების მიერ,—ქვეითი, ცხენოსანი და არტილერიის ნაწილებით, მუშათა დეპუტატები შეუდგენ თავიანთი იარაღების გაფუჭებას, ბრაუნინგებით ამტვრევდენ მაუზრებს, მაუზერებით — ბრაუნინგებს, ეს არ მიმდინარეობდა ისეთი ოხუნჯობათა და ხუმრობით, როგორც ეს იყო 29 ოქტომბერს. ლითონნის ასეთს ეღარუნში მოისმოდა პროლეტარიატის კბილთა ღრჭენა, რომელმაც პირველად იგრძნო, რომ საჭიროა სხვა უფრო ძლიერი ღონისძიება, სხვა უფრო ძლიერი იარაღი საუკუნებრივი მონობის სიმაგრის დასანგრევათ. შემდეგ კი მახლოველ დღეებში, მინებმა და დუბასოვებმა პროლეტერიატს დამატებითი საშინელი გაკვეთილი მისცეს—ეს იყო 9 დეკემბრიდან 19-მდე, როდესაც მოსკოვის მუშების ოკანასკნელი ცდა სისხლში იქნა ჩახრჩობილი.

და შემდეგ დადგა წლები მიმოქცევისა, რიგების შეჭიდროვების, დევნის, გადასახლების, კატორღის, ემიგრაციის, ერთის მხრით, განდგომის, რენეგატობის, დაცინვისა, მეორეს მხრით—შავი და ყრუ წლები კონტრ-რევოლიუციისა. რამდენი დაცინვა იყო მაშინ ოფიციალური და ოფიციოზური, ოპოზიციონური და ცრუ-რევოლიუციონური 1905 წ. ლოზუნგებისა, მეთოდებისა და იმედების შესახებ. ამ დარბაზის ყველა იარუსების ავსება შეიძლება რეაქციის წლების ლიტერატურით, რომელიც ცდილობდა ამ დიდებული წლის მეხსიერებიდან აღმოფხვრას, რევოლიუციის დროშის საბოლოოდ ამოსვრას 3 ივნისის რეაქციის ტალახში. ცრუ-რევოლიუციონერები ლიბერალებთან ერთად დასცინოდენ 1905 წლის ხსოვნას, მის „უაზრო ოცნებებს“. ეს არ გაუმართლდათ. დღეს, 1905 წლის 20 წლის თავზე, ვიგონებთ რა წარსულს და განუკვრეტთ მომავალს, ჩვენ ვეუბნებით ჩვენი ქვეყნის ხალხს და მთელი მსოფლიოს ხალხებს: 1905-ს არავინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუტყუილებია, ყველაფერი, რასაც ის შეგვპირდა, შეასრულა 1917-ში (ტაში).

პირველად 1905 წელს იქნა გადასროლილი მასათა შეგნებაში საბჭოთა ხელისუფლების იდეა. ყველა ჯიშისა და მოდგმის სუვორინელები დამარცხებულ, „გაჭყლეტილ მუშათა მთავრობას“ დასცინოდენ 3 ივნისის რეჟიმის წლებში. მაგრამ კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის: საბჭოების ხელისუფლების ლოზუნგი, რომელიც გადმოსროლილ იქნა 1905 წელში არა თუ უძლიერესი ფაქტი შეიქნა რუსეთში, არამედ—მან მთელი კაცობრიობის ისტორიაში გადაშალა ახალი ეპოქა.

1905 წელმა გადმოისროლა ლოზუნგი მიწისა და თავისუფლებისა. მას უწოდებდენ რომანტიულს და ფანტასტიურს. მასში მცირედი არ ყოფილა რომანტიკა, მაგრამ ამ ლოზუნგმა მოიშორა რა რომანტიული კანი, გარდაიქცა რკინის რეალობათ მემამულეთა მიწების კონფისკაციის და თავად-აზნაურთა წოდების მოსპობის საქმეში, რომელიც (თავად-აზნაურობა) საუკუნოებით სჩაგრავდა რუსეთს.

8 საათის სამუშაო დღე, ისე როგორც საბჭოთა ხელისუფლების დასაწყისი,—1905 წლის რევოლიუციაშია, როცა მისი შემოღება მუშებმა სცადეს ძალადობით. რამდენი ბრძენი, რამდენი გაიძვერა იმ დროს და შემდეგშიც, დასცინოდა ამ რევოლიუციონურ ცდას, როგორც უჭკუობას, რამაც ჩამოაშორა ბურჟუაზია თავისუფლებისათვის ბრძოლას. ეს ბრძენნი და გაიძვერანი ფიქრობდენ და ზოგიერთები ფიქრობენ დღემდეც, რომ პროლეტარიატს პოლიტიკური თავისუფლება ესაჭიროება როგორც აბსტრაქცია,—არა,—1905 წელმა გვაჩვენა, რომ პროლეტარიატს ესაჭიროება მატერიალური შესაძლებლობა თავისუფლებით სარგებლობისა. რეალური თავისუფლება მუშისათვის იწყებოდა იმ საათიდან და იმ წამიდან, როცა ის თავის კუნთებსა და ტვინს ინთავისუფლებდა საქარხნო მონობისაგან, როცა ის ამოკლებდა თავის შრომას და ადიდებდა თავისუფალ დროს, რათა მიეღო მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ 8 საათის სამუშაო დროსთვის ბრძოლა მისთვის იყო თავისუფლებისათვის ბრძოლის უსაჭიროესი შემადგენელი ნაწილი. 1905 წელმა შეპირება გასცა და შეეცადა, 1917 წელმა კი საქმით განახორციელა 8 საათის სამუშაო დრო და დაიწესა ის შეურყევლად მანამდე, ვიდრე ტეხნიკა ნებას არ მოგვცემს შეესცვალოთ ის შვიდი, ექვსი და ხუთი საათის სამუშაო დროთი (ტაში).

რესპუბლიკა? რამდენი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ეს ლოზუნგი უტოპიურიაო. რამდენი სტატია დაიწერა, რამდენი სიტყვა წარმოითქვა იმის დასამტკიცებლათ, რომ გლეხთა მასების შეგნებაში ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი მონარქიას და დოკტრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერობაა რუსეთის რესპუბლიკის იდეაო. ამას ლაპარაკობდენ და სწერდენ არა მარტო 9 იანვრამდე, არამედ მეფის ხალხთან სისხლიანი შეხვედრის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც პეტერბურგის პროლეტარიატმა მუქარით წყეევა-კრულვა გაუგზავნა რომანოვთა ბრბოს: სიკვდილი სისხლიან მეფეს და მის გველის შთამომავლობასო! რეაქციის წლებში ეს სიტყვები უძლურების მუქარად მოსჩანდენ. სამი ივნისის მონარქია წამოდგა, კატორღა და სახრჩობელა იყო მისი გზის მაჩვენებელი. ცარიზმი ზეიმობდა და ისე გამოდიოდა, თითქოს რესპუბლიკის ლოზუნგი მართლაც უაზრო ოცნება იყო. მაგრამ დაჭკა საათმა და 1918 წლის 16 ივლისს ურალის პროლეტარმა ბელობოროდოვმა სისრულეში მოიყვანა მუშათა კლასის სასტიკი განაჩენი! (ტაში).

პეტერბურგის საბჭოსა და გლეხთა კავშირის დაძმობილება დაიწყო 1905 წლის ოქტომბრის დღეებში. ლიბერალებმა და მენშევიკებმა ვერ შეიგნეს ის, რაც მათ თვალწინ ხდებოდა. იმ დღეებში საფუძველი ეყრებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს—საბჭოთა ძლიერების ამ საფუძველს.

2 დეკემბერს პეტერბურგის საბჭომ გლეხთა კავშირთან და სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან ერთად გამოსცა ფინანსიური მანიფესტი. ეს მანიფესტი შეიცავდა წინასწარმეტყველებას და ვალდებულებას. ის წინასწარმეტყველებდა მეფის ფინანსების აუცილებელ დანგრევას და მეფის ვალების გადახდაზე უარს ამბობდა. და რა მოხდა? ეს მანიფესტი, რომელიც გამოცხადდა პეტერბურგის საბჭოს დარბევის წინა დღით, აღმოჩნდა ყველა მინისტრებზე და ფინანსისტებზე უფრო ძლიერი. მეფის მანეთის დაღუპვას ჩვენ ვხედავდით იმპერიალისტური ომის დროს, მისი სულთმობრძვა გრძელდებოდა კერენსკის მთელ რეჟიმში, საბოლოოდ მეფის მანეთი იფერფლებოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, ვიდრე ის არ შესცვალა მუშურ-გლეხურმა ჩერვონეცმა. ამნაირად 2 დეკემბრის მანიფესტის წინასწარმეტყველება შესრულებულია სისწორით. მაგრამ არა მარტო წინასწარმეტყველება, არამედ ვალდებულებაც; ბირჟის მოსაქმენი, დიპლომატები და ბურჟუაზიული მეგაზეთეები ბრალს გვდებენ ჩვენ, ჩვენს რეჟიმს, ჩვენს მთავრობას იმაში, თითქოს ჩვენ არ ვასრულებთ მიღებულ ვალდებულებათ. ეს არ არის მართალი! ჩვენ მათ ვასრულებთ სრული 100 პროცენტით. 1905 წლის 2 დეკემბერს ჩვენ მუშათა კლასის და გლეხობის დეპუტატების ხელის მოწერით გავაფრთხილეთ, რომ მეფის ვალებზე ჩვენი ხალხი პასუხს არ აგებს. 1918 წლის 10 თებერვალს კი საბჭოთა მთავრობის დეკრეტით გაუქმებულათ გამოცხადდა მეფის ყველა ვალები. აი როგორ მოჰყავს სისრულეში რევოლიუციას თავის ვალდებულებანი! (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის ზაფხულზე შავი ზღვის ტალღებში გასცურა წითელი დროშით აჯანყებულმა ჯავშნოსანმა „პოტიომკინმა“. ბევრ ქალაქებში მუშებს შეუერთდენ წითელი დროშებით ჯარის ნაწილები. ჩვენს თვალში ეს იმის წინამორბედი იყო, რომ რევოლიუციონურ კლასს შეუძლია გახდეს გამარჯვებულ ძალად, რომ პროლეტარიატს შეუძლია შექმნას სახელმწიფო, რომელიც დაეყრდნობა საკუთარ ჯარს. ჯავშნოსანი „პოტიომკინი“ დანებდა. ის ჯარისკაცები, რომლებიც წითელი დროშებით გამოვიდნენ, დახოცეს, ან კატორღაში გაგზავნეს. ისე გამოდიოდა, თითქოს მშრომელთა აზრი შეიარაღებული ძალის შესახებ უტოპიური ოცნება იყო, მაგრამ ძალუმად შემოტრიალდა ისტორიული ბორბალი და ყველაფერი, რაც კი მეფის ფლოტიდან გადარჩა, წითელი დროშის ქვეშ დადგა: მშრომელთა საშოდან წარმოსდგა უმაგალითო არმია, რომელიც მსოფლიო რევოლიუციის წითელი დროშითა დგას.

რაც 1905 წელს იყო წინათგრძნობა, იმედი, 1917 წელს ის გახდა გამარჯვებული რეალობა. აი რატომ გვაქვს ჩვენ სრული უფლება ვსთქვათ: მართალია, იყო ილუზიებიც, მაგრამ ეს ილიუზიები ეხებოდა ფორმებს, ვადას და ნაწილობრივად მეთოდებს; ყველაფერი ის კი, რაც შეადგენდა 1905 წლის გულს—პროლეტარიატის რევოლიუციონური მიწოლა,—თავის გარშემო დაბეჩავებული მასების შემოკრება—აი, ეს არ გაცრუებულა. 1917 წელმა აასრულა ის, რაც 1905 წელმა აღუთქვა!

მაგრამ ისტორია არ შეჩერებულა. 1917 წელი თავის მხრით გადაშლის უდიდეს პროგრამას, რომელიც მოელის ხორცის- შესხმას. შევსძლებთ კი? მოვახერხებთ?

ამ ორი ათეული წლების მაგალითებით განსწავლულთ ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ კიდევ უფრო ფხიზლათ და ბეჯითად გადავხედოთ მომავალს, ვიდრე ვიცქერობდით 1905 წელს. ამოცანები დიდია. ისტორია ჩვენს-მხარეზეა, მაგრამ მთელი საკითხი იმაშია, რომ გავმაგრდეთ, არ დაუთმოთ ის, რაც მოპოვებულია რკინითა და სისხლით; განვამტკიცოთ მონაპოვარნი, განვავითაროთ და გავამდიდროთ ისინი. დაბრკოლებანი კი მრავალია და ზოგიერთი დაბრკოლებანი თავს იჩენენ სწორედ ახლა და ჩნდებიან იქ, სადაც ბევრი არც კი მოელოდა და მტერიც კბილებსა ჰკრეჭს იმ იმედით, რომ არევ-დარევა მოხდება. უნდა მოგვეპოვებოდეს წარსულ საქმეში შემოწმებული მასშტაბი, რათა სისწორით იქნეს გაზომილი მომავალის გზა, უნდა მოგვეპოვებოდეს სწორი კრიტერიუმი, რომ ნათლად შევაფასოთ ხვალინდელი დღე, რადგანაც დღეს, ამ საიუბილეო კრებაზე ჩვენი მოგონებები პლატონიური ხასიათის არაა, არამედ—ვმსჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობთ იმის შესახებ, რომ უკეთესად შევიარაღდეთ ხვალინდელი დღისათვის.

შევეკითხოთ თავს კიდევ ერთხელ: ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ ბურჟუაზიული ქვეყანა ჩვენ დაგვძლევს? კაპიტალიზმი ხომ ბევრად მდიდარია ჩვენზე და, მაშასადამე, უფრო ძლიერიც. დიახ, უმდიდრესიც არის და უძლიერესიც, მაგრამ ის დაქაქსულია და ერთი მისი ნაწილი—ამერიკა, სიცოცხლეს უმწარებს მეორე ნაწილს—ევროპას. კოლონიები მეტროპოლიების სამეურნეო საფუძვლებს ანგრევენ. ჩინეთი, აზიის მთავარი მასა, შერყეულია განმთავისუფლებელი ბრძოლის კონვულსიებით. ბოროტ ნებისყოფაში ევროპას ნაკლი არა აქვს, მაგრამ მას ძალა აკლია. ევროპა დაცემულია, ევროპა ორ ცეცხლს შუა არის მომწყვდეული. ბურჟუაზიულ ევროპას არ აქვს გამოსავალი ისე, როგორც ის არ ჰქონდა ცარიზმს.

ძველი ევროპა—მთელი კაპიტალისტური კულტურის კერაა. მისი ტანიდან სხვადასხვა მიმართულებით გაიზარდა ორი ტოტი: ამერიკა და ჩვენი, ევროპიულ-აზიური საბჭოთა რუსეთი,—ამ ჟამად საბჭოთა კავშირი. და ევროპაც ამ ჟამად ამ ორ ცეცხლს შუაა მოქცეული.

ევროპამ არა მარტო აღმოაჩინა ამერიკა, არამედ თავისიივე ძალებით აამაღლა, განავითარა. მთელ რიგ სარწმუნოებრივ მოძრაობათა და რევოლიუციების დროს ევროპა ოკეანეს იქით ისვრიდა ხოლმე უფრო აქტიურ და გაბედულ თავის შვილებს ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, გერებს. მიწის მუშა ემიგრანტებმა, მწყემსებმა, ტყის მუშებმა, დურგლებმა და ზეინკლებმა გამოაღვიძეს ახალი ქვეყნის მიძინებული ძალები. საქმიანი სული, შრომის დისციპლინა, პურიტანული მისწრაფება დაგროვებისა—აი რა თესლი დაბნია ევროპამ ამერიკის ნიადაგზე, რამაც გამოიღო საუცხოვო ნაყოფი. ევროპის ვიწრო ფარგლებში მოქცეულმა ტეხნიკურმა აზრმა ფართო ასპარეზი მოიპოვა ამერიკაში და საოცრად განვითარდა. ჯერ კიდევ ომამდე შეერთებულმა შტატებმა დიდათ გაუსწრო წინთავის წინანდელ მეტროპოლიას—ინგლისს და თავისსავე უფრო დიდ მეტროპოლიას—ევროპას. და როცა ომის შემდეგ და ომის ცდისა, რომ ეცხოვრათ სამხედრო მეთოდებით—ტაციობითა და ძარცვით, რურის ოკუპაციისა და ისტორიაში უძნელესი გერმანიის პროლეტარიატის უკან დახევისა 1923 წლის შემოდგომაზე, ევროპა შეეცადა შესდგომოდა მშვიდობიან ცხოვრებას და გადახედა რა თავის საქმეებს, შეშინებული დარწმუნდა, რომ ის გამოიყურება ეკონომიურის მხრით ბუზანკალად ოკეანეს გაღმა მყოფ მდევთან შედარებით. ევროპამ ჰშვა ამერიკა, უეცროპოდ არ იქნებოდა ნიუ-იორკის ვებერთელა სახლები, ნიაგარის ჰიდრო-სადგური, ფორდის ავტომობილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტრაქტორები. საკუთარი კონსერვატიზმის ბადეში გახლართული ევროპა უძლური აღმოჩნდა ამერიკის წინაშე. დოლარი საშინელის ძლიერებით უხუთავს მას სულს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამერიკა იკავებს ევროპის ქვეყანათა პოზიციებს, მიერეკება მათ ჩიხში, ჰქმნის მათთვის ცხოვრების აუტანელ პირობებს; ევროპას გამოსავალი აღარ აქვს.

მეორეს მხრით საბჭოთა კავშირი, რომელიც ცხოვრობს, იბრძვის და იზრდება აგერ მეცხრე წელიწადია, ევროპისათვის წარმოადგენს რევოლიუციონურ საშიროებათა წყაროს.

ევროპასთან ჩვენ ორგვარი ანგარიში გვაქვს. ოფიციალური ევროპა ჩვენ ექსპლოატაციას გვიშვრებოდა სესხის საშუალებით; ის ასაზრდოებდა მეფობას, ის მას აიარაღებდა, მიჰქონდა რა ხალხისგან პროცენტები და ამით აქვეითებდა ჩვენს მეურნეობას და ჩვენს კულტურას. თვითმპყრობელობის საშინელი თუჯის სარქველს ქვეშ, კანონის მიხედვით—წინააღმდეგობის ძალა ეთანაბრება მოქმედების ძალას—გროვდებოდა ორთქლი, ეწრთობოდა მოწინავე რაზმების რევოლიუციონური ნებისყოფა და აქ, მეორე, არა ოფიციალური ევროპა მოდიოდა დამხმარედ, იდეურად აიარაღებდა მათ.

დეკაბრისტების მოძრაობა პირველი ცდა იყო თავად-აზნაურული ინტელიგენციისა, რომელიც ეზიარა საფრანგეთის დიდი რევოლიუციით. ამ მოძრაობას ღირსეული წინააღმდეგობა უნდა გაეწია ცარიზმისათვის და კარი გაეღო ევროპისათვის. თავად-აზნაურული ინტელიგენცია შესცვალა „რაზნოჩინულმა" ინტელიგენციამ, რომელიც შეიარაღებული იყო ნაროდნიკული თეორიით—და ამ ახალმა, უფრო ფართო ტალღამ, წინ წამოსწია ნაროდოვოლცების ჯგუფი, რომელთა გმირული სახეები სამარადისოდ არიან შეტანილნი ჩვენს რკინის ინვენტარში (ტაში). ნაროდოვოლცები შესცვალა მარქსისტთა პირველმა თაობამ, ჯერ ინტელიგენტების, შემდეგ მუშების ჯგუფებიდან—1905 წლამდე და 1905 წლის დეკემბრის დამარცხებიდან 1917 წლის ოქტომბრის უებრო გამარჯვებამდე. რომ შესრულებულიყო ეს მუშაობა, რომ მისცემოდა რევოლიუციას ის გაჭანება, რაც მან ჩვენში მიიღო, რევოლიუციონური ავანგარდისთვის აუცილებელი იყო განსაკუთრებული იდეური შეიარაღება. საიდან მიიღო მან ის? ევროპიდან.

საუკუნეთა მთელი საზოგადოებრივი გამოცდილება, დაგროვილი მთელი განზოგადოებული აზროვნება იყო საჭირო პროლეტარიული ავანგარდისთვის მასზე დაკისრებული საზოგადოებრივი მისიის შესასრულებლათ. სამი ევროპიული ძლიერი წყარო: ინგლისის პოლიტიკური ეკონომია, საფრანგეთის კლასობრივი ბრძოლის გამოცდილებანი და გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ეს სამი წყარო შეერთდა მარქსიზმის სისტემაში. ეს სისტემა—და რაც ყველაზე ძვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასია ამ სისტემაში: მეთოდი—ჩვენ მოგვცა ევროპამ. მაგრამ უნდა შეგეძლოს ომის აღება, რასაც გაძლევენ. მარქსიზმი არ არის პასიური, საიდუმლოებათა განმმარტი დოქტრინა. საკმარისი არ არის ხელის გაშვერა, რომ ის აიღოთ. მარქსიზმი ნებისყოფითი დოქტრინაა. ის იკვლევს ქვეყნიერებას, რომ გარდაქმნას იგი. თუ ჩვენ მარქსიზმი მოგვცა ევროპამ, ჩვენ შევსძელით მიგვეღო ის. ჩვენ შევსძელით მიგვეღო ის რევოლიუციონური ავანგარდის გამოწრთობილი ნებისყოფის წყალობით. მძიმე მუშაობა დაიწყო დეკაბრისტებიდან. ამ მუშაობის მიზანი იყო ალქატი, დაქსაქსული საზოგადოებრივი მასისაგან შექმნილიყო რკინის მებრძოლთა თაობა. ტეროროისტული ინტელიგენციის განმარტოვებულათ ბრძოლამ ცარიზმთან გამარჯვება ვერ მოიტანა. მაგრამ ასეთი ბრძოლა აუცილებელი საფეხური იყო რევოლიუციონურ იდეათა და ბრძოლის მეთოდების განვითარების საქმეში. რადიშჩევი რომ არ ყოფილიყო, არც პესტელი იქნებოდა. უპესტელოდ არც ჟელიაბოვი იქნებოდა, ჟელიაბოვი რომ არ ყოფილიყო, არც ალექსანდრე ულიანოვი იქნებოდა; უალექსანდროდ არც ვლადიმერი იქნებოდა. ამით ყველაფერია ნათქვამი. ჩვენი სასტიკი და სახელოვანი რევოლიუციონური ისტორია—გადასახლების, ემიგრაციის, კატორღის, სახრჩობელის ისტორია, აუცილებელი მოსამზადებელი სკოლა იყო მარქსიზმის, როგორც დოქტრინის, შესათვისებლათ, რომელიც განზოგადოებული აზრებიდან გამომდინარე უკანასკნელი დასკვნებით აიარაღებს თვით რევოლიუციონური კლასის ნებისყოფას. ლენინიზმში ცხოვრობენ—დეკაბრისტები, განმანათლებელნი—მესამოცე წლების მოღვაწენი, ნაროდნიკები და ნაროდოვოლცები. ლენინიზმში ჩვენი ეროვნული გმირული რევოლიუციონური ტრადიცია სავსებით და საბოლოოდ უერთდება მუშათა კლასს, იმ მაღალი მეცნიერული აზროვნებით შეიარაღებული, რაც კი ევროპას შეუქმნია.

იწვოდა რა თვით ომის ცეცხლში, ევროპა ტეხნიკური ძღიერების ახალ-ახალ ბიძგებს აძლევდა ამერიკას, ისე როგორც ის რუსეთს აძლევდა რევოლიუციონური აზროვნების ახალს ბიძგს. ამერიკას თავისი განძი არ გაუფლანგავს. ტეხნიკა მან უმაღლეს წერტილამდე აიყვანა. მაგრამ არც ჩვენ შეგვიმცირებია, არ გაგვიფლანგავს ევროპიდან მიღებული განძი—რევოლიუციონური აზროვნება, პირიქით, ჩვენ ის გავამდიდრეთ 1905 და 1917 წლების გამოცდილებით და მზადა ვართ ეს ახალი შენაძენი გავუზიაროთ ევროპის პროლეტარიატს (ტაში).

და აი, ბურჟუაზიული ევროპა დღეს ორ ცეცხლს შუა არის მოქცეული: ერთი მხრითაა ამერიკა, რომელიც ახრჩობს დოლარით (დოლარი კი საშინელი ძალაა, როცა ის ბლომადაა), მეორე მხრითაა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოთა კავშირი, რომელიც მიისწრაფვის სახელმწიფოს სოციალისტური ფორმა შეუთანხმოს ამერიკის ტეხნიკას.

ამხანაგებო, როგორიც არ უნდა იყვნენ ის სიძნელენი, რომელთა შორის ჩვენ ვცხოვრობთ, როგორიც არ უნდა იყოს ხვალინდელი გასაჭირი,—ყველაფერი ეს არაფერი არ არის იმ სიძნელეებთან შედარებით, რომლებიც წინ უდგანან ბურჟუაზიულ ევროპას. ჩვენ, მარქსისტები, 1905 წლის ადრე ვამბობდით ამის შესახებ. მტრები დაგვცინოდენ, მცირე მორწმუნენი—ეჭვიანობდენ. და აი, ასეთი დრო უკვე დადგა. მტრებმა ჩვენ დაგვამარცხეს და ფიქრობდენ, რომ სამუდამოთ. და ჩვენ კი 1907 წლის 3 ივნისის შემდეგ ვამბობდით, რომ დადგებოდა 1917 წელი. და ის მოვიდა, მოვიდა სამუდამოთ (ტაში). და დღესაც ჩვენ ვიმყოფებით კაპიტალისტური მტრების რკალში. მოიპოვებიან ისეთი არამზადები და სულელნი, რომლებიც დასცინიან 1917 წლის მსოფლიო რევოლიუციის „აუსრულებელ იმედებს". კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. ამ დარბაზში შეიკრიბება ბევრი ჩვენთაგნი, ვიმედოვნებ ჯმრავლესობა აქ დამსწრეთა, რომ შეეგებოთ ოქტომბრის გამარჯვებას ჩვენი ქვეყნის საზღვარს გარეთ (ტაში).

1917 წელი ისტორიის მატიანეში არ არის უკანასკნელი ლითონნის წელი. არა, ევროპისა და მსოფლიოსაკენ მიიწევს ციფრებით არ გამოხატული, მაგრამ აუცილებელი ახალი წელი პროლეტარული რევოლიუციისა. ის დაჰკრავს. ჩვენ მოველით მას იმედით, ძალთა დისციპლინარული დიჭიმვით. ის მოვა. ჩვენ, აქ შეკრებილი კატორღელები და გადასახლებაში ნამყოფნი, ორი რევოლიუციის ვეტერანები, ამ ახალს, ჯერ კიდევ ციფრებით არ აღნუსხულს დიად წელს, რომელიც მოდის და მოვა კიდეც,—ჩვენ პროლეტარიატის მთელ კომუნისტურ ავანგარდთან ერთად ვეუბნებით: მოდი, ჩვენ შეგეგებებით სრულის შეიარაღებით. (ტაში. ინტერნაციონალი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი მოგონებანი ბათომი რევოლიუციონური მუშაობის შესახებ 1901—1902 წ.წ.

ამ წლებში ბათომის სხვადასხვა სტამბებში ვმუშაობდი. რევოლიუციონური მოძრაობა 1900—1901 წლებში ან სულ არ იყო,ან თუ იყო, ძალიან ვიწრო ფარგლებში და პირველად მე ცოტა დამოკიდებულება მქონდა მასთან. მთელ ბათომის სტამბის მუშებში რევოლიუციონურათ განწყობილი ვიყავით 3—4 კაცი,—ამხანაგები: მაქსიმე წულაძე, სილობისტრო თოდრია, ილიკო სიხარულიძე და მე. ჩვენ შორის ყველაზე მომზადებული და ისეთი, რომელსაც კავშირი ქონდა მაშინდელ ლეგალურ მარქსისტებთან—კარლო ჩხეიძესთან და ისიდორე რამიშვილთან, (რომელნიც მაშინ მასწავლებლობდენ ქართულ სკოლაში) იყო ამხ. მაქსიმე წულაძე, მაგრამ ყველა მათი „რევოლიუციონური“ მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ამხ. მაქსიმე წულაძის მეშვეობით გვაწოდებდენ მცირეოდენ არალეგალურ ლიტერატურას და ეს მოწოდებაც ისეთი საიდუმლოებით და ფანტასტიურათ იყო მოწყობილი, რომ რევოლიუციონურ განვითარებას ცოტათი უწყობდა ხელს. მახსოვს ასეთი ფორმა ლიტერატურის გადმოცემისა ამხ. მაქსიმე წულაძისაგან: ერთ დღეს მეუბნება: „შენ იცი თუ არა, რომ აკრძალული წიგნები იბეჭდება და რიგდება მუშებსა და გლეხებს შორის წასაკითხათ“-ო, მე უპასუხე გამიგია, მარა არ მოუცია ჩემთვის და არ წამიკითხავს მეთქი. „გინდა, რომ მიიღო და წაიკითხოვო“. მე უპასუხე როგორ არ მინდა მეთქი. ამაზე ამხ. მაქსიმემ მითხრა, რომ შენ ნუ იკითხავ ვისგან, როგორ და ვინ მოიტანს, მხოლოდ იცოდე, რომ არის ისეთი ხალხი, რომლებიც ასეთ ბროშიურებს ბეჭდავენ და არიგებენ ხალხში, არის ისეთი საშუალებაც, რომლითაც დაკეტილ ოთახშიაც კი გააჩენენ ასეთ ლიტერატურას, შენს ოთახშიც გააჩენენ,—ნახე ბალიშს ქვეშ, თუ იყოს, წაიკითხე ფრთხილათ. როდესაც წაიკითხავ, დადე ისევ ბალიშს ქვეშ და ის იქიდან მერე ისევ გაქრება, როგორც გაჩნდაო. ეს მართლაც ისე განმეორდა რამდენიმეჯერ. რითაც თვით ეს ფანტასტიური მოვლენა მეტს ყურადღებას იპყრობდა მაშინ ჩემის მხრით, ვინემ თვით ბროშიურის შინაარსი. აქ, რასაკვირველია, ფანტასტიური არაფერი იყო, როგორც მერე დაუკვიდრი, რადგან მე და ამხ. მაქსიმე მაშინ ერთ ოთახში ვცხოვრობდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1901 წლის მეორე ნახევარში თბილისიდან ჩამოვიდა ლასა მგელაძე და მოიტანა ჩემს და სილიას ოთახში მოზრდილი შეკვრა არალეგალური „ბრძოლის“ პირველი ნომრები და მოგვახალა: ჰა, თქვენ მამა... წაიკითხეთ და სოციალისტები გახდით, გაიგეთ როგორ იბრძვიან ამხანაგები თბილისში და თქვენც იმათს მაგალითს მიჰბაძეთო.

„ბრძოლა“-ს ნომრები ყველამ დიდის ხალისით წავიკითხეთ და სხვებსაც წავაკითხეთ, მარა ჩვენი რევოლიუციონური „მუშაობა“ იმ ხანათ ამას არ გაშორებია.

ლასა მგელაძე ბათომში დარჩა. ერთ კვირა დღეს მთელი ჯგუფი სტამბის მომუშავეებისა წავედით სასადილოთ და ლასაც თან მივიპატიჟეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ღვინოც დავლიეთ და როდესაც პირველი ბოთლი დაიცალა, ლასამ ითხოვა, რომ ეს ცარიელი ბოთლი მისთვის გვეჩუქებია. თამადათ ილიკო სიხარულიძე იყო და დიდის სიამოვნებით მიაჩუქა ლასას კომპანიის სახელით ცარიელი ბოთლი. როგორც კი მიიღო ლასამ ბოთლი, ხელათ გამოაცხადა ამ ბოთლზე „საჯარო ვაჭრობა“—„ტორგი“. დაფასებული იყო 50 კაპ. და გაიყიდა ცხრა მანეთად და 75 კაპ. „ტორგით“ ბოთლი დაირჩინა ილიკო სიხარულიძემ. ეს 9 მან. 75 კ. ლასამ გამოაცხადა „ბრძოლის“ მომავალ ფონდათ, აგვარჩევია განსაკუთრებული ხაზინადარი—ძველი ასოთ-ამწყობი ბეგლარი (გვარი არ მახსოვს) და ეს ფული მას ჩააბარა. ეს იყო პირველი ჩანასახი არა-ლეგალური პროფესიონალური ორგანიზაციისა.

ამ დროს ბაოომში გამოდიოდა რეაქციონური გაზეთი—„ჩერნომორსკი ვესტნიკი“ ცნობილი შავრაზმელი პალმის რედაქტორობით. —გაზეთი იბეჭდებოდა მიხეილის ქუჩაზე გურსკიანის სტამბაში. ამ სტამბაში ვმუშაობდით მე და ს. თოდრია; გაზეთის ასოთ-ამწყობებს რაღაც ლაპარაკი მოუვიდათ,- მიზეზი არ მახსოვს კარგათ, მარა, მგონი, მუშები მომატებას თხოულობდენ,—მართველი—არშაკა—(გვარი არ მახსოვს) არ დათახმდა ასოთ-ამწყობთა მოთხოვნილებას და იმათაც მიატოვეს მუშაობა. თუმცა გაზეთზე არ ვმუშაობდით არც მე და არც სილია, მაგრამ ჩვენც მივატოვეთ მუშაობა და გავაყვეთ იმათ. დასაწყისი უბრალო რაღაც იყო, მაგრამ შემდეგში მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნილებები წავუყენეთ. გაფიცვა ერთ კვირამდე გაგრძელდა და თბილისიდან შტრეიკბრეხერებს ჩამოყვანის გამო გათავდა დამარცხებით. რამდენიმე ასოთ-ამწყობმა დავკარგეთ ადგილი და სილია ნახევარი დღე პოლიციაშიც კი იჯდა. ეს იყო ჩემი პირველათ „მონათვლა“ ეკონომიურ ბრძოლაში.

1901 წლის თბილისიდან ჩამოვიდა ამხ. სოსო (სტალინი) ჯუღაშვილი. მისი წინადადებით მოწყობილ იქნა მოწინავე მუშებისაგან ახალი წლის (1902) შეხვედრა ბარცხანაში; დაესწრო ხუთმეტამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგი, მათ შორის ამხ. სოსო, ს. თოდრია და მე (დანარჩენთა გვარები არ მახსოვს). ეს ახალი წლის შეხვედრა გამოყენებული იქმნა ბათომის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ჯგუფის შესაქმნელათ! რამდენი კაცისაგან იყო ეს ჯგუფი, არ მახსოვს, გარდა ამხ. სოსოსა.

მე და ამხ. სილიას დაგვევალა სტამბებიდან ასოების გამოტანა და დაგროვება მომავალი არალეგალური სტამბისათვის.

ამხ. სილია და მე ამხ. ჰეჰეკო კალანდაძის დახმარებით შეუდექით ასოების დაგროვებას და შევაგროვეთ კიდევაც აუცილებელი საჭიროებისათვის საკმარისი ასო. ამასთან ერთად შევუდექით არალეგალური სტამბისათვის სხვა მასალებისა და ბინის შოვნისთვის ზრუნვას, მაგრამ ამ საქმის დათავება ვერ მოვასწარით, რადგან სწორედ ამ ხანებში სხვადასხვა ზავოდებიდან 30 მოწინავე ამხანაგი იქნა დაჭერილი, რამაც გამოწვია საერთო გაფიცვა ყველა ქარხნების მუშებისა. გაიიცულებმა წამოაყენეს ერთად ერთი მოთხოვნილება—დაჭერილი ამხანაგების განთავისუფლება. მოთხოვნილება არ იქნა შესრულებული და რამდენიმე ათასმა მუშამ მწყობრათ და სიმღერით სხვადასხვა გზაზე ბარცხანიდან გაიარა ქალაქის უმთავრესი ქუჩები და მიადგა სიოლქო სატუსაღოს მოთხოვნილებით: ან გაანთავისუფლეთ დაჭერილი ამხანაგები, ან ყველანი დაგვაპატიმრეთო. ადმინისტრაციამ ყოველივე დასაშინებელი ზომები მიიღო—ჯარები ჩაყენა ციხესა და მუშებს შორის ტყვიის მფრქვეველებით და ემუქრებოდა მუშებს ხოცვა-ჟლეტით; როდესაც მუქარამ არ გასჭრა, ხვეწნა-მუდარასაც მიმართეს, რომ როგორმე უკანვე გაებრუნებიათ მუშები, მაგრამ არც მუქარამ და არც ხვეწნამ არ გასჭრა მუშებზე, ისინი მაინც თავისას მოითხოვდენ—ან დაჭერილების განთავისუფლებას, ან ყველას დაჭერას. დიდი ყოყმანის და ფიქრის შემდეგ გამოუცხადეს მუშებს, რომ დაჭერილების განთავისუფლება არ შეგვიძლია და ამიტომ თქვენც დაგიჭერთო, რაკი თქვენც მოითხოვთო, მარა ამ ციხეში, ყველანი ვერ დაეტევთ და ამიტომ წადით და რკინის ყაზარმებში (ვაგზლის გადაღმით იყო ახალ გაწვეულ სალდათებისათვის) და იქ დაიტუსაღეთ თავიო; მუშები დათანხმდენ, მარა მოითხოვეს 30 დატუსაღებული ამხანაგებიც იქ გადაეყვანათ, ადმინისტრაცია ამაზე არ თანხმდებოდა, მარა ბოლოს იძულებული შეიქნა დაეთმო. ციხიდან გამოყვანილ 30 ამხანაგთან ერთად, მწყობრათ და სიმღერით ისე, როგორც მოვიდენ, გასწიეს რკინის ყაზარმისაკენ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ჯარი აცილებდა გარშემორტყმული. ასე რამდენიმე ათასი კაცი დაპატიმრებულ იქნა ყაზარმებში.

ეს მოხდა 7 მარტს 1902 წელს. ამ დღესვე საღამოს ამხ. სოსომ წინადადება მოგვცა მე და ამხ. ს. თოდრიას დაგვებეჭდა მოწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება-პროკლამაცია, მიუხედავად იმისა, რომ გარდა შრიფტისა არავითარი სტამბის მოწყობილობა არ გვქონდა იმ დროისათვის მომზადებული. ჩვენ შრიფტის კასის მაგიერ უბრალო დიდ ფურცელ კარდონზე გავარჩიეთ ასოები, ავაწყეთ პროკლამაცია, საბეჭდავი დაზგის მაგიერ გამოვიყენეთ უბრალო ჩოთქი და ამრიგად დავბეჭდეთ პირველი არალეგალური მოწოდება, რომელიც იმავე ღამეს და ნაწილობრივ მეორე დილით იყო გავრცელებული. სახლში, ან ვის ოთახში დაიბეჭდა ეს პირველი პროკლამაცია, აღარ მახსოვს, მარა დაიბეჭდა იქავე ახლოს რკინის ყაზარმებთან, რკინის გზის გადაღმით.

ამ მოწოდების გარცელებას მოყვა დანარჩენი გაუფიცავი ქარხნების მუშების გაფიცვა და ისევე მწყრომათ და სიმღერით რკინის ყაზარმებისაკენ სვლა და დაჭერილი ამხანაგებისადმი სოლიდარობის გამოცხადება და მათთან ერთად მათი ბედის გაზიარება.

ასე სოლიდარულათ შეკავშირებულ მუშათა მოძრაობას თვითპყრობილობის მცველებიც მომზადებული შეხვდენ და რკინის ყაზარმებს გარშემო ჯარი შემოარტყეს.

როგორც კი მიუახლოვდენ მუშები ყაზარმებს, ჯარების უფროსმა, ჯალათმა ანთაძემ უბრძანა ჯარს ესროლეთო. ჯარმაც „ზალპი“ მისცა და ათაზე მეტი მუშა გულ-განგმირული დაეცა ამ უსწორო ბრძოლაში, ბევრიც დაიჭრა.

ეს იყო პირველი მხვერპლი და სისხლი ბათომის მუშათა მოძრაობაში.

ამ უთანასწორო ძალთა განყოფილების პირველ შეტაკებაში ფიზიკურათ დამარცხებული ბათომის მუშათა კლასი უკან იხევს, რომ აწარმოვოს სისტემატიური რევოლიუციონური მუშაობა, უკეთ მოამზადოს და დარაზმოს ორგანიზაციულად შემდეგი ბრძოლისათვის.

ამის შემდეგ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სისტემატიურათ პროკლამაციების გამოშვება, მაგრამ ისე კუსტარულათ ფურცლების ბეჭდვა, როგორც პირველი ფურცლის დაბეჭდვა მოხდა, შეუძლებელი იყო. ამიტომ გადაწყვეტილი იყო, რომ აუცილებლათ მოწყობილიყო არა-ლეგალური სტამბა. გამონახულ იქნა აპარაში, არდაგანის გზის ახლოს მცხოვრები მოხუცი ხასანა (გვარი, სამწუხაროთ, აღარ მახსოვს), რომელიც დაგვთანხმდა აგვეშენებია მის ეზოში სახლი და იმ სახლში გვეწარმოებია ისეთი საქმე, რომელიც „პრისტავ-ოკოლოდოჩნიკ-გოროდოვების“ წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული (საშინლად ეჯავრებოდა ხასანას ზემოდ ჩამოთვლილი ხალხი). ამ ხასანას ეზოში და მისი დახმარებით აშენებულ იქნა პატარა ორ-ოთახიანი სახლი. სანამ სახლი შენდებოდა ბათომის, სხვა და სხვა ქარხნებში საბეჭდავი „სტანოკიც“ იქნა გაკეთებული. ყველა ეს სტამბის მოწყობილობა—სტანოკი, შრიფტი, კასები და სხვა მასალები იმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე ხასანამ გადაიტანა თავისივე ურმით და როდესაც ყველაფერი ეს მიტანილ იყო ადგილზე, წავედით ღამით (დღისით ყურადღებას მიიპყრობდა ჩვენი აჭარაში სიარული) მე და ამხ. ს. თოდრია და სავსებით დავდგით და მოვაწყვეთ მაშინ ბათომისთვის საკმარისი პირველი არა-ლეგალური სტამბა.

მოხუცი ხასანას ოჯახობა შესდგებოდა ჩასიძეული ახალგაზრდა აჭარელისაგან (რომელსაც სახელათ ოსმანა ერქვა, სამწუხაროთ გვარი არც მისი მახსოვს) მისი ცოლის, ხასანას ქალიშვილისაგან, ხასანას ერთი პატარა ვაჟიშვილისაგან და თითონ ხასანასაგან. სულ ყველა ჩამოთვლილი პირები, მიუხედავად იმისა, რომ მათ არავითარი პოლიტიკური მომზადება არ ქონდათ, შეძლებისადაგვარათ ყველაფერში დაუზარებლივ გვეხმარებოდენ და საოცარი სიმპატიით გვეპყროპოდენ.

მუდმივათ ამ სტამბაში არავინ ჩვენგანი არ ცხოვრობდა. ღამით მივიდოდით, ავაწყობდით, დავბეჭდავდით პროკლამაციას და გათავების შემდეგ ღამითვე წამოვიდოდით და თან მოგვქონდა დაბეჭდილი ფურცლები. ხშირათ მოდიოდენ და გვეხმარებოდენ მუშაობაში ამხ. სოსო ჯუღაშვილი (სტალინი), კოწია კანდელაკი (შემდეგში სახელმწიფო დუმის წევრი), მიშა დავიდოვი და დათიკო ღამბაშიძე.

მე და ამხ. ს. თოდრია ორივე ბათომის ერთ ლეგალურ სტამბაში ვმუშაობდით—პაპამოსკიჩის სტამბაში—როდესაც დაღლილები ვიქნებოდით და ღამით აჭარაში წასვლა შეგვეზარებოდა პროკლამაციის დასაბეჭდათ, მაშინ გადავწყვეტდით პროკლამაცია ბათომშივე იმ ლეგალურ სტამბაშივე დაგვებეჭდა, სადაც ჩვენ ვმუშაობდით, ეს იოლი მოსახერხებელიც იყო, მარა მანქანის ჩარხის გადამტრიალებელი ოგანეზა გვიშლიდა ხელს.

ოგანეზას დავალებული ჰქონდა ხაზეინისაგან, რომ მანქანიდან ყოველი გამოსული პირველი ეგზემპლიარი წაეღო და ეჩვენებია მისთვის და მხოლოთ მერე დაგვებეჭდა. აწყობა პროკლამაციის მე მუდამ შემეძლო, რადგან მთელ სტამბაში ჩვენ სამის მეტი არავინ იყო და ოგანეზამ კი კითხვა არ იცოდა და ვერც კანტროლს გამიწევდა, თუ რას ვაწყობ, მაგრამ როგორც კი მანქანაზე დავდობდით აწყობილს, პირველ დაბეჭდილ ფურცელს, მაშინვე „ხაზეინთან“ გაქანებდა. ამიტომ საჭირო იყო, რომ როგორმე 15-20 წამით ოგანეზა მოგვეშორებინა თავიანან.

ამ დაბრკოლებასაც იოლათ ვიშორებდით თავიდან. ამნაირათ დავნაძლევდებოდით მე და სილია რამეზე, ვინც წააგებდა იმას რამდენიმე გრივანქა ხილი უნდა ეყიდა. ამას ოგანეზა სიხარულით უყურებდა, რადგან ერთი ჩვენგანი რომ წავაგებდით, ამაში დარწმუნებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო და წაგებულ ხილში კი მასაც წილი ჰქონდა. როდესაც პროკლამაცია აწყობილი იქნებოდა და მანქანაც მოცლილი, ილიკო სიხარულიძეს დაუძახებდით რომ მოსულიყო და დარაჯათ დამდგარიყო კარებში, რომ მოულოდნელათ „ხაზეინი“ ან პოლიცია არ შემოსულიყო სტამბაში; როდესაც ყველაფერს მოვამზადებდით, მაშინ ერთ-ერთი ჩვენგანი წაგებდა და ხილის საყიდლათ გახარებულ ოგანეზას გავგზავნიდით და უეკველათ თათრის ბაზარში, სადაც ხილი იაფი იყო, ამიტომ ოგანეზაც სიამოვნებით მიდიოდა იქ. სანამ ოგანეზა თათრის ბაზარში მივიდოდა, ხილს იყიდდა და დაბრუნდებოდა, მანამ ჩვენც 400-500 პროკლამაციას დავბეჭდავდით. და ამ რიგათ აპარაში წასვლას და დაქანცვას ვიშორებდით თავიდან.

არალეგალური სტამბის სახლის სავსებით დასათავებლად აპარაში ერთი თუ ორი კვირით დურგლების მუშაობა იყო კიდევ საჭირო, მარა სანამ სტამბა აქ იყო, დურგლების მოყვანა შეუძლებელი იყო.

ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მივმართეთ ისევ ჩვენ მოხუც ხასანას. მოხუცმა ხასანამ ამ მდგომარეობიდან იოლად გამოგვიყვანა. ხასანა თურმე მთელი სოფლის მეველე იყო. დიდი ნაწილი მისი მეზობლებისა თავისი საქონლით მთებში წასულიყო საზაფხულოდ, მათი პატარა ბინები კი ხასანას მეთვალყურეობის ქვეშ იყო დატოვებული. ხასანამაც გვირჩია გადაგვეტანა დროებით ჩვენი „მანქანები“ ერთ-ერთ ცარიელ სახლში. ჩვენც, რასაკვირველია, დავეთანხმეთ და თვითონ ხასანამ და მისმა სიძემ გადაგვიტანეს სტამბა გოდრით ერთ მოშორებულ ქოხში.

ერთ თვემდე გასტანა სახლის კეთებამ. ამ ხნის განმავლობაში ვმუშაობდით ახალ ბინაზე (მეჯოგის ქოხში), მარა რადგანაც ქოხი სამინდის ყანაში იყო და ღამე ამ ქოხს ჩვენ თითონ ვერ მივაგნებდით, ამიტომ წინასწარ ხასანასთან მივიდოდით, ხასანა გაგვიძღვებოდა წინ, მიგვიყვანდა ქოხში და თითონ დაბრუნდებოდა თავის სახლში, მაგრამ ასეთი მოგზაურობა ჩვენ გზასაც დიდათ აგრძელებდა, გვქანცავდა და მოხუც ადამიანსაც მეტად სტანჯავდა, ამიტომ ერთ ღამეს მე და სილიამ გადავსწყვიტეთ აღარ შეგვეწუხებია არც ხასანა, ჩვენც გზა შეგვემოკლებია და გზიდან ყანებით პირდაპირ ქოხში მივსულიყავით. ეს ძალიან იოლადაც წარმოვიდგინეთ, მაგრამ ჩვენი ანგარიში არ გამართლდა. გადავედით სამინდებში, ვიარეთ კარგა ხანს იმ მიმართულებით, საითაც ქოხი გვეგულებოდა, ბოლოს მთვარეც ჩავიდა და დაბნელდა, ვერ მივაგენით ვერც ქოხი, ვერც შარა-გზა. მშივრებმა იქავე კიტრები ვსჭამეთ და გათენებამდე დაქანცულებმა ყანაშივე დავიძინეთ. სინათლეზე დილით, როგორც იქნა, მივაგენით ჩვენი ქოხი და შევუდექით მუშაობას. ქოხის ახლო-მახლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო გოგრები და სიმინდი იყო. გადავწყვიტეთ შეგვეწვა ერთიც და მეორეც და შევქცეოდით და ამ მიზნით გავაჩაღეთ ცეცხლი რაღაც ბუხარის მსგავს ყორე-ქვისაგან ამოშენებულში; ჩვენი ყურადღება სიმინდებისა და გოგრის შეწვაზე იყო მიქცეული და ვერც ერთმა ვერ შევამჩნიეთ, რომ ჩვენს ქოხს ცეცხლი გასჩენია გაუშენდავი ბუხარისაგან და ისეთი ბოლი დამდგარა, რომ შორეული სოფლიდანაც კი შეუმჩნევიათ. დაბოლოს, როგორც იქნა, ჩვენც შევამჩნიეთ, გამოვვარდით გარეთ და შევუდექით ცეცხლის ჩაქრობას. ქოხი ისეთი დაბალი იყო, რომ სახურავზე გასვლა არ იყო საჭირო. მივაყარეთ მიწა, ნედლი გოგრის ფოთლები და სხვა რამ, რაც კი მოგვხვდა ხელში, მაგრამ არაფერი არ ეშველა. ქოხში ერთი დიდი დოქი შევამჩნიე, წამოუსვი ხელი მექანიკურად და გავიქეცი სადმე წყალის საშოვნათ, მართლაც სულ რამდენიმე წუთში მოვარბენე ერთი დოქი წყალი, დავასხით და ჩავაქრეთ ცეცხლი. სანამ ცეცხლი გაჩნდებოდა, წყალი სასმელათ გვინდოდა და ვერსად ვნახეთ ახლო-მახლო და როდესაც ცეცხლის ჩასაქრობათ ისე ჩქარა მოვიტანე, ამბ. სილიამ სიცილით მითხრა: რომ მცოდნებოდა ასე ჩქარა ოშოვნიდი წყალს, განგებ გავაჩენდი ცეცხლს, რომ როგორმე წყურვილი მომეკლაო.

ერთ შაბათ დღეს ამბ. ლადო კეცხოველაძე მოგვმართა მე და ამბ. ს. თოდრიას: აი თქვენ პროკლამაციის ორიგინალი, წადით სოღამოს სტამბაში, ააწყვეთ და დაბეჭდეთ და კვირა საღამოს აუცილებლათ ჩამოიტანეთ აქ. მე თითონ შეგხვდები ბარცხანაში, ფურცლებსაც წავიღებ და თქვენც პატივსა გცემთო.

ამბ. ლადოს მომართვა ჩვენთვის სავალდებულოც იყო, სასიამოვნოც, ამიტომ საღამოსვე გავწიეთ აპარაში. პროკლამაცია შეიცავდა მოწოდებას ახლათ ჯარში გაყვანილ ჯარის კაცებისადმი და დაწერილი იყო ქართულად. მოწოდება აწყობილი იყო და ის იყო ბეჭდვას უნდა შევსდგომოდით, მაგრამ ამ დროს სილიას შემოაქვს წინადადება: კაცო, მოწოდება ეხება ახალ გაწვეულ ჯარის კაცებს, ჯარის კაცები კი მარტო ქართველები არ არიან, ამიტომ მოდი და რუსულიც გაურიოთ შიგ, რომ არა ქართველებისათვისაც გასაგები იყოსო. ასეთი წინადადება მეც დიდ აღმოჩენათ წარმოვიდგინე და მაშინვე დავეთანხმე. გახარებულნი ასეთი გამოგონებით შევუდექით ტექსტის შედგენას, რაც ხელად მზად იყო. ეს ტექსტი წარმოადგენდა ლექსივით აკინძულ ოთხ პატარა სტრიქონს შემდეგი შინაარსით:

(„ამხანაგებო სალდათებო
ნუ ესვრით ხალხს
ძირს თვით-მპყრობელობა
გაუმარჯოს დემოკრატ. რესპუბლიკას“)

ეს ოთხ სტრიქონიანი რუსული ტექსტი ჩავდევით ქართული ფურცლის „ნაბორის“ შუა გულში და დავბეჭდეთ.

კვირა საღამოს ამხ. ლ. კეცხოველი მართლა შემოვგხდა გზაში ბარცხანის ზემოთ სოფსქუსთან და რომ დაგვნახა მივდიოდით, შემოგვძახა: ბიუებო, ზზად არისო? – ჩვენც, რასაკვირველია, ამაყათ მიუგეთ: „ზზად არის“. ასეთ პასუხზე ამხ. ლადომ მოგვხვია ხელები, ჩაგვკოცნა ორივენი, მაგრამ სიხარული და ქება მოკლე ხნის გამოდგა. ამხ. ლადომ პირველი ქუჩის ფარნამდე მიირბინა, გაშალა შეხვეული ფურცლები და როგორც კი დახედა, ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ მე და სილია განცვიფრებაში მოგვიყვანა. ჩვენ ვერც კი მოვასწარით კითხვა, თუ რატომ ხარხარობდა და თვითონ მოგვიბრუნდა და შემოგვძახა: „თქვენ მასხარებო, რათ წაგიხდენიათ ფურცელი, რათ ჩაგირთავთ შიგ რუსული ლექსიო“. ჩვენ შევეცადეთ მტკიცება, რომ ძალიან კარგათ ვქენით, რომ რუსი ჯარის კაცები მეტია ქართველებზე და სხვა, მაგრამ აღარ გვაცალა, ისევე ხარხარით და ხუმრობით თითო მუჯლუგუნიც წამოგვკრა და გვითხრა: ეხლავე გაბრუნდით უკან, ამოაგდეთ ეს რუსული სტრიქონები, დაბეჭდეთ ხელ-ახლა და დილისთვის მზათ ჩამოიტანეთო და თან დაგვემუქრა. აშკარა იყო, რომ ჩვენი „აღმოჩენა“ არ გამოდგა ჭკვიანური და სხვა გზა რა გვქონდა, უნდა გავბრუნებულიყავით უკან და ხელ-ახლა გადაგვებეჭდა. ასუდაც მოვიქეცით და ორშაბათ დილით ფურცლები ამხ. ლადოს ჩავბარეთ...

ერთხელ მე და სილიამ გადავსწყვიტეთ, –გზა რომ შეგვემოკლებია და ადრე მივსულიყავით სტამბაში, სოუქსუდან პირდაპირ სიმაგრეზე დადგვევლო, ვიფიქრეთ,—სიბნელეში დარაჯები ვერ შეგვამჩნევენო; ძალიან ფრთხილად მივდიოდით, მაგრამ დარაჯებმა მაინც გაგვიგეს და როდესაც დაძახილზე პასუხი არ მივეცით, ისეთი სროლა აგვიტეხეს, რომ შიშით შარა-გზაც მიგვატოვებიე და გზის შემოკლების მაგიერ ორჯერ მეტი გზა გაგვარბენიეს და სულ დაგლეჯილ-დაბეგვილები მივედით აჭარაში.

1902 წლის უკანასკნელ თვეებში ამხ. სილია გადაყვანილ იქნა ბაქოში რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კოიიტეტის არალეგალურ სტამბაში და ბათომში არალეგალური ლიტერატურის მეჭდავათ, დავრჩი მარტო მე. აჭარაში მარტო მუშაობა და სიარული ძალიან ძნელი იყო ერთისათვის და ამიტომ ჩვენი სტამბა გადმოვიტანეთ ბარცხანაში ივანე მგელაძის სახლებში. აქ მეხმარებოდა თვითი ამხანაგი ივანე მგელაძე და ხან ამხ. მაქსიმე წულაძე. დიდხანს აქ მუშაობაც შეუძლებელი შეიქნა და იძულებული შევიქენით ახალი ბინა გვეძებნა. ასეთი ბინა აღმოვაჩინეთ ვაგზლის გადაღმა მეოთხე საპოლიციო უბნის სამმართველოს გვერდით. ვისი სახლი ან ბინა იყო, აღარ მახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოვს; ბოქაულათ კი ამ უბანში თავისი სიმხეცით განთქმული ჩხიკ-ვაძე იყო. მიუხედავათ ამისა ამ სტამბაში ვმუშაობდით განუწყვეტ-ლივ მე და ნოე ხომერიკი (ხუნხუზა) თვე ნახევრის განმავლობაში სა-ვსებით შეუმჩნევლად. ამ ხნის განმავლობაში გამოვეცით თვრამეტი (18) დიდი ფორმატის პროგრამული სახელმძღვანელო ფურცელი.

1903 წლის დასაწყისში ამხ. ეკვენია სოლორაშვილის მეშვეო-ბით წინადადება მომეცა პარტიის სახელით საჩქაროდ შემესწავლა სომხური კითხვა, იმავე სოლორაშვილის მიერ გამოძებნილი იქნა სო-მეხი მასწავლებელი და შევუდექი მეცადინეობას. რისთვის იყო სომ-ხურის შესწავლა საჭირო ჩემთვის, არავის აუხსნია, მაგრამ აუხსნე-ლათაც იოლი წარმოსადგენი იყო, რადგან სომეხ ასოთ ამწყობებში იმ დროს შეუძლებელი შეიქნა სანდო ასოთ-ამწყობის შოვნა.

ამიტომ მეც დიდი სურვილით შევუდექი სომხურის სწავლას და ერთი თვის განმავლობაში იმდენათ შევითვისე სომხური, რომ შემ-დეგში თავისუფლად ვაწყობდი სომხურ არალეგალურ ჟურნალს „ბან-ვორი კრივ“-ს (ბრძოლას) და სხვა ყველა საჭირო არალეგალური ლი-ტერატურას. მხოლოდ ცუდათ დაწერილს ვერ ვარჩევდი კარგათ და ამიტომ ბევრი შეცდომებიც მომდიოდა, რასაც მერე დიდი გასწო-რება სჭირდებოდა. ასე რომ არ მომხდარიყო, საჭირო იყო გარჩეუ-ლად და ბეჭდვური ასოებით ყოფილიყო დაწერილი. ასეთი წერა იცო-და ამხ. სერგო ხანოიანმა და მუდამ იმას უხდებოდა სპეციალურად გადაეწერა ჩემთვის.

როდესაც სომხური შევისწავლე შედარებით, მეც გადაყვანილი ვიქენი ბაქოში იმავე რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის არალე-გალურ სტამბაში და ამით გათავდა ჩემი რევოლიუციონური მუშაო-ბა ბათომში...

ლადო დუმბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუციის ათი წლის თავზე.

1927 წელს ოქტომბრის დიდ პროლეტარულ რევოლიუციას უსრულდება ათი წელი. ამ წლის აღსანიშნავად საბჭოთა კავშირის მასშტაბით პარტისის განყოფილებები უკვე შეუდგენ მასალების შეგროვება-დამუშავებას.

საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები ყველანი ერთი ხნის არ არიან.

ლენინგრადში 1917 წელს დანთებული პროლეტარული რევოლიუციის ცეცხლი მაშინვე არ მიწვდომია ყველა განაპირა ქვეყნებს, მაშინვე არ გადაუბუგავს ყველაფერი ძველი. იქ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ რამდენიმე ხანს განაგრძობდენ ბატონობას ამ რევოლიუციის ანტიპოდები—ესერები, მენშევიკები და სხვადასხვა მსხვილ-ბურჟუაზიული თუ წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები.

საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკათა შორის ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები ყველაზე გვიან შემოიჭრა საქართველოში.

ოქტომბრის დღეებს საქართველო ითვლის 1921 წლის თებერვალ—მარტიდან.

ამ რიგათ 1927 წელს საბჭოთა საქართველოს უსრულდება 7 წელი...

ჩვენი საბჭოთა მშენებლობა და მისი მიღწევები ამიტომ განსაზღვრული იქნება 7 წლის მანძილით. ყველა დანარჩენი, რაც საბჭოთა კავშირის ცენტრალურ პარტისისაგან გამოგზავნილ სქემაშია (რომელიც ქვემოდ იბეჭდება), უდგება საქართველოს სინამდვილეს და ჩვენ არაფრის დამატება, ან შეცვლა მისი არ მოგვიხდება.

მაშ, ვემზადოთ დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავისთვის!..

ს. კ. პ. ცეკას პარტისის განყ. გამგე **ს. თალაკვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისთვის.

ყველა პარტისის განყოფილებებისადმი.

ძვირფასო ამხანაგებო!

ვინაიდან თითქმის ყველა პარტისის განყოფილებები უკვე შეუდგენ მუშაობას ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისთვის მასალების შესაგროვებლათ, საჭიროა გამორკვეულ იქნას, თუ რა ფორმაში უნდა გამოსახატოს საიუბილეო საგამომცემლო მუშაობა ადგილებზე.

ს.კ.პ. (ბ) პარტისი ფიქრობს ყველაზე უბრალო და გავრცელებული ფორმაა **სტატიების, მოგონებათა და დოკუმენტების** კრებულები, რომლებშიაც მოექცევიან პერიოდები—ოქტომბრამდე (1917 წლის თებერვლიდან), ოქტომბრისა და სამოქალაქო ომის პერიოდი (სამხედრო კომუნიზმის ეპოქა).

ამ კრებულთა ზომა არავითარი შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 12—15 ნაბეჭდ ფურცელს. ამის მიღწევა შეიძლება შემდეგი წესით: 1) სატატიები უნდა იყოს მოკლე და შინაარსიანი, ისინი არ უნდა წარმოადგენდენ ნედლს, ანუ თუ ისე შეერთებულ მასალას (როგორც ეს იყო მეტ ნაწილად 1905 წლის აღსანიშნავად გამოცემული კრებულების დროს); 2) მოგონებანი და დოკუმენტები უნდა წარმოადგენდენ სტატიების დამატებებს და არა კრებულის დამამძიმებელ მასალას, ამიტომ მათგან უნდა მოთავსებულ იქნას უფრო დამახასიათებელი და საყურადღებონი. ამას გარდა, საიუბილეო გამოცემათა სხვა ფორმათაგან სასურველია ცალკე მეცნიერულ გამოკვლევითი შრომანი მონოგრაფიის სახით, თემაზე: 1) პარტიული ორგანიზაცია (1917—1927 წ.წ.) 2) საბჭოთა მშენებლობა (1917—1927 წ.წ.) და სხ. დაბოლოს მესამე ფორმა—პოპულიარული ბროშიურები ოქტომბრის რევოლიუციისა და სამოქალქო ომის ცალკე მომენტების შესახებ.

გამოცემათა მეორე და მესამე ფორმა ადგილებზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იქ მოიპოვებიან შესაფერი კვალიფიკაციის მუშაკები.

საოლქო და რესპუბლიკანური პარტისები, რომელთაც მოეპოვებათ ნივთიერი შესაძლებლობანი, ცხადია, თავიანთ მუშაობას არ განსაზღვრავენ ჩამოთვლილი სამი ფორმით.

მიგვაჩნია რა საჭიროდ შევუმსუბუქოთ პარტისის განყოფილებებს მუშაობა გეგმათა და სქემების შემუშავებაში, სკპ (ბ) ცკ პარტისმა გამოიმუშავა სამაგალითო საჩვენებელი სქემა მასალათა დასამუშავებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ და ნარკვევთა მოსამზადებლათ ოქტომბრის 10 წლისთავის. რომელიც ამასთან ერთად გეგზავნებათ.

კომ. სალამით,

სკპ (ბ) ცკ პარტისის გამგე **ს. კანატწიკოვი.**

სკპ (ბ) ცკ პარტისის სამდივნოს გამგის მაგ. კ. კასატკინი.

ოქტომბრის ათი წლისთავისთვის.

ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიის მასალათა დასამუშავებელი და ნარკვევთა დასამზადებელი სქემა.

I. ადგილობრივი ოქტომბრის წინასწარი

1. გამორკვევა ადგილობრივ მეურნეობისა (გლეხთა მეურნეობისა და მრეწველობის) იმპერიალისტური ომის პერიოდში (თუ ეს წარმოადგენს აუცილებლობას) და იმ დროისა, რომელიც მას უშუალოდ წინ უსწრებდა. 2. როგორი იყო მუშათა მდგომარეობა ომის ეპოქაში მეურნეობის კრიზისთან და შიმშილთან დაკავშირებით. 3. მუშათა მოძრაობა ადგილობრივათ ომიანობის წლებში; პოლიტიკური პარტიები ადგილობრივ მუშათა მოძრაობაში. 4. ჰქონდა თუ არა ადგილობრივად გლეხთა მოძრაობას ადგილი. როგორი იყო ამ მოძრაობის ფორმები, მიზანი, რომელთაც გამოხატულება ჰპოვეს ლოზუნგებში. ვინ ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას. 5. თუ ადგილობრივად იმყოფებოდენ სამხედრო ნაწილები, ან თქვენი რაიონი იქნება სამხედრო საზღვაო ბაზისის მეზობლათაა, მაშინ რაში გამოიხატა არმიის და ფლოტის ნაწილების მონაწილეობა მასიურ მოძრაობაში. ვინ იყვნენ ამ მოძრაობის ხელმძღვანელები. 6. თუ თქვენი რაიონი (ოლქი, გუბერნია, ქალაქი, ბაზრა) დასახლებულია ეროვნული უმცირესობით, მაშინ რაში გამოიხატა კონკრეტიულად მათი შეეიწროვება ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთისაგან. იყო თუ არა შემთხვევები პოლიტიკური გამოსვლების (ომის დროს) ამ შეეიწროებით გამოწვეული. ამ გამოსვლათა ფორმა და ხასიათი. ბელადები. 7. თქვენს რაიონში მომხდარი გამოსვლები სამხედრო დამარცხებით თუ იყო გამოწვეული. რანაირ ფორმას ღებულობდა მაშინ მოძრაობა. მისი ლოზუნგები. 8. ჰქონდა თუ არა მასიურ მოძრაობას ადგილი შიმშილობის ნიადაგზე. 9. ვინ და როგორ ამზადებდა თქვენს რაიონში თებერვლის გადატრიალებას. 10 თებერვლის გადატრიალების მოკლე მიმოხილვა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხელისუფლების ორგანიზაცია თქვენს რაიონში. 11. მოეპოვებოდა თუ არა ბურჟუაზიას თქვენს რაიონში თავისი პოლიტიკური ორგანიზაციები. როგორი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი როლი თებერვლის გადატრიალებაში და მათი მოღვაწეობა თებერვლის რევოლიუციის ეპოქაში. 12. რაში გამოიხატება წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების (მენშევიკების, ესერების, ბუნდოველების და სხ.) აქტიური მონაწილეობა თებერვლის რევოლიუციაში. 13. ამ პარტიათა შემთანხმებლური მოღვაწეობის მიმოხილვა. 14. რაში გამოიხატა და როგორ გატარდა ცხოვრებაში თქვენს რაიონში (გუბერნია, ოლქი, ქალაქი, მაზრა) დროებითი მთავრობის სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებანი (მაგ. ღონისძიებანი საადგილ-მამულო საკითხში, სასურსათო, საგადასახადო, მრეწველობისა და მუშათა საკითხში. 15. ეს სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებანი იწვევდენ თუ არა მუშათა მასაში უკმაყოფილებას. რაში გამოიხატა ეს უკმაყოფილება. იყო თუ არა თქვენს რაიონში ამ ნიადაგზე მასიურ-რევოლიუციონურ მოქმედებათა შემთხვევები. ვინ უწევდა ხელმძღვანელობას ამ მოძრაობას. (მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება იმ პერიოდს, რომელიც რაიონში ითვლება ოქტომბრის უშუალო მოსამზადებელ ხანად). 16. გაუარესდა თუ არა მშრომელ მასათა ეკონომიური მდგომარეობა თქვენს რაიონში დროებითი მთავრობის დროს. 17. შესწავლილ იქნას გლეხთა მოძრაობა თებერვლის რევოლიუციის პერიოდში. როგორი იყო ამ მოძრაობის ლოზუნგები, ვინ ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას. 18. დროებითი მთავრობის პოლიტიკით თუ წესრიგდებოდა თქვენს რაიონში ნაციონალური წინააღმდეგობანი. ხელს თუ უწყობდენ ეს წინააღმდეგობანი ფართო მასათა გარეკვოლიუციონერებას (განსაკუთრებით გლეხთა) ოქტომბრის რევოლიუციის წინა დღით. (განსაკუთრებით ზედმიწევნით უნდა დამუშავდეს საკითხი ეროვნულ რესპუბლიკებში, ოლქებში და ადგილებში, რომელნიც დასახლებული არიან ეროვნულ უმცირესობით). 19. რევოლიუციონური მოძრაობის გამორკვევა არმიისა და ფლოტის ნაწილებში დროებითი მთავრობის დროს (საკითხი დამუშავდება იმ რაიონებში, სადაც დაბანაკებული იყო დიდი სამხედრო ნაწილები, ან იმ ადგილებში, რომელთა ფარგლებში მოქცეულია სამხედრო ნავთსადგურები, სალდათთა და ფლოტის მასათა გაბალშევიკება. 20. რაში გამოიხატებოდა ადგილობრივ საბჭოების მოღვაწეობა ოქტომბრის რევოლიუციამდე. ვინ ხელმძღვანელობდა ამ საბჭოებს. დაწვრილებით შეჩერება მასათა და საბჭოთა ურთიერთ დამოკიდებულებაზე. 21. პარტიული ორგანიზაცია: ა) რა მდგომარეობაში მოუსწრო ორგანიზაციას თებერვლის რევოლიუციამ. ბ) ორგანიზაციის მოღვაწეობა თებერვლის რევოლიუციის პერიოდში (რევოლიუციონური პროლეტარიატის ძალთა ორგანიზაცია, შეიარაღება, საბჭოებში მონაწილეობა, აგიტაციის ხასიათი), გ) ორგანიზაციის ბრძოლა სოციალ-ობორონცებთან (ბრძოლის საყურადღებო ეპიზოდები და საფეხურები). დ)

მუშაობა გლეხთა შორის, ე) როგორ შეხვდენ ორგანიზაციები ლენინის ლოზუნგებს, ვ) როგორ მიმდინარეობდა ორგანიზაციის ზრდა და მისი გავლენა მასებში, ზ) ივლისის დღეების გავლენა ორგანიზაციებზე, თ) სამზადისი ოქტომბრისათვის,

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. გამოარკვიეთ ცალკე მუშა ქალთა და გლეხქალთა მონაწილეობა მასიურ მოძრაობაში ომისა და თებერვლის რევოლიუციის პერიოდში.

2. იმ ადგილებში, სადაც ახალგაზრდობის მოძრაობა ღებულობდა ფართო პოლიტიკურ ხასიათს, ეურჩევთ სპეციალურად იქნას დამუშავებული მასალები ამ საკითხზე.

II. ოქტომბრის გადატრიალება ადგილებზე.

1. როგორ და როდის მზადდებოდა თქვენს რაინოში (ოლქი, გუბერნია, ქალაქი, მაზრა,) ოქტომბრის გადატრიალება. გადატრიალების მომწყობ ორგანიზაციებს ჰქონდათ თუ არა კავშირი (და რაგვარი) თავიანთ ცენტრალურ ორგანოებთან ან სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებთან. როგორი იყო ფართო მასის დამოკიდებულება ლოზუნგისადმი—„მთელი ძალა-უფლება საბჭოებს". როგორ მიმდინარეობდა მასის ორგანიზაცია საბჭოებისთვის ბრძოლაში (გამოარკვიეთ ცალკე გადატრიალების მომზადება მუშათა მასაში, თუ რაიონი პროლეტარული ცენტრია, სპეციალურად შეჩერდით პროლეტარიატის შეიარაღებაზე, მებრძოლი რაზმების ორგანიზაციაზე, წითელ გვარდიაზე; თუ თქვენი რაიონი გლეხურია, გამოარკვიეთ გადატრიალება სოფლად და შესაფერ შემთხვევებში გამოარკვიეთ ოქტომბრის მომზადება არმიის და ფლოტის ნაწილებში). 2. ბოლშევიკების როლი ოქტომბრის რევოლიუციის ორგანიზაციის საქმეში; შეიარაღებული ბრძოლის ხელმძღვანელობა, ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან. პარტიის ხელმძღვანელები თქვენს რაიონში და ის ამხანაგები, რომელნიც სპეციალურად მუშაობდენ გადატრიალების მოსამზადებელ ამა თუ იმ სფეროში. როგორი იყო ბოლშევიკების და მასის ურთიერთობა. პროფკავშირები და მათი როლი. 3. როგორი იყო ადგილობრივი საბჭოების მოღვაწეობა ოქტომბრის წინა დღით. ამ საბჭოების გაბალშევიკება. 4. თუ თქვენს რაიონში ოქტომბრის გადატრიალება მასათა მოძრაობის სტიქიური შედეგი იყო, შესწავლილ იქნას ეს მოძრაობა. 5. ოქტომბრის გადატრიალების მიმეხილვა (აღნიშნეთ თარიღი) თქვენს რაიონში. ძალა-უფლების ხელში ჩაგდების დროს თუ იქნა გაწეული შეიარაღებული წინააღმდეგობა. როგორი იყო მებრძოლი რაზმები, რომელნიც კონტრ-რევოლიუციის განკარგულებაში იყო გადატრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების დროს. მათი შემადგენლობა და რიცხვი. მუშათა და გლეხთა მებრძოლი ძალები. მათი შემადგენლობა, რიცხვი, ხელმძღვანელნი. როგორი ფორმები მიიღო კონტრ-რევოლიუციონური წინააღმდეგობის ლიკვიდაციამ. გაშუქებულ იქნას სპეციალურად მუშათა რაზმების (წითელი გვარდია) როლი გადატრიალებაში. 6. ოქტომბერი სოფლად. როგორი ფორმები მიიღო ოქტომბრის გადატრიალებამ სოფლად. (თუ რაიონი განსაკუთრებით გლეხურია, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება დოკუმენტების, მოგონებათა და სხ. მასალების დამუშავებას სოფლად მომხდარი გადატრიალების შესახებ). ვინ ხელმძღვანელობდა გადატრიალებას სოფლად. სოფლის რომელი ფენები გამოდიოდენ ოქტომბრის აქტიურ მონაწილეებად. როგორი იყო როლი კულაკის, საშუალო გლეხის და ღატაკისა ოქტომბრის დროს. პარტიათა გავლენა სოფლის გასარევოლიუციონერებლათ. 7. თუ თქვენი რაიონი შედის ნაციონალური რესპუბლიკის ან ოლქის შემადგენლობაში, როგორი სპეციფიური ფორმები და ხასიათი მიიღო ამ გადატრიალებამ თქვენს რაიონში. 8. მუშა ქალის, გლეხ-ქალის და ახალგაზრდობის მონაწილეობა გადატრიალებაში. 9. საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეები თქვენს რაიონში (ცალკე ქალაქი და სოფელი). 10. ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებთან გადატრიალების მეორე დღეს.

III. საბჭოების ძალა-უფლება.

1. როგორ დაიპყრეს მუშებმა და გლეხებმა ხელისუფლების ადგილობრივი აპარატი (გამოარკვიეთ ცალკე ქალაქად და სოფლად). 2. როგორ მოეწყო ადგილობრივი საბჭოები და მათი ორგანოები. როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა საბოტაჟთან და აშკარა კონტრ-რევოლიუციონერებთან. 3. ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტების მოღვაწეობა (თუ ასეთები იყვნენ, მათი როლი საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში. 4. ადგილობრივი ჩეკა და განსაკუთრებული განყოფილებები ოქტომბრის მოპოვებათა დაცვის საქმეში. 5. ადგილობრივი საბჭოს ისტორია, მისი ხელმძღვანელი და ადგილობრივი ორგანოები (ყრილობები, აღმასრულებელი კომიტეტები, კომისიები და სხ.) ადგილობრივი საბჭოს ხელმძღვანელნი. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და საბჭოები (გლეხთა რაიონებში მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ვოლოსტების აღმასკომების ისტორიას, გლეხთა ნასების მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში). როგორია ქალისა და ახკომკავშირების როლი ადგილობრივ საბჭოში. 6. ადგილობრივი ეკონომიური მშენებლობას (სოფლად). როგორ მიმდინარეობდა თქვენს რაიონში მიწის ნაციონალიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებითი სურათი (თუ ეს შესაძლებელია) მიწით სარგებლობისა ოქტომბრამდე და მის შემდეგ, კლასობრივი ბრძოლა სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში. ღატაკთა კომიტეტები და მათი როლი თქვენს რაიონში. სასურსათო „რაზვერსტკა“ და ადგილობრივ გლეხთა დამოკიდებულება მისდამი. ადგილობრივ გლეხთა მეურნეობა ეგრეთ წოდებულ „სამხედრო კომუნიზმის“ ეპოქაში. როგორი იყო გლეხთა დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. „სამხედრო კომუნიზმის“ დროს იყო თუ არა თქვენს რაიონში გლეხთა მოძრაობა და აჯანყებანი. რა იყო ამ აჯანყების მიზეზები, ვინ მონაწილეობდა მასში და ხელმძღვანელობდა მას. რაში გამოიხატა თქვენს რაიონში საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა საშუალო გლეხობის მიმართ. იყო თუ არა თქვენს რაიონში რაიმე სპეციალური პირობები, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება სასურსათო „რაზვერსტკიდან“ გადავიდა სასურსათო გადასახადზე. როგორ იქნა გატარებული თქვენს რაიონში სასურსათო გადასახადი. როგორი იყო გლეხთა დამოკიდებულება მისდამი. გამორკვეულ იქნას ადგილობრივ საადგილ-მამულო სასურსათო ორგანოთა მოღვაწეობა. 7. საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური მშენებლობა ქალაქში, როგორ ჩატარდა თქვენს რაიონში ფაბრიკებისა და ქარხნების ნაციონალიზაცია. როგორი იყო ადგილობრივი საბჭოების ფინანსიური პოლიტიკა ახალ ეკონომიურ პოლიტიკამდე (გამოარკვიეთ კონფისკაცია, შემჭიდროვება და სხვ.) ადგილობრივ მრეწველობის ისტორია ახალ ეკონ. პოლიტიკამდე. მუშათა როლი წარმოებაში და წარმოების ორგანიზაცია. ფაბრიკარხკომები. მუშები, როგორც სამრეწველო წამოწყებათა ხელმძღვანელნი. ადგილობრივ ეკონომიურ ორგანოების ეკონომ. განყოფ. სახ. სამეურ. სამ. და სხ. ისტორია. ურთიერთობა ქალაქსა და სოფლის შორის. რაში გამოიხატა თქვენს რაიონში ქალაქის კავშირი სოფელთან. 8. ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების სოციალური ღონისძიებანი. თუ რაიონი ნაციონალური რესპუბლიკაა ან ოლქი, დაწვრილებით შეჩერდით ადგილობრივ საბჭოების პოლიტიკაზე ეროვნულ უმცირესობისადმი, სპეციალურად შეჩერდით ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობაზე საბჭოთა ორგანოებში და რაიონის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელობაზე, აღნიშნეთ სპეციალური განსხვავება ამ ხელმძღვანელობისა. გამორკვეულ იქნას ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციების ისტორია, მათი მონაწილეობა საბჭოთა მუშაობაში და თქვენი რაიონის ეკონომიურ ცხოვრებაში. შრომის დაცვა. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა მუშაობა. ადგილობრივ სახალხო განათლების ჯანმრთელობის ორგანოთა მუშაობა. 9. ადგილობრივ პარტიული ორგანიზაცია საბჭოთა და ეკონომიურ მშენებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. სამოქალაქო ომი*).

ა. ის რაიონები, სადაც ირაზმებოდა კონტრ-რევოლიუციონური ძალები, მაგრამ სადაც კონტრ-რევოლიუციას არ ჩაუგდია ხელში პოლიტიკური ძალა-უფლება ამუშავებენ დაახლოვებით შემდეგ საკითხებს:

1. როგორს (და როდის) კონტრ-რევოლიუციონური ძალების დარაზმვას ჰქონდა ადგილი თქვენს რაიონში. 2. ვინ ხელმძღვანელობდა დარაზმვას. 3. როგორი იყო ლოზუნგები და სოციალურ-ეკონომიური პროგრამა ამ დარაზმვისა. 5. როგორი იყო კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციების მუშაობა. 6. როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონურ რაზმებთან თქვენს რაიონში. 7. ვინ იყო ამ ბრძოლის ორგანიზატორი და მონაწილენი. 8. შეჩერდით კონტრ-რევოლიუციონური რაზმების ლიკვიდაციის პირობებზე თქვენს რაიონში.

ბ. რაიონები, სადაც კონტრ-რევოლიუციამ შესძლო თავისი პოლიტიკური ხელისუფლების შექმნა, ამუშავებენ შემდეგ საკითხებს: 1. როგორი იყო ადგილობრივი კონტრ-რევოლიუციონური ხელისუფლების სტრუქტურა. 2. როგორი იყო მისი ბრძოლის მეთოდები რევოლიუციასთან. 3. რომელი საზოგადოებრივი ფენები იყვნენ ამ ხელისუფლების აქტიური და პასივური მომხრენი (თუ ადგილობრივ წვრილ-ბურჟუაზიულ ორგანიზაციებში იყვნენ გაბატონებული კონტრ-რევოლიუციის მომქმედი მონაწილენი, დაწვრილებით აიწეროს რაში გამოიხატა მათი მოღვაწეობა. ჰქონდა თუ არა კონტრ-რევოლიუციონურ ხელისუფლებას კავშირი თავისი ტერიტორიის გარეშე კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან. რაში გამოიხატებოდა ეს კავშირი. უწევდენ თუ არა დახმარებას ადგილობრივ კონტრ-რევოლიუციას ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები. რაში გამოიხატა ეს დახმარება. 4. როგორი იყო ამ ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებანი. როგორი იყო მისი საადგილ-მამულო პოლიტიკა (მისი დამოკიდებულება გლეხობისადმი). როგორი იყო მისი პოლიტიკა მრეწველობისა და მუშათა საკითხის სფეროში. კონტრ-რევოლიუციონური ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა. 5. ჰქონდა ადგილი თუ არა არალეგალურ ბრძოლას კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობასთან. ვინ ხელმძღვანელობდა ამ ბრძოლას. გამორკვეულ იქნას მუშათა და გლეხთა მასების მონაწილეობა ამ ბრძოლაში. 6. ბოლშევიკების მონაწილეობ-

*) ერთი მთლიანი სქემის მოცემა ყველა რაიონებისთვის სამოქალაქო ომის შესასწავლად შეუძლებელია, ამიტომ მიღებულია სქემათა სამი ძირითადი ტიპი, რომლებით სარგებლობა შეიძლება ცალ-ცალკე ან რამდენიმეთ მათი შეთანხმებით მოცემული რაიონის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ადგილობრივ არალეგალურ მუშაობის დროს, მათი როლი აქტიურ წინააღმდეგობაში კონტრ-რევოლიუციონური ხელისუფლებისათვის და გადატრიალების ორგანიზაცია. 7. როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ადგილობრივ კონტრ-რევოლიუციონურ ხელისუფლებასთან გარედან. წითელ არმიელთა ნაწილების და პარტიზანული რაზმების ოპერაციები. 8. ადგილობრივი კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის ლიკვიდაციის პირობები.

გ. რაიონები, რომელშიაც ადგილი არ ჰქონია ამკარა კონტრ-რევოლიუციონურ დარაზმვას, მაგრამ რომელნიც ოკუპაციაქმნილი იყვნენ ან დროებით დაკავებული კონტრ-რევოლიუციონური ჯარებითა და რაზმებით, ამუშავებენ შემდეგ საკითხებს:

1. როდის და ვის მიერ იყო ოკუპაციაქმნილი ან დაკავებული თქვენი რაიონი (მაგალითად: მამონტოვის რეიდი) კონტრ-რევოლიუციონური ჯარებითა და რაზმებით. 2. ვინ ხელმძღვანელობდა ამ ოკუპაციას ან რაიონის დაკავებას. 3. როგორი იყო საოკუპაციო ხელისუფლების და სხ. ხელმძღვანელთა დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობისადმი. 4. როგორი იყო მათი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიული ორგანიზაციებისადმი. 5. ერეოდა თუ არა საოკუპაციო ხელისუფლება ან რაიონის ჯარებით დაკავების ხელმძღვანელი რაიონის სამეურნეო ცხოვრებაში. 6. მასის დამოკიდებულება საოკუპაციო ხელისუფლებისადმი. (გამოარკვიეთ ცალ-ცალკე გლეხებისა და მუშების დამოკიდებულება). 7. წინააღმდეგობას თუ უწევდენ ოკუპანტებს, რაიონის დამკავებელთ. ამ წინააღმდეგობის ხასიათი. 8. არსებობდენ თუ არა ოკუპაციის დროს არალეგალური პარტიული ორგანიზაციები. მათი მოღვაწეობა. მოუწყვეს თუ არა მათ წინააღმდეგობა ოკუპანტებს და სხ. 9. რის შედეგი იყო საოკუპაციო ხელისუფლების მიერ თქვენი რაიონის დატოვება.

V. პარტიული ორგანიზაცია.

1. პარტორგანიზაციის ისტორიის მოკლე მიმოხილვა წლებისა რევოლიუციამდე—(თებერვლის რევოლიუციამდე) ა) დაარსების დრო, ბ) სოციალური შემადგენლობა, გ) დრო და გარემოება რასკოლისა მენშევნზმთან, დ) ორგანიზაციის მოქმედების რაიონი (მუშაობა გლეხობასთან), ე) ორგანიზაციის როლი 1905 წლის რევოლიუციონურ დღეებში აგრარულ მოძრაობაში, ზ) ორგანიზაცია რეაქციის პერიოდში—სწარმოებდა თუ არა ბრძოლა ლიკვიდატორებთან, თ) ორგანიზაცია ომის პერიოდში—ბრძოლა „ობორონცებთან".

2. პარტორგანიზაცია თებერვლის პერიოდში (პერიოდი ოქტომბრამდე) ა) რა მდგომარეობაში მოუსწრო ორგანიზაციას თებერვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის რევოლიუციამ, ბ) ორგანიზაციის მოღვაწეობა თებერვლის რევოლიუციის პერიოდში (რევ. პროლეტ. ძალთა ორგანიზაციათა შეიარაღება, მონაწილეობა საბჭოებში, აგიტაციის ხასიათი), გ) ორგანიზაციის ბრძოლა სოციალ-ობორონცობასთან (ბრძოლის საყურადღებო ეპიზოდები და საფეხურები), დ) მუშაობა გლეხთა შორის, ე) როგორ შეხვდა ორგანიზაცია ლენინის ლოზუნგებს, ზ)როგორ მიმდინარეობდა ორგანიზაციის ზრდა და გავლენა მასებზე, თ) ივლისის დღეების გავლენა ორგანიზაციაზე, ი) მომზადება ოქტომბრისათვის.

3. **პარტორგანიზაცია ოქტომბრის დღეებში.** შეიარაღებული ბრძოლის ხელმძღვანელობა, ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან.

4. **ორგანიზაციის როლი საბჭოთა** ხელისუფლების პირველ მშენებლობაში საგუბერნიო ცენტრში და ადგილებზე. დამოკიდებულება წვრილ-ბურჟუაზიულ ჯგუფებისადმი თვით მემარცხენე ესერებამდე. ორგანიზაციის დამოკიდებულება ბრესტის ზავისადმი. რიცხვობრივი შემადგენლობა ორგანიზაციისა, როგორ იმოქმედა ორგანიზაციაზე ხელისუფლების აპარატის დაპყრობამ (ორგანიზაციის შესაძლებელი შესუსტება, მასებში გავლენის შესუსტება).

5. **პარტორგანიზაცია სამოქალაქო ომში.** უშუალო მონაწილეობა ფრონტებზე. ცენტრის მიერ ორგანიზაციის წევრთა გადატყორცნა. მობილიზაციები. როგორ იმოქმედა პარტორგანიზაციაზე მე-VII! ყრილობის გადაწყვეტილებამ (გლეხობის შესახებ). პარტიის მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში. ღატაკთა კომიტეტები. ორგანიზაციის მონაწილეობა სასურსათო „რაზვერსტკაში". პარტორგანიზაციის ზრდა და განვითარება. (ახალ წევრთა მიღების „კვირეები") ბრძოლა ბანდიტიზმთან [1]).

6. **პარტორგანიზაციის გადასვლა** სამხედრო კომუნიზმიდან ახ. ეკონ. პოლიტიკის ეპოქაში. როგორ იმოქმედა ამ გადასვლამ ორგანიზაციის მუშაობაზე, მის შემადგენლობაზე, ორგანიზაციის როლი სამეურნეო მშენებლობაში. „წმენდა".

7. ორგანიზაციის ბრძოლის საყურადღებო საფეხურები, მისი ზრდა ახ. ეკონ. პოლიტიკის წლებში. გავლენის ზრდა მასებში, ორგანიზაციის რიცხვობრივი შემადგენლობა, სოციალური შემადგენლობა. პარტორგანიზაციის ორგანოები: გუბკომი (მისი შემადგენლობა), საგუბ. საკონ. კომისიები, გუბკომების განყოფილებათა მუშაობა. ლენინური გაწვევა. მუშაობა სოფლად.

---

[1]) თუ ტერიტორია დაკავებული იყო კონტრ-რევოლიუციონური ძალების მიერ, უნდა აწერილ იქნას არალეგალური პერიოდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრაქციული ბრძოლის პირველი დღეები ტფილისში.

(1905 წ.)

(ტფილისის მოწინავე მუშების პირველი გაფართოებული კრება ნაძალადევში ბოლშევიკების და მენშევიკების შორის მომხდარი განხეთქილების შესახებ 1905 წ. დასაწყისში),

ჩვენ, ტფილისის მუშებმა პარტიაში განხეთქილების შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდით 1905 წლამდის. ჩვენი ბინა იყო გამავრცელებელი პუნკტი მთელი ლიტერატურისა ტფილისის მუშებისათვის; ერთ ოთახში ვცხოვრობდით (თუმანოვის ქუჩაზე)—მე, იაკობ ოდეშაშვილი (მეტი სახელი კაკულა) და კოტე შაკულაშვილი.

პარტიაში განხეთქილების შესახებ ჩვენ გავიგეთ მხოლოდ მაშინ, როცა საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდენ ჩვენი ნაცნობი ამხანაგები: მიშა დავიდოვი, დათიკო სულიაშვილი და იცკა რიჟინაშვილი. პირველად იმათ გვითხრეს პარტიაში უთანხმოების შესახებ, რომ მეორე „სიეზდზე“ თავი იჩინა ორმა მიმართულებამ, ერთი სახელწოდებით „უმრავლესობა“ და მეორე „უმცირესობა“. ეს ამხინაგები გვიხსნიდენ უმთავრესად რა საკითხმა გაჰყო პარტია ორ ნაწილად. და ჩვენ სამივე ამხანაგები, ესე იგი, იაკობ ოდეშაშვილი, კოტე შაკულაშვილი და მე ვეთანხმებოდით მათ ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი. პარტიის წევრი, რასაკვირველია, ის უნდა ყოფილიყო, ვინც იღებდა (სოციალ-დემოკრატიულ) პროგრამას, შედიოდა ერთ-ერთ მის ორგანიზაციაში და იხდიდა საწევრო გადასახადს. ამ აზრს ხელაღებით ვიმხრობოდით. და მით ვხდებოდით „ბოლშევიკები“. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემმა ორმა ამხანაგმა, სახელდრმ, იაკობ ოდეშაშვილმა და კოტე შაკულაშვილმა რომ გაიგეს, რომ ნოე ჟორდანია „მენშევიკების“ მხარეზეაო, მაშინვე გადავიდენ „მენშევიკების“ მხარეზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ როცა ჩვენ ვკამათობდით საერთოდ პიროვნების შესახებ, ისინი ყოველთვის პიროვნებას არ აიმერთებდენ. მაგრამ როცა გაიგეს, რომ ნოე ჟორდანია მეორე პარტიულ „სიეზდზე“ იყო და მენშევიკია, ეხლა მიმტკიცებდენ, რომ მენშევიკური აზრი უკეთესია და ჩვენ, მუშები, ყველა მენშევიკები უნდა გავხდეთო. მაშინ ტფილისის პარტიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტს შეადგენდენ „მენშევიკები“, და კავკასიის კავშირის კომიტეტს კი—„ბოლშევიკები“ და როდესაც კავშირის კომიტეტმა მისწერა ტფილისის კომიტეტს, რომ თქვენ დაშლილათ ხართ გამოცხადებული და ყოველივე ქონება უნდა ჩააბაროთ ახლად შემდგარ ტფილისის პარტიულ კომიტეტსო აი, სწორედ მაშინ დაფაცურდა ტფილისის „მენშევიკური“ კომიტეტი ნოე ჟორდანიას მეთაურობით და მოიწვიეს ტფილისის მოწინავე მუშების გაფართოვებული კრება ნაძალადევში.

ეს იყო დაახლოვებით 1905 წ. გაზაფხულის დასაწყისში, ამ კრებას დაესწრო დაახლოებით 30—40 მოწინავე მუშა. და როდესაც ჩვენ სამი ამხანაგი მივედით კრებაზე, ჯერ კიდევ კრება არ იყო გახსნილი. ნოე ჟორდანია უკვე იქ იყო. ჩვენ შევედით ოთახში. ეტყობოდა, რომ მოწინავე მუშების უმრავლესობა მოსული იყო. ჟორდანიაც იქ იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იქ სამარისებური სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. მე მოვინდომე სიჩუმის დარღვევა და ჟორდანიას შევეკითხე: მუშა სოციალ-დემოკრატი და ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატი რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მეთქი. ეს კითხვა იმიტომ მივეცი, რომ წინათ, სანამ კრება შესდგებოდა, ჟურნალ „მოგზაურში“, რომელიც მაშინ გამოდიოდა ფილიპე მახარაძის რედაქტორობით, დაიბეჭდა ორი წერილი, ერთი ნოე ჟორდანიას თუ არ ვცდები მგონი ან—ის ფსევდონიმით და მეორე საშა წულუკიძის ვგონეს ა—ლე ფსევდონიმით. ამ წერილში სწერდა ნოე ჟორდანია და აკრიტიკებდა ბოლშევიკებს საერთოდ და ლენინის წიგნს—что делать? ჟორდანია ამბობდა იქ, რომ ლენინი სწერს ამ წიგნში, რომ მუშებში სოციალიზმი ინტელიგენციამ უნდა შეიტანოს, თორემ მუშები ვერაფერს გაიგებენო, რომ პარტიაში ინტელიგენციის გაბატონება უნდათ ბოლშევიკებსო, და მრავალი სხვა დემაგოგიური ფრაზები იყო იმ წერილში ბოლშევიკების წინააღმდეგ. და აი სწორედ ამიტომ მივეცი ზემოდ დასახელებული კითხვა ჟორდანიას, თანაც მინდოდა სიჩუმე დამერღვია.

მან დაიწყო ახსნა, რომ ინტელიგენციას თავის მდგომარეობით ადვილათ შეუძლია უღალატოს მუშათა კლასსო. არ დაეთავებია მას ამ კითხვის ახსნა, რომ ამ დროს მოვარდა ერთი მუშა, კარგათ აღარ მახსოვს რომელი იყო, ვგონებ მეტ სახელად „კურიელი“, მტაცა ხელი და გამიყვანა გარეთ აივანზე და მეუბნება—როგორ უბედავ მას შენ შეკამათებას, იცი შენ თუ არა, ვინ არის ის, რომ ის ნოე ჟორდანიაა, რომ ის მუშების სათაყვანებელი კაცია და სხვა ასეთები.

იხსნება კრება, რომლის წინაშე სდგას მხოლოდ ერთი საკითხი,—ეს საკითხი არის კავშირის კომიტეტის მიერ მოწერილი წერილი, ტფილისის მენშევიკური კომიტეტისადმი. მოხსენებას აკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს საერთოდ „ბოლშევიკებზე“ და ამ წერილის შესახებ ნოე ჟორდანია. ის ამბობს, რომ ბოლშევიკები მუშებს პარტიიდან ერეკებიან „დუბინებით“, რომ მათ ორგანიზაციაში შეუძლია შევიდეს მხოლოდ ინტელიგენციას და მუშებს უხშობენ პარტიის კარებს, რომ ისინი არავითარ დემოკრატიზმს არ იცავენ პარტიაში და პირდაპირ ზევიდან ნიშნავენ ორგანიზაციაში ხალხსო და სხ. ამის დასამტკიცებლათ ბოლოს წაგვიკითხა კავშირის კომიტეტის მოწერილი წერილი ტფილისის კომიტეტისადმი, სადაც ეწერა: 24 საათში უნდა ჩააბაროთ ახლათ შემდგარ კომიტეტს ყოველივე ის ქონება, რაც თქვენ განკარგულებაშია და თქვენ დაშლილათ ითვლებითო; კიდევაც რომ მოინანიოთ თქვენი შეცდომები, თქვენი დარჩენა კომიტეტში მაინც შეუძლებელიაო. და აი, სწორედ ამ ბოლო სიტყვებზე ნოე ჟორდანია დორბლებს ჭყრიდა პირიდან და ამბობდა: ამხანაგებო, ნიკოლოზის კანონები ამბობს, რომ თუ შეცდომას აღიარებ, გეპატიებიათ და ეგენი კი ნიკოლოზზე უარესი ინკვიზიტორები აღმოჩნდენო.

ამის შემდეგ იყო წამოყენებული რეზოლიუცია, რომელიც გმობდა კავკასიის კავშირის მოწერილობას და ამბობდა, რომ ტფილისის კომიტეტი არის ტფილისის მუშების მიერ არჩეული და ყოველივე ის ქონება, რაც ტფილისის კომიტეტის ხელშია, ეკუთვნის ტფილისის მუშებს.

ამნაირათ, ეს პირველი ოფიციალური კრება იყო, რომელიც არ ემორჩილებოდა უმაღლეს ორგანოს დადგენილებას საქართველოში. ამის შემდეგ კავკასიის კავშირს კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია, სადაც აცხადებდა ტფილისს ძველ კომიტეტს დაშლილათ და უურჩევდა ტფილისის მუშებს, რომ შემოკრებილიყვნენ ახალი ტფილისის კომიტეტის გარშემო. და ეს პროკლამაცია მოეტანა ჩვენს ოთახში კამოს ტფილისის მუშებში დასარიგებლათ. გაეგოთ თუ არა მენშევიკებს, რომ ასეთი პროკლამაციებია გამოშვებული კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ ტფილისის მუშებში დასარიგებლათ, მაშინვე მოსულიყვნენ ჩვენს ოთახში და გამოეტანათ ეს პროკლამაციები და დაეწვათ. აი სწორედ ასე დაიწყო პირველი ფრაქციული ბრძოლა ბოლშევიკებს და მენშევიკებს შორის ტფილისში და სწორედ აქედანვე შეატყობდა შორსმჭვრეტელი მუშა, თუ რა სასტიკი უნდა ყოფილიყო ჩვენს შორის ბრძოლა გადამწყვეტ მომენტში.

ეს ასეც მოხდა. დღეს ეს ყველამ იცის და მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ, მუშებმა, 1905 წ. რევოლიუციის 20 წ. თავის აღსანიშნავად, მოვიგონოთ ეს ფაქტი ჩვენი პარტიული ცხოვრების. და მით უფრო უნდა შევკავშირდეთ ორგანიზაციულათ. და კლასიური ბრძოლის თვალთა—ხედვის ნიადაგზე დგომით მომავალში უფრო ადვილათ და მედგრათ გავუმკლავდეთ გარედან და შიგნიდან მოზღვავებულ მტერებს.

რ. ჯღამაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეოთხე წლეული ჩვენი პარტიის ცხოვრებაში.

(1907—1910)

1907 წ. ლონდონის ყრილობის შემდეგ ბოლშევიკურმა სალიტერატურო ბიურომ თავისი მუშაობა ძალზე შეანელა. მოწინავე ამხანაგები, რომელნიც ხელმძღვანელობდენ პარტიაში ბოლშევიკურ ფრაქციას (კობა, მიხა ცხაკაია და სხვ.) ან გაემგზავრენ ლონდონის ყრილობაზე, ან გადასახლდენ დიდ სამრეწველო ცენტრებში (ბაქოში და შიდა რუსეთში).

იმ დროს ტფილისში მთელი თავისი სიმძლავრითა და სიმკაცრით გააძლიერა მოქმედება „ოხრანკამ", განსაკუთრებით ბოლშევიკების მიმართ.

ტფილისის მენშევიკური კომიტეტის მუშაობას არავთარი ნიშან-წყალი არ ეტყობოდა და ეს მუშაობა თანდათანობით გაიყინა; კომიტეტის სხდომები უნდებოდა იმის გამორკვევას, თუ როგორ დაეღწიათ თავი ცნობილი 102 მუხლისაგან, რომელმაც მენშევიკები ძალზე დაიფრთხო და დავთარი აუბნია. ტფილისის კომიტეტში შედიოდა სამი ბოლშევიკი—მე-4—6—7 რაიონებიდან, დანარჩენი რაიონებიდან იყვნენ წარმოგზავნილი მენშევიკები და კომიტეტი, თავის დიდი უმრავლესობით, შესდგებოდა მენშევიკებისაგან.

მახსოვს, 1908 წ., დიდ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი 9 იანვრას მომხდარ ამბების აღსანიშნავად ფურცლების გამოშვების შესახებ. ლიკვიდატორული სულისკვეთება ისიც იყო აშკარავდებოდა მენშევიკთა შორის. მენშევიკების დიდი უმრავლესობა კომიტეტში სრულიად ზედმეტად სთვლიდა ფურცლის გამოშვებას. იმათი აზრით რევოლიუციონური მუშაობა და არა-ლეგალური ლიტერატურის გამოშვება მხოლოდ გააღიზიანებდა „ოხრანკას" და გააძლიერებდა რეპრესიებს.

ფურცელი გამოშვებულ იქნა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ეს უკანასკნელი ფურცელი იყო მენშევიკური კომიტეტისა.

1908 წელს, გაზაფხულზედ, ასტყდა კამათი ლეგალურ საშუალებათა გამოყენებისა და არა-ლეგალური მუშაობისათვის თავის მინებების შესახებ. რაც დრო გადიოდა, დიდი უმრავლესობა მენშევიკური კომიტეტისა, იმ აზრს ითვისებდა, რომ რევოლიუცია გათავებულია და როგორმე უნდა შევეგუოთ მეფის რეჟიმსა და ლეგალურ ფარგლებში პარტიული მუშაობის წარმოებასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სამარცხვინო კამპანიის ხელმძღვანელობა მაშინ იკისრა საოლქო კომიტეტის წევრმა სილბისტრო ჯიბლაძემ. აღნიშნულ კამპანიის ჩატარებას ხელი შეუწყო 1908 წლის დეკემბერში პარიზში გამართულ კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუციების წინააღმდეგ გალაშქრებამ კავკასიის დელეგაციისამ (დანი, აქსელროდი და სემიონოვი*). დელეგაციამ წერილობითი მოხსენება გადმოუგზავნა საოლქო კომიტეტს კონფერენციის რეზოლიუციების შესახებ. დელეგაციის წერილობითი მოხსენება იყო აშკარა ლიკვიდატორული. ამ გარემოებამ უფრო გაორკეცებული გაბედულებით აამოქმედა მენშევიკები არალეგალური პარტიის წინააღმდეგ. იმავე ხანებში მოხდა ახალი არჩევნები და პირველ რაიონში (იმ დროს და ეხლაც პირველ რაიონად არის წოდებული) კომიტეტში გაიყვანეს ყველა ბოლშევიკები, რამაც მოგვცა ერთი თუ ორი კაცით უმრავლესობა, რაც ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, სრულიად საკმარისი იყო, რომ საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ გაგველაშქრებია ტფილისის პარტიის ორგანიზაციის სახელით. საოლქო კომიტეტმა სილბისტრო ჯიბლაძისა და კალისტრატე გოგუას პირით მარტში, 1909 წ., ტფილისის კომიტეტი დაშლილად გამოაცხადა, რაზედაც მათ ცივი უარი მიიღეს და რასაც მოყვა მენშევიკების მიერ დემონსტრატიულად კომიტეტის სხდომის დატოვება. რადგან ასეთი წინააღმდეგობის გაწევას არ მოელოდა საოლქო კომიტეტის წევრი სილბისტრო ჯიბლაძე, მან, ჩვენ კრებას, ე. ი. კომიტეტიდან გამოყოფილ ნაწილს, სეკტანტები უწოდა.

ახალი (ბოლშევიკური) კომიტეტის მუშაობა.

1909 წ., გაზაფხულზე, ე. ი. მას შემდეგ, რაც მენშევიკებმა მიატოვეს არალეგალური კომიტეტი, ჩვენ, ბოლშევიკებმა მოვახდინეთ ხელ-ახალი არჩევნები და განახლებული კომიტეტი შეუდგა მუშაობას იმ დირექტივებისა და გეგმის თანახმად, როგორსაც იძლეოდა 1908 წ.**) დეკემბრის პარიზის კონფერენცია: გაძლიერება არა-ლეგალური მუშაობისა პარტიაში და ლეგალურ საშუალებათა გამოყენება პარტიის გასაძლიერებლად. ამ მიზნით კომიტეტმა გამოყო განსაკუთრებული კომისია ლეგალურ ორგანოებში სამუშაოდ და მისი პირველი ნაბიჯი იყო მონაწილეობის მიღება ეგრედ წოდებულ ქართულ სცენის მოყვარეთა საზოგადოების დაარსებაში და დამფუძნებელ კრებაზე, მის გამგეობაში, კანდიდატების გაყვანა

*) სემიონოვი ნიე რამიშვილის ფსევდონიმი იყო.

**) ბოლშევიკურ კომიტეტში შევიდნენ ჩემთან ერთად პეტრე არველაძე, პ. საბაშვილი, ვალოდია კოპალეიშვილი, ილია მგელაძე (ეხლა ვარდინი) და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის მუშაობა ამ შემთხვევაში სრული გამარჯვებით დამთავრდა. არჩეულ იქნენ ყველა ბოლშევიკური კომიტეტის მიერ წაყენებული კანდიდატები (ს. თავდიშვილი, ვალოდია კოპალეიშვილი, სამსონ ტოროშელიძე და სხვ.). კრება მრავალ-რიცხოვანი იყო—დაახლოვებით 300 წევრი დაესწრო, თითქმის სულ მუშები. აქ იყო სახალ. სახლის ბიბლიოთეკის მოსამსახურე ამხ. ს. თალაკვაძე და სკენის მოყვარენი: ანკარა, გოცირიძე და სხვ. ამ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ სახალხო უნივერსიტეტის ირგვლივ (სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციაში მუშაობდენ: ამხ. ს. თალაკვაძე, გ. ყურულიშვილი, ლ. წულუკიძე და სხვ.). მუშაობისათვის, ვინაიდან ეს არჩევნები სწყვეტდა საკითხს, თუ ვის ხელში,—ბოლშევიკების, თუ მენშევიკების,—უნდა ყოფილიყო დღეები ქართული წარმოდგენებისათვის.

სანამ ეს საზოგადოება შესდგებოდა, მანამ ქართულ სექციის განკარგულებაში იყო წარმოდგენების დღეები, ქართული სექცია კი მენშევიკების ხელში იყო.

სკენის მოყვარეთა საზოგადოების გამგეობის არჩევნების შემდეგ წარმოდგენების დღეები გადაეცა მას სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა და ქალაქის თვითმართველობის მიერ, მენშევიკები დარჩენ პირში ჩალა-გამოვლებული.

რამდენად გამშვავებული იყო ბრძოლა ჩვენსა და მენშევიკებს შორის სახალხო უნივერსიტეტის ირგვლივ, ამას მოწმობს შემდეგი:

ქართული სექციის მთელი შემადგენლობა მენშევიკ ჭიაბრიშვილის მეთაურობით 30 კაცამდე გამოცხადდენ სკენის მოყვარეთა საზოგადოების გამგეობის სხდომაზე და დემონსტრატიულად მოითხოვეს ქართული წარმოდგენების დღეების სექციისთვის გადაცემა. რასაკვირველია, მათი მუქარისა და დემონტრაციის არავის შეშინებია, ნახეს რა ეს ხერხი ვერ სჭრის, მაშინ მიმართეს მეორე საშალებას. მიუგზავნეს დელეგაცია ქალაქის ხმოსანს ნიკო ელიავას (ნიკო ელიავა მაშინ ბოლშევიკოდა) საოლქო კომიტეტის ბეჭედ დასმული ბრძანებით, რომ მას, ელიავას, დაუყოვნებლივ აღეძრა საკითხი ქალაქის თვითმართველობის გამგეობასთან და საბჭოშიც და ყველა იურიდიული უფლებები, რაც შეეხებოდა ქართულ წარმოდგენებს სახალხო უნივერსიტეტში, გადასცემოდა სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ სექციას ე. ი. მენშევიკებს.

ამის გამო ნ. ელიავამ დაგვაბარა მე და პეტრე აველაძე და გვიკითხა რჩევა როგორ მოქცეულიყო საოლქო კომიტეტის განკარგულების შესახებ. ეტყობოდა, რომ ამ გარემოებას დაეფიქრიანებია. მან სთქვა, ხომ იცით საოლქო კომიტეტის კანდიდატი ვარ ხმოსნად და როგორ მოვიქცე არ ვიცი. ჩვენ კატეგორიულად განუცხადეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საოლქო კომიტეტის არსებობა საეჭოა მას შემდეგ, რაც ტფილისის ბოლშევიკური კომიტეტი მას არ ცნობილობს და არ ცნობილობს აგრეთვე ბაქოს კომიტეტიც. როგორი გადაწყვეტილება მიიღო ნ. ელიავამ წერილის შემდეგ ეს არ ვიცი, მხოლოდ სრული პატრონი სახალხო სახლში ქართული წარმოდგენებისა დარჩა ისევ გამგეობა სცენის მოყვარეთა საზოგადოებისა ბოლომდე.

ამ სცენის მოყვარეთა წრის გავლენის ქვეშ იყო ავჭალის აუდიტორია. აგრეთვე შემდეგ — ნოქართა კლუბი, მეზექმეთა პროფ-კავშირი და სხვ. ლეგალური დაწესებულებები. ყველა ესენი ბოლშევიკური კომიტეტის გავლენის ქვეშ იყვნენ. ეს გარემოება მენშევიკებს კიდევ უფრო აბრაზებდა.

გაჩაღებულ იქნა წრეებში მუშაობა ამხ. ის. თალაკვაძის მეთაურობით და ვისაც კი ახსოვს 1909—1910 წლებში გაზაფხულზე მასიური კრებები და ბოტანიკურ ბაღში გამართული მიტინგები, ეს მ. შაობა იყო საუკეთესო დამახასიათებელი კომიტეტის მუშაობისა, რ. მაც დიდი როლი ითამაშა მიძინებული მასების გამოცოცხლებაში.

მაშინ ჩემთან არალეგალურ მუშაობაში იყვნენ ჩაბმულნი: (საბაშვილი, მგელაძე— ვარდინი, თავდიშვილი, ვ. ნოდია, არველაძე პ., ის. თალაკვაძე, ერმ. კალანდაძე, ს. თალაკვაძე, გ. ყორულიშვილი, ლადო სუხიშვილი, ლ. მირონაძე და სხვ.. ბოლშევიკურ ორგანიზაციაში ირიცხებოდა 450 აქტიური წევრი.

ტფილისში კიდევ მოიპოვებოდენ იმ დროს ძველი ბოლშევიკები, რომლებიც დიდი როლს თამაშობდენ 1905 წ. და უფრო ადრეც რევოლიუციონურ მოძრაობაში და სრულიად (პასივურად იყვნენ განწყობილნი 1908—1910 წლებში და თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულებდენ პარტიულ მუშაობაში. ისინი, პირიქით, ტფილისის კომიტეტის მუშაობას სთვლიდენ პირობების მიხედვით სრულიად უმიზნოთ. ასეთი ამხანაგები თუმცა თითებზე იყვნენ ჩამოსათვლელი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მათი პოზიცია მაშინ უფრო ლიკვიდატორული იყო, ვინემ ბოლშევიკური. ისინიც, ალბათ, სავსებით შეპყრობილი იყვნენ ცნობილი 102 მუხლის შიშით. მათ უფრო მეტი საბაბი მიეცოთ არ მიეღოთ აქტიური მონაწილეობა პარტიულ მუშაობაში მას შემდეგ, რაც გახშირდა „პროვალები“ (იმ ხანებში ჩაუვარდა „ოხრანკას“ იარაღის ორი საწყობი 1—ე რაიონში „ტრეუგოლნიკის“ შენობაში და, მეორე საწყობი—გენერალ თამაშევის სახლში მე-6 რაიონში (სოლოლაკში).

ეს შემთხვევა მენშევიკ-ლიკვიდატორებმაც გამოიყენეს და ავრცელებდენ მუშებში ხმებს, ბოლშევიკები რომ არ ყოფილიყვნენ, „ოხრანკა“ ასეთ რეპრესიებს არ შემოიღებდაო. ამით მათ უნდოდათ გაემართლებინათ თავიანთი ლიკვიდატორობა და პარტიის ლეგალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაცია. 1909 წ. შემოდგომაზე ბაქოდან ჩამოვიდა ამხ. კობა-სტალინი, რომელმაც ტფილისის კომიტეტის მუშაობა მოიწონა და ახალი ორგანიზატორები მოგვცა. გაეცნო არალეგალური სტამბის მომავალ სამუშაო გეგმას და აღგვითქვა მოწინავე წერილების მოწოდება გაზეთ „პროლეტარიატისთვის“.

1907—1910 წ.წ. მუშაობის მძიმე პერიოდი იყო, განსაკუთრებით 1909 წ. და 1910 წ. მიწურულში.

პარტ-ორგანიზაციას შერჩა მხოლოდ ისეთი ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ იმედის თვალით შესცქეროდნენ რევოლიუციას და სულით არ იყვნენ დაცემულნი, ასეთები იყვენ უმთავრესად პარტიაში შემუშავე მუშები.

კარგად იყო მოწყობილი საზღვარგარეთიდან ლიტერატურის მიღების საქმე. ლიტერატურას რეგულიალურად ვღებულობდით.

საუცხოვო არქივი, რომელიც შენახული ჰქონდა კომიტეტს, დაიღუპა არალეგალურ სტამბასთან ერთად 1910 წ. ეკლესიის ქუჩაზე

ერმილე (გერმანე) ნაფეტვარიძე.

საიდუმლო სტამბა პოჯრის გზაზე.

(1909—10 წ.)

1909 წელის მიწურულია. ჩემთან ბინაზე მოვიდა ორი ამხ. ერმილე კალანდაძე და ერმილე ნაფეტვარიძე და პარტიის სახელით დამავალეს საიდუმლო სტამბის მოწყობა და მასში მუშაობა.

ეს ის დრო იყო, როცა სტოლიპინის რეაქციის ნაყოფი: ციხე, კატორღა და სახრჩობელა მთელი რუსეთის სივრცეზე სრული თავისი სისასტიკით მძვინვარებდა. საკმარისი იყო ერთი ცალი ფურცელისა ეპოვათ და კატორღაში ამოყოფდი თავს. ეს ის დრო იყო, როცა პარტიაში ლიკვიდატორულმა მიმდინარეობამ იჩინა თავი...

აი ასეთ დროს ტფილისის კომიტეტმა გადასწყვიტა მოეწყო საიდუმლო სტამბა და ეწარმოებინა არალეგალური მუშაობა.

ჩვენც შევუდექით საქმეს. სტამბისთვის ბინა ეშოვნათ კოჯრის გზაზე ივანე ქარსელაძის სახლში ამხ. გედეონ თურმანიძის შემწეობით. მაგრამ ეს ბინა გამოდგებოდა თუ არა, მათ ვერ გადაწყვიტათ და ამიტომ ერთ საღამოს წამიყვანეს ბინის დასათვალიერებლათ.

ახირებული ბინა იყო მდგურების მხრით, მარა ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ იქ მოგვეთავსებინა სტამბა. იმ ოთახის ზემო სართულში, სადაც სტამბა ულდა მოთავსებულიყო, ცხოვრობდა „ოხრანკი“. გვერდით ორ ოთახში ცხოვრობდენ თავისი ცოლ-შვილით სამი პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიციელი: დროჟნოვი და სხვა (გვარები არ მახსოვს). სტამბის წინ ორ ოთახში-კი უნდა ეცხოვრა — ეროში ილარიონ მგელაძეს (ვარდინი), ბოლო მის გვერდით — თვით სახლის პატრონს.

ილარიონს დავალებული ჰქონდა როგორც ფურცლებისა და ჟურნალის „პროლეტარიატის ბრძოლა"-ს ფურცლის ხელმძღვანელობა, ისე მისი კორექტურის გასწორება. აი ასეთ ბინაზე მოვაწყეთ სიდუმლო სტამბა.

სტამბისთვის საჭირო არავითარი მასალა და მანქანა ჩვენ არ გვქონდა, საჭირო იყო მისი შეძენა, რაც იმ დროს არც ისე ადვილი საქმე იყო. რომ მანქანა და მისი მოწყობილობა შეგეძინა, ამისთვის საჭირო იყო გუბერნატორის ნებართვა სტამბის გახსნის შესახებ. ეს საქმე (გუბერნატორის ნებართვის შოვნა) იკისრა ერმილე ნაფეტვარიძემ. მან შეადგინა ნებართვა, დაასვა ბეჭედი და ხელიც მოაწერა თვით გუბერნატორის მაგიერ. ყოველივე ის კარგად იყო გაკეთებული.

ერთ მშვენიერ დღეს ვალერა ბილანაშვილისაგან გავიგე, რომ მუგდუსი-აკოფოვის სტამბაში იყიდებოდა ერთი პატარა ნახევარ-ფურცლიანი ხელის „ბოსტონკა". მეც ერთ საღამოს, ჩემის ყალბის სტამბის გახსნის ნებართვით წვერ-ულვაშ შეღებილი, შევდივარ მუგდუსი-აკოფოვის სტამბაში და ვეკვეჩრები მანქანაზე. როგორც იყო, მოვრიგდით. ბოსტონკა დავაშვლევინე, ყუთში ჩავალაგე და მედროგეს უბრძანე სადგურზე წასვლა, რომ გამეგზავნა ქუთაისში. (ნებართვა ქუთაისში იყო აღებული). როცა ალექსანდრეს ბაღს მიუახლოვდი, მედროგეს განკარგულება შეუცვალე და პირი კოჯრის გზისაკენ ვაბრუნებინე. ცოტა გზა რომ გავიარე შევნიშნე, რომ ერთს მუშას, ამ სტამბაში მომუშავეს, ჩემში ეჭვი შეჰპაროდა და უკან გამომყოლოდა, ალბად გაგება უნდოდა, თუ სად მიმქონდა „ბოსტონკა". ამ ცნობის-მოყვარეობით მომდევდა ფეხდაფეხ. მე შევფიქრიანდი, მარა იმედს არ ვკარგავდი, რადგან ვიცოდი, რომ ერევნის მოედანზე მიცდიდნენ ე. ნაფეტვარიძე, ე. კალანდაძე და გედეონ თურმანიძე. მე მათ ვუამბე საქმის ვითარება და ვანიშნე კიდეც ამ მუშაზე. მან თითქო იგრძნო, რომ ეს ცნობის მოყვარეობა, ცოტა არ იყოს, ძვირად დაუჯდებოდა და მიიმალა კიდეც.

ამის გამო სტამბა იმავ საღამოს ბინაზე არ მივიტანეთ. დავტოვეთ სულით ავათმყოფთა თავშესაფარში, სადაც გედეონი მსახურობდა, ხოლო დილით ადრე ის გადატანილ იქნა ბინაზე.

დანარჩენი მასალები: შრიფტი, ხაზები და სხვა გამოტანილ იქნა ქართ. გამომც. ამხანაგობის სტამბიდან, სადაც მე ვმუშაობდი მაშინ. ამ საქმეში დიდ დახმარებას მიწევდა ამხ. ივლიანე ჩხიკვიშვილი, დათიკო ჭელიძე და კოწია ქარცივაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა უკვე ამუშავდა. ამხ. „პარნასი“ (ილარიონ მგელაძე) შეუდგა ფურცლების და ჟურნალის გამოცემას, მარა მან პირველი ჟურნალის გამოცემის („პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“) შემდეგ აქ მუშაობას თავი მიანება. ილარიონ მგელაძის შემდეგ ორგანიზაციამ სტამბასთან კავშირი მიანდო საბაშვილს. რამდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ იმასაც ხსნის ორგანიზაცია და მის ადგილს იჭერს ვალოდია კოპალეიშვილი (ეს უკანასკნელი 1917 წ. აღმოჩნდა პროვოკატორი. რომ ის პროვოკატორი იყო, ეს გავიგეთ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, ის სხვა პროვოკატორებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა).

ვინაიდან სახლის პატრონს ვალი ჰქონდა და სახლი საჯარო ვაჭრობით უნდა გაყიდულიყო, ამიტომ 11 თვის მუშაობის შემდეგ იძულებული ვიყავით სტამბა აგველაგებინა და შეგვენახა იქვე ოთახში ბუხარში. დავშალეთ მანქანა და შრიფტთან ერთად შეკალაგეთ ბუხარში, ამოვაშენეთ ბუხარი აგურის კედლით და ზემოდან გადავაკარით იმავე შპალერის ნაჭერით, რომლითაც თვით ოთახი იყო გაკეთებული. საქმე ისე სუფთათ გაკეთდა, რომ თუ პროვოკატორი არა, ისე ძალიან გასჭირდებოდა მისი ნახვა. ამ საქმეში მონაწილეობდენ ჩემს გარდა პარმენ საბაშვილი, ვალოდია კოპალეიშვილი და თვით სახლის პატრონი.

ერთი თვის შემდეგ, 1-ლ ივლისს, სახლს გარს ერტყმის პოლიციელთა რაზმი, გაჩხრეკის შემდეგ ჟანდარმები პირდაპირ იმ კედელს შიადგენ, სადაც სტამბა იყო. დააპატიმრეს სახლის პატრონი ივანე ქარსელაძე. იმავე ღამეს თავის ბინაზე დაუპატიმრეს პარმენ საბაშვილი და სხვადასხვა სასტუმროდან მოსამსახურეები. ესენი იმიტომ დაუპატიმრეს, რომ მე ჩაწერილი ვიყავი ყალბი პასპორტით, როგორც რესტორანში მოსამსახურე. ბოლოს ბევრი ძებნის შემდეგ არამიანცის საავადმყოფოში ტიფით ავადმყოფს თავს მესხმის 15 პოლიციელი, რომელთა შორის იყო ქარსელაძის სახლში მცხოვრები პოლიციელი დოროჟნოვი, რომლის ჩვენებითაც დამაპატიმრეს. რადგან მძიმე ავადმყოფი ვიყავი, 15 დღის განმავლობაში დამტოვეს საავადმყოფოში პოლიციელების ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო შემდეგ გადამყივანეს მეტეხში. 1911 წ. გაგვასამართლეს და მოგვისაჯეს ოთხი წლის კატორღა მე და საბაშვილს, სახლის პატრონი გაამართლეს.

მანანე გოგუაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ჩაიშალა ამხ. კავოს გაქცევა.

1914 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე ბაქოში მომიხდა მუშაობა. სამი თვით ტფილისის საგუბერნიო ციხეში ჯდომის შემდეგ ვერავითარი საშუალებით ვერ მოვახერხე კეთილსაიმედობის მოწმობის შოვნა, ურომლისოდ არ შეიძლებოდა შესვლა უმნიშვნელო სამსახურშიაც კი. ბაქოში მისვლისთანავე საქმე დავიჭირე ლეგალურ სამსახურში მყოფ აქტიურ მუშაკების ჯგუფთან. ამ ჯგუფში შედიოდენ, სტეფანე, იოსებ კარახანიანი, კოლესნიკოვა, გასპაროვა, სააკ გაბრიელიანი და სხვები.

კავკასიის ორგანიზაციებში ბაქოს ორგანიზაცია ყველაზე უფრო მაგარი იყო. ჯგუფობრივი და ორგანიზაციული მუშაობის გარდა, რომელიც მეტად ძნელ კონსპირატიულ პირობებში სწარმოებდა, ვცდილობდით გამოგვეყენებია ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობანი ჩვენი ხაზის გასავრცელებლათ და გასატარებლათ. ასე, ყველა აქტიურმა ამხანაგებმა მონაწილეობა მიიღეს „ლტოლვილთა კომიტეტში". ამ კომიტეტის დანიშნულება იყო დახმარების აღმოჩინა იმპერიალისტური ომის ლტოლვილებისათვის. ამ კომიტეტში შედიოდენ თითქმის ყველა აქტიური ამხანაგები: სტეფანე შაუმიანი, აზიზბეკოვი, ვანინჩა ფიოლეტოვი, კოლესნიკოვა, კასპაროვა, მე და სხვები. ჩვენი ფრაქცია სარგებლობდა რა ლტოლვილთა კომიტეტის სახელით, იკრიბებოდა ლეგალურად, მუშაობდა, სარგებლობდა კომიტეტის არჩევნებით, უხსნდა ხალხს ომის მიზეზებს, ლტოლვილთა მდგომარეობას, ჩვენს პრინციპიალურ დამოკიდებულებას ომისადმი და ცდილობდა შთაენერგა მასებისთვის ომისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.

პირველ ხანებში მე ვმუშაობდი ბალახანაში. მქონდა კერძო გაკვეთილები. ზამთრის ერთს ცივ საღამოს საათის 11 ზე ის იყო დაღლილ-დაქანცული დავბრუნდი ბინაზე, ამ დროს ფანჯარაზე ნერვიული ბრახუნი მომესმა. გავაღე კარი თუ არა, მე განცვიფრებაში მოველი: ჩემს წინაშე იდგა ამხ. ჯავაიარა, რომელიც მუდმივად ტფილისში ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ეტყობოდა გაცივებული იყო, ჩაის სმა არ მიისურვა, მთხოვა საჩქაროდ ტანთ ჩამეცვა და მასთან ერთად ქალაქში წავსულიყავ. მხოლოდ გზაში, ეაგონში, ჩუმად მითხრა რისთვის იყო ჩამოსული. ჯავაიარას ძმას, ამხ. კამოს, რომლის სიმტკიცესა და უებრო გმირობას ყველანი ჩვენ აღტაცებაში მოვყავდით, ტფილისში მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, რომელიც

შემდეგ შეუცვალეს 20 წლის კატორღათ. ახლა ის ტფილისიდან ბაქოთი ხარკოვის საკატორღო ციხეში გადაჰყავდათ. კამოს თავისი ერთგული მეგობრის და თანამებრძოლის ძმისთვის გამოეგზავნა ეროცელი გეგმა გზაში გაქცევის შესახებ, რაც ამბ. ჯავაირას უნდა განეხორციელებია რაღაც სულ ორ დღეში, რადგანაც ეტაპი ბაქოში ჩერდებოდა მხოლოდ ორი დღით. ერთი შეხედვით გეგმა ფანტასტიური და საკმაოდ ძნელი შესასრულებელი იყო, მაგრამ გვახსოვდა რა კამოს ნაამბობი მის მიერ მოწყობილი სხვადასხვა ამხანაგების გაქცევის შესახებ, რაც ყოველთვის კარგათ ეწყობოდა, ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვესრულებია ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იქნებოდა.

დაახლოვებით ნაშუალამევის პირველ საათზე ჩვენ მივედით ამბ. სტეფანესთან. გავაღვიძეთ და გავაცანით ამბ. კამოს გაქცევის გეგმა. ამბ. სტეფანემ გულდასმით მოგვისმინა, ადგა და წავიდა ფულის საშოვნელად, რადგანაც ფული ორგანიზაციას სრულიად არ მოეპოვებოდა. როგორც იყო მან იშოვნა მხოლოდ 40 მანეთი. ამასთან ამბ. სტეფანემ გვირჩია გეგმის თანახმად ყველაფერი სისწორით აგვესრულებია და ეჭვი არ დაგვბადებოდა დაწყებული საქმის ნაყოფიერად დაგვირგვინებაში.

მიუხედავათ იმისა, რომ გვიანი იყო, ჩვენ იმ წამსვე შევუდექით საქმეს. ამბ. კამოს გეგმა ასეთი იყო: გზაში მას უნდა გაეხერხა ბორკილი, „დასაძინებელი ფხვნილის“ საშუალებით დაეძინებია დარაჯები. ამის შემდეგ მასთან ერთად მატარებელში მყოფი ამხანაგის დახმარებით ის მიიღებდა ტანისამოსს, გრიმს, გამოიცვლიდა ასე გარეგნობას და დაიმალებოდა მახლობელ ქალაქში. ჩვენი მთავარი საქმე იყო მოგვენახა ამბ. ბესო გელენიძე, რომლის ერთგულობაზე და ორგანიზატორულ ნიჭზე ვამყარებდით იმედს. გელენიძე ერთ აქტიური მუშათაგანი იყო, რომელიც ბაქოში არალეგალურად ცხოვრობდა და შედიოდა იმ მებრძოლ ჯგუფში, რომელსაც 1908 წელს კამო მეთაურობდა ბაქოში.

მეორე ამოცანა აგრეთვე ძნელი შესასრულებელი იყო—უნდა გვეშოვა დასაძინებელი ფხვნილი 50 „პიროჟკის“ მოსამზადებლათ. ეს ჩვენ მოვახერხეთ ექიმი ელისაბედ სარუმოვას დახმარებით, რომელმაც ღამით ჩამოიარა ნაცნობი ექიმები, საავადმყოფოები და იშოვნა ყველაფერი. მისსავე ბინაზე შევუდექით სხვა და სხვა მურაბებისაგან „პიროჟკების“ დამზადებას დასაძინებელი ფხვნილით.

დილით ამბ. ჯავაირა შეუდგა ამბ. ბესო გელენიძის ძებნას, რომელიც როგორც იქნა, ნახა. ამის შემდეგ წავედით კოსტიუმის, ქუდის, თეთრეულის, ბოტინკების, ჩემოდანის და სხ. საჭირო ნივთების სასყიდლათ. ბორკილის გასახერხი ქლიბი მხოლოდ ერთი ვიშოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთ, რომელიც პურის ცომში ჩავდეთ და შემდეგ გამოვაცხვეთ, ფული ჩავდეთ წუმწუმის კოლოფში, რომელსაც გარედან ბანდეროლი შემოვაკარით. დადგა ეტაპის გაგზავნის დროც. ჩვენ მეტის მეტად ვღელავდით, რადგანაც მატარებლის მცველები გაეძლიერებიათ და თვალყურის დევნებაც უფრო ფხიზელი იყო. როგორც ეტყობოდა ამხ. კამოს მეტის-მეტად უფრთხილდებოდენ—ალბათ, მოელოდენ მის გაქცევას. ბოლოს კამოც მოიყვანეს სადგურში, რომელსაც ყოველ მხრით დარაჯები ეხვეოდა. დარაჯები ხალხს ერეკებოდენ.

კამოს ეცვა ტუსაღის ხალათი, თავზე ეხურა ტუსაღისავე ქუდი, მოდიოდა მხიარულად და მხნედ, თავისუფლად. ბორკილები ოდნავ მოსჩანდა, მხოლოდ ოდნავ მოისმოდა ხმა ჟღარუნისა. ჩვენ მას ყვავილი ვესროლეთ, რომ ასე მისი ყურადღება მიგვექცია, ერთმანეთს შევხედეთ, სახის აუღელვებლათ. ჯავაირამ მოახერხა პურისა და წუმწუმის კოლოფის გადაცემა.

მე ბევრი ვეცადე ყველა სალაროებთან, მაგრამ სამგზავრო ბილეთი კამოს მატარებელში გამყოლ გელენიძისათვის მაინც ვერ ვიშოვნე. ბევრი ვეხვეწეთ მოლარეებს და მგზავრებს დაეთმოთ ერთი ბილეთი მომაკედავ დედასთან მიმავალ შვილისათვის, უნაყოფო გამოდგა. ზარს შემოკრეს. ბილეთი არ არის. დიდის გაჭივრებით, როგორც იყო, ამხ. გელენიძე შევიდა ტუსაღთა მეზობელ ვაგონში. ბევრი ვეჩხუბეთ კონდუქტორს, რომელიც ამხ. ბესოს არ უშვებდა ვაგონში. რაც ფული გაგვაჩნდა, ყველა ბესოს გადავეცით, რომ ჯარიმა გადაეხადა და არავითარ შემთხვევაში არ ჩამომხტარიყო.

გადის ერთი კვირა. არავითარი ცნობი არ არის. ბოლოს დაბრუნდა ამხ. გელენიძე და სამწუხარო ცნობა მოიტანა, რომ გაქცევა არ მოხერხდაო.

კამოს გეგმა საუცხოოდ იყო შედგენილი, მაგრამ ვერ გატარდა სრულიად უბრალო მიზეზის გამო: გზაში კამო უხვად უმასპინძლდებოდა თავისი პიროშკებით დარაჯებს და კიდეც დააძინა ისინი ერთი საათით. ამ დროს ის გავიდა საპირფარეშოში და შეუდგა ბორკილების გახერხვას; გელენიძესაც აცნობა, რომ ის მზად ყოფილიყო. მაგრამ როდესაც ხერხავდა ბორკილს მეორე ფეხზე, ხერხი მოულოდნელად გაუტყდა. ბორკილით გაქცევა აშკარა სიკვდილის მომასწავებელი იქნებოდა. ამის შემდეგ მან ურჩია გელენიძეს მახლობელ სადგურზე ჩამომხტარიყო და უკან დაბრუნებულიყო, თითონ კი დაბრუნდა ვაგონში და დაიკავა თავისი ადგილი, ვიდრე დარაჯები გამოფხიზლდებოდენ. ხარკოვის საკატორღო ციხიდან გამოგზავნილ წერილში კამო მწუხარებით იწერებოდა ამ ჩაშლილ გაქცევის შესახებ, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ახლო ხანში ის მოაწყობდა გაქცევას...

ნუშიკ ზავარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი გაფიცვა ტფ. თუთუნის ქარხნებში.

(მოგონება)

I

1887 წელს შევედი მუშად თუთუნის ქარხანაში ბოზარჯიანცთან. ამ დროს თამბაქოს ქარხნებში არ იყო შემოღებული მანქანური წარმოება.

საშინელი სიბნელით იყო მოცული მაშინდელი ამ ქარხნის მუშების გონება. ისინი ხშირად დასცინოდენ ყველა იმ პირებს, რომლებიც კი, თუ გამოჩნდებოდნენ წერა-კითხვის მიმდევარნი, იმათ უწოდებდენ ფარმაციონს (პროტესტანტს) ე. ი. რომლებსაც იმათი აზრით რჯული გაყიდული აქვთ. არა სწამთ არც ხატები, არც ეკლესია და არც ნამდვილი ქრისტიანი იყო ესა თუ ის კაცი. ერთათ ერთი მათი საქებ-სადიდებელი ის იყო, რომ ხშირად სამიკიტნოებში ევლოთ. ქლიალდის თამაშობა და ყომარბაზობა მათთვის აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. რა უნდა ყოფილიყო მაშინდელი კაპიტალისტების მოპყრობა ასეთ მუშებისადმი!

მიუხედავათ იმისა, რომ მაშინდელი პოლიტიკური პირობები მუშების გამოფხიზლებას და განვითარებას ყოველ ნაბიჯზე ხელს უშლიდა, სამუშაო პირობებიც ისეთ კალაპოტში იყო ჩაყენებული, რომ ძალიან გულითაც რომ სდომებოდათ მუშებს გონებრივი საზრდოს მიღება, შეუძლებელი იყო, რადგანაც შრომის პირობები მეტად აუტანელი იყო; ასე მაგალითად, დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდის უსადილოთ, შეუსვენებლივ უნდა ემუშავნათ, რადგანაც სამუშაო ათასობით და ფუთობით იყო განსაზღვრული. ასეთ შემთხვევაში შესვენება ნაშუშევარ ხელფასის შემცირებას ნიშნავდა. გარდა ამისა მეპაპიროსე იძულებული იყო 12 საათის მუშაობის შემდეგ სახლში წაელო და ღამის 12 საათამდის სახლში ემუშავნა, თორემ მეორე ის დღე საქმეს მოსცდებოდა. მაგალითად, როდესაც მეპაპიროსე თავის სამუშაოს მორჩებოდა, იმავ ღამეს უნდა გილზის ქაღალდი გამოერთო, რომ სახლში წაელო და მეორე დღისათვის პაპიროსის გილზები გაეკეთებინა და თუ ამ სამუშაოს იგი ღამის 12 საათზე მაინც გაათავებდა, მაშინ მხოლოდ მას ჰქონდა თავისუფალი დრო საკითხავად, პურის საშო�lათ და დასაძინებლად.

1894 წელს მე გადავედი ბოზარჯიანცის ქარხნიდან ენფიანჯიანცისაში. მუშაობა კარგად შემეძლო, დახელოვნებული ვიყავი, ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომმამატეს კვირაში რამდენიმე აბაზი. ამ წელს ტფილისის თუთუნის ქარხნებში არავითარი მანქანიური წარმოება არ ყოფილა. ხმები დადიოდა, რომ პაპიროსების მანქანები მართალია გამოგონილია, მაგრამ, რადგანაც სახელმწიფოს არ უნდა, რომ ამოდენა ქარხნის მუშები (მეპაპიროსეები) უსაქმოთ და ულუკმა-პუროთ დარჩენ, ამისათვის არის, რომ ფულისა და პაპიროსის მანქანები (მანქანები, რომლითაც ფულსა სჭრიან) ერთად ინახება ხელმწიფის „დვარეცშიო“.

ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად ქარხნის კარებზე მოადგა დროგებით რამდენიმე დაბეჭდილი ხის დიდრონი ყუთები; ეს იყო 1895 წელს ეფიანჯიანცის თუთუნის ქარხანაში; ჩვენ არ ვიცოდთ, თუ რა იყო ამ ყუთებში, ერთ დღეს დაგვიძახა ბატონ ა. ენფიანჯიანცმა და გვითხრა, რომ ამ ყუთებში არის გილზის და პაპიროსების გასაკეთელი მანქანებიო, მე მინდა, რომ ჩემი ქარხნის წარმოება გავაფართოვო, რადგანაც საქონლის მოთხოვნილება მეტია ჩემი ქარხნისაო. ამიტომ მე გადამიწყვეტია, რომ არც ერთი მუშა არ დავითხოვო და შეიძლება ხელით მომუშავე მეპაპიროსეები მანქანაზე გადავიყვანოთ სამუშაოთო. ჩვენ ამაზე დავთანხმდით. იმ დღესვე დაიწყეს ყუთების დახსნა, გამართეს მანქანები, მაგრამ არა პაპიროსებისა, არამედ მარტო გილზების. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც იმდენად მობეზრებული ვიყავით ღამე სახლში გილზების კეთებით, რომ რაც უნდა დიდი ფასი დაედო თვითეულ ათასზე მექარხნეს, მაინც ხელსაყრელად ვიცანით ჩვენთვის; დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ ჩვენ მანქანის მომზადებული გილზებით დავიწყეთ მუშაობა. (მაშინ ჯერ კიდევ პაპიროსები ხელით კეთდებოდა, გილზები კი მანქანით მზადდებოდა). ყოველ ათას გილზზე მექარხნე 5 კაპეიკს გვახდევინებდა. დღეში თითო მუშა აკეთებდა 3-4 ათასამდე პაპიროსს. სრული ექსი თვე ამ ფასებში ვიმუშავეთ, მაგრამ როდესაც მუშები შეეჩვიენ ამ საქმეს, მაშინ მექარხნეს მეტი მოგების მადა აღეძრა და მოულოდნელათ გამოაცხადა 10 კაპეიკი ათასზე. ამ განცხადებამ მუშებში გამოიწვია სამართლიანი უკმაყოფილება, რაც შეიქნა მიზეზი პირველ გაფიცვისა; გაფიცვამ გასტანა ერთ კვირამდის რაც მოულოდნელი იყო მაშინდელ თუთუნის ქარხნის მუშებისაგან.

როგორ შეიკავეს თავი ამ ერთი კვირის განმავლობაში მუშებმა? ეს გაფიცვა მოხდა სტიქიურად, რადგანაც მაშინ არავითარი პარტიული ან სხვაგვარი მუშაობა არ ყოფილა, განსაკუთრებით თუთუნის ქარხნებში და, მაშასადამე, არც გაფიცვის ხელმძღვანელი გვეყოლებოდა. ასე რომ, გაფიცვა საიმედო არ იყო, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეგვიწყო ხელი და გაფიცვა გათავდა მუშების სასარგებლოდ. როდესაც მექარხნე ენფიანჯიანცმა გამოუცხადა მუშებს, რომ 5-ის ნაცვლად 10 კაპეიკი უნდა გადიხადოთო, მაშინ ერთპირად მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებმა თავი გაანებეს მუშაობას და ისე მოუმზადებლად გამოვიდნენ ქარხნიდან, მაგრამ რადგანაც მაშინ თვით მუშებშივე ბევრი არასაიმედო პირები მოიპოვებოდენ, ამიტომ უმრავლესობამ გადასწყვიტა, რომ წავიდნენ და სადმე ეკლესიაში ფიცი მიიღონ, რომ ერთმანეთს არ უღალატონ. ამ წინადადებაზე ყველა დასთანხმდა და ამავე დღეს ქარხნის კარებიდანვე გაემართნენ არსენალის გზით კვირაცხოვლის ეკლესიისაკენ, სადაც მღვდლათ იყო გურგენიძე; იმან ჩვენი აზრი მოისმინა და შემდეგ დაგვიწყო დარიგება და, სხვათა შორის, გვითხრა, რომ „მე შევასრულებ თქვენს თხოვნას, დაგაფიცებთ და მხოლოდ თქვენც უნდა შემომფიცოთ, რომ ეს ჩემი მოქმედება არსად არ სთქვათ, თორემ მთავრობა თქვენც ციხეებში ჩაგსვამთ და მეც საუკუნოთ გამაუბედურებენო“. ჩვენც პატიოსანი სიტყვა მივეცით, შემდეგ დაიწყო მღვდელმომქმედება. მღვდელმა გადმოიღო ჯვარი და სახარება, დააჩოქა ყველა მუშები, რამდენიმე თავი სახარება წაუკითხა, შემდეგ ჯვარზე ამთხვია და სულ ბოლოს გამოიტანა რამდენიმე სეფის კვერი, დაუნაწილა ის მუშებს და თითო პატარა ჭიქა ღვინოც დაალევინა, „მამამ ჩვენო“ წაუკითხა და გამოისტუმრა, რის გასამრჯელოდ მღვდელმა მიიღო სამი მანეთი.

ამ დღიდან მუშები ვეღარ ბედავდენ ქარხნის წინ გავლასაც კი. გაიარა ერთმა კვირამ და რაკი ნახა მუშების სიმაგრე, „ხაზეინმა“ თითონ გამოგზავნა უფროსი ოსტატი და თანხმობა გამოაცხადა მუშების მოთხოვნილებაზე, მოთხოვნილება კი ახალი არა იყო რა, გარდა იმისა, რომ ძველი 5 კაპეიკი უნდა დარჩენილიყო გიზეის ფასად. ამგვარად ეს მცირე გამარჯვება მუშებისა შეიქნა მიზეზი და მაგალითი შედეგში გამართულ მუშათა დიდი გაფიცვებისა და ჩემი პარტიულ მუშაობაში ჩაბმისა...

ეს, როგორც ვსთქვი, მოხდა 1894—1895 წლებში, იმავე წელს მექარხნე ენფიანჯიანცმა შემოიტანა თფილისში პაპიროსის გასაკეთებელი მანქანებიც, რომლის უფლება, როგორც მაშინ გადმოგვცეს, მარტო თვითონ ჰქონდა. ამბობდენ თფილისში არც ერთ მექარხნეს ერთი წლის განმავლობაში ნება არა აქვს ასეთივე მანქანები შეიძინოსო. რამდენათ მართალი იყო არ ვიცი, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ დანარჩენი მექარხნეები თვითონვე აჯანყებდენ თავის მუშებს ენფიანჯიანცის წინააღმდეგ; ერთსა და იმავე დროს თფილისის თუთუნის ყველა ქარხნის მუშები (ორი ათასამდე) გაიფიცნენ. მუშები კოჯორში წავიდნენ მთავარმართებლის თანაშემწე ფრეზეესთან საჩივლელად, რათა მას ენფიანჯიანცისთვის აეკრძალა მანქანებით მუშაობა...

1895 წლის ეს გაფიცვა არ დარჩა შეუმჩნეველი როგორც სხვა თუთუნის ქარხანათა მუშებისაგან, ისე რკინის გზის მოწინავე მუშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგანაც. პირველად რკინის გზის მუშებმა გამოგვიწოდეს ამხანაგურად ხელი და მოინდომეს ჩვენი უფრო მჭიდრო ორგანიზაციულად მოწყობა-მომზადება. ამისათვის მათ დაენიშნათ ჩვენთან ერთი ამხანაგი — არჩილ არავიაშვილი (ჩვენ კი იმას შავკაცს ვეძახდით), რომელმაც ერთ კვირა დილას შემოიარა ზაქარია ჭიჭინაძის მაღაზიის წინ (ზაქარია წიგნებით ვაჭრობდა იარმუკაში) დაიწყო ჩვენთან საუბარი სხვა და სხვა მწერლების ნაწერებზე და ქარხანა-ზავოდების მუშათა მდგომარეობაზე და ხან კიდევ თეატრზე და არტისტებზე, რადგანაც თვითანაც სცენის მოყვარე იყო. ასე იყო თუ ისე, ის დაგვიახლოვდა. მცირე ხნის შემდეგ ჩვენს წრეს შემოუერთდა აგრეთვე დათიკო როსტომაშვილი (ნინოწმინდელი—ფსევდონიმი). კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ არავიაშვილმა გვთხოვა მე და ვასო სოზიაშვილს (მექუდე იყო), რომ ნაწუადღიევს სადმე შეეხვედროდით და ერთმანეთისათვის აზრი გაგვეზიარებინა თანამედროვე ცხოვრების შესახებ. ჩვენ დიდი სიამოვნებით დავთახხმდით. იმავ დღეს საღამოთი შევიკრიბეთ დათიკო როსტომაშვილის სახლში, ციციანოვის აღმართის თავზე, ავლაბარში; ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ არავიაშვილი გულახდით გამოტყდა და პირდაპირ მითხრა: „ეე მინდა, რომ თქვენის დახმარებით თქვენს თუთუნის ქარხნის მუშებში შეეადგინო მუშათა ორგანიზაცია, რომელსაც დამოკიდებულება ექნება რკინის გზის მუშათა ორგანიზაციასთან; და საერთოდ ჩვენ ყველას რუსეთის მუშათა ორგანიზაციებთან, რომელთა საშუალებით ჩვენ მივიღებთ უფრო მეტ შეგნებას, ცოდნას და პრაქტიკულად მოვემზადებით მომავალ რევოლიუციის შესახვედრათო“. ჩვენ ადგილი დავინიშნეთ და მეორე დღეს საღამოს 7 საათზედ წავედით იქა. ეს ალაგი აღმოჩნდა რკინის მზის სადგურის გადაღმა ნავთის საწყობის ეზო, რომელიც ეხლაც არსებობს „სვეტის“ სახელით; ამ ეზოში ცხოვრობდა რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის მოწაფე კალისტრატე გოგუა, მაშინ რკინის გზის მთავარ სახელოსნოს პრაქტიკანტი. აქ იყვნენ: არაქელა ოქუაშვილი, ზაქარია ჩოდრიშვილი, ჟორდანია (სახელი აღარ მახსოვს, ესეც მოწაფე იყო) და კიდევ ორნი, რომელთა სახელები აღარ მახსოვს. აქ სულ რვა კაცამდის ვიყავით და მეცხრე ჩვენი მასწავლებელი იყო ვასო ციბაძე (რიჟა), რომელმაც აგვიხსნა შეკრების მიზეზი და მომავალი მუშაობის გეგმა. შემდეგ ამოიღო წიგნი, კარიშევის „ეკონომიური საუბარი“ და აქედან დაიწყო ჩვენი, მომავალ სოციალისტების, მომზადება. კარიშევის შემდეგ დავიწყეთ სვიდერსკის „შრომა და კაპიტალის“-ს კითხვა და ჯერ ნახევრად არც კი გაგვევლო, რომ იძულებული გავხდით ბინა შეგვეცვალა; ჩვენ ახალ ბინაზე გადაველითო, ამ გვარად გავატარეთ ასე ორ თვემდის, ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ მოვემზადეთ, რადგანაც გარდა პირადათ გაწეულ პროპაგანდისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ მოგვეპოვებოდა ამ დროს რუსულ ენაზე არალეგალური ლიტერატურა და მეტის-მეტი სიხარბითაც ეტანებოდნენ მას ჩვენი დროინდელი მოწინავე მუშები. ასე, ჩვენ ცოდნით შეიარაღებულებმა დავიწყეთ სხვადასხვა ქარხნის მუშებში მუშაობა, ყველგან რამდენიმე სანდო ამხანაგი შევიძინეთ. ჩვენ გვინდოდა მთელი ტფილისის თუთუნის ქარხნის მუშების საერთო ორგანიზაციის შედგენა, რომელსაც დამოკიდებულება უნდა ქონოდა რკინის გზის მუშათა ორგანიზაციასთან. მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ, რადგანაც ენფიანჯიანცის ქარხანაში უკვე გაჩნდა პაპიროსის საკეთებელი მანქანები, რამაც მთელი ჩვენი ქარხნის მუშები ძლიერ ააღელვა, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მანქანური წარმოება უმეტეს ნაწილს მუშებისას გარეთ გამოყრიდა და ულუკმაპუროოთ დასტოვებდა. მაგრამ ენფიანჯიანცი არ აღმოჩნდა ისეთი გულქვა და სულელი კაპიტალისტი, როგორც ჩვენ გვეგონა; მანქანების გამართვის შემდეგ გამოუცხადა მუშებს, რომ თქვენ არც ერთი დათხოვნილი არ იქნებით ქარხნიდან თუ ჩენს რჩევას ყურადღებას მიაქცევთო. ჩვენ ყველაფერზე დავთანხმდებოდით, მაგრამ ერთ წინადადებაზე ვერ დავეთანხმეთ. ეს ის იყო, რომ მან გვირჩია ხელით სამუშაოსთვის თავი დაგვენებებინა და მანქანის გაკეთებული პაპიროსებისათვის მუშტუკი დაგვეკვრა და ამისათვის 1000 პაპიროსის ფასათ გვაძლევდა 30 კაპეიკს, ასე რომ, საშუალოთ რომ ავიღოთ, დღეში 90 კაპეიკი უნდა აგვეღო; ხელით მუშაობის დროს კარგი და ჩქარი მომუშავე ოსტატი ერთს მანეთს და 50 კაპეიკს ან ორ მანეთამდის იღებდა. შესაძლებელია ჯამაგირის გამო რავითარი წინააღმდეგობა არ გაგვეწია, მაგრამ ჩვენი ცრუ თავმოყვარეობა ნებას არ გვაძლევდა გაგვეგრძელებინა მუშაობა, რადგანაც ჩვენ დიდათ სამარცხვინოთ მიგვაჩნდა, რომ ოსტატის სამუშაოდან შეგირდის სამუშაოზედ გადავსულიყავით (ე. ი. მუშტუკის დაკვრა შეგირდის საქმე იყო. და თუთუნის გილზებში გავსება კი ოსტატისა) ეს გახდა მიზეზი მეორე გაფიცისა ენფიანჯიანცის ქარხანაში. უნდა ვსთქვა, რომ ეს გაფიცვა არ ჰგავდა პირველ გაფიცვას, როდესაც მარტო გილზებში ფასის გადახდევინების გამო გავიფიცეთ და მღვდელმაც კვირაკხოველში ჯვარ-სახარებით პარაკლისი გადაგვიხადა და ამის შიშით გაფიცვა მოვიგეთ. არა, ახლა სულ სხვა იმედებით ვიყავით აღჭურვილი და ამის გამო გაფიცვის პირველ დღიდანვე ამოირჩიეს მუშებმა გაფიცვის ბიურო ანუ მოთავეები, როგორც მაშინ ეძახდენ. ბიუროში შეეყენეთ მე, გიორგი აზნაუროვი, ალექსანდრე თათუნოვი. საშა ქვლივიძე და ორი სხვა, რომელთა გვარი აღარ მახსოვს. პირველი დღიდანვე მე და ჩემი ორი ამხანაგი გავეშურეთ ჩვენ მასწავლებლებთან რკინის გზაზედ და გადავეცით საქმის მდგომარეობა. თუმცა შეწუხდენ ასეთი მოულოდნელი ამბით, მაგრამ მაინც იმედი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვცეს და ძლიერ დაფაცურდნენ, რომ ეს გაფიცვა გათავებულიყო კიდევ მუშების სასარგებლოდ. ამისათვის ისევ არჩილ არავიშვილი და ვასო ცაბაძე შეუდგენ ჩვენთან მუშაობას და ყოველდღე საღამოობით მთელი ქარხნის მუშები მიგვყავდა ქალაქის სხვადასხვა მხარეს და იქ უქადაგებდნენ მუშებს და უხსნიდნენ მჭიდრო კავშირის და სოლიდარობის მნიშვნელობას, რასაც მუშები სიამოვნებით უსმენდნენ, მაგრამ როდესაც არსაიდან დახმარების იმედი არა ჰქონდათ, ცოტა არ იყოს, სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ. იმ დროს არ არსებობდა მუშათა კასები. რკინის გზის სახელოსნოს ამხანაგ მუშებმა არ დაგვტოვეს უყურადღებოდ და შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიეს ფულით უფრო იმ მუშებს, რომელნიც ძლიერ გაჭირვებულნი იყვნენ. გარდა ამისა, მათ დაგზავნეს ამხანაგები სხვადასხვა ქარხნებში და იქაც მოწინავე მუშების დახმარებით შეაგროვეს ფული და გადმოგვცეს მუშებში დასარიგებლად. ჩვენის მხრითაც მივმართეთ მუშებს ყოფილ მირზოევის საქსოვ ქარხანაში, ადელხანოვის ქარხანაში, ტოლეს საპნის ქარხანაში და სხვაგან. რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, გვეხმარებოდნენ, რომ გაფიცვა არ წაგებულიყო!.. მაგრამ სადაც შტრეიკბრეხერები და ხაზეინის ჯაშუშები საკმაოდ იპოვებიან, იქ გამარჯვება საეჭვოა. ასეთები ჩვენშიაც აღმოჩდნენ. ესენი იყვნენ: ყარამან სარიბეგოვი, გიორგი თოიძე, ნიკოლოზ ცერცვაძე (მუცუცა) და სხვა.

გაფიცულებისთვის დახმარების გადაცემა მე მქონდა მონდობილი. მეც, ყოველ ღილა 10—12 საათამდის ქარხნის წინ ვიდექი და ფულს ურიგებდი. ამ გვარად გაფიცვის პირველ დღიდან გაიარა 12 დღემ და გაფიცვის დასასრული კი არ ახლოვდებოდა. ხალხი აიარა; მოთმინება გამოელია და იმდენად აღელდა, რომ ჩვენ პროპაგადისტებსაც ბრუნდეთ დაუწყეს ყურება და ნდობაც დაკარგეს მათდამი. ამ დროს გაჩნდა ზოგიერთი მშიერი ჩინოვნიკი და მუშებს ურჩევდა, რომ მთავრობისათვის არზა მიეცათ, რომ მთავრობას მოეწესრიგებინა მუშების საქმე. მუშებიც მალე წამოეგენ მათ ანკესზე, დააწერინეს არზა, რომელშიაც გადაიხადეს 25 მანეთი და გაუგზავნეს მთავარ-მართებელ გოლიცინს, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიუღიათ გარდა იმისა, რომ პოლიცია და ჟანდარმერია უფრო დაფაცურდა და ფხიზლად ადევნებდნენ თვალ-ყურს ამ ახალ დაბადებულ მუშათა მოძრაობას...

ჩვენ გაფიცვა წავაგეთ. ყველა ქარხნის მუშები დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ სამუშაოს და ჩვენ დავრჩით გარეთ: გაფიცვის წაგების შემდეგ 27 კაცი ენფიანჯიანცმა ქარხანაში აღარ შეგვიშვა, როგორც მავნე ელემენტები; დავრჩით ქარხნის გარეშე. მუშებმა ზურგი შეგვაქციეს, ქუჩაში ჩვენთან შეხვედრაც კი ეზიზღებოდათ, მაგრამ ჩვენ მაინც ქარხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას არ ვშორდებოდით, რაც ქარხნის პატრონს სასიამოვნოდ არ ჰქონდა. ის გრძნობდა, რომ თუ დანარჩენ მუშებთან კავშირი გვექნებოდა, შესაძლებელია კიდევ ასეთი გაფიცვა განმეორებულიყო და ამიტომ მან მოინდომა ერთხელ და სამუდამოთ გაეთავებინა ჩვენთან საქმე. ამიტომ მან მიმართა მთავრობას და სთხოვა, რომ მათი თანდასწრებით უკანასკნელათ გაეთავებინათ ჩვენთან ანგარიშები. ამ მიზნით ენფიანჯიანცმა მოიწვია ბოქაული ლოლაძე და მამაშვილური დარიგებით მოგვცა თითო ჩვენგანს 30 მანეთი და ხელი მოგვაწერინა, რომ ჩვენ იმასთან არავითარი საქმე აღარ გვქონდა. უმრავლესობა მუშებისა დასთანხმდა ამ პირობას და ყველა ახალი საქმის შოვნას შეუდგა. მაგრამ მე და რაჟოდენიძე ამხანაგები: ალექსანდრე თათუნოვი, გიორგი აზნაუროვი, სასაშა ქვლივიძე, დათიკო კასაშვილი და სხვანი მაინც არ ჩამოვშორდით ქარხანას და გვინდოდა როგორმე მუშებში გვემუშავნა და მოგვემზადებინა უფრო შეგნებული გაფიცვისათვის მომავალში, მაგრამ ამ დროს არ ეძინა აგრეთვე ქარხნის პატრონს ენფიანჯიანსაც. მან ეს კარგად იცოდა, (რა თქმა უნდა ჯაშუშების წყალობით) და ამიტომ ერთ დღეს დაგვიძახა კანტორაში, სადაც იგივე ბოქაული ლოლაძეც დაგვიხდა და გვითხრა: „მეცოდებით თქვენ, რადგან ჩემი ძველი მომუშავენი ხართ და ცოლ-შვილს პატრონნი ყსაქმოდ დაიარებითო, მე თქვენ ამიტომ კიდევ მოგცემთ თითოს 30 მანეთს და რკინის გზის ბილეთებს აგიღებთ, წადით ქალაქ ბაქოსკენ და იქ ესათუოდ საქმეს იშოვნითო, და თუ უარს იტყვით, დაუმატა ლოლაძემ, მაშინ იძულებული ვარ ეტაპით გადაგასახლოთ ქალაქიდან, როგორც მავნე პირები მთავრობისათვის, მე ამისათვის განსაკუთრებული ბრძანება მაქვს მიღებულიო“. ჩვენც იძულებული შევიქენით დავთანხმებულიყავით მიუხედავათ იმისა, რომ ვსთხოვეთ რამდენიმე დღის ვადა წასვლამდის, რომ ჩვენ ოჯახებში რაიმე განკარგულება მოგვეხდინა. მაგრამ უარი გვითხრა მთავრობის წარმომადგენელ ლოლაძემ და მეორე დღესვე მოგვცეს თითოს 30 მანეთი და თან გამოგვაყოლეს სადგურამდის კანტორის ბუხჰალტერი ოჰანეს დოზდაროვი, რომელმაც აგვიღო ბილეთები, ჩაგვსვა მატარებელში და გაგვამგზავრა ჩვენთვის უცნობ მხარეს—ქალაქ ბაქოში...

ალექსანდრე ბაჯიაშვილი.

ცოტა რამ წარსულიდან.

კარგათ მახსოვს ჯერ კიდევ 1894 წ. რომ ბოზარჯიანცის მიერ შეწუხებული მუშები იძულებული იქნენ მოეხდინათ გაფიცვა. გაფიცვის გასამგრებლათ მუშები გაემართნენ მამადავითისაკენ ფიცის მისაღებად, რომ არ ეღალატნათ ერთმანეთისათვის. თქმა არ უნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უნდა ფიცი მიეღოთ მუშებს, მაინც მათი გაფიცვა უნდა ჩაშლიყო, რადგანაც გაფიცვა მოუმზადებელი იყო. გაფიცვის ხელმძღვანელად არჩეული იყვნენ: სანდრო მანჯავიძე და არტო არუთინოვი, რომელნიც მალე პოლიციმეისტერ მასტიკკის მიერ დაჭერილ იქნენ და შეტეხის ციხეში მოთავსებულნი, რომლებიც მხოლოდ ორი თვის შემდეგ იქნენ განთავისუფლებულნი. სანდრო მანჯავიძე მოკლე ხნის შემდეგ ტფილისიდან გადასახლებულ იქნა ბაქოში, არტო არუთინოვი კი პოლიციის მხედველობის ქვეშ დატოვებული.

თუმცა ეს გაფიცვა ვერ ჩატარდა, მაგრამ მომავლისათვის მან მაინც დიდი როლი ითამაშა. გაფიცვის შემდეგ „ხაზეინმა“ მუშების გულის მოსაგებად მიმართა ხერხს, რომ ის აარსებს ერთგვარ ურთიერთ შორის დასახმარებელ კასას, რომლის ფონდიც შესდგება მათ ნამუშევარ მანეთზე თითო კაპეიკის დაკავებით ყოველ შაბათობით ფულის დარიგების დროს. ეს ფული თითქოს მუშებს გამოადგებოდა გაჭირვების დღეს. მუშები, როგორც შეუგნებელი და ამასთანვე გაჭირვებული ხალხი, ასეთ წინადადებას სიხარულით მიეგებნენ. ასე გაქცენ მუშები „ხაზეინის“ მიერ დაგებულ მახეში. ეს იყო 1894 წ. *) აქედან დაიწყეს ამ კაპეიკის გამოანგარიშება და აგროვეს 1900 წ. პირველ გაფიცვამდის. იყო შემთხვევები, რომ მართლა გაჭირვებულმა მუშებმა უბედურ შემთხვევის გამო მიმართეს „ხაზეინს“ დახმარებისთვის, მაგრამ ამაოდ. თუ ვისმეს აძლევდა ფულს, მხოლოდ გირაოთი 1898 და 1899 წ. წ. მუშა ალექსანდრე ბაჯიაშვილი დაუახლოვდა აქაურ უფრო მომზადებულ მუშებს—არტო ლითანოვს, მიხა ვარზამოვს, გიორგი აზნაუროვს და ვანო მანჯავიძეს, რომელთაგანაც შეადგინა ერთი სახელმძღვანელო ჯგუფი. ასე იმუშავა მან ერთი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მან გაგვიცნო პიღონს ფილოსიანი, გარეგინა ეროზენკიანცი და სოსო ჯუღაშვილი (სტალინი), რომლებმაც არ მოგვაკლეს თავიანთი დაუღალავი შრომა და საკმარისად მოგვამზადეს გაფიცვისთვის. ამ ერთი წლის განმავლობაში არა ერთხელ მოინდომეს გაფიცვა მუშებმა, მაგრამ, ხსენებულ პირების რჩევით შეჩერებულ იქნა. 1900 წ. მაისში დილით სამუშაოზე დაგვიანებული მუშას არტო ლითანოვს სადილობის შემდეგ გამოუცხადა, რომ იგი დაგვიანების გამო დაჯარიმებულ იქნა, რაზედაც აღელვებულ მუშა ლითანოვი შეეკამათა. კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. ხაზეინის ბრძანებით მუშა უნდა დაეთხოვათ. ამის შესახებ არჩეული მუ-

*) ქვემოდ მოთავსებულ გაზ. „ივერიის“-დან (1894 წ.) გადმობეჭდილ წერილიდან კი სჩანს, თითქოს ფულის შეგროვება მუშებიდან—მანეთზე ერთი კაპიკის გამორიცხვა, ქარხნის პატრონს შემოღებია 1886 წლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შები შეეალპარაკნენ „ხაზეინს“, რორო ლითანოვი არ დაეთხოვათ, მაგრამ ასეთმა ლაპარაკმა მაინც ვერ იმოქმედა მხეც ხაზეინზედ. უკანასკნელად მიეცა წინადადება, რომ თუ არ შეასრულებს მათ თხოვნას, გამოცხადებულ იქნება გაფიცვა. პასუხი ასეთი იყო: თუ პატარა კარებიდან ვერ გაეტევით, გააღეთ დიდი კარი და ისე მიბრძანდითო. ასეც მოხდა. მოტყუვდა ბოზარჯიანცი, მას ეგონა, რომ კიდევ მამადავითში წავლენ მუშები ფიცის მისაღებათო. ბევრს შეეცადნენ ჟანდარმები, რომლებიც ტელეფონით იყენენ მოწვეულნი, პოლიცმეისტარი კოვალიევიც, მაგრამ ამაოდ.

გაფიცულებმა ამოირჩიეს თავიანთ შორის მოწინავე მუშები გაფიცვის სახელმძღვანელოდ. ხელმძღვანელებმა ისარგებლეს შემთხვევით, რომ ამ-დროს იჭრებოდა მთაწმინდის მთა, სადაც გაჰყაღდათ ფუნიკულიორის გზა და უმეტესი ნაწილი მუშებისა მოიწვიეს იქ სამუშაოდ, ზოგი კიდევ დურგლებთან და კალატოზებთან. ასე რომ, მთელი ზაფხული და შემოდგომის ორი თუ სამი თვე მუშებმა გაატარეს ასეთ მუშაობაში. ექვსი თვის გაფიცვა დაგვირგვინდა გამარჯვებით. 1901 წ. თებერვლის 13-ში დაიჭირეს და მეტეხში მოათავსეს მოწინავე მუშები ალექსანდრე ბაჯიაშვილი, გრიქურა მკალივიშვილი და ვანო მანჯავიძე, რომლებიც გაანთავისუფლეს მეექვსე თვეს ციხიდან გამოსულებს როგორც მავნე პირებს ხაზეინი არ ღებულობდა ქარხანაში, მაგრამ თვით მუშებმა აიძულეს მიეღოთ ისინი. განვლო რამდენიმე თვემ. 1901 წ. ზოგიერთი შესყიდულ, მთვრალ მუშების მეოხებით მოეწყო გაფიცვა. გაფიცვის წინააღმდეგნი იყვენ წინანდელი გაფიცვის ხელმძღვანელები, მაგრამ მთვრალ ხალხზე ვერ მოახდენეს გავლენა. ორშაბათი დღე იყო და მუშების უმეტესი ნაწილი საუზმის შემდეგ მთვრალები იყვნენ. რადგანაც გაფიცვა მოხდა წინასწარ მოუწყობლათ, მოკლე ხანში ის წაგებულ იქნა, რის შემდეგ ქუჩაში დარჩნენ ალექსანდრე ბაჯიევი, ბაგრატ ავაქოვი, არტო ლითანოვი, ვანო მანჯავიძე, გიორგი აზნაუროვი და სხვა ბევრი, როგორც მავნე პირები.

ივანე გიორგის-ძე მანჯავიძე.

მუშაობის აღკვეთა ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში.

(გაზეთ „ივერიიდან“ № 172—1894 წ.).

აგერ რამდენიმე კვირაა, რაც ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში მუშაობა აღკვეთეს მუშებმა და უარი განაცხადეს ეკეთებინათ პაპიროსი. მუშაობის აღმკვეთებლები უმთავრესად ესრედ წოდებული მეპაპიროსეები არიან, დანარჩენი მუშანი—თამბაქოს მჭრელები, პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროსის ყუთებში ჩამწყობლები, ბილსების მკეთებლები და სხ. ისევე ჰმუშაობენ.

მიზეზი მუშაობის აღთქმისა ისა ყოფილა, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ბოზარჯიანცს დაუწყია მეპაპიროსეებისათვის ყოველ ნამუშევარ მანეთზედ კაპეიკის გარდახდევინება და დაჰპირებია, რომ ამ ფულიდგან შემდგარს თანხას თქვენვე მოგახმარებთ, თუ გაჭირვება დაგადგებათ რამე, ან ავად გახდება თქვენგანი ღარიბი ვინმე, ან გარდაიცვლება და სხ. მომუშავენი დიდის სიამოვნებით დასთანხმებიან ამ აზრს და მას შემდეგ, მართლაც, ბოზარჯიანცს ურიცხავს მანეთზე თითო კაპეიკი, დაუგროვებია ცალკე თანხად.

ჩვენ პირველად ვიყავით ქარხანაში, პირველად რომ აიშალნენ მომუშავენი და საქმეს თავი დაანებეს. თითონ იმ მომუშავეთა ლაპარაკიდანაც კი აღმოჩნდა, რომელთაც მუშაობა არ აღუკვეთიათ და ისევე დარჩენილან ქარხანაში, რომ მართლაც ბოზარჯიანცს თითო კაპეიკი ურიცხავს ყოველ მანეთზედ და დაჰპირებია, რომ ეს ფული თქვენი თანხაა გაჭირვებაში მოსახმარებლადო.

თვით ქარხნის პატრონმა ბოზარჯიანცმა გამოაცხადა, რომ ფულის გამორიცხვა 1886 წლიდან დავიწყე და 1894 წლის 16 ივლისამდე ამ გამონარიცხ კაპეიკებიდან შედგა 2,765 მან. 88 კაპ., ამ ჯამიდგან 371 მ. 65 კაპ. მოვახმარე გაჭირვებულ მუშების დახმარებას, ხოლო დანარჩენი 2394 მ. 23 კაპეიკი კი მე მეკუთვისო. იმ ფულითაც თუ დავეხმარე, ჩემის სურვილით, ჩემის სულის გულისათვის დავეხმარეო. თითო კაპეიკს რომ ვურიცხავდი, მაგათ სასარგებლოდ კი არა, ჩემს სასარგებლოდ ვურიცხავდიო. საქმე იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც გილზებს მანქანა აკეთებს, ყოველი პაპიროსის მკეთებელი პაპიროსის რიცხვის კვალობაზე იღებს ფულს და რადგან გილზების კეთება აღარა სჭირდება, ყოველ ათას გილზზედ ყოველს თამბაქოს ქარხანაში პაპიროსის მკეთებელს ახდევინებენ 5 კ. მე-კი 4 კაპეიკს ვახდევინებო. 1886 წ. მოვინდომე ჯამაგირის შემცირება, მაგრამ მუშებმა მითხრეს, თითო მანეთზე კაპეიკს დავიკლებთ, ოღონდ კი ჯამაგირებს ნუ შეგვიმცირებთო. მეც თითო კაპეიკს ვუკლებდი და ეს ფული ჩემია, ქარხნისა და არა იმათიო.

პირიქით, როგორცა სჩანს მუშების ნალაპარაკევიდგან, ბოზარჯიანცს ცამეტი წლის განმავლობაში ურიცხავს ეს ფული, დაჰპირებია, თქვენთვის ვაგროვებ ფულსაო, მაგრამ გაჭირვებაში რომ არ დახმარებია, მუშები აშლიან და მუშაობა აღუკვეთიათ. მხოლოდ ზოგიერთნი დარჩენილან სიღარიბისა გამო, რადგან სიმშილით სიკვდილისა შეშინებიათ, თუმცა ეხლა ბოზარჯიანი მანეთზედ თითო კაპეიკს, ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით, აღარ ახდევინებს, მაგრამ ის მუშები კი, რომელთაც მუშაობა აღკვეთეს, აღარ მიუღია ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარჯიანცს მათდა დასასჯელად, ჯავრის ამოსაყრელად. ამის გამო ეს მუშები აგერ ორ კვირაზედ მეტია, რაც ულუკმაპუროდ არიან-დარჩენილნი და ყოველ დღე მთავრობასთან სჩივიან, ბოზარჯიანცმა ადგილი მოგვცეს ისევე და დაგვიბრუნოს ჩვენ ცამეტი წლის ნაშრომნაამგარეო, რაც 10,000 მანეთს უნდა შეადგენდესო. ეს გარემოება პოლიციასაც შეემოწმებია, რომ მართლა ამდენი ყოფილაო.

გუშინ წინაცა და გუშინაც პოლიცმეისტერის სადგომის წინ 300-მდე ბოზარჯიანცის ქარხნის მუშა შეგროვდა თურმე და თხოულობდენ გამოიძიეთ ჩვენი საქმე და სთხოვეთ ბოზარჯიანცს, დაგვიბრუნოს ჩვენი ფულიო. ბოლოს პოლიცმეისტერმა როგორც იყო დაამშვიდა მუშანი და ნება დართო თქვენს შორის დეპუტაცია ამოირჩიეთ და გუბერნატორს გაუგზავნეთ თქვენის საჩივრის განსაცხადებლადო. მაშინვე პოლიცმეისტერმა დააპატიმრა ამ მუშათა ერთი მეთაურთაგანი არტემ არუთინოვი.

როგორც შევიტყვეთ ბოზარჯიანცს საჩივარი შეუტანია, მუშებმა ზარალი მომცეს, ჯერ ერთი, მუშაობის აღკვეთით და, მეორეც, კიდევ იმითი, რომ დანარჩენ მუშებს, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ შეთქმულობაში, არ აძლევდენ ნებას მუშაობისას, ემუქრებიან, მოგკლავთო, რამდენსამე მაგგანს ძალიან სცემეს კიდეც და ეხლა ავადმყოფები ლოგინად არიან ჩავარდნილებიო. მუშებს მეთაურობენ არტემ არუთინოვი და ალექსანდრე მანჯავიძეო და გთხოვთ ეს ორნი დააპატიმრეთ და განაძევეთ სადმეო. პოლიცია ორივეს თვალყურს ადევნებს და ერთი მათგანი, არუთინოვი, უკვე დააპატიმრეს კიდეც. უსაქმოდ დარჩენილი მუშები თხოულობენ, რომ ჩვენი დაპატიმრებული ამხანაგი დაგვიბრუნეთო. ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში მუშაობა თითქმის შეყენებულია.

ერთი თანამშრომელთაგანი.

გაფიცვის შესახებ „ივერია“-ში შემდეგი ცნობებია მოთავსებული ქრონიკაში:

ახალი ამბავი. გუშინწინ, 10 აგვისტოს, ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში თავი მოიყარეს ამავე ქარხნის მუშებმა და თხოულობდენ, ყველანი ხელ-ახლავ მიგვიღეთ ქარხანაშიო. მუშები მხოლოდ მაშინ დაიშალნენ, როდესაც ამ ალაგას ბ-ნი პოლიცმეისტერი ყაზახებით მოვიდენ. ზოგიერთი თურმე დათხოვნილნი ყოფილან ქარხნიდგან და მათ მაგივრად სხვები მიუღიათ. („კავკაზი“).

„ივერია“ № 172—1894 წ. 12/VIII.

— გუშინ წინ ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშები დასთანხმდენ ქარხანაში მუშაობას, მაგრამ თვით ბოზარჯიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცმა გადაკრილი უარი უთხრა, არ მიგიღებთო. მუშებმა ქარხანასთან თავი მოიყარეს და იქიდან წავიდნენ პოლიციმეისტერთან სათხოვნელად, ძალა დაატანეთ ბოზარჯიანცს და მოაცემინეთ ის ფული, რომელიც ბოზარჯიანცმა ჩვენი ნამუშევრიდან შეაგროვეთ. ბოზარჯიანცმა ყველაფერზე უარი სთქვა და არც იმ შეგროვილ ფულებს უბრუნებს, რომელიც 1000 თუმანზედ მეტს შეადგენს, დაპატიმრებული არუთინოვი, რომელიც ბოზარჯიანცს წინააღმდეგთა მეთაურად მიაჩნია, გუშინ გაანთავისუფლეს. ქარხანაში მუშათაგან უსაქმოდ 400 კაცამდეა დარჩენილი, („ნოვოე ობოზ.“).

„ივერია“ № 173—1894 წ. 13/VIII.

წერილი რედაქციის მიმართ.

თქვენი გაზეთის მე 172 №-ში იყო მოთავსებული წერილი მუშაობის აღკვეთა ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში ერთის თქვენის თანამშრომელთაგანისა. ამ წერილში ნათქვამია, რომ ვითომ მე ვყოფილიყო ერთი მეთაურთაგანი. ეს ცნობა მართალი არ არის, რადგან მე არც მიმეთავრნია და არც ამიშლია მუშები. იმ დღეს, რა დღესაც ქარხნის მუშებს აეკვეთათ საქმე, მე იქ არსად ვყოფილვარ, როდესაც მიველ, მუშებს თავი დაენებებიათ მუშაობისთვის, პოლიცია იყო იქ და მე თუ ვთქვი რამე ან ფაბრიკის კანტორაში, ან თუ პოლიციმეისტერს მივართვი თხოვნა, ეს სულ იმისი ბრალი იყო, რომ თითონ ჩემმა ამხანაგებმა მომანდეს და მეც შევასრულე იმათი მონდობილება, მე ჩემდა თავად არაფერი არ გამიკეთებია და ყოველივე ჩემ მიერ თქმული სხვათა მონდობილებით იყო ნათქვამი.

ალექსანდრე ოთარიშვილი (მანჯავიძე).

„ივერია“ № 183—1894 წ. 27/VIII.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტფილისის ტრამვაის მუშათა შორის.

(1906—1910 წ.)

1905 წლის ივლისში მომხდარმა „პროვალმა“ გენ. შირინკინის მოკვლის შესახებ და ამ ტერორისტულ ჯგუფში მონაწილეობამ ჩემში სამუდამოთ განამტკიცა ის აზრი, რომ პიროვნული ტერორი, რასაც ესერები ადგენ და მით ფიქრობდენ ძველი წყობილების დანგრევას, იყო ოცნება. მეორე მხრით, ჩვენი პარტიის ხაზი, რომ ძველი წყობილების დანგრევა შეიძლებოდა მხოლოდ იდეურად და ორგანიზაციულად შეკავშირებული პროლეტარიატის ბრძოლით ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, შეიქმნა ჩემთვის შეურყეველი.

მიუხედავათ ამისა ბოლშევიკურ ფრაქციას შესაძლებლად მიაჩნდა ზოგჯერ, უკიდურეს შემთხვევაში, მიემართა პიროვნულ ტერორისათვის...

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის თანახმად ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, 1906 წ. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში, ტრამვაიში მიმიღეს კონდუქტორათ. აქ ამხ. იასონ ჯორბენაძის საშუალებით გავეცანი იაჩიკის ზოგიერთ წევრებს, რომლებიც ამხ. ჯორბენაძესთან ერთად არალეგალურად ცხოვრობდენ და ეწეოდენ მუშაობას. ეს ამხანაგები იყვნენ: პრონინი, კოლბიკოვი და სხ. პეტერბურგში მომხდარ სისხლის ღვრის (9 იანვარი) საპროტესტო გაფიცვის მოწყობისათვის ტრამვაიდან გადასახლებული იყო რუსეთში 45 კაცამდე ტრამვაის კონდუქტორები და ვატმანები: ბაქრაძე, ცეცხლაძე, ფოფოიძე, ნუცუბიძე და სხვ. იმ დროს დირექტორათ იყო ვინმე ლევინი, რომელსაც ტრამვაიში ჰქონდა მოწყობილი პროვოკატორების და ჯაშუშების მთელი ორგანიზაცია; ამ ორგანიზაციის საშუალებით, მაძებარი პოლიციისა და „ოხრანიკის“ დახმარებით, მან პირდაპირ მონად გაიხადა ტრამვაის მუშები.

1906 წლის აპრილის უკანასკნელ თუ მაისის პირველ რიცხვებში ახლად მიღებულმა ამხანაგებმა ძველების დახმარებით ი. ჯორბენაძის, პრონინის, კოლბიკოვის და სხვების მონაწილეობით მოვაწყვეთ ტრამვაის მოსამსახურეთა მეორე დიდი გაფიცვა; წამოყენებული იყო ეკონომიური ხასიათის მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკური მოთხოვნებიც—ჩვენ მოვითხოვდით ყველა გადასახლებული ამხანაგების დაუყონებლივ დაბრუნებას სამსახურში მიღებით სრული ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგირების შენახვით. გაფიცვა გაგრძელდა ერთ კვირამდე და გათავდა სრული ჩვენი გამარჯვებით. მიღებულ იქნენ: ამხ. ი. ჯორბენაძე და სხვანი, აგრეთვე დაბრუნებული და მიღებული თითქმის ყველა გადასახლებული ამხანაგები ორმოც კაკამდე ჯამაგირების სრული ანაზღაურებით.

დირექტორი ლევინი ვერ ურიგდებოდა მუშების ამ სამაგალითო გამარჯვებას. ჩვენ აშკარათ ვხედავდით, რომ მან აამუშავა ჯაშუშები და პროვოკატორები. ცდილობდა თავიდან მოეშორებია მოწინავე მუშები.

შექმნილი მძიმე მდგომარეობა პირდაპირ მოითხოვდა ამ პროვოკატორ დირექტორის თავიდან მოშორებას...

ლევინი 1906 წ. ზაფხულზე იქნა მოკლული პირდაპირ ტრამვაის ვაგონში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვატმანი მამაკოვი— გამოცდილი ტერორისტი. მაშინ ჩვენის აზრით ეს იყო ერთად ერთი გამოსავალი იმ უკუღმართი მდგომარეობიდან, რომელიც შექმნა ტრამვაიში ამ ჯალათმა. ამავე დროს გამოირკვა, თუ ვინ იყვნენ პროვოკატორი და ჯაშუში კანდუქტორებში და ვატმანებეში. ასეთები აღმოჩნდნენ: 1) ლიტვინენკო, 9 იანვრის გაფიცვის განადგურების ერთი მთავარი „გმირი“ თვალსაჩინო ჯაშუში, 2) გორბაჩევი, 3) ძმანი სკოგოროვები, 4) ნიკოლაევი (კონდუქტური), 5) მელნიკოვი (კანტორის მოლარე), 6) შაპოშნიკოვი (კანტორის მოლარე, ბუხგალტერ გისის ჯაშუში). ამავე წლის ზაფხულში ორთაჭალაში ტრამვაის კონდუქტორ წულაძის (სახელი არ მახსოვს) ბინაზე ჩვენ ტრამვაის მუშებმა იაჩეიკის არა ლეგალური კრება გავმართეთ. დაესწრო: ამ სტრიქონების დამწერი, ი. ჯორბენაძე, პრონინი, კოლბიკოვი, ჟორჟოლაძე იგივე იტრიეევი — ამო, ტ მაგალობლიშვილი, ალიაქპერ ალიზადე და ცეცხლაძე (ყველა ბოლშევიკები), ხოლო წულაძე, ფრუიძე საბა, თებზაძე, ლორია, მეიპარიანი, კვაჭაძე, ა. ქვათაძე და სხვ. მენშევიკები. კრებამ დაგვავალა მე და ამხ. ი. ჯორბენაძეს ტრამვაის დირექტორთან მოლაპარაკება იმ დღეებში დაჭერილ კ. ტერმატეუზოვის განთავისუფლების შესახებ. ჩვენ დავტოვეთ კრება და წავედით ტრამვაიში. იქ გავიგეთ, რომ ვატმანი ლიტვინენკო, (ჯაშუში), რომელიც 9 იანვრის გაფიცვის შემდეგ ბორჯომში გიიპარა, უკვე ჩამოსულიყო. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება და ჩვენც მივმართეთ ტერორს.

ტრამვაის კანტორის კარებთან დავინახეთ, რომ ლიტვინენკო უკვე გამოვიდა კანტორიდან ქუჩაში და გასწია მუშტაიდისაკენ. სიგნალის მიმცემი იყო კონდუქტორი ალექპეროვი. მან ჩვენთან იქვე მყოფ ტერორისტებს მიუთითა მასზე თვალებით. შორი-ახლოს მას გაყვნენ ტერორისტები. ლიტვინენკო მოკლულ იქნა ელისაბედის ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაზე, ვიდრე ის ამ. კავკასიის რკ. გზის სამმართველომდე მიაღწევდა, ამ საქმეზე არავინ დაუჭერიათ, რადგანაც ტრამვაის მუშები თავიდან წარმოადგენდა ძლიერ შეკავშირებულ მასას.

რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშების შემდეგ ტრამვაის მუშებს პირველი ადგილი ეკავა მუშათა მოძრაობაში. უდიდესი გავლენა ჰქონდა მუშებზე სოც. დემ. პარტიას ბოლშევიკებისა და მენშევიკების სახით. აქ იყვნენ აგრეთვე დაშნაკები და რუსი „პატრიოტები". ეს ორი პარტია სამკვდრო სასიცოცხლოდ ებრძოდა სოც. დემოკრატიას. განსაკუთრებული თვალი ეჭირა ტრამვაიზე მთავრობასაც და რეპრესიებს არ გვაკლებდა. 1906 წ. დირექტორ ლევინის შემდეგ მოვიდა ვინმე ფაინი. 1906 წ.—1907 წ. მან შესძლო შეეტანა ზოგიერთ მუშებში ისეთი ილიუზიები, რომ მას ზოგიერთი მუშა მამას ეძახდა. და ასე თავისი გაიძვერაობით, ტკბილი სიტყვებით და სხ. მან კლასობრივი შეგნება მოადუნა მუშებში, რაც ახარებდა ჩვენს მტრებს. წინააღმდეგი იყვნენ ფაინის ამგვარი მოქმედებისა ერთი მხრით ტრამვაიში მუმუშავე მოწინავე ამხანაგები, მეორე მხრით—ბელგიის საზოგადოების მმართველობა უსაყვედურებდა მუშებთან დამობილებას, სასტიკი რეპრესიული ზომების მიღებას, ბელგიის საზოგადო ქონების უკანტროლოთ ფლანგვას და სხ. ამის გამო 1908 წლის გაზაფხულზე ის დაითხოვეს და გამოგზავნეს დირექტორად ვინმე ალიბეგოვი. ეს ის ალიბეგოვი გახლდათ, რომელსაც მუშებმა რევოლვერი ესროლეს ბალაჯარის რკინის გზაზე მეორე ლიანდაგის გაყვანის დროს, აქ ალიბეგოვი მთავარი ხელმძღვანელი —ინჟინერი იყო: ამის შემდეგ ის ბელგიაში გაიქცა, იქ იმალებოდა რამოდენიმე წელიწადი. მოსელის მეორე დღესვე ის შემოიჭრა საამხანაგო კომისიის სხდომაზე. კომისია მუშების მიერ იყო არჩეული, რომელიც არჩევდა მუშების მიერ ჩადენილ დანაშაულს, მიღება-დათხოვნის საქმეებს და სხ. ადმინისტრიციის წარმომადგენლის თანდასწრებით. ამ კომისიას მუშებში განუსაზღვრელი ავტორიტეტი ჰქონდა. ალიბეგოვს მოჰყვა ერთი ბოქაული პოლიციელებით და კაზაკებით და გადაჭრით მოითხოვა კრების დაშლა. თუ არ დავიშლებოდით, მან უბრძანა, რომ ესროლათ ჩვენთვის. მან განაცხადა: „მე მოვედი თქვენს წინააღმდეგ საბრძოლველად, დავა უნდა გათავდეს ძალის საშუალებით, თქვენ ისარგებლეთ რევოლიუციის წითელი ჩვრით, რომ თქვენი მოთხოვნანი გაიყვანეთ. მე უნდა აღვადგინო ტრამვაის საზოგადოების შეღალული კანონიერი უფლებები. და თუ შეგიძლიანთ ეხლა, იბრძოლეთ, მეც ვიბრძვი და თქვენც, ვის მხარეზეც იქნება ძალა, ის მოიგებსო".

მესამე წინადადების შემდეგ, მეტი გზა აღარ იყო, უნდა ძალას დავმორჩილებოდით—კომისიამ დემონსტრატიულად დარბაზი დასტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა. ამ ამბავმა ტრამვაის მუშებში აღშფოთება გამოიწვია: 25 წუთით მთელ ტფილისში ტრამვაის მოძრაობა შესწყდა. მუშებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ კომისიის თავის უფლებებში აღდგენა, ხოლო ალიბეგოვის გაძევება.

კომისია თუმცა აღდგენილ იქნა თავის უფლებებში, მაგრამ ალიბეგოვიც დარჩა თავის ადგილზე, რამაც ახალი უბედურება დაატეხა თავს ტრამვაის მუშებს. ამას ადრევე ვითვალისწინებდით ჩვენ, ბოლშევიკი მუშები; ჩვენ მოვითხოვდით ბრძოლის გაგრძელებას, ხოლო ზოგიერთი მენშევიკები გ. ერაძის (ბრადიაგას) მეთაურობით მოითხოვდენ ბრძოლის შეჩერებას, რამაც მაშინ დაასასამარა ტრამვაის მუშათა მოძრაობა. ალიბეგოვმა სწრაფად აამუშავა თავისი წინამოადგილის ლევინის ნაცადი იარაღი—ჯაშუშები და ოხრანკა. ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო, რომ 1908 წ. ჩვენთვის აშკარა შეიქნა ისევე გაფიცვით ბრძოლის გამოცხადება მოპოვებული უფლებების შესანარჩუნებლად. არც ერთი მუხლი მოთხოვნისა ახალი არ წამოგვიყენებია, გაფიცვას მოითხოვდა მასსა გადაჭრით. ჩვენ, ბოლშევიკები, ამაში ვხედავდით ერთად-ერთ გამოსავალს. ბრადიაგა და სხვა მენშევიკები მოითხოვდენ ბრძოლის გადასაწყვეტათ ხატისოვთან (ქალაქის თავი), შრომის ინსპექტორთან და სასამართლო პალატაში ჩივილს. ასე გრძელდებოდა მოლაპარაკება ამაოდ. სამჯერ დანიშნულ საგაფიცვო კრებას არ დაეწრენ არც ერთხელ მენშევიკები. ამ ნიადაგზე „რასკოლი“ კი ჩვენ არ გვინდოდა. მარტო ჩვენ ხომ ვერ გამოვაცხადებდით გაფიცვას. ერთი კრება მამა დავითის გორაზე, ორი—ნაძალადევში. საქმე ჩაიშალა, გაფიცვა არ მოეწყო. ამით ისარგებლა ალიბეგოვმა და ერთ ღამეს დააპატიმრეს 58 მოწინავე ამხანაგი და გადასახლებული ვიქენით რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში; დაპატიმრება მოხდა მაისის უკანასკნელ რიცხვებში 1908 წ. ხოლო გადასახლება კი შემოდგომაზე ოქტომბერ-ნოემბერში.

დამარცხდენ მუშები. გაიმარჯვა ალიბეგოვმა და შემოიღო ჯოჯოხეთური პირობები იმ ღალატის წყალობით, რაც მაშინ ბრადიაგამ და მისმა ცოლმა პიშჩინამ ჩაიდინეს მუშების წინაშე, რაც მათ არა ერთხელ ჩაედინათ...

აქ მაგონდება აი რა: 1908 წლის გაზაფხულზე, მუშების დაუკითხავათ. არც ერთ სხვა მენშევიკს ტრამვაის მუშებში და მით უმეტეს ბოლშევიკებს არ გავვიგია, ისინი (ერაძე და მისი ცოლი) ბებელს შეეკითხენ: რომ ტრამვაის მუშები გათავხედდენ, ჩვენი პარტიის პროგრამა-მინიმუმი სრულიად განვახორციელეთ: 8 საათის სამუშაო დღე, ექიმი, წამალი, ტანსაცმელი გვაქვს, დირექცია კარგი გვყავს, მუშების პრეტენზიებს მაინც ბოლო არ უჩანს და ჩვენო მასწავლებელო, —ბელადო, გვირჩიე როგორ მოვექცეთ ასეთ თავხედ მუშებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარცხვინო იყო ეს დაბეზღება და აგრეთვე ის პასუხიც, რაც მათ მიიღეს ბებელისაგან. ეს გამოქვეყნდა „თბილისის ფურცელში". ბებელი უპასუხებდა: „ჩვენ ვიცით, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოება ტრამვაისა, დამყარებული არის სხვის კაპიტალზე; მას თავისი ძირითადი საწარმოო თანხები არ აქვს. „Это есть дутое предприятие, а потому нужно советовать робочим, чтобы они слишком не напирали и не тревожили такое предприятие у таких хозяев"-ო. როგორც შეკითხვამ, ისე პასუხმა გამოიწვია მუშებში აღშფოთება.

დამარცხების შემდეგ აუტანელი შეიქნა ტრამვაის მუშების მდგომარეობა.

ჩვენ ჯერ კიდევ ციხეში ვისხედით, რომ გადარჩენილ ამხანაგებს მარგიშვილის მეთაურობით გადაეწყვიტა ალიბეგოვის მოკვლა.

ელისაბედის ქუჩაზე ვაგონში მჯდომ დირექტორს დაეცენ თავს, ესროლეს, მაგრამ შემთხვევით გადარჩა. მარგიშვილი კი შეიპყრეს და ჩამოახრჩვეს.

დირექტორი ალიბეგოვი ჯაშუშებისა და ოხრანკის აგენტების დახმარებით გაიქცა საზღვარგარეთ.

ალიბეგოვის გაპარვის შემდეგ დირექტორათ მოგვევლინა ვინმე ბატაილი, რომელმაც აამუშავა ჯაშუშების ხროვა, გააუარესა მუშების მდგომარეობა, შეუმცირა ჯამაგირები, შეუმოკლა შვებულების დრო, წამალი, ექიმი. საამხანაგო კომისია ხომ კაი ხანია იყო გაუქმებული ჩვენი დაპატიმრებისთანავე—1908 წ. ზაფხულიდან. ამ რეპრესიების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი იყო ტრამვაის ბუხგალტერი გისი, რომლის მამა ერთი დიდი აქციონერთაგანი იყო ტრამვაის. როგორც ყველგან რუსეთში, ისე ჩვენშიაც მუშებს სრულიად ჰქონდათ წართმეული შესაძლებლობა ორგანიზაციული ბრძოლის წარმოებისა. ეს გარემეობა აღვიძებდა მუშებში პიროვნული ტერორის საჭიროებას. 1908 წ. შემოდგომაზე ვატმანი კვანტალიანის მიერ მოხდა თავდასხმა გამოჩენილი ჯაშუშ სკოგოროვზე. ჯაშუში დაიჭრა ბარძაყში. სიკვდილს გადარჩა. კვანტალიანიც მიიმალა. ამავე 1908 წლის შემოდგომაზე ვორონცოვის ძეგლთან ვაგონის ბაქანზე მოკლული იქნა ვატმანი გორბაჩევი (ცნობილი პროვოკოტორი და ჯაშუში) ისაკა ლელაშვილის მიერ. ბატაილის რეპრესიებიც მატულობდა და მუშებში იწვევდა დიდ აშფოთებას, ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1910-1911-1912 წ. 1908 წ. დეკემბერში მე ეტაფით გამგზავნეს ბაქოს ბაილოვის ციხიდან ამხ. კობასთან, გეგეჭკორთან და სხვ. კობა-ვოლოგდის გუბერნიაში, გეგეჭკორი-დონის როსტოვში. მთელი 1909 და 1910 წლების განმავლობაში კუბაში არ შეუწყვეტია ჩემთან წერილობითი კავშირი ამხ. იასონ ჯორბენაძეს, რომელიც 1908 წ. გაზაფხულზე იყო დაპატიმრებული და მაისის პირველ ნახევარში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში, საიდანაც ის მალე გამოიქცა და განაგრძობდა ტფილისში არალეგალურ ცხოვრებას და პარტიულ მუშაობას, გადასახლებული ამხანაგების ცოლშვილის და სხვა ნათესავ-მეგობართა პროტესტი და მუდამ დემონსტრაციების მართვა გუბერნატორის სამმართველოს წინ ერთი მხრით, ხოლო ტრამვაის მუშების მოთხოვნილებები, რომ ჩვენთვის ადმინისტრატიული სასჯელი მოეხსნათ, მეორე მხრით, იყო მიზეზი, რომ 1910 წ. მოგვეხსნა ყველას ადმინისტრატიული სასჯელი და დავბრუნდით. მე დავბრუნდი 1910 წ. დეკემბერში. რამოდენიმეჯერ მივმართე ტრამვაის დირექტორს, რომ მივეღეთ, მაგრამ უარით გამოგვისტუმრეს. იასონი იმალებოდა ყვირილაში, შემდეგ ქუთაისში. 1910-1911 წლებში მე ტფილისში დავრჩი და სხვადასხვა გვარ გამოცემებს ვავრცელებდით მუშებში, რითაც ლუკმა-პურს ვშოულობდი. ვავრცელებდი ჩვენს გაზეთებს. ვამჩნევდი, რომ ჩემი მისვლა ტრამვაიში და ლიტერატურის გავრცელება, მართალია, სიამოვნებას იწვევდა მუშებში, მაგრამ ტრამვაის ადმინისტრაცია ამას ცუდის თვალით უცქეროდა. ეს იყო 1911 წლის დასაწყისში. იმ დროს დირექტორის მოვალეობას ასრულებდა მთავარი ბუჰგალტერი გისი, რომლის რეპრესიულმა ზომებმა სრულიად დაგვავიწყა წინანდელი რეპრესიები. ჯერ კიდევ ჩვენ გადასახლებამდე დაიბადა აზრი ამ ჯალათის თავიდან მოცილების შესახებ, მაგრამ ის გადარჩა სიკვდილს. 1911 წ. თებერვლის უკანასკნელ რიცხვებამდე, ხოლო აღნიშულ წლის თებერვლის 25 რიცხვებში კი ის იქნა მოკლული ტერორისტთა ჯგუფის მიერ, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა არალეგალურად მცხოვრები ამხ. ტარასი მგალობლიშვილი. ახლოს ვიცნობდი ჯგუფის ყველა წევრებს, მაგრამ უშუალო მონაწილეობა მკვლელობაში არ მიმიღია. მიუხედავად ამისა, მე და სხვა ახლად დაჭერილი მუშები, რიცხვით 12 კაცი ვიყავით დაპატიმრებული საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოში, სადაც რამდენიმე დღის წამების შემდეგ და დაკითხვების შემდეგ გადაგვაგზავნეს მეტეხში. იქიდან კი—აგვისტოში გადამასახლეს ხუთი წლით დონის როსტოვში. რამდენიმე მუშა იქნა გადასახლებული ამ მკვლელობის გამო. მკვლელები კი ვერ აღმოაჩინეს. ტეროორისტული აქტების ისტორიიდან საყურადღებოა ერთი მოგონება, რაც ეხება 1907 და 1908 წწ. მაგრამ ის არ მომხდარა ტრამვაიში.

1906 წ. და 1907 ორჯერ ვიყავი არჩეული ტრამვაიდან მესამე რაიკომის წევრად ტფილისის კოლექტივში. მთელ ტფილისში მაშინ დათარეშობდა კარგად ცნობილი პროვაკატორი-ჯაშუში, მღვდელი გოროდცევის მარჯვენა ხელი, ცალხელა პეროშკინი; მეორე სათათბიროს არჩევნების დროს თუ რომელიმე მუშას შეამჩნევდა, რომ მას პაკეტი მიქონდა ყუთში ჩვენი კანდიდატებისათვის, ასეთებს ყველას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარად იჭერდა, პაკეტს გამოართმევდა, რომელსაც ქუჩაში ხვედა და პაკეტის პატრონს ცემით აჯილდოვებდა. შემდეგ ზოგს ქუჩაშივე ანთავისუფლებდა, ზოგს კი, უმეტეს შემთხვევაში, ციხეში ამწყვდევინებდა.

მისი წყალობით სისტემატიურად ხდებოდა თვით ქარხნებში მივარდნა—მუშების აწიოკება, ცემა, დაბეზღება, ხშირად ფაბრიკა-ქარხნებში და თვით ბინებში გაჩხრეკა-დაპატიმრება და მრავალი სხვა. ამ თავგასული პერუშკინის თავიდან მოშორება აუცილებელი იყო. 1907 წ. ზაფხულში მესამე რაიკომმა დამავალა: მომეწვია ცნობილი ტერორისტები და მოგვეკლა პერუშკინი. მაშინ მე-3 რაიკომში იარალოვის ქარხნიდან შემოდიოდა არჩილ რუხაძე, მადერის ლუდის ქარხნიდან—მუშა გოგოშიძე და სხვა.

მოვიწვიე გამოცდილი ტერორისტი, ავჭალის „კონკაზე“ მომუშავე ვიქტორ ჭაბუკიანი, რომელმაც მოიყვანა საიმედო ტერორისტი რომლის გვარი არ მახსოვს. მოვაწყვე პერუშკინზე თავდასხმა ჩერქეზოვის ქუჩაზე. სამწუხაროდ პერუშკინი სიკვდილს გადარჩა და არც ჩვენგან ჩავარდნილა ვინმე. ამის შემდეგ, თუ არა ვცდები, 1908 წ. ზამთარში თუ 1907 დეკემბერში მასზე მოახდინა თავდასხმა ამხანაგ დავახეთქემ. მან ის დასჭრა მუხრანის ქუჩაზე, მაგრამ სიკვდილს აქაც გადარჩა, შემდეგ პერუშკინი გაიქცა რუსეთში და მისი კეალი სამუდამოთ დაიკარგა.

დ. ნასარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაროდნიკეგის საიდუმლო სტამგის ისტორიიდან.

1884 წ., 14 წლისამ, დავტოვე სოფელი და მოვაშურე ტფილისს. აქ სხვა ხელობას ვარჩიე ასოთ-ამწყობობა.

ამ მიზნით მივებარე მესტამბე ექვთიმე ხელაძეს. იქ ჩქარა გავეცანი მომუშავე ამხანაგებს. ვისაც სურდა თვით-განვითარება და საერთოდ დაახლოვება წიგნებთან, იმისთვის სტამბაში მუშაობა ძველად საუკეთესო საშვალება იყო. ამ მხრივ რომ სტამბას მომზიდველობა არ ჰქონოდა, იმ ხანებში იქ მუშაობა გაჭირდებოდა. განსაკუთრებით მაშინდელი სტამბები: ბნელი და ჭუჭყიანი ბინა სარდაფებში, მუშაობის განუსაზღვრელი დრო და ამასთან „ხაზეინების“ უდიერი მოქცევა მუშებისადმი, ეხლანდელი შეგირდებისათვის საზღაპრო ამბავია.

ბინა მქონდა მთაწმინდაში, სადაც სხვა მუშებთა შორის მეტ წილად ცხოვრობდენ სტამბის მუშები და საზოგადოთ სოფელი სემინარიელები.

ერთ-ერთი სემინარიელი, რომელსაც მე გავეცანი 1882 წ., იყო ჩემს მეზობლათ მცხოვრები ისიდორე რამიშვილი, რომელმაც გაცნობიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მითხრა: „უნდა წაგიყვანო ერთ წმინდა ოჯახში, სადაც გვექნება საუბარი და ლექციები თვითგაცნობიერებაზე და სხ. მხოლოდ ფრთხილათ იყავი, რომ არასაიმედო პირი არ შემოგვეპაროსო“.

ეს იყო ჩოდრიშვილის ოჯახი. მიხა მაშინ ცხოვრობდა რკინისგზის ლიანდაგის ახლოს, კვირაცხოველის გორაკთან.

მიხა ჩოდრიშვილის ოჯახში ხშირათ იმართებოდა კრებები, რომელსაც სხვა მუშებთან ერთად ესწრებოდა დურგლებთაგანი; ვარდენ გოცირიძე და რამდენიმე სტამბის მომუშავეთაგანი, მათ შორის დ. შერაშენიძე; აგრეთვე ესწრობოდა კრებებს მიხას თითქმის მთელი ოჯახობა.

კრებებს ხელმძღვანელობდენ ისიდორე რამიშვილი, გოლა ჩიტაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ბართლომე მოსეშვილი და ვინმე „ნიკოლაი“-რუსი (გვარი არ მახსოვს).

მახსოვს, როდესაც ორატორი სისხლის მსმელ მეფეებს შეეხებოდა, მუშები აღელვებული წამოიძახებდენ ხოლმე: „დანა, დანა მაგათ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ დიდ კამათს იწვევდა აგრეთვე რუსეთის ზოგიერთ ორგანიზაციის მოქმედება, მაგ. როგორიც იყო ხელმწიფე ალექსანდრე II მოკვლა და აგრეთვე სხვა ტერორისტული მოქმედებანი. ზოგი მომხრე იყო ტერორის და ზოგი-კი უარყოფდა მას.

რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთი კრებები მოიშალა და მუშაობა გადატანილ იქნა ცალკე ოჯახებში, სადაც თავისივე ინიციატივით დადიოდა ჩვენი კრებების თითეული წევრი.

დაახლოვებით 1884—1885 წ. მოეწყო პატარა სტამბა. სახელდობრ, ვინ იყო სტამბის დაარსების ინიციატორი არ ვიცი, მხოლოდ ის-კი მახსოვს, რომ საჭირო შრიფტის შოვნა რუსულისა და ქართულის დამავალა გოლა ჩიტაძემ და ადგილიც მაჩვენა, სადაც უნდა მიმეტანა ეს შრიფტი.

გოლას ჰყავდა ერთი ახლო ნაცნობი პარიკმახერი ჩიტო, რომელსაც დარბაზზედაც სწორეთ წარწერაც „ჩიტო“ ჰქონდა.—მან მითხრა: „ეგ ჩვენი თანამოაზრეა და ენდე ისე, როგორც შენ თავსაო“.

საპარიკმახერო „ჩიტო“ იმყოფებოდა გოლოვინის პროსპექტზე, მუხრანსკის შენობაში (ახლა დამწვარია), კუთხეში, ზუბალაშვილების სახლის კუთხის გვერდზე, მას მეორე მხრით მეზობლათ ჰყავდა მეხილე „გიგო“.

გოლამ მითხრა: ჩვენი სტამბაც აქ „ჩიტოსთან იქნება მოთავსებული და შრიფტიც აქ უნდა მოიტანოვო“.

წინა ოთახში იყო მოთავსებული საპარიკმახერო, უკანა ოთახში თვითონ პატრონი ცხოვრობდა.

„ჩიტო“—ეს უბრალო დალაქი, განვითარებული და შეგნებული ადამიანი იყო, აგრეთვე იყო კარგი საამხანაგო და სასიამოვნო მოსაუბრე.

დიმიშნულ ადგილას მივზიდე ჯიბით საჭირო შრიფტი და დავამზადე კასა. მუშაობის დროს გოლა არ მშორდებოდა, ზოგჯერ თითქმის გათენებამდე ვმუშაობდით და ერთადვე გამოვდიოდით; ჩიტოც აგრეთვე ჩვენთანვე ერთად დარაჯობდა.

რას წარმოადგენდა ეს პატარა სტამბა?

ის იყო გაკეთებული დიდ ყუთში, ანუ ჩემოდანში. შიგნით იყო გაკეთებული კასა თავის სახურავით, რათა აღების დროს შრიფტი არ გადარეულიყო ერთმანეთში. ყუთშივე იყო მოთავსებული საჭირო ხელსაწყოები: საღებავი, ვერსტატკი, გრანკა, ვალოკი და სხ. იბეჭდებოდა ვალოკის საშვალებით დასველებულ ქაღალდზე.

როდესაც დამზადდა სტამბა, გოლამ გამაცნო ერთი რუსი, სახელათ „ნიკოლაი“ (გვარი არ მითხრა). შეხედულობით შუა ტანისა, ქერა, თვალებ ჩაცვივნული, უფერული. როგორც ეტყობოდა, დიდი

ტანჯვა-წვალების გამოვლილი ადამიანი იყო; მუშაობდა რკინის გზაზე.

გოლამ მითხრა: „დროებით გშორდები, სტამბის ხელმძღვანელი ნიკოლაი იქნებაო“.

მას შემდეგ, დრო გამოშვებით, ნიკოლაის დაბარებით მივდიოდი სამუშაოთ და ხშირათ გათენებამდის ვხეპდავდით პატარ-პატარა პროკლამაციებს, დამხმარე კასების წესდებებს და სხ.

ამ ბინაზე თითქმის ორი წელიწადი დაჰყო სტამბამ.

შემდეგ რამოდენიმე ხანს მუშაობა შეჩერდა, რადგან ჩიტომ განაცხადა, რომ საეჭვო პირებს ვამჩნევ და სტამბა უნდა სხვაგან იქნას გადატანილიო.

ცოტა ხნის შემდეგ გოლაც გამოჩნდა, მას სტამბა უკვე გადაეტანა თავის ბინზე.

გოლას ბინა იყო ეგზარხოსის მოედანზე, სახლი № 7, ჩიხში, მეორე სართულში. ეს იყო ერთი პატარა ოთახი შუშაბანდით. კედელს ჰქონდა განჯინა, რომლის ქვედა ნაწილი იხურებოდა. აი აქ იყო მოთავსებული სტამბა.

გოლას ოთახის მოწყობილობას შეადგენდა: ერთი პატარა ფეხმოტეხილი მაგიდა და ტაბურეტკა; მაგიდაზე იდგა თუნუქის საჩაიე მუდამ ცხელი წყლით; რა დროსაც უნდა მისულიყავ მასთან, ყოველთვის ჰქონდა ჩაი „პრიკუსკით“ და პური; სადილიც ეგ იყო მისი და ვახშამიც. ცხოვრობდა მეტად ხელმოკლეთ. მისი მაღალი და გამხდარი ტანადობა, გრძელი შავი თმა, გამხდარი, ჩაყვითლებული სახე, ჩაცვივნული თვალები,—ყველაფერი ეს ამტკიცებდა იმის უზომო და დაუღალავ შრომას დაჩაგრულ ხალხის განთავისუფლების საქმეში.

ხშირათ მოირბენდა აღელვებული და მომცემდა ასაწყობათ ფურცლებს, ან ზეპირათ მიკარნახებდა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა შესახებ და დაბეჭვდისათანავე გააქანებდა ხოლმე სადაც საჭირო იყო.

ამავე სტამბაში დაიბეჭდა აგრეთვე რამოდენიმე გვერდი „კაპეიკის ისტორია“ „ოთხი ძმა“-დან. იბეჭდებოდა აგრეთვე სარევოლიუციო წიგნებიდან ამოღებული საყურადღებო ადგილები, (1-4 გვ.), რადგან ქართულად მაშინ არ მოიპოვებოდა ასეთი წიგნები.

ერთ ღამეს ამნაირ შემთხვევას ჰქონდა ადგილი:

გაცხარებულ მუშაობაში ვართ: მე ვაწყობ, ვოლა ბეჭდავს. კარებს მოადგა ვიღაც და დაუწყო ბრახუნი. ჩვენ ფერი გვეცვალა, მაგრამ რაღას ვიზამდით, შევუღებეთ გადამალვას. სტამბის ყუთისთვის ისეთი ადგილი გვქონდა, რომ ერთი ფიცარის ამოღებით, ყუთი ქვეშ ჩადიოდა, იმალებოდა და განჯინა-კი ცარიელი რჩებოდა და არავითარი საეჭვო შეხედულება მას არ ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საქმე რომ კარგათ ჩავატარეთ, იქვე ჩაისა და პურს შევექეცით. გოლამ კარები გააღო და შემოვიდა ვიღაც პოლიციელი—უბნის ზედამხედველი.

გოლამ იცნო თავისი ნათესავი უბნის ზედამხედველი და უკმაყოფილოთ შენიშნა: „შე ოხერო, ამ შუაღამისას რას დაეხეტებიო“.

ამ პატარა „ტრევოგამ“ გოლა ძალიან ააღელვა იმიტომ, რომ ხელი შეუშალა იმ ღამის მუშაობას, მაგრამ მეორე მხრით სტამბის დამალვის გამოცდამ კარგათ ჩაიარა.

გავიდა ხანი. გოლა სადღაც წავიდა.

მოახლოვებული იყო ხელმწიფე ალექსანდრე III მოსვლა ჩვენში (1887 წ.) და ვინც-კი პოლიტიკურათ შენიშნულები იყვნენ, ზოგი გადაასახლეს და ზოგნიც თვითონვე მიიმალნენ.

და სწორეთ ამ დროს აღარც გოლა გამოჩნდა და სტამბაც დაიკარგა; არ ვიცი რა ბედი ეწვია—მთავრობას ჩაუვარდა ის, თუ სადმე გადამალული დარჩა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გოლა ჩიტაძე გამოჩნდა, მაგრამ ის გოლა აღარ იყო, რაც წინად: ის თავის ჭკუაზე აღარ იყო...

გოლა სულითა და გულით ნამდვილი, უმწიკვლო, თავდადებული პატრიოტი იყო თავის იდეის—ხალხის შეგნებისა და გათვითცნობიერების. მთელი თავისი ახალგაზრდობა, ეს ულამაზესი ხანა ადამიანის ცხოვრებაში, გოლამ შესწირა მუშა ხალხის განთავისუფლების საქმეს...

ლ. ხელაძე.

ტფილისი. 20 მარტი 1926 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. ...

ამხ. სპირიდონ ვაშაკიძის ხსოვნას.

ამხ. სპირიდონ ვაშაკიძე, გლეხის შვილი, ქუთაისის მაზრის სოფელ გუბის მცხოვრები იყო. დაწვრილებით არ შემიძლია მისი ბიოგრაფია გადმოგცეთ, მე ის გავიცანი 1918 წ. სამტრედიაში. დაახლოვებით იყო 36 წლის, სიცოცხლით სავსე, ნამდვილი ამხანაგური გრძნობებით აღსავსე.

1919 წ. ამხ. სპირიდონი ხონის ორგანიზაციას ქ. სამტრედიის ორგანიზაციასთან აკავშირებდა. მას ჰქონდა დავალებული 1919 წ. საოლქო კომიტეტისაგან გამოსვლების ხელმძღვანელობა ნოემბერში როგორც ტეხნიკურათ წინასწარ, აგრეთვე იდეურად თვით გამოსვლების დროს. მან პირნათლად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა: აიღო თავისი რაზმით გუბი, ქუტირი და გამოეშურა სამტრედიისაკენ თანახმად სამხედრო გეგმისა, როგორიც შემუშავებული იყო. მოვიდა კულაშამდის, კულაშელ ამხანაგებსაც აეღოთ ხელში ძალა-უფლება, ამ დროს მოუსწრო გვარდიელებთან, გვარდიის შტაბის უფროსმა ელადიმერ ჯიბლაძემ და „ბრონეფიკმა“. შეერთებულმა კომუნისტურმა რაზმმა ამხ. სპირიდონის ხელმძღვანელობით დაიხია კულაშის თემში სოფ. ნაბაკევში, სადაც უფრო ძლიერი იყვნენ კომუნისტები. გათენებისას მეწშევიკების გვარდიამ სოფელს შემოარტყა ალყა ვლ. ჯიბლაძის ხელმძღვანელობით.

ამხ. სპირდონმა მოასწრო იარაღის შენახვა ამ სოფელში და გაიყვანა ყველა ამხანაგები სოფლიდან უხიფათოდ. მერმე ჩაუარდათ ხელში მენშევიკებს რამოდენიმე ამხანაგი, ღანირში, ქვიტერში, ხონში, მაგრამ სადაც მეტი საფრთხე იყო, იქ კი სპირიდონმა გამოიჩინა საუცხოო გამჭრიახობა.

1919 წ. 7 მაისს საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ მენშევიკების მიერ განთავისუფლებული იქნენ კომუნისტები, თითქოს გამოცხადებული ვიყავით ლეგალურათ.

ამხ. სპირდონიც ამ დროს გამოჩნდა და მუშაობდა ქუთაისის გუბერნიაში. მალე დაიწყეს მენშევიკებმა რეპრესიები და კომუნისტების დაპატიმრება. დაპატიმრებულ იქნა ამხ. სპირიდონიც და გადასახლებული ბაქოში.

1920 წელს, როცა უმწეველოსობამდის მივიდა სამოქალაქო ომი საბჭოთა რუსეთში, ბაქოს პროლეტარიატმა გამოაცხადა 10%-ნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული მობილიზაცია ვრანგელის წინააღმდეგ. ამხ. სპირდონი ჩაეწერა რაზმში, გაემგზავრა გამარჯვების სრულის რწმენით; ვრანგელი და ძმანი მათნი, მენშევიკებითურთ, ძლეულ იქნენ, გაქრენ როგორც გაზაფხულის თოვლი, შავი ზღვის ტალღებს მისცა ისინი ძლევამოსილმა წითელმა ჯარმა. მას აქეთ ამხ. სპირიდონ ვაშაკიძის არა ისმის რა, ვინ იცის როდის, და სად ეკვეთა მტერს ამხ. სპირიდონი.

ეს კი ცხადია, მან პირნათლათ შეასრულა თავისი რევოლიუციონური წმინდა მოვალეობა. 10%—მობილიზაციით გაწვეულმა საერთო რიცხვიდან, პირადათ მან, ყველა 100% შესწირა მუშურ-გლეხურ საქმეს.

დაუვიწყარი იქნება ამხ. სპირიდონის სახელი!

ამხ. სპირიდონს დარჩა მოხუცი დედა და დაი სოფ. გუბში, ხონის რაიონში.

ვ. სტურუა.

4/IV—23 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიკო იმერლიშვილი (მცხეთელი).

ილიკო იმერლიშვილი დაიბადა 1886 წელს მცხეთაში. მამა მისი (იორდანე) იყო მეტად ღარიბი, მიწის მუშა. ილიკო სწავლობდა სოფ. მცხეთის სკოლაში, თავიდანვე ეტყობოდა, რომ ნიჭიერი იყო, მაგრამ რადგანაც მშობლები ზედმეტად ღარიბი ჰყავდა, იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა სწავლა 1898 წ. ამის შემდეგ ილიკოს პირველად ეხეიდავთ სტამბაში 1902 წ. აქედან ვასო ხუციშვილის ჩაგონებით შემოდის სტამბების ერთ-ერთ წრეში. აქ მას მიანდვეს არალეგალური ლიტერატურის გავრცელება და ფულის შეგროვება ამხანაგებში. დადგა 1905 წ. ამ დროს ილიკო მზადაა ეკვეთოს მტერს. დაიწყო სომეხ-თათართა შეტაკება ტფილისში, მთავრობის მიერ მოწყობილი და ილიკოც მესამე რაიონიდან (მთაწმინდა) მიდის პირველ რაიონში — (ნაძალადევი) და ეწერება რაზმში. იქ ღებულობს იარაღს და მიდის თათრის მოედანზე, სადაც ღირსეულად ასრულებს თვის საქმეს. არ დაავიწყდებათ მაშინდელ მის ამხანაგებს ერთი შემთხვევა: იმ ღამეს, როცა თათრის მოედანზე ცეცხლი გაძლიერდა და თათრების ბრბო თანდათან დახურული ბაზრისკენ მოიწევდა, გავრცელდა ხმა, რომ ალი ბალას (ასე ეძახდენ თათართა ბრბოების ერთ წინამძღოლს შუა ბაზარში უნდა შეიჭრესო. მეორე მხრივ კიდეე სომხებს უნდათ შეტევა მოედანზეო. სილიბისტრო ჯიბლაძემ უთხრა ვალერა ბილანოვს, რომ აერჩია ერთი ჯგუფი რაზმელების და დამდგარიყო დახურულ ბაზრის შესავალში, და თუ ეცდებოდა მართლა წრის გარღვევას, რომელიმე მხარე, ეხმარათ იარაღი. და თუ გაჭირდეს საქმე, ყუმბარებიც იხმარეთო, დაუბარა. შუაღამისას მართლაც თათრები გამოვიდენ ცეცხლით და მაზხალებით და დაიწყეს მოგროვება მოედანთან. როცა დაატყეს, რომ ძალიან ემატებოდენ, იქ მდგომ აფიცერს მივმართეთ გაეგზავნა სალდათები და მიეცა გაფრთხილება, ნუ გროვდებიანო. მან გვიპასუხა: მე ნაბრძანები მაქვს უკან დავიხიო, სანამ განსაკუთრებული რამე ბრძანება არ მომივა ამის შესახებო. მაშინ ალექსანდრე ობოლაძემ, როგორც თოის თავმა, გასცა განკარგულება გვესროლა და გაგვეფანტა შეკრებილეს ბრბო. მაგრამ რაზმელებმა გასროლა ასე ადვილად ვერ გაბედეს. გავარდა მხოლოდ ილიკოს თოფი... შემდეგ სხვა რაზმელებმაც გაისროლეს. ცოტა ხანს შემდეგ ბრბო გაბრუნდა. ალაგას დარჩა ორი დაჭრილი (ერთი მძიმეთ), რომელიც მალე მოკვდა, აღარ იყო მერე მოსვენება ილიკოსგან. რომ რად მოვკალით ის კაცი, უნდა სიტყვით მოგვეხდინა გავლენაო... ასე სომეხ-თათართა ქლეტა ტფილისში შეჩერებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნა. დაიწყო ქუჩებში „ქეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებსა და მუშებს შორის სისხლიანი შეტაკებები. ილიკო ყველგან მხნედ და გაბედულად მხარს უმშვენებს თავის მებრძოლ ამხანაგებს; ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს ერთ „მანიფესტანტს“ ილიკო ჰგლეჯს გულიდან სამფეროვან ნიშანს და, როგორც „ტრიუმფი“, მოაქვს მესამე რაიონში ვასო ურუშაძესთან, რომელიც იმ რაიონში მოწინავე ხელმძღვანელ მუშად ითვლებოდა.

რევოლიუციამ თითქმის მინელება იწყო. პარტიაში დიდი მერყეობა იწყება, უმრავლესობა აშკარა გამოსვლაზე ტაქტიკური მოსაზრებით წინააღმდეგი ხდება—ბევრს ისე პრინციპი და პარტიის ტაქტიკა არ აწუხებდა, რამდენადაც თავის გადარჩენა, ამ შემთხვევაში ილიკო თავისი ამხანაგებით, რომელთა შორის იყვენ: ა. ობოლაძე, გ. ავალიანი, ტ. ჯაში, არკადი ელბაქიძე, ს. ტომარაძე, არამ პოლოსოვი, გ. თოფურიძე, ა. ფიცხელაური, ა. ვარსიმაშვილი, ვ. ნასარიძე, დ. ბაკანკალაშვილი და ყანდარელი (პატარა მცხეთელი) ეყოფიან მთავარ ორგანიზაციას და აარსებენ მთაწმინდაში რევოლიუციონურ სოც.—დემოკ. მუშათა ჯგუფს.

1905 წ. რეაქციის შემდეგ მთაწმინდაში იყო საიდუმლო სტამბა, რომელსაც ილიკო ხელმძღვანელობდა (იბეჭდებოდა პროკლამაციები). ერთ ღამეს უბანს ალყა შემოარტყეს (სტამბას ეძებდენ). ილიკომ ისარგებლა რა ღამის სიბნელითა, ზურგზე წამოიკიდა დაშლილი მანქანის ნაწილები და მიიმალა. ეს სტამბა მოთავსებული იყო „ხალიან მაშოს“ სახლში. ეს მაშო ცოცხალია, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის როგორც ილიკოს, ისე სხვა რევოლიუციონერთა დახმარებაში,

იმ ხანად შანტაჟისტების ბრბომ ისარგებლა „მთაწმინდის ჯგუფის“ სახელით. მათ მოახერხეს რამდენიმე საზიზღარი საქმის ჩადენა. მაგრამ ილიკოს წყალობით ბევრმა ინანა დაბადების დღე. საზოგადოდ ილიკო სასტიკი წინააღმდეგი იყო შანტაჟისტურ მოქმედებისა და ამხანაგებმაც მას მიანდვეს ასეთი ბოროტი პირებისათვის გაეცა პასუხი და ისიც სასტიკად უმასპინძლდებოდა მათ. როდესაც მთავარმა ორგანიზაციამ სცნო ჯგუფის ნამდვილი რევოლიუციონური საქმიანი მოქმედებანი, მაგრამ გაუწია რა ანგარიში იმასაც, რომ ნაძირალებიც სარგებლობდენ ამ ჯგუფის სახელით, გამოგზავნა მოსალაპარაკებლად წარმომადგენლები. მათ, როგორც ძველმა, უფრო გამოცდილმა ამხანაგებმა აუხსნეს ჯგუფის წევრებს, რომ მათი ამ გზით მოქმედება საზარალო იყო, როგორც პარტიისათვის, ისე პირადათ ჯგუფის წევრებისათვის. ჯგუფი ორ ფრთად გაიყო, ილიკო იმ ფრთას ეკუთვნოდა, რომელიც მომხრე იყო შეერთებისა, (რაც არ მოხდა), ვინაიდან მთავარი ორგანიზაცია არ დასთანხმდა ჯგუფის მიერ წამოყენებულ პირობებზე. რომ გაიგეს ნაძირალა ხალხმა, ჯგუფის დაშლა, ეხლა უფრო მოუხშირეს საზიზღარ საქმეების ჩადენას. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფის ორივე ფრთა სრული ღირსებით იცავდა თავის სახელს. ილიკოს წინამძღოლობით მოხდა ტემნიკოვზე თავდასხმა, რომელსაც მოუკლეს ამხანაგი და გოროდოვოი, თვითონ ტემნიკოვი გადარჩა, ეს მოხდა გრიბოედოვის ქუჩაზე. აგრეთვე ილიკო იმერელიშვილმა და ფიცხალაურმა მოჰკლეს ჟანდარმი გრუნინი ბროსეს ქუჩაზე. პოლიციაც მიხვდა ჯგუფის ძალის დაშლას და თამამად დაუწყო დევნა მის წევრებს. ერთ ასეთ შეტაკებაში, რომელიც მოხდა გოლოვინის პროსპექტზე აფიცრებთან და გოროდოვებთან, დაატყვევეს ავალიანი და ტომარაძე, ილიკო გადარჩა. ის წავიდა კახეთში: კარგა ხანს დაჰყო კახელ ამხანაგებთან. ერთ დილას მაზრის ბოქაულმა გედევანოვმა დაატყვევა (1907 წ. დეკემბრის რიცხვებში) ილიკო თავის ორ ამხანაგით, გედევანოვმა ეს სამი ამხანაგი მიუმატა წინა დღით დაპერილ ოთხ კაცს და დაამარალა რაღაც მძიმე საქმე, რისთვისაც ყველა ესენი ციხეში მოათავსეს. ამხანაგებმა ილიკოს ციხეში იარაღი შეუგზავნეს, რადგანაც სამხედრო სასამართლოდან მოსალოდნელი იყო სასტიკი განაჩენი. ერთ დილას 1908 წ. მაისის რიცხვებში, როცა ციხის კარებზე ბევრი მნახველები იყო, ზოგი ნახვას ელოდა და უგზავნიდა სანოვაგეს, ამ დროს ერთმა ქალმა შეგზავნა ერთი ქილა მაწონი, რომელშიც თურმე მოთავსებული იყო ყუმბარა. აი ამ მაწონის ქილით ისარგებლეს, მოახდინეს არეულობა, ამ ყუმბარის ხმაზე გაიკაფეს გზა და გამოვიდა 17 კაცი, მათ შორის ილიკო, თავის ამხანაგებით.

1909 წელს ილიკო მძიმე ავად გახდა ანთებით და იძულებული იყო თავის დედმამის სახლში დაწოლილიყო. ერთ ღამეს ილიკოს სახლს ალყა შემოარტყეს, მაგრამ ილიკომ აქაც გაქცევა შესძლო. ამის შემდეგ ილიკო სულ დუშეთის მაზრაში მუშაობს. 1913 წელს იანვრის რიცხვებში შენიშნეს, რომ ილიკო თავის ამხანაგით ჩამოვიდა ტფილისში ცოლშვილის სანახავად და რადგანაც შეუძლებელი იყო თავის ოჯახში მისვლა, ამისთვის იგი სხვის ოჯახში, ნაძალადევში, შეხვდა ცოლშვილს. აქ ალყა შემოარტყეს იმ სახლს, სადაც ილიკო იმყოფებოდა. აქ მოკლულ იქნა ილიკოს ერთი ამხანაგი, თითონ ილიკომ კი გაქცევა მოასწრო.

ამის შემდეგ უფრო გააძლიერეს ილიკოს ძებნა, გაამრავლეს ჯაშუშები როგორც მაზრაში, ისე ქალაქში. ილიკოს სახელიც გაიზარდა ხალხში. ხალხი მას თვლიდა გმირად და აღფრთოვანებით იხსენიებდა. მაზრის ორგანიზაციაც იჭერს კავშირს ილიკოსთან და ანდობს დუშეთის მაზრის უფროსის მოკვლას.

როცა, ის თავის ამხანაგებით ამ საქმისთვის ყუმბარებს ამზადებდა, ამ დროს გაუქსდათ ყუმბარა, რამაც იმსხვერპლა ილიკო და ერთი მისი ამხანაგი...

ბ—ლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანტონ გრიგოლის ძე კალანდარიშვილი.

(1852—1908)

ჯერ კიდევ მამისაგან ჰქონდა მას ნაანდერძევი მშრომელი ხალხის სამსახური,..

1858 წელი გურიაში. ბნელეთით მოცული გურიის გაღატაკებული გლეხობის ცხოვრება. მონობა სრული: ნივთიერი, პოლიტიკური, ადამიანის ძაღლზე გადაცვლა, „პირველი ღამე“, შიმშილი, ცემა.. ხალხის სისხლით გაუმაძღარ თავადებს გადაუწყვეტიათ ნიგოითლების მორიგი აწიოკება, მიწის უფლების ართმევა! დაირაზმა „მაღალი წოდება“, გაირეკეს წინ შინაყმები და მიადგენ სასიმინდეებს დასაცლელად.

— „ან სიკვდილი, ან გამარჯვება“,—აი ერთად ერთი გადაწყვეტილება, რომელიც უკარნახა ნიგოითლებს მაჭუტაძეების გაბოროტებულმა თავდასხმამ!!.

სძლია ხალხის ერთობამ, მისმა შეთანხმებულმა გალაშქრებამ, ტანჯულთა თავგანწირვამ გაფანტა თავადების რაზმი. ამ ისტორიულ ჩხუბს მსხვერპლიც მოჰყვა, შეტაკების ადგილას უსულოდ დაეცა ლტაკი გლეხი... ამ გამოსვლებში ხალხის მეთაური ანტონის მამა, გრიგოლი, იყო... ის პირველი კეტით ხელში გაუძღვა გლეხობას მუქთახორების წინააღმდეგ, მაგრამ საუბედუროთ ეს იყო გამარჯვება მხოლოდ რამდენიმე საათით... თავადობას მალე მოეშველა მთავრობა—პრისტავ-სტრაჟნიკებით, შემდეგ ჯარიც, დაიწყო საშინელი შურისძიება, დაჭირეს მოთავეები, შეიპყრეს ტყეში გადამალული გლეხები, საჯაროთ ამუშავდა მათრახი, როზგები!..

1858 წ. ღირსეულად ეზიარა ნიგოითის გლეხობა გმირულ რევოლიუციონურ სულისკვეთებას ამ შემთხვევაში, მაგრამ როგორ გაუძლებდა ის, რიცხვით მცირე და ორგანიზაციულად მოუმზადებელი, მთავრობის ჯარების შეტევას... ეს იყო მხოლოდ სტიქია, მაგრამ მომავალი ბრწყინვალე გამარჯვების სიმბოლიური მაჩვენებელი!.. მტარვალებმა დაჭერილ გლეხებით გაავსეს ქუთაისის სატუსაღო. ბევრი ციმბირში გაიგზავნა, ზოგიერთები გზაში დაიხოცენ. სოფელს საშინელი და დაუნდობელი ეგზეკუცია ჩაუყენეს, რომელიც არ მოშორდა საზოგადოებას, ვიდრე სრულიად არ გამოსჭამა ხალხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ავლადიდება!.. ქუთაისის ციხეში გაგზავნეს გაბაწრული ანტონის მამაც.

ანტონი ხშირად გვეტყოდა ნიგოითის ახალგაზრდობას: „ქუთაისის გზა მამა ჩემმა მასწავლაო“. პატარა ანტონი დადიოდა ქუთაისში ფეხით, რადგან მაშინ რკინის გზა არ ყოფილა. ნახულობდა საკანში გამომწყვდეულ მამას და მის ახალგაზრდულ, სახალხო საქმისათვის წარმოშობილ გულში იმ თავითვე გროვდებოდა და იჭედებოდა დიდი ძალა და მტკიცე ხასიათი, სახალხო საქმისათვის თავდადებისა. ნიგოითში დღესაც ცოცხალია ზოგიერთი მოხუცნი, რომლებიც გადმოგვცემენ ანტონის მამასთან მოგზაურობის ნამდვილ ამბავს. ანტონი ხშირად ნახულობდა და საჭმელი მიჰქონდა მამასთან. მეტად ამაღლებული იყო, ტყვე მამის მიერ ციხეში შვილის პირველი შეხვედრა... მამას უკვირდა, როგორ გაიგნო გზა პატარა ანტონმა ქუთაისის ციხისაკენ.

ციხეში მამასა და შვილს შორის ასეთი საუბარიც იმართებოდა:

— ჩემო კარგო ბიჭო, რაფერ მოდი აქ, როგორ ხართ, ცოცხალია თუ არა ჩემი ულვაშებისს მტერი პაწია კოწიეი. ნუ წუხარ ბაბა, კოწიეი კარგათ არის, მარა ძალიან მოწყენილია, უფროსი ძმიეი ბატონმა წაართვა!..

— რავა ამბობ ბიჭო, ხომ არ გაგიჟებულხარ?!.

— ასეა მამილო, წაგვართვა ბატონმა; მირონაი ყმათ აიყვანა...

საშინელი შურის ძიების გრძნობით აღავსო ამ ამბავმა მამის გული, მაგრამ რას გახდებოდა, ის „საიმედო“ საკანში იყო გამომწყვდეული...

— „ბიჭო, როცა შემდეგ მოხვიდე, კოწიას ცომზე ხელი დარტყმევიეთ და ისე გამომცხვარი მჭადი მომიტანე, ერთი მაინც ვეღირსო ჩემი წვერულვაშის გლეჯია ბიჭის, ჩემის საყვარელი კოწიეის თითების დანახვას... უთხრა პატარა ანტონას დატუსაღებულმა მამამ.

ბეჯითად და დროზე შეასრულა პატარა ანტონმა საყვარელი მამის თხოვნა, მაგრამ მამა ცოცხალი აღარ დახვდა. ის ციხეში მოშკვდარიყო!.. სამუდამო ნიშანი დაადო პატარა ანტონის სათუთ სულიერ აგებულობას მამის ასეთმა მწარე ბედმა. ანტონი ღირსეული მემკვიდრე გამოდგა მგირული სულით აღტყინებულ მამისა და გასაოცარია, მასაც ასეთივე ბედი ეწია: თავის მამისამებრ, ისიც ქუთაისის ციხეში მოკვდა, ხალხის საქმისათვის თავდადებული. მშრომელი ხალხის ნამდვილი შვილი, ანტონი, იცნობდა თავისი მოძმეების აუტანელ მდგომარეობას და მთელი ენერგიით ჩაბმული იყო გლეხობის განთავისუფლების საქმეში. ანტონი მონაწილეა გურიის გლეხობის პირველი რევოლიუციონური გარიჟრაჟების, ის ამ განთიადის პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი ტოროლაა. ბუნებით დინჯი, გონებით მდიდარი, ტკბილი მოსაუბრე, ის იქცევდა გლეხობის ყურადღებას. თავისუფალ დროს ის იყო გლეხობაში და ტკბილად ესაუბრებოდა მათ ყოველგვარ ჭირვარამზე. ანტონის გულწრფელ და ტკბილ სიტყვას სოფლელებიც თბილი გრძნობით გამოეხმაურენ, ანტონი უყვარდათ, მას აფასებდენ!.. ერთ დროს, 1894—96 წლებში, ხალხში ხმა იყო გავარდნილი,—ანტონი სოციალისტების საიდუმლო მამასახლისიაო... თავადობა და მღვდლები ხედავდენ ანტონის გავლენას ხალხზე და ეს მათ არ მოსწონდათ.

— ანტონაის შეგირდი ხომ არ ხარ, მუშაობა რომ „გაგიძვირებია“, ხშირად დაუყვირებდენ მდიდრები დასაქირავებელ სოფლის მუშას!.. ხალხის მტრები მიხვდენ ვისთან ჰქონდათ საქმე და ანტონიც მიზანში ამოიღეს, ის მორიგ მსხვერპლად დაისახა შავმა ძალებმა!.. ანტონი რევოლიუციონურ საქმეში ფრთხილი და მოხერხებული მუშაკი იყო. ის მტერს ხელში ადვილად არ ჩაუვარდებოდა, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ მხრივ ერთხელ მას ბედმა უმტყუნა,—ცოლის ავადმყოფობის გამო ხელი შეეშალა, დროზე ვერ გადამალა რევოლიუციონური ლიტერატურა და პოლიციამ სასიამოვნო „საგძალი“ გაიტანა მისი სახლიდან. იპოვნეს ბინაზე ლიტერატურა და სხვადასხვა საბუთები. ჯალათებმა სრულიად დაარბიეს მისი ოჯახი. გაბაწრეს ანტონი, მისი სიძეც და გადაგზავნეს ოზურგეთის ციხეში.

ეს იყო 1907 წ. ანტონს ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტეს, მაგრამ მისმა დაქანცულმა სხეულმა ვერ აიტანა საკანი და გარდაიცვალა ქუთაისის ციხეში.

ასე გმირი მამის ბედი ეწვია ხალხისათვის თავგანწირულ შვილს!..

ანტონის სახელი მუდამ ძვირფასი, მუდამ საყვარელი და პატივსაცემი იქნება მშრომელი გლეხობისათვის, ის მოგვაგონებს რევოლიუციის ალიონის, თავისუფლების მერცხლის პირველ საამურ ჭიკჭიკს და დაუვიწყარიც იქნება მომავალი თაობისათვის...

კ. ფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული არქივი

რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ტფილისის პროლეტარის ფურცელი *).

5 აპრილი 1910 წ.

№ 1.

რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციები.

გაერთიანების შესახებ.

ქვემოდ მკითხველი წაიკითხავს რ. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენარული სხდომის რეზოლიუციას სადაც უმთავრესად ყურადღება აქვს მიქცეული საკითხს გაერთიანებისა და ფრაქციულობის მოსპობის შესახებ.

ჩვენ ს აზრით, ყველა ის, ვისაც კი უყვარს ჩვენი პარტია, ვინც მიისწრაფვის არა მის დასანგრევად, არამედ --ასაღორძინებლათ, ვისაც გული სტკივა მისი ახლანდელი შედარებითი სისუსტით და ეძებს საშუალებას მის გასაძლიერებლათ, სიხარულით შეხვდება ამ რეზოლიუციებს.

დიდია ის საფრთხე, რომელიც ჩვენს პარტიას წინ ეღგას. ყოველი მხრიდან ესხმიან მას—დაწყებული შავრაზმელებიდან ბ. ბ. კა-

---

*) ეს გაზეთი ტფილისში გამოდიოდა რუსულ და ქართულ ენებზე. აქ მოთავსებული რეზოლიუციები ჩვენ ვიპოვნეთ ტფ. საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს არქივში, ჟანდარმერიის მიერ გადაბეჭდილი და „საქმეებში“ ჩაკერებული. ეს რეზოლიუციები ჩვენ შევადარეთ 1910 წლის (იანვრის) პლენუმის რეზოლიუციებს, მოთავსებულთ წიგნში—Российская Коммунистическая партия (б) в резолюциях ее с'ездов и конференций (1896—1924 г. г.).“ რეზოლიუციები დაბეჭდილია სწორად მხოლოდ არა სრულად. ზემოთ დასახელებულ წიგნში რეზოლიუციების ასეთი სათაური და შესავალი აქვს: „რ. ს. დ. მ. პ. ც. კ. პლენარული კრება (იანვარი 1910 წ.). 1910 წლის იანვარში პარიზში შესდგა საკმაოდ მნიშვნელოვანი შეჭერების შემდეგ, რ. ს. დ. მ. პ. ც. კ. პლენარული კრება. გადამწყვეტი ხმით დაესწრო 14 ამხანაგი, სათათბირო ხმით მოწვეული იყვნენ ცენტრალური ორგანოს მთელი რედაქცია და ც. კ. ერთი კანდიდატი, არჩეული ლონდონის ყრილობაზე. ამას გარდა, სათათბირო ხმით დაშვებულ იქნა ამხ. ტროცკი, როგორც წარმომადგენელი გაზ. „პრავდასი“, რომელიც ვენაში გამოდის“.

„რედ. მატ.“-ს რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეტებამდე, სტოლიპინის მთავრობა რომ არ მოვიხსენიოთ. ყველანი იმის ცდაში არიან, რომ აღგავონ ის დედამიწის პირიდან.

ასეთ მომენტში, როცა საკითხი დგას პარტიის „ყოფნა არ ყოფნისა“, გაერთიანებას მოითხოვს პარტიის არსებითი ინტერესები.

ამიტომ ც. კ. რეზოლიუციები სავსებით დროულია, თუ დაგვიანებულათ არ ჩავთვლით.

მიუხედავათ ამისა, მზგავსათ ზოგიერთებისა, ჩვენ არ ვოცნებობთ, რომ უთანხმოება და აზრთა სხვაობა საერთოდ დაუყონებლივ მოისპობა. ეს ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია. სამაგიეროთ შესაძლებლათ და აუცილებლათ მიგვაჩნია რასკოლის მოსპობა. შესაძლებლათ მიგვაჩნია საერთო პარტიული მუშაობის დაყენება პირველ რიგში, მეორეში კი—უთანხმოების საკითხები. ასე უკქერით ჩვენ ც. კ. რეზოლიუციებს და ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში არ ვშორდებით რეზოლიუციებს, რადგანაც თვით ც. კ. იდეური ბრძოლისათვის ფრაქციებს თავისუფლებას უტოვებს.

დიალ, იდეური ბრძოლა, იდეური უთანხმოება იყო და იქნება განსაზღვრულ დრომდე, მაგრამ უნდა აღმოფხვრილ იქნას რასკოლი, ორგანიზაციის განთვითება, მუშაობის დაქსაქსვა. აი ეს არის მთავარი. ამას მოითხოვს ჩვენგან პარტიის ინტერესები.

ამ გარემოებას ჩვენ, ტფილისელებმა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყრათ... აგერ წელიწადია, რაც ტფილისის ორგანიზაცია გაითიშა. ჩვენ მიერ არა ერთხელ მიმართულ მოწოდებაზე გაერთიანებისკენ, ამხ. მენშევიკებს ხმაც არ ამოუღიათ.

ახლა მდუმარებას ამ საკითხში უნდა ბოლო მოეღოს. მათ აშკარად უნდა განაცხადონ სურთ გაერთიანება თუ არა.

ამხანაგებს, უეჭველია ახსოვთ, გაერთიანების პირობათ ჩვენ წამოვაყენეთ პარტიულობა. იგულისხმება, რომ ამ პირობას ჩვენ არც ახლა უარეყოფთ და ვაცხადებთ: ჩვენ გავერთიანდებით ყველა იმათთან, ვინც კი დაემორჩილება საერთო პარტიულ დადგენილებებს.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამხ. მენშევიკები ფორმალურად დაეთანხმენ ც. კ. რეზოლიუციებს და მის წარმომადგენელს აცნობეს გაერთიანების მომხრენი ვართო, მაგრამ ამით საკითხი არ სწყდება. აუცილებელია დაუყოვნებლივ გადადგმულ იქნას პრაქტიკული ნაბიჯები. უკეთუ ამხ. მენშევიკები მართლა დაემორჩილებიან საერთო პარტიულ დადგენილებებს, მაშინ ჩვენ გაერთიანებას არ შეხვდება არავითარი დაბრკოლება.

ამიტომ, ვიმეორებთ, საჭიროა ცხოვრებაში გავატაროთ რაც დაწერილა და თქმულა და შევუდგეთ გაერთიანებას.

ჩვენის მხრით მზად ვართ ამისთვის.

ტფილისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მდგომარეობა პარტიაში.

1908 წლის პარტიულ კონფერენციის ძირითად დებულებათა განსავითარებლად ც. კ. ადგენს:

1. ს. დ. ტაქტიკა თავისი პრინციპიალური საფუძველით მთლიანია, ეხება საკითხი აშკარა სამოქალაქო ომის და საზოგადოებრივ შერყევის ეპოქას, თუ საზოგადოებრივი მოდუნების პერიოდს. ეს ტაქტიკა გათვალისწინებულია ყოველთვის იმ-ს მიხედვით, რომ მოგვცეს მაქსიმუმი შესაძლებლობისა იმ შემთხვევაში, უკეთუ დღევანდელ მომენტში უეცარი ცვლილება ხდება და აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, თუ შედარებით მოცემული პოლიტიკური პირობები მოდუნებულია.

რუსეთის შეგნებული პროლეტარიატისათვის, რომელიც თავს აღწევს იმ შებოჭვილ მდგომარეობას, რაშიაც დროებით მოაქცია გამარჯვებულმა კონტრ-რევოლიუციამ, პირველად იშლება შესაძლებლობა დაირაზმოს ს. დ. პარტიის მასიურ ორგანიზაციაში, გაატაროს და შეუფარდოს შეგნებულად და თანდათანობით საერთაშორისო სოც. დემ. ტაქტიკური მეთოდი, გამოიმუშაოს ისეთი ტაქტიკა, რომელიც გათვალისწინებული იქნება არა მოცემული კონკრეტიული მომენტისათვის, არამედ—სხვა პირობებისათვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ პერიოდში, —რომელიც იქნება შერყეული ამსოლიუტიზმის შეგუება არსებულ კაპიტალისტურ წყობილებასთან. პროლეტარიატის ტაქტიკამ ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი ძალების დაგროვებას და კლასიური ბრძოლის ენერგიის განვითარებას,—რა ფორმაშიაც არ უნდა გამოიხატოს კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკის აუცილებელი დამარცხება, რომელიც იმის ცდაშია, რომ შეეგუოს ამსოლიუტიზმის ბურჟუაზიულ განვითარებას და რა ფორმაშიაც არ უნდა გამოიხატოს აუცილებელი საზოგადოებრივი კრიზისი. ამ ტაქტიკას პროლეტარიატი გამოჰყავს აშკარა რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე და ამავე დროს მას შესაძლებლობას აძლევს გამოიყენოს თავის სასარგებლოთ ბრძოლაში კონტრ-რევოლიუციის მერყევი რეჟიმის წინააღმდეგობა.

2. მუშათა მოძრაობა რუსეთში განიცდის უდიდესი გარდატეხის პერიოდს. ერთის მხრით მასიური ბრძოლის მეტად დაქვეითება, რეპრესიების მეტის-მეტი გაძლერება, კაპიტალის გაერთიანება და მისი შემოტევა, ორგანიზაციის დანგრევა და ინტელიგენციის გაქცევა პარტიიდან—ყველაფერი ეს ჰქმნის ს. დ. პარტიაში მწვავე კრიზისს. მეორეს მხრით ყველაფრიდან სჩანს, რომ ყველგან გზას იკაფავს ს. დ. მუშათა ახალი თაობა, რომელთაც ს. დემოკრატიის ხელმძღვანელობით რევოლიუციაში და კონტრ-რევოლიუციაში გაუვლიათ პოლიტიკური შკოლა და რომელნიც მიისწრაფვიან რევოლიუციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანებისა და მისი მეთოდების დაცვას, ეძიებენ ბრსოლის ფორმებს პარტიული ს. დ. ორგანიზაციის განსაახლებლათ.

3. მუშათა მოძრაობის ასეთ მდგომარეობაში ყველგან ეჩნევა, რომ მუშათა კლასის შეგნებული წარმომადგენლები მიისწრაფვიან ს. დ. პარტიულ ძალთა კონცენტრაციისა და პარტიული მთლიანობის განმტკიცებისაკენ.

ხალხის წვრილ-დემოკრატიულ და ლიბერალურ ფენებში დაწყებული ფართო კონტრ-რევოლიუციონური მიმდინარეობა აძლიერებს შეგნებულ პროლეტარიატის მისწრაფებას დაიცვას თავისი კლასიური პარტია, მისი რევოლიუციონური მიზნები და მოქმედების მეთოდები, შეამჭიდროვოს ყველა ს. დ. გაძლიერებულ და შემოტევაზე გადმოსულ მტრების წინააღმდეგ.

პროლეტარიატის აშკარა გამოსვლები როგორც სათათბიროს ტრიბუნაზე (მესამე სახელმწიფო სათათბიროს ს. დ. დეპუტატების საშეალებით), ისე ლეგალურ ყრილობებზე და სხვა და სხვა ლეგალურ დაწესებულებებში ხელს უწყობს მისი ძალების შემჭიდროვებას, აძლიერებს მასში მისწრაფებას დაუპირდაპირდეს დანარჩენ კლასებს, ორგანიზაციული გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ასე დაიცვას რევოლიუციონურ-სოციალ დემოკრატიული მიზნები და თავისი მოძრაობის კლასიური ხასიათი.

უფრო და უფრო ფეხს იკიდებს ის შეგნება, რომ აუცილებელია დაქსაქსული, არალეგალური ს. დ. ჯგუფების გაერთიანება ღია და ნახევრად ღია დაწესებულებათა და პარტიულ მუშათა უჯრედებში გამოყენებულ იქნას ყველა ლეგალური დაწესებულებები მასიური მოძრაობის ასაღორძინებლათ და ყველა ამ დაწესებულებათა ს. დ. მუშაობის დასაყრდენ პუნკტებათ გადაქცევა; უფრო და უფრო ფეხს იკიდებს მისწრაფება, რათა ბოლო მოეღოს მუშაობის შინაურულად (კუსტარულად) წარმოებას და ხელი შეეწყოს ადგილებზე ც. კ. ხელმძღვანელობით ნაყოფიერ მუშაობას.

მარქიზმის შეგნება-შეთვისებასა და თავიანთი სოციალისტური ნხედველობის გაღრმავებასთან ერთად მოწინავე მუშებში მტკიცდება შეგნება ეკონომიური ბრძოლის გაძლიერებისა და პროფესიონალური გაერთიანებისა, აგრეთვე პოლიტიკური აგიტაციის გაძლიერებისა მასაში.

4. ს. დ. მოძრაობის იდეურ-პოლიტიკურ სფეროში წარმოიშვა ისეთი ამოცანები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ პარტიულ მთლიანობას და ანხორციელებენ მას ყოველგვარ დაბრკოლებათა გარეშე:

ა) სოც. დემოკრატიული მოძრაობის ისტორიული პირობები ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის ეპოქაში ჰქმნის როგორც ერთ-ერთ სახეს ბურჟუაზიული გავლენისა პროლეტარიატზე ერთის მხრით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არალეგალური ს. დ. პარტიის უარყოფას, მისი როლის და მნიშვნელობის შემცირებას, რათა შეკვეცილ იქნას პროგრამული და ტაქტიკური ამოცანები და ლოზუნგები რევოლიუციონური სოც. დემოკრატიისა და სხ. მეორე მხრით,—ს. დემოკრატიის სათათბიროში მუშაობის უარყოფას და ლეგალური შესაძლებლობით სარგებლობას, სარგებლიანობის არ შეგნებას, არც ერთისა და არც მეორესი, მოუხერხებლობას იმისა, რომ რევოლიუციონურ-დემოკრატიული ტაქტიკა შეფარდებულ იქნას თანამედროვე მომენტის თავისებურ ისტორიულ პირობებთან და სხ.

ბ) ასეთ პირობებში ს. დ. ტაქტიკის განუყოფელ ელემენტად ითვლება ორივე გვარი განხრის გადალახვა და ს. დ. მუშაობის გაღრმავება-გაფართოვება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ სფეროში, ასეთ განხრათა საშიშროების განმარტება.

გ) ჩამოთვლილ ორივეგვარ განხრათა საშიშროების შეგნება და მათი გადალახვის ამოცანა კიდევ უფრო აუცილებლათ ჰქმნის რ. ს. დ. მ. პ. ორგანიულ მთლიანობის აღდგენას და ეს გარემოება ზემოხსენებულ ობიექტიურ პირობებთან დაკავშირებით აძლიერებს აუცილებლობას ფრაქციულობის მოსპობისა, ცოტად თუ ბევრად ორგანიულად მოწყობილი ფრაქციების დაშლას და მათ ისეთ მიდინარეობათ გადაქცევას, რომელიც არ დაარღვევდენ პარტიული მოქმედების მთლიანობას.

(მთლიანად მიღებულია ერთხმად)

2. მორიგი საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ვინაიდან ამ ჟამად საოლქო ორგანიზაციები ოლქების უმეტეს ნაწილში დანგრეულია და ფართო საოლქო კონფერენციების მოწვევა პოლიტიკურ ხასიათის დაბრკოლებათა გამო გაძნელებულია, ც. კ. ურჩევს საოლქო დელეგაციათა არჩევნები მოხდეს შემდეგ საფუძველზე.

ა) ადგილობრივ ორგანიზაციებთან თათბირის შემდეგ ც. კ. თითეულ ოლქში აღნიშნავს ს. დ. მოძრაობის თვალსაჩინო პუნქტების შესაფერ რიცხვს. დელეგატთა საერთო რიცხვი განაწილებული იქნება ამ პუნქტებს შორის;

ბ) მცირე მნიშვნელობის მქონე ს. დ. ორგანიზაცია ამა თუ იმ პუნქტისა უერთდება დელეგატის არჩევის დროს მახლობელ მსხვილ პუნქტს.

შენიშვნა 1-ლი: ამით არ შეიძლება უარყოფილი იქნეს საოლქო კონფერენცია, უკეთუ მისი მოწვევა შესაძლებელი იქნება.

შენიშვნა 2-რე: ამასთან ც. კ. დაბეჯითებით მოუწოდებს ამხანაგებს კონფერენციის დელეგატები უეჭველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აირჩიონ იმ პარტიულ მუშაკთაგან, რომელნიც ადგილობრივათ მუშაობენ.

ც. კ. აუცილებლათ მიაჩნია დღის წესრიგის წინასწარ დამუშავება ადგილებზე და ურჩევს ამ საკითხების გარჩევა გადატანილ იქნას არა მარტო რაიონულ, საქარხნო და სხვ. პარტიულ უჯრედებში, არამედ იმ ს. დ. შორის, რომელნიც ლეგალურ მოძრაობაში მონაწილეობდენ და მზად არიან აღადგინონ ორგანიზაციული კავშირი პარტიასთან. იმ პარტიულ ჯგუფებმა, რომლებიც მუშათა ლეგალურ მოძრაობაში მუშაობენ, ამ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ საერთო წესით, რომელიც შემოღებული იქნება ყველა სხვა პარტიული უჯრედებისათვის.

იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სრული ორგანიზაციული. კავშირის დამყარება ს. დ. მუშაობის სხვადასხვა ფორმებს შორის ადგილებზე წარმოადგენს უდიდეს სიძნელეს, რის შესასრულებლათ საჭირო იქნება დიდი ხნის ბეჯითი მუშაობა, და აღიარებს რა, რომ მახლობელ საერთო პარტიულ კონფერენციაზე რაც შეიძლება მეტი რიცხვის მონაწილეობა იმ პარტიულ მოღვაწეთა, რომელნიც ჩაბმული არიან მუშათა ღია მოძრაობაში, შესძლებდა ამ ამოცანის წინ წაწევას,—ც. კ. აუცილებლათ მიაჩნია დამატებით წარმომადგენლობა ლეგალურ მოძრაობის ს. დ. ჯგუფთაგან, რომელნიც მზად იქნებიან მტკიცე ორგანიზაციული კავშირის შექმნისა ადგილობრივ პარტიულ ცენტრებთან. ინიჭებს რა ამ დამატებით დელეგატებს სათათბირო ხმას, ც. კ. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას იმის შესახებ, სათათბირო თუ გადამწყვეტი ხმით სარგებლობენ ისინი, ურდგენს თვით კონფერენციას.

მახლობელი საერთო რუსეთის კონფერენციის წარმატებით მომზადებისათვის და მუშათა მოძრაობის სფეროში მომქმედი სოც.-დემ. შემდეგი შეკავშირებისათვის ერთ პარტიულ ორგანიზაციად ც. კ. ურჩევს საოლქო პარტიულ ცენტრებს იკისრონ ადგილობრივ და საოლქო თათბირების მოწვევა ფაბრიკა-ქარხნების, რაიონული და სხ. კომიტეტების ძირითად პარტიულ უჯრედების მუშაკთა ერთის მხრით და მეორე მხრით, ს. დ. პარტიულ ჯგუფების და აგრეთვე მუშათა მოძრაობაში მონაწილე ცალკე მოღვაწეთაგან.

ამგვარ თათბირთა ამოცანას უნდა შეადგენდეს საერთო პარტიული კონფერენციის დღის წესრიგის საკითხების გარჩევა, აგრეთვე ყველა მიმდინარე საკითხების გარჩევა სოც.-დემ. ადგილობრივი მოღვაწეობიდან.

ც. კ. გათვალისწინებული აქვს კონფერენციისათვის შემდეგი წინასწარი დღის წესრიგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ეკონომიური ბრძოლა. პროფკავშირები ლეგალური და არალეგალური; პროფ. პრესა. შერეული კომისიები. მამასახლისთა ინსტიტუტი და სხ.

2) პარტიის მუშაობა სათათბიროს მოღვაწეობასთან დაკავშირებით (მათ შორის მუშათა კანონმდებლობის საკითხები. მუშათა დაზღვევა და სხ).

3) ორგანიზაციული მონაწილეობა საზოგადოებრივ ყრილობებში და ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, სადაც კი აღიძვრება მუშათა კლასის ინტერესი (ქალაქის საბჭოები, ერობები, მოქალაქეთა და ამრჩეველთა საზოგადოებანი და სხ.)

4) კოოპერატიევები.

5) პროპაგანდული და ორგანიზაციული მოღვაწეობა სხვადასხვა ლეგალურ საზოგადოებებში (განმანათლებელი საზოგადოებები, კლუბები, სიფხიზლის საზოგადოებანი, არსებულ საზოგადოებათა განმტკიცება და ახლების დაარსება)

6) პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხები (ც. ო., მუშური გაზეთი, ფურცლები და პროკლამაციები, ბროშიურები, ლეგალური პრესა, თვით-განვითარების ჯგუფები, პარტსკოლა)

7) პარტიის ბიუჯეტი. (პარტორგანიზაციების ფინანსიურად პროლეტარულ საფუძველზე დაყენება, საწევრო ვადასახადის წესიერად გადახდა, ფულის შეკრება, არალეგალური პრესისათვის ფულის გაღება)

8) საორგანიზაციო საკითხები (პოლიტ. სახელმძღვანელო ცენტრი რუსეთში, მოქმედებათა გაერთიანება ადგილებზე, ადგილობრივ ორგანიზაციათა შორის კავშირის აღდგენა).

(მიღებულია ყველას მიერ. ერთმა თავი შეიკავა)

10. ფრაქციული ცენტრების შესახებ.

იმ რეზოლიუციის მიღებით, რომელიც ზიმართულია პარტიაში ფაქტიური მთლიანობის შექმნისაკენ და ამხ. ბოლშევიკების დეკლარაციის გამო, რომლითაც დაშლილია თავისი საორგანიზაციო ცენტრი და დახურული „პროლეტარი“,—ცენტრალური კომიტეტი სრულიად დარწმუნებულია, რომ ც. ო. რედაქცია გაატარებს რა ც. კ. მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციებს, ხელს შეუწყობს ყველა ლიტერატურულ ძალების, განურჩევლად მიმდინარეობათა, შეკავშირებას და გამოსთქვამს რწმენას, რომ პარტიისა და პარტიული მთლიანობის ინტერესები მოითხოვენ ახლო მომავალში გაზეთ „Голос Социал-Демократа“-ს დახურვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად ამისა ც. კ. მიმართავს ამხ. მენშევიკებს—ც. კ. და ც. ო. წევრებს წინადადებით მიიღონ ყოველი ზომები ამ მიზნის მისაღწევად თავიანთ მახლობელ თანამოაზრეებზე გავლენის მოხდენით

(მთლიანად მიღებულია ერთხმად)

აი, ბოლშევიკების დეკლარაცია:

ვინაიდან ც. კ. უკანასკნელ სხდომაზე გადადგმულია მთელი რიგი ნაბიჯები ფრაქციული ცენტრების გასაუქმებლათ და რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციული მთლიანობის შესაქმნელად;

ვინაიდან ც. კ. მიერ ერთხმად მიღებულია პოლიტიკურად საყურადღებო და პარტიულად სავალდებულო რეზოლიუცია, რომლითაც დაგმობილია ლიკვიდატორობა და „ოტზოვიზმი“ და აღიარებულია ბრძოლის საჭიროება ამ მიმდინარეობასთან, პოლიტიკური ხაზის განუყოფელი ელემენტისათვის, ამ ხაზის ცხოვრებაში გატარება კი უზრუნველყოფილია ც. ო. შემადგენლობით;

აგრეთვე, ვინაიდან პარტიის მენშევიკურ ნაწილში, კერძოთ ხელმძღვანელთა შორის, აშკარად გამოსჭვივის მისწრაფება ბოლო მოუღონ თავიანთ ფრაქციულ განთვითეებას, გააუქმონ თავიანთი ფრაქციული ორგანოს გამოცემა, აღიარებულ იქნას ც. კ. საზღვარ გარეთელ ბიუროს სალაროს მთლიანობა და ხელი შეუწყოს თავას მხრით ამ მთლიანობის ცხოვრებაში გატარებას,—

ჩვენ, ქვემოდ ხელის მომწერნი, ვეგებებით რა პარტიის ორგანიზაციული მთლიანობის მომწიფებულ მოთხოვნილებებს, ვაცხადებთ:

1) ჩვენ ვშლით თავის ფრაქციულ ცენტრს;

2) ჩვენ ვსწყვეტთ გაზეთ „პროლეტარი“-ს, გამოცემას, ვიტოვებთ რა უფლებას ახლო მომავალში გამოვსცეთ მისი საბოლოო ნომერი უკეთუ მენშევიკების ფრაქციული ორგანო გამოსვლას განაგრძობს.

3) . . . . . .

4) . . . ამ ორ პუნქტში ლაპარაკია ბოლშევიკების მიერ თავიანთი ქონებისა ცეკასთვის გადაცემაზე და მათ მიერ ბოლშევიკური წმინდა ლიტერატურული ჯგუფის შექმნაზე.

5) ჩვენს განკარგულებაში არსებულ დინარჩენ თანხას ვაბარებთ კერძო შემნახველს, რომელსაც წინადადებას ვაძლევთ მიბაღებული თანხა გადასცეს ც. კ. სალაროს ორი წლის ვადაში, უკეთუ ამ ხნის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ მენშევიკური ფრაქცია აგრეთვე აუცილებელ ზომებს ღებულობს მენშევიკური ცენტრის მართლა გასაუქმებლათ და პარტიის ორგანიზაციული მთლიანობის განსამტკიცებლათ. იმ ნაბიჯებათ, რაც ჩვენ იძულებულს გვყოფს შემნახველს მოვსთხოვოთ ფულების დაბრუნება, ჩვენ მიგვაჩნია: მენშევიკების მიერ თავიანთი ხელმძღვანელი ფრაქციული ორგანოს გამოცემის განგრძო-

ბა, მენშევიკური ფრაქციული სალაროს არსებობა, საერთო პარტიული ცენტრებისთვის რუსეთში და საზღვარ-გარეთ დახმარების, ხელის შეწყობის უარყოფა.

13. პარტიული დისციპლინისაგან გადახვევა.

აღვნიშნავთ რა, რომ ლონდონის ყრილობიდან დაწყებული საქმეებთან დაკავშირებით . . . პარტიაში ადგილი ჰქონდა პარტიული რეზოლიუციების საწინააღმდეგო ფაქტებს, რომ ზოგიერთმა ამხანაგებმა ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, რაც არღვევს პარტიულ დისციპლინას, მაგრამ გვაქვს რა მხედველობაში ამასთან ერთად ის, რომ:

1) ხსენებულ ამხანაგების განზრახვაში არ შედიოდა პარტიის ინტერესებისათვის ვნების მოტანა,

2) რომ ის ამხანაგები, რომელთა წინააღმდეგაც წამოყენებულია ბრალდებანი, ხელმძღვანელობდენ პარტიის ინტერესების არა სწორი გაგებით;

3) რომ ეს არა სწორი გაგება ამასთან აიხსნება ზოგიერთ საქმეთადმი იმ ატმოსფერით, რომელსაც თან ატარებს მომენტი, რაც უშუალოდ თან მოყვება ხოლმე ბასთან ბრძოლით გამოსვლების პერიოდს;

4) რომ ორგანიზაციული წესების დარღვევა და გადახვევა პარტიული დისციპლინისაგან ზოგიერთ ზემოთჩამოთვლილ საქმეთა მიმართ მჭიდროთ არის დაკავშირებული არსებულ ფრაქციათა და მათ ბრძოლასთან პარტიის შიგნით,—

ც. კ. გადაწერთ ჭაიცხავს ამგვარ გადახვევას პარტიული რეზოლიუციებისაგან, პარტიული დისციპლინის დარღვევას და აუცილებლათ მიაჩნია მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომა, რომ ასეთ მოვლენებს პარტიაში კვლავ არ ექნეს ადგილი.

რედაქციისაგან.

ზოგიერთ ტეხნიკურ მიზეზების გამო დანარჩენი რეზოლიუციები და ც. კ. წესდება გადადებულია შემდეგისათვის.

რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის გამოცემა

სტამბა ტფილისის კომიტეტისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევ. მოძრაობა აღმოსავლეთ ამ.-კავკასიაში მთავროგის მოხსენებების თანახმად.

(იხ. „რევ. მატ“. № 3 (13) 1925 წ.)

ერევნისა და ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნია.

1903 წლის გასულს სომეხთა საეკლესიო მამულების ხაზინის მიერ ჩამორთმევის დროს მოხდა დიდი არეულობანი, რამაც გამოიწვია საქმეში შეიარაღებულ ძალთა ჩარევა. არეულობა მოხდა, სხვათა შორის, ელისავეტპოლში 29 აგვისტოს, ბაქოში—2 სექტემბერს და შუშაში—12 სექტემბერს. არეულობის ჩაქრობის დროს ბრბოს წინააღმდეგ იხმარეს იარაღი, რის გამო არეულობის ზოგიერთი მონაწილენი დაჭრილი და მოკლული იქნენ. მთავრობის ასეთი მოქმედების გამო სომხური რევოლიუციონური პარტიები მოუწოდებდენ ხალხს იარაღისაკენ. დროშაკელების პროკლამაცია სხვათა შორის ასე ხსნიდა ამ ფაქტს: „ეს სეკულიარიზაცია (საეკლესიო ქონებათა ჩამორთმევა) რომ ხდებოდეს თვითმმართველი ხალხის მიერ, სასულიერო წოდების ხელიდან რომ ქონება გადადიოდეს ხალხის მიერ არჩეულ რომელიმე დაწესებულების ხელში, რომელიც დაქვემდებარებული იქნებოდა საზოგადოებრივ კონტროლისადმი, ამაზე დათანხმება კიდევ შეიძლებოდა. ნამდვილათ კი ხდება სრულიაღ წინაღმდეგი. თვითმმართველი ხალხიდან და ხალხის მიერ არჩეულ საეკლესიო ხელისუფლებიდან ქონება ამ შემთხვევაში გადადის არავისგან არჩეულ თვითმპყრობელი მთავრობის განკარგულებაში. თვითმპყრობელი ბიუროკრატია, რომლის ხელშიც გადადის სომხის ხალხის მრავალ-მილიონიანი საზოგადო ქონება, პრინციპიალურად არა სცნობს საზოგადოებრივ თვითმმართველობას, საზოგადოებრივ კონტროლს. მისი კანონია—აშკარა ძალადობა, უხეში თვითნებობა“. დაბოლოს პროკლამაცია მიმართავს რუს მოქალაქეთ და აცხადებს, რომ დროშაკელები რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ადგებიან რევოლიუციონურ გზას.

მოწოდებაში, რომელსაც სათაურად აქვს: „ყველა დაჩაგრულებო შეერთდით“! ლაპარაკია სომეხთა მიერ მოხდენილ იმ არეულობაზე, რომელიც ირჩევა ერევნის საოლქო სასამართლოში 1903 წლის 23 დეკემბერს. აქ ნათქვამია, რომ არეულობის მონაწილეები თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთი თავგანწირვითა და წვალებით... გზას უხსნიან თვითმმართველ სომხის ხალხის განთავისუფლებას". შემდეგ ნათქვამია, თუ როგორ უნდა იქნას დასჯილი რუსეთის მთავრობა, „რომელმაც აშკარად, ყველას დასანახად, გასტეხა ეჩმიაძინის სალარო და გაიტაცა სომეხთა ფული". ამ მოწოდებას ხელს აწერს: „სომეხთა თავდაცვის ცენტრალური კომიტეტი".

მეორე პროკლამაციაში სათაურით—„ყველა ჩაგრულნო შეერთდით". რომელსაც იგივე კომიტეტი აწერს ხელს, ნათქვამია, რომ სომხებისადმი მიყენებული ტანჯვა-წვალება (ციხე, გადასახლება, მკვლელობა) ვერ აიძულებენ სომხის ხალხს გაჩუმდეს, რომ ასეთმა სასასტიკემ მომქმედი ორგანიზაციები ისე განამტკიცა, რომ მის წინააღმდეგ არ ძალუძს გამაგრება არავითარ დესპოტიურ ძალას.

პროკლამაციაში, რომელსაც არავითარი სათაური არა აქვს და ხელმოწერილია „სომეხთა თავდაცვის ცენტრალური კომიტეტის" მიერ, გამოთქმულია პროტესტი იმ ახალი ძალადობისა და თვითნებობის წინააღმდეგ, რომელსაც მიმართა თვითმპყრობელობამ და ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორი წინააღმდეგობა გაუწია სომხის ხალხმა მთავრობას საეკლესიო ქონების ჩამორთმევის დროს. შემდეგ პროკლამაცია აცხადებს, „რომ სომხობა დგება რევოლიუციონურ გზაზე, დარწმუნდა რა იმაში, რომ ეს ერთად-ერთი საშუალებაა... ჩვენი საუკუნის უდიდესი ბოროტების—თვითმპყრობელობისაგან თავის დასახსნელად.

რევოლიუციონური კომიტეტები რჩევა-დარიგებას აძლევდენ სომხებს, თუ როგორ მოიქცენ ისინი ქონებათა ჩაბარების დროს. ასე მაგ., ქ. შუშაში 16 სექტემბერს 1903 წ. კაზანჩინის ეკლესიის მსახურს მინას ხუნუნცს (ტფ. სასამ. პალ. პროკურორის საქ. № 232—1003 წ.) აღმოჩნდა ცნობა „ნაციონალური თავდაცვის ადგილობრივი კომიტეტისა" და „ტერორისტების" წერილი. „ნაციონალური თავდაცვის ადგილობრივი კომიტეტი" წინადადებას აძლევს კონსისტორიას და მის მსახურთ, რომ მათ ამ გადამწყვეტ მომენტში უარი არ თქვან თავიანთ თანამდებობაზე, რომ ყველა ფულები, რომელიც მათ აბარია, დაუყოვნებლივ გადასცენ ეპარქიალურ სემინარიის სამზრუნველოს, რომ ქონების ჩამორთმევის დროს არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ ჩაბარებაში, რომ არავითარი ხელწერილი არ მსცენ, უკეთუ მთავრობა ასეთს მოითხოვს. ამას გარდა ნათქვამია შემდეგი: „ქალაქის საბჭოს წევრი—სომეხები და განსაკუთრებით ქალაქის თავი ბახშიბეკი, საერთოდ არც ერთი სომეხი არ უნდა დაესწროს ქონების ჩამორთმევას. ქალაქის თავმა ბახშიბეკმა და საერთოდ ხმოსანმა სომეხმა უნდა მაგალითი აიღონ დიდი ქალაქებიდან, სადაც ქალაქის თავმა ნოვიკოვმა, (ბაქოს ქალაქის თავი) სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ერის პირმა, როდესაც მას წინადადება მისცეს დასწრებოდა ქონების ჩამორთმევაზე მშვიდათ განაცხადა: „მე საქმე არა მაქვს მტაცებლობასთან, მე ქალაქის თავი ვარ“-ო. ქონებათა მმართველნი მამიკონბეკი და სიროულიში ვალდებულნი არიან არავითარი დახმარება არ გაუწიონ ქონების ჩამორთმევისას, არ აჩვენონ სად იმყოფება მამული, მისი საზღვრები და საერთოდ არ მისცენ ამის შესახებ არავითარი ცნობა. თითეული პირი ვალდებულია სისწორით ასრულოს მასზე დაკისრებული გადაწყვეტილება. ვინც ასე არ მოიქცევა, მოელის სიკვდილი“. წერილიდან სჩანს, რომ ის გაგზავნილია მინას ხუნუნის სახელზე, რომელშიაც „ტერორისტები“ ურჩევენ მიპპაძოს თანამოძმეთა მაგალითს. ამათ წინააღმდეგობა გაუწიეს ქონებათა მიმღებ კომისიას, რის გამო არავითარი სასჯელი არ მიუღიათ.

ამ პროკლამაციათა გამოსვლას ნაწილობრივათ წინ უსწრებდა, ნაწილობრივათ მაშინ მოხდა, როდესაც გამოვიდა მთელი რიგი ტერორისტული აქტები, უმთავრესად მიმართული იყო თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ებრძოდენ სომხურ მოძრაობას, და თვით სომხების წინააღმდეგ, რომელთაც ბრალს სდებდენ სომხური ეროვნული იდეების ღალატში. ამ ნიადაგზე ჩადენილი ერთი დანაშაულთაგანი იყო ს. ვაგარშაპატის (ეჩმიაძინის მაზ.) მცხოვრების სარგის პატოიანის მკვლელობა. მომხდარი მკვლელობის შესახებ შემდეგი გამოირკვა: მოკლული პატოიანცი ს. ვაგარშაპეტის სხვა საპატიო მცხოვრებთან ერთად მიწვეული იყო იმ თავმჯდომარის მიერ, რომელსაც დავალებული აქვს სომეხთა საეკლესიო ქონების ჩამორთმევა 1903 წ. 12 ივნისის კანონის თანახმად. პატოიანცმა არა თუ ხელი მოაწერა ოქმზე, ქონების ჩამორთმევის შემდეგ, არამედ თარჯიმანის როლსაც ასრულებდა თავმჯდომარესა და მოწვეულ საპატიო პირთა შორის. სწორედ ამის შემდეგ პატოიანცს სიკვდილით დაემუქრენ სომეხთა ნაციონალური ინტერესების ღალატისათვის.

1903 წ. სექტემბრის 13-ს პატოიანცი მოკლულ იქნა ორი ბოროტმოქმედის მიერ. ერთმა ბოროტმოქმედმა რევოლვერიდან ესროლა პატოიანცს, მეორემ — ხანჯალი დასცა მუცელში.

ამ საქმეზე ჩვენების ჩამორთმევის დროს პატოიანცის მეზობელმა სტეფანე კაგანოვმა, რომელმაც აგრეთვე ხელი მოაწერა ქონების ჩამორთმევის აქტს დაასახელა თუ ს. ვაგარშაპეტის სოფლიდან ვინ ითვლებოდა სომხური რევოლიუციონური კომიტეტის წევრად. ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის მეორე საქმიდან სჩანს, რომ ეს სტეფანე კაგამოვი მოკლულ იქნა ხანჯლით 1904 წლის ნოემბრის 6 სოფ. ვაგარშაპეტში. მკვლელები ვერ იქნა აღმოჩენილი, მაგრამ მაშინვე დაიბადა აზრი, რომ ეს მკვლელობა მომხდარი იყო პოლიტიკურ ნიადაგზე, რადგანაც ოქმზე ხელის მოწერის გამო კაგამოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა რამდენჯერმე მიიღო მუქარის წერილი, სადაც სიკვდილით ემუქრებოდენ და 1903 წლის სექტემბერში მას სახლი დაუწვეს.

1904 წლის დამდეგს ერევნის, ელისავეტპოლის (განჯის) და ბაქოს გუბერნიებში სომეხთა მოძრაობის ნიადაგზე მთავრობის მოხელე-პირთა წინააღმდეგ მოხდა მთელი რიგი ტერორისტული აქტები. 1904 წ. იანვრის 5-ს სამი ბოროტმომქმედი თავს დაესხა ყარსის პოლიცმეისტერს თავ. ხერხეულიძეს. ერთმა ბოროტმომქმედმა სროლა დაუწყო რევოლვერიდან თავ. ხერხეულიძეს, მეორე—ხანჯლით მივარდა ხერხეულიძის მცველ გოროდოვოს—გაძიეეს, რომელიც დაჭრილ იქნა, თავ. სერხეულიძის ახსნით თავდასხმის მიზეზათ მას მიაჩნია ყარსში მცხოვრები სომხების უკმაყოფილება მისი სამსახურით. სომხების აზრით, განაცხადა ხერხეულიძეჰ, მე ვარ დამნაშავე იმაში, რომ უკანასკნელ თვეებში ყარსიდან გადასახლებულ იქნენ პოლიტიკურად არა საიმედო სომხები.

1904 წ. იანვრის 24-ს ერევანში და იმავე წლის 17 მარტს ეჩმიაძინში თავს დაესხენ სასიკვდილოთ ეჩმიაძინის მაზრის უფროსს შმერლინგს, რომელიც პირველი თავდასხმის დროს დაჭრილ იქნა. თავდასხმის მიზეზად გახდა ადგილობრივი სომხური რევოლიუციონერი კომიტეტის უკმაყოფილება მაზრის უფროსის მოღვაწეობით. შმერლინგი სასტიკად ებრძოდა სომხების ნაციონალურ-რევოლიუციონერულ მოძრაობას და რამდენიმე დღით ადრე, სანამ მასზე თავდასხმა მოხდებოდა, მან დაიპატიმრა სომეხთა ცნობილი მწერალი და რევოლიუციონერი სარქის გაიკუნი.

1904 წ. მარტის 25-ს ალექსანდროპ. მაზრის ს. კაპანჩაში განიზრახეს ამ სოფლის ეკლესიის მოძღვარის ტერ-სააკოვის მოკვლა, რისთვისაც ბოროტმომქმედნი მას თავს დაესხენ. თავდასხმის დროს განუცხადეს, რომ მას ჰკლავენ სომეხთა საქმის ღალატის გამო, როგორც გამოირკვა ერევნის ჟანდარმთა სამმართველოს მიმოწერიდან, ტერ-სააკოვი მართლა აწვდიდა ჟანდარმერიას ცნობებს სომეხთა მოძრაობის შესახებ. 24 ივლისს 1904 წ. ტერ-სააკოვს მეორეჯერ დაესხენ თავს, დაბოლოს 1904 წლის ნოემბრის 1-ს ის მოკლულ იქნა. ტერ-სააკოვს, სხვათა შორის, ბრალად ედებოდა სომეხთა სასულიერო მართველობის საწინააღმდეგო მოხსენების წარდგენა.

1904 წ. მარტის 31-ს ალექსანდროპოლის ქალაქის პოლიციის გოროდოვოი ალექსანდრე დარდიმანოვი დღის 1 საათზე სახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნებულა. გოროდოვოი დარდიმანოვი ერთად ერთი საიმედო კაცი იყო ალექსანდროპოლის პოლიციის მთელს შემადგენლობაში, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ სომეხი იყო, ებრძოდა სომეხთა რევოლიუციონურ მოღვაწეობას ასე მაგ. 1903 წლის მარტში მისი მოხსენების თანახმად ალექსანდროპოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ნაწილის ბოქაულმა ნაშჩასკიმ დაატაქიმრა სომეხთა ფარული კრება რაფაელოვის სახლში, სადაც სხვათა შორის მონაწილეობდა გაიკ ამატუნი. დარდიმანოვი გაფრთხილებას ღებულობდა, რომ მას მოჰკლავდენ სომეხთა ინტერესების ღალატის გამო. 20 სექტემბერს დარდიმანოვს თავს დაესხა ორი ბოროტმომქმედი და რამოდენიმე ალაგას ხანჯლით დასჭრეს.

1904 წ. 1 ივნისს ერევანში მოკლულ იქნა გოროდოვოი მკრტიჩ ელოევი, რომელმაც სიკვდილის წინ განაცხადა, რომ ის სომხებმა მოჰკლეს. მიუხედავათ იმისა, რომ ელოევი სომეხი იყო, ის იყო ყველაზე საამედო აგენტი პოლიციისა, რომელსაც სომეხთა რევოლიუციონური მოძრაობის შესახებ პოლიციაში მიჰქონდა ცნობები. ამიტომ პოლიცმეისტერი ბაგუევის აზრით მისი მკვლელობა მომზდარია პოლიტიკურ ნიადაგზე—სომეხთა მოძრაობის მეთაურთა გაცემის გამო.

8 ივნისს ეჩმიაძინის მაზრის ს. ავგანატუნში მოკლულ იქნა სომეხი ივანე სერგეევი, რომელმაც მართლმადიდებლობა მიიღო. მას ბრალს სდებდენ სომეხთა დაბეზღებაში. რომ ეს მკვლელობა დაბეზღების გამო იყო ჩადენილი, შემდეგიდან სჩანს: მას მოსჩრეს ყურები, „რომლითაც აყურადებდა“ და ენა—„რომლითაც აბეზღებდა.“

24 ივნისს ქ. ერევნის განაპირად სომეხთა უბანში მოკლულ იქნა ნახიჩევნის მცხოვრები მიხეილ კუზნეცოვი, რომელმაც სიკვდილის წინ სთქვა, რომ ის მოჰკლა სამმა სომეხმა, ვინაობის დასახელება ვერ მოასწრო. ნახიჩევანის პირველი ნაწილის ბოქაულმა დაადასტურა, რომ კუზნეცოვი სომეხია, მართლმადიდებელი, ორი თვით ადრე, სანამ მოჰკლავდენ განაცხადა, რომ ხმები დადის ჩემი მოკვლის შესახებ, რადგანაც სომხები ბრალს მდებენ დაბეზღებაშიო.

11 ივლისს ს. იგდირში მოკლულ იქნა სურმალინის მაზრის უფროსი პოდპოო, ბოგუსლავსკი. თავდაპირველად ეს საქმე უნდა გარჩეულიყო როგორც სახელმწიფო დანაშაულის საქმე, მაგრამ შემდეგ მისი გამოძიება-გარჩევა დაიწყო საერთო წესით.

13 ივლისს სოფ. კამარლიუში მცხოვრებ ბოქაულ სკიბინსკისთან მივიდა სოფ. მეგრაბ-კიურდ-კენდის მამასახლისის თანაშემწე საკტარიეერდოვი და აცნობა, რომ ერევნის მაზრის ზოგიერ სოფლებში ემზადებიან აჯანყებისათვის, აგროვებენ ფულს იარაღის შესასყიდათ და ოსმალეთის სომხების სასარგებლოთ. ტარიეერდოვის ცნობით ზოგიერთი სომხები აგრეთვე ხმებს ავრცელებენ, რომ კავკასიის მთავარმართველი თავ. გალიცინი მოკლული იქნება პეტერბურგიდან დაბრუნებისას; გოლიცინის მოსაკლავად უკვე დანიშნული ჰყავს სომეხთა რევოლიუციონურ კომიტეტს კაცები და ის სომხები, რომლებიც ფულის გაღების წინააღმდეგი არიან, მოკლულ იქნებიანო. ბოქაულთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრის შემდეგ ტარიველრდოვი წავიდა სახლში და იმავე 13 ივლისს ის მოკლული იპოვეს თავისივე სოფელში.

საკ ტარიველრდოვის მიერ მოტანილი ცნობა მთავარმართებლის მოკვლის განზრახვის შესახებ გამართლდა 1904 წლის ოქტომბრის 14. ამ თავდასხმისა და აგრეთვე ბოგუსლავსკის მოკვლის გამო გამოკემულ პროკლამაციაში, სათაურით—„თანამემამულენო", რომელსაც ხელს აწერს „სომეხთა თავდაცვის რევოლიუციონური კავშირის ცენტრალური კომიტეტი" ლაპარაკია სომხის ხალხის საუკუნოებრივ უფლების დარღვევაზე" რუსეთის აღვირ-ახსნილი მონარქიის მთავრობის მიერ. შემდეგ ჩამოთვლილია მომხდარი მასიური არეულობანი. თავ. გოლიცინის მოკვლის განზრახვა, ანდრეევისა და ბოგუსლავსკის მკვლელობა, მოწოდება განმარტავს, ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეს არის სომეხი ხალხის დამოუკიდებულათ არსებობის განვითარების ნიშნები, რომელიც (ხალხი), გმირული წინააღმდეგობის გაწევის გზაზეა შემდგარიო".

1904 წ. ნოებრის 10-ს სომეხის მიერ გასროლილი რევოლვერიდან დაჭრილ იქნა ალექსანდროპოლში პირველი უბნის ბოქაული ნაშჩანსკი, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა სომეხთა მოძრაობის შესახებ. თვით ნაშჩანსკიმ განაცხადა, რომ სამი დღით ადრე თავდასხმამდე ის გაადფთხილა ამის შესახებ ალექსანდროპოლის ციხის ზედამხედველმა ივანოვმა. ივანოვმა კი აჩვენა, რომ მას მღვდლის ტერსააკოვის მკვლელმა კარაპეტ ავაკოვმა, რომელიც ციხეში იმყოფება განუცხადა, რომ ნაშჩანსკის, როგორც მავნე კაცს, სომეხები მოჰკლავენო.

1904 წ. აგვისტოს 30-ს ოლთისში (ყარსის ოლქი) რევოლვერით მოკლულ იქნა მოსაზღვრე დარაჯთა პოდპოლკოვნიკი ბიკოვი, რომელმაც ივლისის 2-ს ოსმალეთის საზღვარზე დააპატიმრა სომეხთა ბანდა.

1904 წ. ნოემბრის 15-ს ალექსანდროპოლში დასჭრეს უფროსი გოროდოვიი გასან ისმაილ ოღლი, რომელიც ბოქაულ ნაშჩანსკის ცნობით სომეხთა რევოლიუციონურ კომიტეტს შეტანილი ჰყავდა სასიკვდილოთა სიაში.

1905 წ. იანვრის 21-ს ერევანში ორი სომეხი თავს დაესხა შარურ დარალაგეზის მაზრის უფროსის თანაშემწე სკიბიანსკი, ათაჯერ ესროლეს რევოლვერიდან, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. სკიბიანსკის ჩვენებით მას ემტერებოდენ სომეხები სოფ. კამარლუში 1903 წ. სექტემბრის 3-ს მომხდარ სომეხთა არეულობის ჩაქრობისათვის და საერთოდ ემდურებოდენ ისმის გამო, რომ ის მოძრაობას სერიოზულად ეწინააღმდეგებოდა.

1905 წ. იანვრის 31-ს იდგირში მოკლულ იქნა მე-2 ყუბანის პლასტუნთა ბათალიონის ასეულის უფროსი პოდესაული გნუტოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკულილს გვამის მახლობელადნახეს ორი პატარა ქაღალდის ნაგლეჯი რუსული წარწერით: სომეხთა რევოლიუციონური პარტიის „დაშნაკცუტიუნ-“ის უზენაესი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, გამკემი (предатель) გნუტოვს მისჯილი აქვს სიკვდილით დასჯა, როგორც შენს ღირსეულ კოლეგა ბიკოვს. ხელს აწერს: სომეხთა რევოლიუციონური კომიტეტის „დაშნაკცუტიუნ“-ის უზენაესი აღმასრულებელი კომიტეტი“. გამოძიების დროს გამოირკვა შემდეგი: 1904 წ. ივლისის 12-ს პოდესაულ გნუტოვმა გაგზავნა მე.2 ყუბანის პლასტუნთა ბატალიონის 1 ასეულის პლასტუნები ზორის მაღლობებზე გამაგრებულ სომეხთა ბანდის წინააღმდეგ, სადაც ხანგრძლივი სროლის შემდეგ შეპყრობილ იქნა 34 კაცი. იგდირის ბოქაულმა რელიგიონმა განაცხადა, რომ ორი თვით ადრე, სანამ განუტოვს მოჰკლავდენ, მას უთხრა გნუტოვმა, რომ რამდენიმე წერილი მივიღე სომეხთა რევოლიუციონური კომიტეტისგან, სადაც სიკვდილით მემუქრებანო.

1 თებერვალს სოფ. ვაგარშაპეტში თავისი სახლის ახლოს რევოლვერით მოკლულ იქნა სოფლის მამასახლისი ატონ შახაზიზოვი. ეჩმიაძინის მაზრის უფროსის თანაშემწის ოლხოვსკის ჩვენებით ეს მკვლელობა მოახდინეს სომეხთა რევოლიუციონებმა. შახაზიზოვი ცნობებს აწვდიდა სომეხთა მოძრაობის შესახებ ყოფილ მაზრის უფროსს შმერლინგს. მოკლულის შახაზიზოვის ჯიბეში ნახეს სომხურად დაწერილი შემდეგი შინაარსის წერილი: „მიიღეთ ცნობათ. არც ერთ მოხელეს, იქნება ის რუსი თუ სომეხი, უფლება არ აქვს ხელი ახლოს ჩვენს სათადარიგოებს, სომეხ ახალგაზრდებს, რომლებიც თქვენ იცით. უნდა დაიცვათ ის მთავრობის დევნისაგან როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივათ, წინაღმდეგ შემთხვევაში მეოთხედი საათის განმავლობაში მოკლული იქნებით“.

1905 წლის მაისის 7-ს დაჭრილ იქნა ტყვიით ალექსანდროპოლში მაზრის უფროსის თანაშემწე კაპიტანი პავლოვი. პავლოვის მხლებელმა დარაჯმა ინგუშმა ელოევმა ესროლა თავდამსხმელთ. ერთი თავდამსხმელთაგანი დაჭრილ იქნა. მაგრამ ქუჩაზე მყოფი ხალხადან ვიღაცამ ის გაიტაცა და დამალა. პავლოვმა ჰრვენა, რომ მას თავს დაესხენ სომეხთა რევოლიუციონერი კომიტეტის დადგენილებით. წლი ნახევრის წინად მომისაჯა ამ კომიტეტმა სიკვდილით დასჯაო. პავლოვის დაჭრის შემდეგ ხმები გავრცელდა. რომ ელოევს სომხები მოჰკლავენო, რის გამო მაზრის უფროსმა ელოევს უბრძანა მარტო სიარულისათვის ქალაქში თავი დაენებებია. 13 მაისს ელოევს აცნობეს, რომ დანაშაული ნაპატიებია და შეგიძლია ქალაქში სიარული. ამიტომ ელოევი მარტოდ-მარტო გამოვიდა ქალაქში. ბულკარში მას ესროლეს რევოლვერებიდან. ის გაიქცა ფოსტის ქუჩისა-

კენ. მაგრამ იქაც მას შეხვდა სამი ბოროტ-მომქმედი და დაუწყეს სროლა. ელოვეი დაჭრილ იქნა ზურგში.

1905 წლის ოქტომბრის 3-ს ქალ. ნახიჩევნის მცხოვრების სომეხი ამბარცუმ ზახაროვის ჩვენებით პოლიციელებმა ჩხრეკა მოახდინეს ორი სომხის სახლში და აღმოაჩინეს 6 თოფი ბერდანის სისტემისა და 400 ვაზნა. 4 ოქტომბერს ამბარცუმ ზახაროვი მოკლულ იქნა 2 ბოროტ-მომქმედი სომხის მიერ.

1906 წ. მაისის 7-ს ერევნიდან ერთი ვერსის მოშორებით თავს დაესხენ რევოლვერებით შეიარაღებულნი (4 კაცი) მოკლის განზრახვით. ეჩმიაძ. სომეხ-გრიგორიანთა სინოდის პროკურორს ფრენკელს. ფრენკელის აზრით თავდასხმა მოწყობილია სომეხთა რევოლიუციონური პარტიის დაშნაკცუტიუნის უფრო კი. ამ პარტიის განსაკუთრებულ ფრაქციის. რომელსაც უწოდებენ „პატრიოკ"-ს. ეს პარტია უკმაყოფილო იყო ფრენკელის. როგორც სომეხ-გრიგორიანთა სინოდის პროკურორის მოღვაწეობით.

1904 წლიდან ელისავეტოპოლის გუბერნიაში ადგილი ჰქონდა შემდეგს თვალსაჩინო დანაშაულს რევოლიუციონური პარტიის „დაშნაკცუტიუნის" მიერ.

1904 წლის ივლისის 4-ს აჯიკენტში საკუთარი ბინის მახლობლათ ექვსი ტყვიით მოკლულ იქნა ელისავეტოპოლის გუბერნატორის მოვალეობის ამსრულებელი, ვიცე-გუბერნატორი ანდრეევი.

გამოძიებამ გამოარკვია. რომ ამ მკვლელობას კავშირი აქვს სომეხთა რევოლიუციონურ მოძრაობასთან სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო ქონებათა ჩამორთმევის ნიადაგზე.

1904 წ. ოქტომბრის 6-ს ქ. შუშაში მოკლულ იქნა ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი აკიმ პოდშივალოვი. პოდშივალოვის მოხსენების თანახმად 1904 წ. აგვისტოში ზოგიერთ ადგილრბრივ სომეხთა ბინებზე მოხდა ჩხრეკა. ერთ მათგანს—ოჰანეს იოანისიანცს აღმოაჩნდა რევოლიუციონური მოძრაობის პროკლამაციები, რისთვისაც შეპყრობილ იქნა და მოთავსებული ციხეში. ამის შემდეგ უნტ.-ოფ. პოდშივალოვს. როგორც ჩხრეკის მომხდენს. მოკლის ეშინოდა. ის ამბობდა მუქარის წერილებიც მივიღეო.

1904 წ. ნოემბრის 2-ს ქ. შუშაში მოკლულ იქნა თერგის ოლქის მცხოვრები საათაბი ხასიევი. რომელიც საიდუმლო აგენტად მსახურობდა ქ. შუშის 1 ნაწილის ბოქაულ ეგოროვთან. ხასიევი თვლყურს ადევნებდა ერთს სახლს. რომელშიაც ხშირად ხდებოდა სომეხთა რევოლიუციონური კრებები.

1905 წ. იანვრის 7-ს ელისავეტოპოლში მოკლულ იქნა სომეხი მაკიჩ ივანოვი, რომელიც მუქარის წერილებს ღებულობდა სომეხთა რევოლიუციონური კომიტეტისაგან. მიკიჩ ივანოვმა ვიცე-გუბერნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორ ანდრეევის მკვლელობის საქმეზე ჟანდარმ პუგაჩოვს აჩვენა, რომ ანდრეევის მკვლელები არიან ელისავეტოპოლის სომეხთა რევოლიუციონერი კომიტეტის წევრები: ბაბაკეკეკოვი, კერძო ვექილი მამიკონოვი, ბეგლარ და კრკორ ფარაშევი.

მოკლული ივანოვის ცოლის ბარბალეს განცხადებით—მისი ქმარი მიკიჩი შიშობდა, რომ „რუსებთან სამსახურისათვის კომიტეტი მომკლავსო და წიგნაკშიც კი ჩასწერა იმათი გვარები, ვისაც მისი მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. მართლაც რვეულის ერთ-ერთ გვერდზე შემდეგი ეწერა: „ჩემი მოკვლა უნდა: მეჯედელ ბეგლიარს (ფარაშიანცს), მის ძმას კრიკორს, სიძეს—მამიკონოვს და ადვოკატ მამაკეხოვს. მიკიჩ ვარტაზარისძე ივანოვი“.

1904 წლის გაზაფხულზე ივანოვმა მიიღო შემდეგი წერილი: „რადგანაც შენ უარს ამბობ ფულის გადახდაზე სომეხთა კომიტეტის სასარგებლოთ, ამიტომ შენ მოკლული იქნები და შენს ლეშს ფრინველები დაჰკორტნიან, უკეთუ ოცი დღის განმავლობაში არ გადიხდი ფულს“.

1904 წ. დეკემბრის 15-ს ქ. შუშაში მოკლულ იქნა შუშის მაზრის უფროსის თანაშემწე სახაროვი, რომელიც მთავარი მოწამე იყო 1904 წ. აგვისტოს 29-ს ელისავეტოპოლში მომხდარი არეულობისა. ამ საქმის გარჩევის შემდეგ სახაროვს ეშინოდა—მომკლავენო. ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის მოკვლის შემდეგ ეს შიში კიდევ უფრო გაიზარდა. ოქტომბრის 20-ში სახაროვმა ფოსტით უსახელო წერილი მიიღო „სომეხთა რევოლიუციონური კომიტეტისაგან“, საღაც მას აფრთხილებდენ შეეცვალა თავისი დამოკიდებულება მცხოვრებთადმი, რადგანაც კომიტეტის აზრით ის კანონებით არ ხელმძღვანელობდა, არამედ—მოქმედობდა თვითნებურათ. რამდენიმე ხნის შემდეგ შუშაში მოკლულ იქნა ლეკი ხასიევი. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ლეკები ჩამოვიდენ სისლის ასაღებათო.

3 ნოემბერს ხელმეორეთ მიიღო სახაროვმა წერილი ფოსტით „სომეხთა რევოლიუციონური კავშირის აღმოსავლეთის ბიუროსაგან“. ამ წერილში სახაროვს აღიარებდენ ქალაქში ლეკების ჩამოსვლის მიზეზად და წინადადებას აძლევდენ სამი დღის განმავლობაში გაეძევებიათ ისინი ქალაქიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებოდენ. 1904 წ. საქმე მოსპობილ იქნა დამნაშავეთა აღმოუჩენლობის გამო. მაგრამ განახლდა 1908 წელს ვინმე სარქისიანცის დაპატიმრების შემდეგ. პოლიციის დეპარტამენტის ცნობიდან სჩანს, რომ აღნიშნულ სარქისიანცს, რომელსაც მეტ სახელად ეძახიან „იაპონ“-ს დაშნაკცუტიუნის პარტიის დადგენილებთ მოუხდენია 12 ტეროროისტული აქტი, მათ შორის გენ. ალიხანოვის მკვლელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის მაისის 18 მოკლულ იქნა რევოლვერის ოთხი ტყვიით ნუხის მაზრის უფროსის თანაშემწე აბრამოვიჩი. წინად აბრამოვიჩი ბოქაულად მსახურებდა ელისავეტპოლში იმ დროს, როცა 1903 წლის 29 აგვისტოს საეკლესიო ქონებათა ჩამორთმევის დროს სომხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ადგილობრივ ხელისუფლებას. როცა ეს საქმე საოლქო სასამართლოში ირჩეოდა აბრამოვიჩი იყო მთავარი მოწმე. საქმის დასრულების შემდეგ ელისავეტპოლში ხმა გავრცელდა, რომ აბრამოვიჩს მოჰკლავენო, თვით აბრამოვიჩმაც რამდენიმე მუქარის წერილი მიიღო. რამდენიმე ხნის შემდეგ აბრამოვიჩს თავს დაესხენ მოსაკლავად, მაგრამ უშედეგოთ. ამის შემდეგ აბრამოვიჩი გადაყვანილ იქნა ნუხის მაზრის უფროსის თანაშემწედ. მოწმის—ნუხის მაზრის უფროსის ქართველოვის განცხადებით, აბრამოვიჩის ნუხაში მისვლისთანავე მან უკვე ცნობა მიიღო, რომ სომეხთა რევოლიუციონურ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს მისი მოკვლა წინანდელი სამსახურისათვისო.

დაახლოებით იმავ ხანებში (1905 წ. მაისის 11-ს) მოკლულ იქნა ბაქოს გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე. ამ მკვლელობის გამო გამოცემულ პროკლამაციაში მოხსენებული იყო, რომ ნაკაშიძე საიდუმლო სულის ჩამდგმელი ორგანიზატორი იყო 6—10 თებერვალს ბაქოში მომხდარ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტისო. პროკლამაციის გამოცემით ნაკაშიძის მოკვლა დადგენილი იყო ბაქოს ყველა რევოლიუციონური პარტიების მიერ, სისრულეში კი ეს დადგენილება მოიყვანა დაშნაკცუტიუნმა, რადგანაც ყველაზე მეტი უფლება შურისძიებისათვის მას ჰქონდა.

1907 წ. აგვისტოს 17-ს ელისავეტპოლის გუბერ. ახალშენ ელენდორფში მოკლულ იქნა ხელოვნური წყლის ქარხნის პატრონი იაკობ გერრი. გერრს უთანხმობა ჰქონდა სომხებთან—ავაკიმიანცთან და გუკასოვთან საერთო სავაჭროს შესახებ. ავაკიმიანცმა გიერს უჩივლა „დაშნაკცუტიუნის“ ელისავეტპოლის ცენტრალურ კომიტეტში; კომიტეტი სიკვდილით დაემუქრა (წერილობით) გერს და მოსთხოვა ავაკიმიანცის დაკმაყოფილება. მერრმა ზველისათვის ელისავეტპოლის გუბერნატორს კოვალიოვს მიმართა.

1907 წ. აგვისტოს 5-ს გერრმა კვლავ მიიღო წერილი რევოლიუციონური კომიტეტისაგან, რომ მას მისჯილი აქვს სიკვდილი კომიტეტის წერილების გუბერნატორისათვის წარდგენის გამო. მაგრამ რადგანაც ის სხვა ერს ეკუთვნის (არა სომეხი) განაჩენი არ იქნება სისრულეში მოყვანილი, უკეთუ კომიტეტის სასარგებლოთ გადაიხდის 2000 მან. ჯარიმას. გერრმა ჯარიმა არ გადაიხადა და ის 14 აგვისტოს მოკლული იქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საქმეებიდან, რომლებიც ტფილისის სასამართლო პალატას გადმოეცა 1904 წლის ივნისის 7-ს კანონის თანახმად პარტია დაშნაკცუტიუნის მავნე მოღვაწეობის შესახებ, ყურადღების ღირსია შემდეგი საქმეები:

1. ახალციხის სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო მმართველობის მდივნის ვაგან ნაზარიანცის მოკვლა. საქმის ვითარება ასეთია: ნაზარიანცი მოკლულ იქნა სასულიერო სამმართველოს შენობაში 1904 წლის მარტის 10-ს. მკვლელი—აკოპ ნაზარეტიანცი შეპყრობილ იქნა ისეთი დოკუმენტებით, რომლებიც ამტკიცებდენ მის მონაწილეობას „დაშნაკცუტიუნის" პარტიაში. თვით ნაზარეტიანცმა ერთ-ერთ დაკითხვის დროს აჩვენა, რომ ორი დღით ადრე სანამ ნაზარიანცს მოჰკლავდა ის ახალციხეში ქუჩაზე შეხვდა არუთინ ინჯიკიანცს, რომელმაც აუხსნა, რომ ნაზარიანცი „ჯაშუშია სომეხთა ნაციონალური საქმის, სომეხთა პარტიების" და წინადადება მისცა მას ის მოეკლა, როგორც მოღალატე და ჯაშუში.

ახალციხის მაზრის უფროსის პოდგურსკის და ბოქაულის ალტშულის ჩვენებით ვაგან ნაზარიანცი საიდუმლო აგენტი იყო ამ უკანასკნელისა, აშკარად არ თანაუგრძნობდა სომეხთა რევოლიუციონურ მოძრაობას, განსაკუთრებით სძულდა ამ მოძრაობის მონაწილენი და როდესაც საეკლესიო ქონებას იბარებდა ადგილობრივი ხელისუფლება, მან ისეთი ქონება დაასახელა, რაც დამალული ჰქონდა ადგილობრივ სასულიერო მმართველობის წევრებს. კაპიტან პოდგურსკის სიტყვით სომეხთა ეკლესიის კტიტორს ჩილინგაროვს, რომელიც გადასახლებული იყო მთავრობის მერ კავკასიიდან და აგრეთვე არქიმანდრიტს აგაველიანცს მისთვის პირდაპირ უთქვამთ, რომ სომეხთა მოძრაობის შესახებ ის (პოდგურსკი) ცნობებს ღებულობს ვაგან ნაზარიანცისაგან. ამიტომ ამ მოწმეთა ჩვენებით (პოდგურსკი და ალტშული) ნაზარიანი მოკლული უნდა იყოს ადგილობრივი სომეხთა რევოლიუციონური კომიტეტის მიერ. ეს მკვლელობა მოხდა მას შემდეგ, რაც ახალციხიდან ადმინისტრატიული წესით გაგზავნილ იქნა 17 კაცი, რომლებიც ითვლებოდენ კომიტეტის წევრებათ. ალტშულის თქმით გადასახლებულებმა გადასცეს ნათესავებს, რომ მათი გამცემი არის ნაზარიანცი და მასზე შური უნდა იძოონ—იმდენი ჭრილობა მიაყენონ, რამდენიც კაცი იქნა გადასახლებული(17). სწორედ 17 ჭრილობა აღმოაჩნდა მოკლულ ნაზარიანცს. ასე სჯიან განსაკუთრებით მოღალატე სომხებს—მათ ჰკლავენ მეტ წილად ხანჯლებით და მოკლულის ტანზე იმდენს ნიშანს სტოვებენ, რამდენიც მას დანაშაული მიუძღვის. ასე მოექცენ მაგ. სერგეევს, რომელსაც მისჭრეს ენა და ყურები.

6 აპრილს ტფილისში ერთ-ერთ საფოსტო ყუთში აღმოჩენილ იქნა სომხურ ენაზე პროკლამაცია სათაურით: „უკანასკნელად მომ-

ხდარი ტეროორისტული აქტები", შემდეგის შინაარსის: „1 მარტს სცემეს ახალაც. ქალაქის თავს გრიგორ მოვსესიანს იმ სამარცხვინო საქციელისათვის, რომელსაც ის ადგას უკანასკნელად. ის ეხმარება ბინჭურ პოლიციას და არაფრად მიაჩნია შეურაცყოფილი სომხის ერის ღირსება. მის მახლობელთა თავხედობა იმ ზომამდე მივიდა, რომ ის პოლიციას ათასობით აძლევდა ხელში სრულიად უდანაშაულო ხალხს, რომელთაც ასახელებდნენ. ამათში ყველაზე საძაგელი იყო ვიგან ნაზარიანცი. ეს მახინჯი პიროვნება ყოველ დღე ახალ-ახალ მსხვერპლს აძლევდა პოლიციას და აშკარად ლანძღავდა ჩვენს ორგანიზაციას... 10 მარტს დილის 10 საათზე სასულიერო სამმართველოს შენობაში, სადაც ის თავის მოვალეობას ასრულებდა, მოკლულ იქნა ხანჯლის ჩვიდმეტი ჭრილობით, მკვლელი თავისუფალია. რევოლიუციონერებმა შურ ინიეს აგრეთვე ეჩმიაძინის მაზრის უფროსზე—17 მარტს ის მძიმეთ იქნა დაჭრილი (როგორც ნათქვამი გვქონდა 1904 წ. 17 მარტს შშერლინგს თავს დაესხენ სასიკვდილოთ). ყარსის ოლქის სოფ. პარგეტში მოკლულ იქნა გლეხი კირაკოს პეტროსოვი. სომეხთა თავდაცვის ცენტრალური კომიტეტი". ზემოთ მოხსენებული ახალციხის ბოქაული ალტშული დაჭრილ იქნა 1904 წ. იანვრის 4-ს. ერთ პროკლამაციაში სათაურით.—„ცენტრ. კომიტეტი სომეხთა თავდაცვისა. ყველა ჩაგრულნო შეერთდით.—ნათქვამია, რომ ალშტული დაჭრილ იქნა იმის გამო, რომ ის განსაკუთრებით სამსახურს და ერთგულებას უწევდა რუსეთის მთავრობას.

ნაზარეტიანცს ტფილისის სასამართლოს პალატამ მიუსაჯა კატორღა 6 წლითა და 8 თვით.

2. საქმე „დაშნაკცუტიუნის" პარტიის ელისავეტოპოლის კომიტეტისა. ამ საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული 20 კაცი. საქმის ვითარება ასეთია: „1906 წლის ნოემბრის 17-ს ღამით დანიელ აირაპეტოვის მითითებით ელისავეტოპოლში მოახდინეს ჩხრეკა. ერთ სახლში პოლიციამ აღმოაჩინა ყუთი თორმეტი ყუმბარით, ყუთი ათი შეკვრა დინამიტით, ყუმბარების ჩამოსასხამი ფორმები და სხვა მასალები ასაფეთქებელი ნივთიერებათა დასამზადებელი. ამ ნივთებს გარდა აქ არაფერი აღმოჩენილა ისეთი გარდა ძველი ხალათისა და შარვლისა, დამამტყიცებელი იმისი, მართლა ცხოვრობდა აქ ვინმე თუ არა. სახლის ზემო სართულში დაპატიმრებულ იქნენ აირაპეტოვის მითითებით დაშნაკცუტიუნის პარტიის წევრები: არამ პოგოსოვი—ბიურტოვი, პეტროს ოგანეზოვი, სარქის კიურდიანცი, მელიქ ოგანეზოვი და ცაკალ ალლახვერდოვი. ოთახში აღმოჩენილ იქნა 4 ბერდანის თოფი, ერთი მაუზერი და ერთი რევოლვერი. გაჩხრეკის შემდეგ სარქის კიურდიანცს და მასთან ერთად დაჭერილთ აღმოაჩნდა: 1) ორი წერილი შემდეგი შინაარსის: ა) ამხანაგო სავო, გიხოვ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგისე დაანატიმრო შენთან ხვალამდე. გამოძიების დასრულებამდე. არ გაუშვათ შტაბის განკარგულებამდე. 1906 წ. 22 ოქტომბერი. გ. ეგიევი". ბ) „ამხანაგო პეტროს, გაანთავისუფლე სერგეი. მე თითონ მოველაპარაკები მას. ავო 16/X ". 2) უბის წიგნი კიურდიანცისა წარწერით პირველ გვერდზე. „ბატონო სარქის. დაბეჯითებით გთხოვ უეჭველად მოკლა ერთი თათარი". 3) ამგვარივე წიგნაკი პეტროს ოგანესოვისა. რომელშიაც აღმოჩნდა: ა) დარიგებული თოფებისა და ვაზნების სია. ვის რამდენი მიეცა. სხვათა შორის მოხსენებული არიან სარქისი და ცალიკიანი; ბ) სია სათაურით. „სათადარიგო თოფები", სადაც ჩაწერილია სხვადასხვა იარაღი და ვაზნები; გ) ვის დაურიგდა ხანჯლები სწერია: 1 ხანჯალი ცაკანს, 1-პეტროსს" დ) ქაღალდი, რომელზედაც სწერია: „ბერდანის 20 ვაზნა წაიღო ავაკმა". 4) ასეთივე წიგნი მელიქ ოგანეზოვისა სახელობითი სიით. რომელშიაც სხვათა შორის მოხსენებულია შემდეგი სახელები: მელიქ. არამ. ბეგლიარ. მიხეილ. სარქის და არშაკი; მიწერილია შემდეგი—„წშ. ჯვრის მარხვა (10 სექტემბერი) მელიქი დადგა ხელსან კრიკორთან" და სიმღერის დასაწყისი: „სეტყვა მოვიდა ხანასარის მინდორში. თავთავგანწირულმა დაშნაკელებმა შური იძიეს." 5) სამი თაბახი ქაღალდი დახაზული 9 რუბრიკათ დაბეჭდილი სათაურებით შემდეგის შინაარსისა: „სახლი და მცხოვრები", „ქუჩა", „თოფი", „რევოლვერი", „რაოდენობა", „სისტემა", „ვაზნები", „ცხენი", „ეტლი", „ველოსიპედი", „ადამიანთა რიცხვი", რომელთა გამოყვანა შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ სახლიდან თავდასხმის დროს". დანიელ აირაპეტოვის. რომელიც წინად დაშნაკცუტიუნის მებრძოლ დრუჟინაში შსახურებდა. საიდანაც გაიქცა და თათრებში იმალებოდა. რათა ის არ მოეკლათ წვალებით. ორგანიზაციის ერთი უფროსთაგანის ბრძანების აუსრულებლობისათვის. აგრეთვე მოწმე აკოპ არუტინოვი და მიხეილ მიკირტუმოვი დაკითხვის დროს აჩვენებენ. რომ დაშნაკცუტიუნის პარტიის სათავეში დგას განსაკუთრებული აღმასრულებელი კომიტეტი—თავმჯდომარის. მისი თანაშემწის. საქმის მწარმოებლის. პოლიცმეისტრის და რაზმის უფროსისაგან. დაშნაკცუტიუნის პარტიის ელისავეტოპოლის განყოფილებას შეადგენენ: თავმჯდომარე „სებო", მისი თანაშემწეები „სიმონი" „ავო". „აბრაგამი". მიხეილ ლესიკოვი და მარტიროს აროთინსძე დანელიანცი. „კომიტეტს" მიზნად ჰქონდა დასახული სომხის ხალხის ყოფა-ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე მოწყობა. კომიტეტი ჰკრეფდა მცხოვრებთაგან ხარჯს იმაზე მეტს. ვიდრე ხაზინა ახდევინებდა. კომიტეტის ხელში იყო სასამართლო და ადმინისტრატიული ძალა-უფლება. აიძულებენ ხალხს კომიტეტის მიერ მოწყობილ დაწესებულებათათვის მიმართნათ. კომიტეტი ასრულებდა პოლიტიკურ მოვალეობას. სისხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლის საქმეებს, ჯარიმებითა და საპყრობილით ემუქრებოდა იმათ, ვინც მთავრობის ორგანოებს მიმართავდა, პოლიციურ ფუნქციებს კომიტეტში ასრულებდა „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის კომიტეტის წევრი მიხეილ ლისიკოვი, მის მოვალეობას შეადგენდა კომიტეტში შემოსულ საჩივართა განხილვა-გამოძიება. ლისოკოვის განკარგულებით მებრძოლი რაზმის წევრები („ხუმბები“) არა სინდისიერ მოვალეებს აიძულებდენ ვალის გადახდას, აკმაყოფილებდენ იმათ, ვისაც რაიმეს მოჰპარავდენ, უბრალო დანაშაულისათვის აჯარიმებდენ და უფრო დიდი დანაშაულის ჩამდენს ამწყვდევდენ ციხეში.

მოწმე მელიქ მიკირტუმოვმა აჩვენა, რომ ერთხელ ელისავეტოპოლში ის წაეჩხუბა სომეხ მეურმეს. რისთვისაც ის ხუმბებმა დაატპატიმრეს და მიიყვანეს ლისიკოვთან, რომელმაც წესიერების დარღვევისათვის დააჯარიმა 5 მანეთით, რაც იქვე გადაახდევინა.

დანიელ აირაპეტოვმა აჩვენა, რომ ხუმბების ერთი რაზმთაგანი დაბანაკებულ იქნა სადგურ ელისავეტოპოლთან ნერსეს ყორღანოვის მეთაურობით; როდესაც დაშნაკცუტიუნის კომიტეტის ელისავეტპოლის განყოფილების განკარგულება გამოიცა სად. ელისავეტპოლის რკინის გზის უანდარმთა პოლიციის მოხელეთა მოკლა, რომელთაც 1906 წლის 17 ივნისიდან 3 ოქტომბრამდე რამდენიმე შეკვრა თოფები და სხვა საომარი იარაღი აღმოაჩინეს, დაშნაკცუტიუნის მებრძოლი რაზმისათვის, რაზმის უფროსმა ნერსეს ყორღანოვმა მოიწვია რაზმელების კრება, რომელსაც დაესწრენ ხუმბებიც. ამ კრებაზე კრიკორ დავიდოვმა, რომელიც ცნობილია ამხანაგებში „კერი“-ს სახელით, სურვილი განაცხადა ჟანდარმთა ოთახში ყუმბარის შეგდებისა, იმ პირობით, რომ სადაც ეს ამბავი მოხდებოდა იმ ადგილას ამხანაგებს უნდა ედარაჯნათ. ეს გეგმა სისრულეში იქნა მოყვანილი 1906 წლის ოქტომბრის 8-ს.

ხალხში მუქარით შეკრებილ ფულს კომიტეტი ხარჯავდა საპყრობილის, ყუმბარების გასაკეთებელ სახელოსნოს შესანახად და მებრძოლი რაზმის შესაიარაღებლად; ხალხს კი ეუბნებოდენ: ფული საჭიროა შესაიარაღებლათ, რათა თათრების თავდასხმის დროს მზად ვიყოთო.

დანიელ აირაპეტოვის ორგანიზაციიდან გაქცევის შემდეგ, დაშნაკცუტიუნის კომიტეტმა მის დასაჭერად სოფ. ხოლიუში გაგზავნა ხუმბების რაზმი ბაგრატ ახნაზაროვის მეთაურობით და შეიპყრო აირაპეტოვის სიმამრი აკოპ არუთინოვი, რომელიც ხუთი ხუმბის თანახლებით მიყვანილ იქნა ბუგდან ბაგდასარაოვის სახლში. ამ სახლს შემოვლებული აქვს მაღალი გალავანი, მდებარეობს ქალაქის განაპირას, ახალ-საეკლესიო ქუჩაზე და წარმოადგენს დაშნაკცუტიუნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტ. საპყრობილეს. შეპყრობილთ მცველებად ხუმბები მიუყენეს. საპყრობილეში შესვლისას არუთინოვმა სახლის დაბლა სართულის ოთახში შენიშნა რამდენიმე კაცი, რომელნიც რაღაც გილზებს ამზადებდნენ. ეს გილზები შემდეგ აღმოჩენილ იქნა ჩხრეკის დროს ამავე ოთახში. საპყრობილეში ყოფნის დროს ფანჯრიდან მან შენიშნა ორი უცნობი პიროვნება, რომელნიც საქმის გამოძიების დროს შემდეგ აღმოჩნდენ სარქის კიურდიანცი და პეტროს ოჰანეზოვი. აბათ მოჭქონდათ ყუმბარების დასამზადებელი მასალა და რკინის ბოგრძო კიტრის მსგავს ფორმებს ავსებდენ რაღაც ყვითელი სითხით, როგორც შემდეგ გამოირკვა, დინამიტით. არუთინოვს ესმოდა მომუშავეთა ლაპარაკი, რომ ერთი ყუმბარა კარგი გამოდგა, მეორე—არა. ამ ყუმბარებს, არუთინოვისათვის მიჩენილი დარაჯი ეატურა ხაჩატუროვის, პეტროს სარქისოვის და საჭმელის მიმწოდებელი არამ პეტროსოვის თქმით ამზადებდენ თანამდებობის იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიდენ კომიტეტს თავისუფლად მუშაობაში. შეღამებისას ხუმბებმა არუთინოვი მიიყვანეს „კომიტეტში“, რომლის სხდომა გამართული იყო სახლის ზემო სართულში. კრებაზე იყვნენ კომიტეტის წევრები „სეზო“, „ავო“, „სიმონა“, „აბკარა“ და მარტიროს დანიელიანცი.

კომიტეტმა გამოაცხდა, რომ ის არის „კანონი და სამართალი და მისი წევრები შეადგენენ დაშნაკცუტიუნის ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოს. კომიტეტმა ვალდებული გახადა არუთინოვი მოეყვანა სასამართლოში გაქცეული დანიელ აირაპეტოვი. წინაალმდეგ შემთხვევაში „კანონისა და წესდების“ ძალით არუთინოვს სიკვდილით დაემუქრენ.

არუთინოვი გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ მას აესრულებია დაკისრებული ველდებულობა. არუთინოვმა კი, ყველაფერი, რაც იქ, ბაღდასაროვის სახლში ნახა უამბო თავის სიძეს დანიელ აირაპეტოვს. ამ უკანასკნელმა მოახსენა პოლიციას.

დანიელ აირაპეტოვის და აკოპ არუთინოვის ჩვენებით ყუმბარების სახელოსნოში დაპატიმრებულთაგან მელიქ ოჰანეზოვი როგორც მცირეწლოვანი ასრულებდა შიკრიკის მოვალეობას, ზოგჯერ ვაზნებს არიგებდა, დანარჩენი კი ხუმბების რაზმში მონაწილეობდენ. ზემოდასახელებულ ხუმბთაგან ბენიამინ ოგაიანცი და გერასიმე ჯარიანცი იყვნენ რაზმის უფროსის თანაშემწენი. ამას გარდა ოგაიანცის სახლში ბინა ჰქონდა ათამდე ხუმბს. თვით ოგაიანცი თავისი უფროსის ყორლანოვის ახლობელი მრჩეველი იყო. არშაკ მურადოვი და ოჰანეს დანილოვი რაზმში ათისთავებათ იყვნენ. გრიგოლ ავაკიანცი ფულის შემგროველი, დანარჩენი მებრძოლი რაზმის წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრები. ყველა ამათ კომიტეტისაგან მიღებული ჰქონდა ვინტოვკები და რევოლვერები.

დაპატიმრობის დროს გერასიმე ჯარიანცს და ამკარ მიკირტიჩიანცს აღმოაჩნდა: პირველს—ჯიბეში ორი უბის წიგნი და ხუთი წერილი, უკანასკნელს—მაუზერის სისტემის რევოლვერი №47588—80 ვაზნით.

გამოძიების დროს მასალების განხილვიდან გამოირკვა, რომ ჯარიანცს ჩამოერთვა შემდეგი დოკუმენტები: 1) იმ შკაფის გასაღები, სადაც ინახებოდა პირობითი ნიშნები იარაღისა—სამხედრო მასალის, რა სისტემისაა იარაღი და სხვ. ნიშნებს ქვეშ მოქცეული იყო ხარბაზნები და ყუმბარები; 2) დახაზული ქაღალდი უჯრედებათ იმ პირთა ჩამოთვლით, რომლებიც მონაწილეობდნენ სამხედრო მებრძოლ რაზმში. ამ სიაში სხვათა შორის აღნიშნული იყო ჩამოთვლილ პირთა თანამდებობა, ის იარაღი, რომელიც მას ჰქონდა ჩაბარებული, იარაღის სისტემა და ის, თუ რა სახის იყო, აღნიშნული აღმოჩნდა პირობითი ნიშნით, რაც ეთანხმებოდა შკაფში აღმოჩენილ პირობითი ნიშნებს ამ სიაში მოხსენებული რევოლვერი № 47588, რომელიც აბკარ მიკირტიჩიანცს ჩამოერთვა; 3) ზემოაღნიშნულ შკაფის გასაღებთან ერთად შიფრით შედგენილი სია იარაღისა და სამხედრო მასალის; 4) წიგნაკი ხარჯების ჩაწერით: „ჯამაგირი ბიჭებისთვის (ребят) მივიღე“, „დამცველთა ჯგუფი“, „ახლად მიღებულ ბიჭებს“, „ჯაშუშის მოკვლისათვის“; 5) წიგნაკი, რომელშიაც შიფრით არის აღნიშნული ქალაქში 30,455 ბერდანკის ვაზნის გაგზავნის შესახებ, 50 ვაზნის (მაუზერის რევოლვერისა) მიღების შესახებ და სახელობითი სია იარაღისა №№ და სამხედრო მასალის რაოდენობისა, რაც თითეულ აღნიშნულ პირს ხელთ აქვს.

1907 წლის იანვრის 15 ქ. ელისავეტპოლის თათრის ნაწილში შეპყრობილ იქნა დანიელ აირაპეტოვის მიერ და გადაეცა ელისავეტპოლის გუბერნიაში მყოფ ტფ. საგუბ. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწეს მარტიროს დანიელიანცი, რომელშიც აირაპეტოვმა, აკოპ არუთინოვმა და მელიქ მიკირტუმოვმა იცნეს დაშნაკცუტიუნის ელისავეტპოლის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარეს თანაშემწე და მისი მოადგილე, როცა თავმჯდომარე სხვაგან ბიდიოდა ქალაქიდან. დანიელიანცი მონაწილეობდა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, როდესაც ირჩეოდა არუთინოვის პასუხისმგებლობის საქმე აირაპეტოვის გაქცევის მოწყობაში. როტმისტრ ხასიპკინის მიერ მომხდარი ჩხრეკის დროს დანიელიანცის ბინაზე აღმოჩნდა: 1) ბლანკზე დაწერილი წერილი სათაურით: „მე 6 კომიტეტი სომეხთა რევოლიუციონური კავშირისა 15 აპრილი 1906 წელი ნოვანგისტი“. „აიასტანის ამხანაგობისადმი“. ამ წერილში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის ურჩევენ არ ისარგებლონ ძველი მისამართებით, ანალ-განაც წერილებს ხსნიან. აქვე ჩამოთვლილია ის კონსპირატიული მისამართები, სადაც უნდა გაიგზავნოს კორესპოდენციები; 2) სია იმ პირთა, რომელთაც ბრალდებოდა ყუმბარების შენახვა და რკინის გზის ჟანდარმთა პოლიციის თანამდებობის პირთა მოკვლის განზრახვა იმის აღნიშვნით, თუ რა მდგომარეობაშია თითოეულის საქმე; 3) წერილი სათაურით:—„25 ივნისი ვასანაპატი, № 267, „აიასტანის ამხანაგობისადმი“, რომელშიაც „ჩოფური“ სთხოვს მათ არ გაგზავნონ მისი მისამართით წერილი, რადგანაც ის იქ არ იმყოფება. იქვე ნაჩვენებია სამი ახალი მისამართი. 4) ვოსკანის ხელწერილი 1906 წ. სექტემბრის 6-ს თარიღით, გაცემული ელისავეტპოლში „სამხედრო შტაბისათვის“ 240 მანეთის სავალდებულო გადახდის შესახებ 2 თოფისათვის; 5) წერილი სათაურით: „1906 წ. 30 ნოემბერი, ბაკუნ სთხოვს მორჩენ ახალგაზრდის საქმეს და ამის შესახებ აცნობონ წერილის ავტორს ან უშუალოდ სამარყანდის წევრს; ამ ნაირივე ხასიათისაა სხვა ნაწერიც.

გამოძიებაში აღმოჩენილ ცნობებიდან სჩანს, რომ წინასწარი გამოძიება ჟანდარმთა მოკვლის განზრახვის შესახებ დასრულებულია და გადაცემულია კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს პროკურორისადმი. ამ საქმეზე ზემოჩამოთვლილ ხუმბებს გარდა ბრალი ედებათ კრიკორ, იგივე კერი. მარტიროს დავიდოვი., ვიგან. იგივე ბახ'ში,, ანდრიასოვ ვართაპეტოვი, არშაკ-მაცანოვ მურადოვი, კასპარ სეროპის ძე მარკარიანცი და ავაკ ამბარცუმის ძე ტერ-მატეოსოვი.

3) საქმე „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის შუშის კომიტეტის შესახებ. საქმის ვითარება ასეთია:

1906 წ. თებერვლის 4-ს სოფ. გეში ეშხანის მცხოვრები ასრიან ბაბაევი გამოცხადდა ჯერ ყაზახთა პოლკის უფროს პოლკოვნიკ დირიფულკინთან, შემდეგ შუშის მაზრის 1 ნაწილის ბოქაულ პარფენენკოსთან და განაცხადა, რომ სოფ. ჯამიატში მოვიდნენ და გაჩერდენ სოფლის მოსამართლის სახლში სომეხთა რევოლიუციონერი პარტიის დაშნაკცუტიუნის წევრები გრიგორ ვართანიანცის მეთაურობით. ხალხს გადასახადს ახდევინებენ პარტიის სასარგებლოთ და როცა უარს ეუბნებიან ამაზე მათ, მცხოვრებნი აპატიმრებენ. ამის გამო მეორე დილით რევოლიუციონერების შესაპყრობათ და დაპატიმრებულ პირთა გასანთავისუფლებლათ გაგზავნილ იქნა ერთი ასეული ყაზახი ხორუნჟი ვარიევის მეთაურობით. ვარიევმა მოახდინა ჩხრეკა, მაგრამ სახლში არავინ კერძო პირთაგანი არ აღმოუჩენია. სახლის პატრონმა პოლოსომა მოთხოვნაზე ეჩვენებია დაპატიმრებულნი განაცხადა, რომ მის სახლში ასეთები არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოიპოვებიან. მაგრამ ეშხან ბაბაევის ჩვენებით გაჩხრეკილ იქნა სახლის ქვემო სართული, სადაც ერთ ოთახში, რომელსაც დარკინული ფანჯარა ჰქონდა, აღმოჩნდა დაპატიმრებული შუშის მაზრის სოფ. ემიშჩნის მცხოვრები მუსა დანილის ძე ბალასოვი. განთავისუფლებულმა მადლობა გადაუხადა რა განმათავისუფლებელთ განაცხადა, რომ კომიტეტის განკარგულებით იმავ დღეს მისთვის უნდა წაეყვანთ მარჯვენა ხელი და მეორე დღეს, თუ მის ხვედრ გადასახადს არ შეიტანდნენ—მარჯვენა ფეხიც და რომ გრიგორ ვარტანიანცი თვისი ამხანაგებითურთ კაზაკების გამოჩენისთანავე გაიქცა. გაჩხრეკის დროს პოღოსოვის თავლაში აღმოჩნდა ორი შეკაზმული ცხენი ჩანთებით, სადაც აღმოჩნდა სამი გატენილი ყუმბარა, სამგზავრო სამელნე წოთელი მელანის ჭურჭელი და მამასახლისის თანაშემწის ჯაჭვი. ჩანთის მეორე ნაწილში—წოთელი და შავი მელნით დაბეჭდილი სხვა და სხვა ბროშიურა სომხურ და რუსულ ენებზე.

გამოძიების დროს დაკითხულ იქნა მოწმე იშხან ბაბაევი, რომელმაც აჩვენა, რომ 1905 წლიდან, როცა შუშის მაზრაში დაიწყო სომეხ-თათართა შეტაკებები, სოფ. ჯამიათში გაჩნდენ დაშნაკციუტუნის წევრები და დაარსეს ადგილობრივი კომიტეტი. ამ კომიტეტში სხვათა შორის შევიდნენ წევრებათ ჯამითის სოფლის მამასახლისი მიხეილ აირაპეტოვი და სოფლის მსაჯული ბაზში პოღოსოვი, რომლის სახლშიაც მოწყობილ იქნა კანცელარია და იარაღის საწყობი.

კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად პოღოსოვი და აირაპეტოვი დადიოდენ სოფლად და ხალხს ურჩევდენ არ გაეგზავნათ ჯარში ახალგაზრდები, არ აესრულებიათ მთავრობის მოთხოვნილებები. ამასთან ისინი სოფლელთაგან ჰკრეფდენ ფულს და ვინც უარს გაუცხადებდა, აპატიმრებდენ. ამას გარდა კომიტეტის ზოგიერთი წევრები ამზადებდენ ასაფეთქებელ ნივთიერებათ, ასწავლიდენ მცხოვრებთ სროლას. 1905 წლის აგვისტოდან 1906 წ. თებერვლამდე მას, ბაბაევს, კომიტეტმა გადაახდევინა სხვა და სხვა დროს 40 მანეთი. თებერვლის პირველ რიცხვებში მან ვერ შესძლო კომიტეტის ახალი მოთხოვნის 30 მანეთის გადახდის შესრულება, ამიტომ ის დაპატიმრებულ იქნა სოფ. ჯამიათის ციხეში, რომელიც კომიტეტს მოწყობილი ჰქონდა ბაზში პოღოსოვის სახლში, მაგრამ სამი დღის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა, რომ ფულს მოიტანდა. ამით ისარგებლა ბაბაევმა და ყველაფერი ეს მოახსენა პოლკოვნიკ ბირიულკინს და ბოქაულ პარფენენკოს. ამავე საქმის გამო დაპატიმრებულ იქნა სოფ. ემიშჩნის მცხოვრებნი მიშა დანილის ძე ბალასოვი, კოდო მელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუმანაცი, სამსონ მაკასანიანაცი, ტიგრან ბაგრამიანაცი და ალექსან აირიევი.

ბაბაევმა აჩვენა აგრეთვე, რომ მელიქ შახნაზაროვის და ვართანიანცის უახლოეს თანამშრომლებათ დაშნაკიცუტიუნის პარტიაში იყვნენ: სარქის საგიანაცი და ამისი ძმა, რომლის სახელი დაავიწყდა. კომიტეტის წევრი სარქის საგიანაცი—(ბოლოს თუჯის ჩამომსხმელი, ერთ-ერთ ქარხნის მუშა) დაშნაკცუტიუნის პარტიისათვის ამზადებდა ყუმბარებს. ამისათვის ის ყოველ კომლიდან სოფლად ჰკრეფდა ფულსა და სპილენძის ჭურჭლეულობას. ბაბაევისაგანაც წაიღეს ერთი დიდი სპილენძის ქვაბი. კომიტეტის მეორე წევრი კრიკორ საგიანაცი სოფელში დადიოდა დროშით. დროშა წარმოადგენდა თეთრს ტილოს, რომელზედაც დახატული იყო კაცი ერთ ხელში ჯვარით, მეორეში—ხანჯალით. აღმართულ ჯვრის ქვეშ ჯვარედინათ გამოხატული იყო რევოლვერი და ხანჯალი. ადგილობრივ კომიტეტის წევრად მიღებულ პირთ დაშნაკცუტიუნი აფიცებდა ამ დროშაზე.

4) საქმე მთავრობის საწინააღმდეგო საზოგადოების შესახებ, რომელიც შესდგა ელისავეტპოლის გუბ. არეშის მაზრის ს. კაიაბაშში.

საქმის ვითარება ასეთია: 1905 წლიდან არეშის მაზრის ს. კაიაბაშის მამასახლისი ტატევოს ბადალოვი სოფლელებში პროპაგანდას ეწეოდა დაშნაკცუტიუნის პარტიაში შესვლის შესახებ. ამ პროპაგანდას გასავალი არ ჰქონია. ამავე წლის ნოემბერში მასთან სახლში მივიდა ოთხი უცნობი სომეხი, რომელთა წინადადებით ზარის ჩამოკვრით მოწვეულ იქნენ ეკლესიის გალავანში კაიაბაშელები. აქ მოსულმა სომხებმა განუცხადეს ხალხს, რომ დადგა დრო, როცა სომხის ხალხმა თვით უნდა უპატრონოს თავის თავს, რომ რუსი მეფე და მთავრობა აღარ არსებობენ და რუსეთში მცხოვრებმა ყველა ერებმა უკვე შემოიღეს საკუთარი მართველობაო. რომ ისინი (მოსულნი) როგორც დაშნაკცუტიუნის წარმომადგენელნი სოფლის სათავეში აყენებენ კომიტეტს, რომელმაც უნდა გასწიოს სასამართლოს, ადმინისტრაციის, პოლიციის მართველობა; ამ კომიტეტის ხელში იქნება სასოფლო ყოველგვარი ძალა-უფლება. კომიტეტის წევრებათ მათ დანიშნეს მამასახლისი ბადალოვი, მისი ძმა პატვაკან ბადალოვი, სოფლის მწერალი არშაკ მურადოვი და სტეფანე დუნუკხულოვი. აქვე ეკლესიის გალავანში დააფიცეს მცხოვრებნი კომიტეტის ერთგულებაზე, დაფიცულთ უნდა ემოხვიათ რაღაც ქაღალდის, ხანჯალის და რევოლვერისათვის. ზოგიერთი ხანში შესული პირები შეეცადენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფიცვაზე უარის თქმა, მაგრამ ძალით შერეკეს გალავანში, სცემეს ძალ, დაჯარიმეს და სხვ. თავისი მოღვაწეობა კომიტეტმა იმით დაიწყო, რომ მოითხოვა 1905 წლის ხვედრში ყოველგვარი გადასახადების გადახდა. გადასახადის შეკრების დროს თათეოს ბადალოვი და მისი ამხანაგები სცემდენ ხალხს, აპატიმრებდენ, თუ გადასახადის შეტანა დაგვიანებული იყო. როცა გადასახადი შეკრიბეს, კომიტეტმა მოსთხოვა გლეხებს, გაეღოთ კომიტეტისათვის თითოეულს განსაზღვრული რაოდენობის ხორბალი, ამის შემდეგ კომიტეტმა კოაბაშინელებს ფულად გადაახდევინა 3—200 მანეთამდე, იმის მიხედვით ვინ რა შეძლებისა იყო. შეკითხვაზე, თუ რას ხმარდებოდა შეკრებილი ფული, კომიტეტის წევრები უპასუხებდენ დაპატიმრებით, დაჯარიმებით და ვინც კიდევ განაგრძობდა უკმაყოფლების გამოთქმას, იმას სიკვდილით ემუქრებოდენ. გაზაფხულზე ბოქაულმა მამასახლისებს მოსთხოვა გადასახადის ხაზინაში შეტანა. რომ მეორეჯერ არ გადაეხადა ხალხს ერთი და იგივე გადასახადი, საიდუმლოთ (კომიტეტს რომ არ გაეგო) გაგზავნილ იქნენ მაზრის უფროსთან ოვანეს ბაგდასაროვი, ჯავად ტუნიევი, აკოპ მუგდუსი ნიკოგოსოვი და ზახარ კრიკოროვი. მათ მოახსენეს მაზრის უფროსს, რომ გადასახადი უკვე აკრებილია მამასახლის ბადალოვის მიერ და ამ უკანასკნელთან ინახებაო. მაშინ მაზრის უფროსმა აიძულა ბადალოვი შეეტანა ხაზინაში 3000 მანეთი. ოვანეს ბაგდასაროვმა და სხვა დეპუტატებმა, რომელთაც მაზრის უფროსს მოახსენეს გადასახადების შესახებ, კომიტეტისაგან წერილი მიიღეს, სადაც კომიტეტი მოსთხოვდა 15 დღის განმავლობაში შეევსოთ კომიტეტის სალარო. ამის გამო ბაგდასაროვმა და სხვებმა საჩივარი მიართვეს გენერალ გუბერნატორს, რომლის განკარგულებითაც ტატეეოს ბადალოვი, არშაკ ბურადოვი და სტეფან დანახკულოვი შეპყრობილ იქნენ. პატვაკან ბადალოვმა კი დამალვა მოასწრო.

5) ამ ნაირივე საქმე ჰნჩაკის პარტიის წევრის აბკარ პეტროსოვის შესახებ აღიძრა ელისავეტპოლის გუბერნ. ზანგეზურის მაზრაში.

1906 წლის შემოდგომაზე ზანგეზურის მაზრ. ს. შინგერში მოკიდა ამავე სოფლის მცხოვრები აბკარ პეტროსოვი, რომელიც დიდ ხანს სცხოვრობდა ბაქოში. სოფლელთა შეკითხვაზე უპასუხა, რომ გამოგზავნილი იყო ბაქოს სომხური სოც. დემ პარტიის ჰნჩაკის მიერ მომუშავე პირთა გამოსაცვლელად და სოფლის მართვა-გამგეობის ხელში ჩასაგდებათ. ხაჩატურ აღამალოვის სახლში მან მოაწყო კანცელარია, გარს შემოიკრიბა საიდანღაც მოსული ზინვორები, რომელნიც კარგათ იყვნენ შეიარაღებულნი. პეტროსოვი მოითხოვდა ჰნჩაკის პარტიის სახელით სოფლელთაგან სრულ მორჩილებას. ამბობდა:—მე ვარ თქვენი მეფე და მთავრობაო. პეტროსოვმა ისე დაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინა მცხოვრებნი, რომ ვერავინ ბედავდა მიემართა მთავრობის დაწესებულებისათვის. მან ხელთ იგდო სასამართლო და ადმინისტრატიული ხელისუფლება, სწყვეტდა სადაო საქმეებს თვითონ და განაჩენი სისრულეში მოჰყავდა დასახელებული ზინვორების საშუალებით. კანცელარიაში შეკრებილ სოფლელთ პეტროსოვი უკითხავდა დაბეჭდილ ფურცლებს, თუმცა წაკითხულის მსმენელთ ცოტა გაეგებოდათ, მაგრამ ლაპარაკი იყო ახალი წესების შემოღებაზე. ამ საქმეში პეტროსოვს წინააღმდეგობას უწევდენ სოფლის მამასახლისი აირაპეტ შირინოვი, მღვდ. ტერ სტეპან მამიანცი და ზოჰრამ გალუსტოვი. პეტროსოვმა ამათ გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა, რაც შირინოვის შესახებ მოყვანილ იქნა სისრულეში. ის მოჰკლა ერთ-ერთმა ზინვორმა 1906 წ. დეკემბრის 28-ს.

1907 წლის აპრილში ალექსანდროპოლის მაზრის დ. კარაკლისში ძმ. ევოიანცის სახლში აღმოჩენილ იქნა იარაღის და ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობი. (4 ვინტოვკა, 8 რევოლვერი, 4 გირვანქა დინამიტი, 22 ბიკფორდის ზონარი, 129 კაპსული, ასაფეთქებელი ვერცხლის წყალი, 35 ფუთი თოფისა და რევოლვერების ვაზნა, 45 ფუთი ვინტოვკის ტყვია, 30 გირ. უკვამლო და 55 ფუთი თოფის ნამალი (შავი). როგორც სჩანს ამ სოფელში არსებობდა დაშნაკცუტიუნის კომიტეტი, რის საბუთებსაც იძლევა ჩხრეკის დროს აღმოჩენილი კონსპირატიული და შიფრით მიწერ-მოწერა.

დაშნაკცუტიუნის შესახებ შეგროვილი მასალებიდან სჩანს, რომ ეს პარტია ენერგიულ რევოლიუციონურ და ტერორისტულ მუშაობას აწარმოებდა 1904 წლის დასაწყისიდან. არ ვიხებით რა იმას დაწვრილებით, თუ როგორი ორგანიზაცია აქვს მოწობილი ამ პარტიას. საჭიროა აღინიშნოს ამ პარტიის პროგრამიდან ერთი ძირითადი მხარე. სხვა რევოლიუციონურ პარტიისაგან დაშნაკცუტიუნი განსხვავდება თავისი ნაციონალური სახით. ამ პარტიის დაარსება 1890 წელს გამოწვეული იყო იმ აზრით, რომ მას ებრძოლა სომეხთა განთავისუფლებისათვის ოსმალეთში. ამ მიმართულებით მუშაობდა 1900 წ. 1897 წლის ივნისის 21-ს და 1903 წლის 12 ივნისს რუსეთში გამოიცა კანონი, რომლითაც სასკოლო და საეკლესიო ქონების საკითხებში სომეხთა უფლებები შეკვეცილი იყო. ამის საპასუხოდ 1904 წლის დასაწყისში დაშნაკცუტიუნის პარტიის საერთო კრება აღიარებს რა აუცილებლათ რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობას კავკასიაში, ადგენს აწარმო

ძხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების აგენტების მოკვლით. თვით სომეხთა „ნაციონალური“ იდეის დაცვა უკარნახებდა ამ პარტიას მოქმედების ფუნქციათა გაფართოებას, რადგანაც იმ პარტიისათვის, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ნაციონალური ინტერესების დაცვა, ცხადია, ის წინააღმდეგობას გაუწევდა ყველას ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს. ამიტომ პარტიას საჭიროდ მიაჩნია ჩაერიოს კერძო პირთა დამოკიდებულებაში, უკეთუ სომხის ინტერესი შელახულია. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ელისავეტპოლის მაზრაში კოლონისტ გერრის მოკვლა. 1904 წ. დეკემბრის 19-ს მოჰკლეს ხარკის აღკრეფი ინსპექტორი შჩერბაკოვი. ამ მკვლელობის მოტივი ის იყო, რომ შჩერბაკოვი „მავნე, უზრდელი და მექრთამეა“. რაიმე პოლიტიკური საჩხელი ამ მკვლელობას არ ჰქონია. 1904 წ. ოქტომბრს 20-ს შუშის მაზრის უფროსის თანაშემწეს პარტიამ წერილი გაუგზავნა, აფრთხილებდა—მოგკლავთო, რადგანაც ხელმძღვანელობ „არა კანონით, არამედ—თვითნებითო“.

როგორც სჩანს, მცხოვრებთა იმ ნაწილისთვის, რომელიც თანაუგრძნობდა რევოლიუციონურ მოძრაობას, დაშნაკცუტიუნის ამნარი ჩარევა კერძო პირთა თუ ჯგუფთა მოქმედებაში ხელსაყრელი იყო. ეს გამოაშკარავდა შემდეგი მაგალითიდან. 1909 წლის მარტის 6-ს ბაქოს საბარგო სადგურზე უცნობმა ბოროტ-მომქმედმა მოჰკლა მოიჯარადრის რწმუნებული (ბარგის დამცველი) სარდარ არუთინოვი. მოკლულს ჯიბეში აღმოაჩნდა: 1) ბარათი რუსულად დაწერილი ბაქოს გრადონაჩალნიკისადმი 1909 წ. 22 თებერვლის თარიღით, სადაც მოკლული აცხადებდა, რომ უკეთუ მას მოჰკლავდენ, ამაში დამნაშავე იქნებოდა ბაქოს სადგურის დარაჯთა უფროსი თეოდოროს ტერ დანიელიანცი, 2) რამდენიმე ბარათი სომხურ ენაზე, რომელთა შორის ერთი „დაშნაკცუტიუნის პარტიის გამომძიებელისადმი“. ამ წერილში მოკლული არუთინოვი თავს იმართლებს რაღაც ბრალდებაში და ბრალსა სდებს ტერ-დანიელიანცს. ამ უკანასკნელს უკავია სადგურზე თანამდებობა, შეეძლო კი დაეთმო ერთ ერთი თანამდებობა რომელიმე უმუშევრისათვის. ასეთი მოქმედება თქვენი პროგრამის წინააღმდეგ ლაპარაკობსო. ის ემუქრებოდა დარაჯებს დაშნაკცუტიუნის სახელით, რაც შეიტყო მთავრობამ და არუთინოვმა ძლივს მოაწესრიგა საქმე და სხვ. ამ წერილებში არის ერთი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ გამოძიება დასრულებულია, განაჩენი ხვალ გამოცხადდება (პარასკევს), რის გამო წინადადებას აძლევს ბაქოდან ნუ წავლენ. ამის გამო გაჩხრეკილ იქნა თეოდოროს დანიელიანცი. სხვადასხვა წერილებს შორის აღმოჩნდა ერთი ბარათი სომხურ ენაზე —მუშების განცხადება დაშნაკცუტიუნის სახელზე, რათა მათში მოწყობილიყო არტელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საქმიდან სჩანს, რომ 1) სარდარ არუთინოვს და ტერ-დანიელიანცს რაღაც სადაო საქმე ჰქონიათ და ეს დავა გადასაწყვეტად გადაუციათ „დაშნაკცუტიუნისათვის“ 2) რომ დაშნაკცუტიუწი რაღაცაში ბრალს სდებდა არუთინოვს, რის გამო ეს უკანასკნელი საჭიროდ სთვლიდა თავი ემართლებია ამ პარტიის გამოძიებელის წინაშე, 3) რომ ბაქოს სადგურის მუშებმა საჭიროდ დაინახეს რა არტელის შედგენა, საქმის მოსაგვარებლათ მიმართეს „დაშნაკცუტიუნს“.

ამ ნაირათ, როგორც სჩანს, დაშნაკცუტიუნმა დიდი გავლენა მოიპოვა სომეხთა მოსახლეობაში ანუ ყოველ შემთხვევაში, მცხოვრებთა იმ ნაწილში, რომელიც უფრო ახლოს სდგას ახლანდელ მოძრაობასთან, ე. ი. მუშათა მასასთან.

1904—5 წელში დაწყებულმა სომეხ-თათართა ჟლეტამ კიდევ უფრო გაამაგრა ეს პარტია. პარტიის პროგრამით დაწვრილებით და ყოველმხრით არის განსაზღვრული კომიტეტის მოქმედებათა ასპარეზი (თვით სიტყვა დაშნაკცუტიუნი ნიშნავს „კომიტეტთა კავშირს“.) კომიტეტის განკარგულებაში სამხედრო ორგანიზაციაა, რომელიც შესდგება „ზინვორებისა“ ანუ ხუმბებისაგან. სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაშნაკცუტიუნი თავისი ზინვორებით გამოვიდა როგორც სომეხი ხალხის დამცველი თათრებისაგან. ასე რომ სომეხი მოსახლეობის ცხოვრებაში ნელ-ნელა ადგილს იკავებს ისეთი ფაქტორი, რომელიც მის ინტერესებს ემსახურება განსაკუთრებით იმ დროს, როცა მდგომარეობა ამ ხალხის საწინააღმდეგო იქმნება. ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა, ეს იყო პარტიის ძირითადი ამოცანა; ბრძოლა ჩამორთმეული საეკლესიო ქონებისთვის; სომეხ-თათართა უთანხმოებანი—აი რა ასულდგმულებდა დაშნაკცუტიუნს, აი რის მიზეზით იყო მისკენ სომხების თანაგრძობა საერთოდ. როცა გაუქმებულ იქნა 1903 წლის 12 ივნისის კანონი, როცა შესწყდა სომეხ-თათართა ჟლეტა—სომხობამ საერთოდ იგრძნო, რომ დაშნაკცუტიუნის მოქმედებისთვის ნიადაგი აღარ იყო. სამწუხაროდ ტფილისის სასამართლო პალატის ოქმთა მიხედვით ძნელია იმ დასკვნის გამოტანა, როგორ უყურებდა მთელი სომხობა და არა მარტო მისი პროლეტარიატი, თვის რევოლიუციონურ ორგანოს 1905 წელს აგვისტოს 1-ს უმაღლესად გამოცემულ უქაზის შემდეგ. საქმეები „დაშნაკცუტიუნის შესახებ გადაცემული აქვს ნოვოჩერკასკის სასამართლო პალატას, მაგრამ იმ საქმეთა მიხედვით, რომლებიც გაარჩია ტფ. სასამართლო პალატამ სჩანს, რომ დაშნაკცუტიუნის პარტია მძიმე ტვირთად აწევს სომხის ხალხს.

ტფილისის სასამართლო პალატის მიერ გარჩეული საქმეები დაშნაკცუტიუნის შესახებ, მათ შორის, ელისავეტპოლის კომიტეტის საქმეც დაიწყო იმ სომეხთა საჩივარის გამო, რომელთა წინააღმდეგაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართული იყო დაშნაკცუტიუნის რეპრესიები. ტფილისის სასამართლო პალატაში შემოსულ ლევიოანეცის საქმიდან სჩანს, რომ სომეხთა შორის გაჩნდა ახალი „პროგრესიულ-დემოკრატიული“ პარტია, რომლის პროგრამა ეთანხმება უფლებრივი წესიგის პარტიას.

ელისავეტპოლის და ერევნის გუბერნიებში მომხდარი ტეროროისტული აქტები უმთავრესად მიმართული იყო იმათ წინააღმდეგ, ვინც ეწინააღმდეგებოდა სომეხთა რევოლიუციონურ პარტიებს ან მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა 1903 წ. 12 ივნისის კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ. ჩამოთვლილ მკვლელობათა გარდა საჭიროა მოვიხსენიოთ მკვლელობა ქუთაისის დროებით გენ. გუბერნატორისა ქ. ალექსანდროპოლში 1907 წ. ივლისის 23-ს მაძებარი პოლიციის აგენტის ლოლაძის მოკვლა ელისავეტპოლში; 1908 წლის აპრილის 7-ს ელისავეტპოლის მაზრის უფროსის ავალიანის მოკვლა, რომელიც მოკვლის წინ მუქარის წერილებს ღებულობდა დაშნაკცუტიუნისაგან, რათა თავი დაენებებია სამარცხვინო მუშაობისათვის.

ისეთი მკვლელობა, რომელშიაც ბრალი ედება მუსულმანებს, სულ მომხდარა სამი: მამასახლისი აბრამოვის მკვლელობა, 1905 წ., ჯევანშირის მაზრის უფროსის ფლეგმინსკისა (1906 წ.) და კლეშჩინსკისა (1907 წ.).

ტფილისის სასამართლო პალატაში მუსულმანთა შესახებ საქმეები სრულებით არ მოიპოვება. მხოლოდ 1907 წელს შემოვიდა საქმე შუშის მაზრის მემამულის საფარალიბეკოვის მკვლელობის შესახებ 1907 წ. დეკემბერში. როგორც გამოირკვა, მკვლელობა მომხდარა მუსულმანთა ორგანიზაციის „დიფაი“-ს (თავდაცვა) განაჩენით. როგორც ამ პარტიის სახელწოდებიდან სჩანს და აგრეთვე საქმეებში ჩაკერებულ „კავკ. მუსულმანთა თავდაცვის კომიტეტის“ პროკლამაციებისა და წიგნებიდან, სათაურით „ყარაბახის მეჯლისი“, რომელიც აღმოაჩნდა საფარლიბეკოვის მკვლელთ, „დიფაი“ დაარსებულია სომეხთა ფედერაციის დაშნაკცუტიუნის საწინააღმდეგოთ. ამ ორგანიზაციის მიზანია შეაკავშიროს მთელი კავკასიის მუსულმანობა სომხების წინააღმდეგ, რომელთა (სომხების) მიზანია: 1) მუსულმანებით დასახლებულ მიწა-წყლის ხელში ჩაგდება; 2) ნივთიერათ დამონავება მუსულმანებისა, რასაც თითქოს ხელს უწყობდეს რუსეთის მთავრობაც. „დიფაი“ ებრძვის არა მარტო გარეშე მტრებს, არამედ ის სჯის შინაურ მტრებსაც—სახალხო საქმის მოღალატე მუსულმანებს. (მუსულმან ინტელიგანციის უღირს წარმომადგენლებს—„ხალხის ხელმძღვანელთ“ და სამღვდელოებასაც კი). პარტიის პროგრამა შეიცავს ბრძოლას სამი მტრის წინააღმდეგ: 1) სომხების წინააღმდეგ, რომლებიც განწყობილნი არიან აგრესიულად და შეკავშირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულნი (მაგრამ არავითარ შემთხვევაში მშვიდობის მოყვარე სომხებთან) 2) რუსეთის მთავრობასთან და 3) იმ მოღალატე მუსულმანთა წინააღმდეგ, რომლებიც სახალხო საქმეს ხელს უშლიან. პროგრამა ძოუწოდებს მუსულმანებს იარაღით ხელში საკადრისი პასუხი გასცენ მტრებს და ამასთანავე ჩამოთვლის მთელ რიგ რეფორმებს, რომელთა გატარება ცხოვრებაში დაიწინაურებდა კავკასიის მუსულმანობას პოლიტიკურად და ნივთიერად. პროგრამაში ნათქვამია, რომ რადგანაც კავკასიის მუსულმანების ჩამორჩენილობის მიზეზია უვიცობა და სიღარიბე ხალხის მასსებისა, რაც აძლიერებს სომეხ-თათართა უთანხმოებას; პროგრამაში ამის გამო არის მოწოდება მუსულმანთა შეძლებულ კლასებისადმი, რათა მათ წვლილი გაიღონ ხალხის სასარგებლოთ და იმუშაონ საზოგადოებრივ თვითმმართველობის ასპარეზზე. დასახელებული პროგრამის ასრულება შეეძლო მთელი კავკასიის მუსულმან მცხოვრებთა მიერ არჩეულ „ცენტრალურ მეჯლისს“ ამ შემთხვევაში ყარაბახისას ქალ. შუშაში (ჯევანშირის, ყარიაგინის და შუშის მაზრებისათვის, ელისავეტპ. გუბ.). დამოუკიდებლათ ყარაბაღის კომიტეტის (მეჯლისი) მაზრებში უნდა მოეწყოს სარაიონო კომისიები (იგივე მეჯლისები), რომლებიც უნდა შევსებულ იქნას ადგილობრივი ინტელიგენტი პირებით. შემდეგ პროგრამა დაწვრილებით განსაზღვრავს რა მუსულმანთა როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებას, მომხრეა რადიკალური რეფორმების მოხდენისა რელიგიის სფეროშიაც კი (პროგრამა თითქოს ჰგმობს იმ უთანხმოებას, რომელიც არსებობს სუნიტებსა და შიიტებს შორის). ვინც არ დაეთანხმება პარტიის გადაწყვეტილებას, მას ემუქრებიან გასამართლებით შარიატის წესით და „კანონიერ ხელისუფლების“ საშუალებით. მეჯლისისა და ადგილობრივ საზოგადოების ვალია თავიდან ააცილონ მუსულმანობას ყოველგვარი უთანხმოება ერთმანეთის შორის, როგორც მაგალითად სისხლის აღება და სხვ. საინტერესოა პროგრამის შემდეგი მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მუსულმანთა დამოკიდებულებას მთავრობასთან და არა მუსულმან მცხოვრებთან. ა) მეჯლისის წევრებმა ადგილობრივ საზოგადოებისაგან უნდა აირჩიონ ისეთი პირები, რომელთაც უნდა თვალყური ადევნონ მთავრობის მოქმედებას და საჭიროების მიხედვით უნდა აღძრან საჩივარი საზოგადოებრივი ხასიათის საქმეთა გამო“. (მუხ. 12); ბ) ყველა იმ პირებმა, რომელნიც სანამ მთავრობის ორგანოებს მიმართავენ, წინასწარ რჩევისათვის უნდა მიმართონ მეჯლისის წევრებს, მათვე ევალებათ აცნობონ მეჯლისს მთავრობის ორგანოთა მიერ გამოტანილი განჩენი ამა თუ იმ საქმეზე. (მუხ. 13). „მეჯლისის წევრებმა უნდა იზრუნონ იმ თანხის შეკრებაზე, რომელსაც მთავრობა ჯარიმად დაადებს მცხოვრებთ (მუხ. 8); გ) ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირნი, რომელნიც ხელს უწყობენ სომეხ-თათართა უთანხმოების გაღრმავებას, უნდა სასტიკად დაისაჯონ და განდევნილ იქნენ ქალაქიდან (მუხ. 20). ამის შესახებ გამოცემულ პროკლამაციაში შემდეგია ნათქვამი: „ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ რომელიმე ერის კანონიერი უფლების ფეხ ქვეშ გათელვას, მისი პატივისა და თავისუფლების შებღალვას. არა და არა. ჩვენი პარტიის უმთავრესი მიზანია—დავამყაროთ გულწრფელი ძმობა და ერთობა სხვა დასხვა ერთა შორის"; დ) ვინც სიტყვიერად, წერილობით უღალატებს მუსულმანურ პარტიას, ის იქნება ერის მოღალატე და სასტიკად იქნება დასჯილი"; (მუხ. 21); სასამართლოს წესით გადახდილ თანხაზე უნდა დაჭერილ იქნას ღარიბების სასარგებლოთ 5 პროცენტი, სარჩიელზე—15 პროც. (მუხ. 22); „მუსულმანთა საქმეების შესახებ გაწვეულ მოწმეებმა რჩევა-დარიგებისათვის წინასწარ უნდა მიმართონ მეჯლისს და შემდეგ უნდა მისცენ სწორი ჩვენება; ის პირი, რომელიც მეგობრობით, მტრობით ან ანგარებით ყურანზე დაფიცებით ყალბ ჩვენებას მისცემს, რომელიც აშკარა საზარალო იქნება მუსულმანისათვის და კანონის საწინააღმდეგო, დაისჯება სასტიკად და გადახდება ჯარიმა. გამონაკლისი ისეთ შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნას იმათთვის, ვინც იძულებული იქნება მისცეს ჩვენება მეჯლისის წინასწარი ნებართვის მიუღებლათ (მუხ. 24). ვ) ყოველ მუსულმანი ვალდებულია თავისი სადავო საქმე გასარჩევად გადასცეს მეჯლისს, ვინც ამას არ დაემორჩილება დაისჯება და ჯარიმა გადახდება (მუხ. 48). მეჯლისის მიერ გამოტანილი განაჩენის სააპელაციო ინსტანციად თვლება ცენტრალური მეჯლისი, რომლის გადაწყვეტილება უნდა სისრულეში იქნას მოყვანილი; შესაძლებელია გასაჩივრება განსაკუთრებულ მეჯლისში, რომელიც უნდა შედგენილ იქნას „საზოგადოების კეთილ მოაზროვნე პირთაგან" და მეჯლისის ერთი წევრისაგან. (მუხ. 49); ზ) არც ერთს მუსულმანს მეჯლისის ნებადაურთველად არ აქვს უფლება იყოს ამრჩეველი ან არჩეული ქალაქის საბჭოს ხმოსნად.

ამ საქმეზე პალატაში მიცემული იყო 11 კაცი, რომელთაგან სამი გამართლებულ იქნა, 8—დამნაშავედ იქნა ცნობილი და მიესაჯა—3-ს—2 წლის ციხე, 3-ს—1 წლის და 2-ს—8 თვის ციხე.

მოძრაობა ბაქოში

ბაქოს გუბერნიაში და დაღესტანის ოლქში (ბაქოს საოლქო სასამართლოს რაიონი) პოლიტიკურ დანაშაულობათ და ტეროორისტულ აქტებს ადგილი ჰქონდა უმთავრესად ბაქოში და მის სამრეწველოებში. როგორც სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი ბაქო და მისი წარმოებები საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენენ სოციალისტური და რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუციონური იდეების გასავრცელებლათ. მხოლოდ ის, რომ აქ თავმოყრილია 50 ათასზე მეტი მუშა, რომელთა უმრავლესობა შეგნებულათ დგას პროლეტარიატის რიგებში, როგორც საკუთრებისა და კაპიტალის წინააღმდეგ მებრძოლი, აშკარა მაჩვენებელია იმისი, თუ როგორ ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს ბაქო და მისი რაიონები რევოლიუციონური იდეების გასავრცელებლათ. კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა ისე ესმის უმრავლესობას, როგორც თავისუფალი უფლება პროლეტარიატისა წაართვას მდიდარს ქონება. ამასთან, სადაც ქადაგობენ ბრძოლის საჭიროებას კაპიტალისა და საკუთრების წინააღმდეგ ძნელია ისეთი ხაზის გავლება, რომელიც გაანსხვავებდა იდეურ ბრძოლას უბრალო ძარცვა-გლეჯისაგან. სრულ აღვირ-წახსნილობას ხელს უწყობს აგრეთვე წართმევა-წაგლეჯის პროპაგანდა, რომლითაც ჯერეულობის წლებში გამოდიოდენ რევოლიუციონური შოძრაობის წარმომადგენლები. ამ იდეებით ისარგებლეს ყველა დამნაშავე ელემენტებმა და შეუდგენ სრულიად აშკარად იმის გაკეთებას, რის გაკეთებაც ძველად შეუძლებელი იყო ყველას დასანახად. ამიტომ ბაქო დიდი ხანია გადაიქცა დღისით, ყველას დასანახად, შეიარაღებული თავდასხმა-ძარცვის ასპარეზად. რევოლიუციონური აგიტატორების მუშაობა მიმდინარეობს სადღაც დაფარულ ალაგას და ის თავს იჩენს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გაშოცემაში, მის შენახვაში, სხვადასხვა კავშირების, სტამბების მოწყობაში, გარეგნულად კი ყველაფერი ეს გამოიხატებოდა ძარცვა-გლეჯაში და ყაჩაღობაში. ბაქოში არსებულ რევოლიუციონურ ორგანიზაციათა დამახასიათებელია ერთი მიზანი—ფულების მუქარით მიღება სხვადასხვა პირთაგან. თუ ამაში უარს ეტყვიან, რევოლიუციონერები მიმართავენ „უმბარებს და უკანასკნელ ხანებში შემოიღეს „ტყვედ წაყვანაც“. და თუ მთავრობის მოხელეები ამას წინააღმდეგობას გაუწევენ, მათ ჰკლავენ. იმ შემთხვევაში, როცა აღმოჩენილი ყოფილა სადმე რევოლიუციონური ხასიათის მიმომეწრა, მეტ წილად იქ ყოფილა დამზადებული წერილები ამა თუ იმ პირისადმი ფულის მოთხოვნით და აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, თუ ვისგან რამდენი მიუღიათ. ამის ბუნებრივი შედეგი ისაა, რომ იმ დროს, როცა მთელს რუსეთში შედარებით სიწყნარეა, მუდმივი ძარცვა-გლეჯის გამო ბაქოში ცხოვრება აუტანელი გახდა. ერთის მხრით მრავალრიცხოვანი მუშათა კლასი, დაფანტული სხვადასხვა რაიონებში, მეორეს მხრით დიდძალი ხალხი, რომელნიც მხოლოდ ძარცვა-გლეჯას აწარმოებს რევოლიუციონური ორგანიზაციების სახელით,—ეს ისეთი მოვლენაა, რასაც ადგილი არ აქვს არსად რუსეთში. აი ამით აიხსნება, რომ არსად რუსეთში არ მოიპოვება იმოდენა ორგანიზაციები არც ნამდვილი, არც ცრუ-რევოლიუციონური, რამდენიც ბაქოში და მის რაიო-

ნებ'შია. საქმეთა გარჩევის დროს აღმოჩნდა შემდეგი პარტიები: „ბაქოს კომიტეტი კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა", „რ. ს. დ. რ. პ. ბაქოს მუშათა კავშირი", „ინკერი", „ბანვორი" „მურადი" (ეს სამი უკანასკნელი ჯგუფი წინად პარტია „ჰნჩაკის" ფრაქციას წარმოადგენდნენ, შემდეგ ყველანი შეერთდნენ „ჰნჩაკისტების სოც. დემ. ორგანიზაციის ბაქოს კომიტეტში"; რ. ს. დ. მ. პ. ბაქოს მუშათა კავშირი—1) ბელოგოროდის, 2) ბალახანის, 3) ბიბი-ეიბათის, 4) ზაი ქალაქის, 5) ზღვისა—ყველა რაიონები რ. ს. დ. მ. პ. ბაქოს ორგანიზაციისა, ბალახანის ჯგუფი ანარქისტ—კომუნისტებისა „ბუნდი"", რ. ს. დ. მ. პ. ბაქოს ორგანიზაციის მებრძოლი რაზმის შტაბი, მუსულმან. სოც. დემ. ჯგუფი „გუმეტი", ჯგუფი ბაქოს ანარქისტ-კომუნისტთა და ასეთივე ჯგუფი სახელწოდებით—„მიწა და თავისუფლება", რ. ს. დ. მ. პ. ბაქოს მოწაფეთა ორგანიზაცია, დაშნაკცუტიუნის ბაქოს ორგანიზაცია. არსებობდა აგრეთვე სპეციალური ფრაქცია: სოც. დემ. ყუმბარის მსროლელთა ჯგუფი"; უკანასკნელ ხანებში მიემატა კიდევ სამი ფრაქცია ანარქისტ-კომუნისტებისა—„წითელი ასეული", „წითელი დროშა" და „ჩორნი ვოროონ", რომელთა მიერ გამოცემული პროკლამაციები შედგენილია წერაკითხვის არ მცოდნისა, სადაც უსიტყვიელოდ ნათქვამია, რომ მათი პირდაპირი დანიშნულებაა იმ პარტიებთან ბრძოლა, რომლებიც გამოდიან პოლიტიკური სარჩულით. ნამდვილად კი ავაზაკური ორგანიზაციებია. ადმინისტრაცია მაინც ახერხებს ამათ დაჭერას. ასე მაგ. 1907 წელს შეპყრობილ იქნენ „ანარქისტ-კომუნისტების" წევრები, 1908 წლის 26 ივნისს აღმოჩენილ იქნა ბინა და შეპყრობილი ანარქისტ-კომუნისტების მფრინავი პარტია „ჩორნი ვოროონი", რომელმაც 1908 წლის 16 ივლისს ტფილისში მოჰკლა აველ შადინოვი.

1908 წლის 11 აგვისტოს შეპყრობილ იქნენ „წითელი დროშის" პარტიის მონაწილენი და იმავე წლის დეკემბრის 16—ს ორგანიზაცია „წითელი ასეული".

ბაქოში საზოგადოებისა და მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა გამოიხატება იმაში, რომ ის მიმართულია მდიდართა ქონებისა და სიცოცხლის წინააღმდეგ, მიზნის სისრულეში მოსაყვანად კი ხმარობენ ასაფეთქებელ ნივთიერებას. მთავრობის მოხელე პირთა ჭკვლელობაც მართალია ხდებოდა ქ. ბაქოში, მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ რა სარჩული ჰქონდა მას—პოლიტიკური, თუ ძარცვა გლეჯის.

1904 წელს, როცა რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო, თანამდებობის პირთა მკვლელობის შემთხვევები არ ყოფილა. 13 თებერვალს პარაპეტზე გასროლილ იქნა ყუმბარა იმ დროს, როცა სოფხის სამღვდელოება პარაკლისს იხდიდა რუსეთისათვის გამარჯვების მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიჭებლათ. მოკლულ იქნა ორი კაცი, რადგანაც მათ მოთხოვნილი ფული არ გადაიხადეს: ესენი იყვნენ—მიზარბეკოვის თუთუნის ქარხნის მმართველი პერივერდევი, მდიდარი ვაჭარი ადამოვი და კასპიის ნავთის წარმოების მმართველი ინჟინერი მელიქ დადაევი. 10 აპრილს გაძარცვეს იაკობ კუდინოვი. შემდეგ წლებში ტერორისტული აქტები განაყოფება შემდეგ ოთხ რუბრიკად: 1) თანამდებობის პირთა მოკვლის განზრახვა, 2) ასაფეთქებელ ნივთიერებათა აღმოჩენა და სროლა, 3)კერძო პირთა მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე იმის გამო, რომ მათ არ გადაიხადეს მუქარით მოთხოვნილი ფული და 4) ექსპროპრიაცია.

შემდეგ ჩამოთვლილია ყველა ის ტერორისტული აქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბაქოში 1905, 6, 7, 8 და 9 წლებში და ბაქოს შესახებ „მოხსენება“ ასე თავდება:

ტფილისის სასამართლო პალატაში შემოსულ საქმეთაგან ბაქოს ოლქიდან მთავარი დანაშაულობაა—მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების შენახვა—გავრცელება, მოწოდება წარმოთქმულ სიტყვებში სახელმწიფო წყობილების დასამხობათ, ხელმწიფის შეურაცყოფა და სხ.

სისხლის სამართლის 102 და 126 მუხ. ძალით სხვათა შორის პასუხისგებაში იყო მიცემული „რუს. სოც. დემ. მუშ: პარ. ბაქოს ორგანიზაციისა (13 კაცი იყო პასუხის გებაში მიცემული—გადასახლება მიესაჯა 10, 3 გამართლებულ იქნა.), ბაქოს ორგანიზაციის სოც. რევ. პარტ. საქმეზე 3 კაცს მიესაჯა გადასახლება, რ. ს. დ. მ. პ. მოწაფეთა ორგანიზაციის საქმეზე გადასახლება მიესაჯა 2 კაცს.

შემდეგ აწერილია რკინის გზებზე და ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში მომხდარი გაფიცვები. ტფილისის სასამართლო პალატას გაურჩევია რკინის გზაზე მომხდარი გაფიცვის შემდეგი საქმეები: 1) ქუთაისის, 2) გროზნის, 3) მინერალნია ვოდის, 4) მიხაილოვის, 5) ტფილისის, 6) ელსავეტპოლის, 7) ბაქო-ბალაჯარის, 8) ალექსანდროპოლის, 9) აჯიკაბულის, 10) დერბენტ-პეტროვსკის, 11) აქსტაფის და 12) სანაინის.

ქუთაისის საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული 37 კაცი, მიესაჯა სამუდამო გადასახლება 5-ს. გამართლებულ იქნა 25. დანარჩენთ მიესაჯა ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით (უმაღლესი ვადა 1½ წელიწადი).

გროზნის საქმეზე—9 კაცს ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით (უმაღლესი ვადა 2 წელ.). 10 კაცი გამართლებულ იქნა.

მინერალნია ვოდის საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული

34 კაცი. ამათგან 8 გამართლებულ იქნა, დანარჩენთ მიესაჯა ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

მიხაილოვის საქმეზე—პასუხისგებაში იყო მიცემული 5 კაცი, რომელთაგან 2 გამართლებულ იქნა, დანარჩენთ მიესაჯა ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

ტფილისის გაფიცვა გაგრძელდა 1905 წ. დეკემბრის 10-დან 1906 წლის იანვრამდე. პასუხისგებაში იყო მიცემული 31 კაცი. უმაღლესი სასჯელი ციხეში დაპატიმრება 1 წელი და 3 თვე.

ელისავეტოპოლის საქმეზე—11 კაცი გამართლებულ იქნა, 9 კაცს მიესაჯა ციხეში დაპატიმრება, 2 დამნაშავე მიიმალა.

ბაქო-ბალაჯარის საქმეზე მიცემული იყო პასუხისგებაში 25 კაცი. თითო წლის ციხე მიეაჯა 10, დანარჩენი გამართლებულ იქნა.

ალექსანდროპოლის საქმეზე—პასუხისგებაში იყო მიცემული 33 კაცი. 2-ს მიესაჯა კატორღა თითოს 4 წლით; 6-ს—სამუდამო გადასახლება, დანარჩენთ—ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

ახიკაბულის საქმეზე—პასუხისგებაში იყო მიცემული 8 კაცი ამათგან 3 მიესაჯა ციხეში დაპატიმრება, დანარჩენი გამართლებულ იქნენ.

პეტროვსკ-დერბენტის გაფიცვაში მონაწილეობისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული 10 კაცი. ცხრას მიესაჯა ციხეში დაპატიმრება, ერთი გაამართლეს.

აქსტაფაში მომხდარი გაფიცვების გამო პასუხისგებაში იყო მიცემული 8 კაცი, ამათგან 6-ს მიესაჯა ციხეში დაპატიმრება. ორი გაამართლეს.

სანაინში მომხდარი გაფიცვების გამო პასუხისგებაში იყო მიცემული 4 კაცი. ამათგან 3-ს მიესაჯა ციხეში დაპატიმრება, 1 გაამართლეს.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ ტფილისის სასამართლო პალატას გაურჩევია: 1) ტფილისის, 2) ბაქოს, 3) ქუთაისის, 4) ბათუმის, 5) კავკავის, 6) პიატიგორსკის, 7) ალექსანდროპოლის, 8) გროზნის და 9) ფოთისა, და გაურჩეველი ყოფილა ამ მოხსენების დროს საქმე ერევნის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ.

ტფილისის საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული 13 კაცი. ციხეში დაპატიმრება მიესაჯა სხვადასხვა ვადით 10-ს, 3 გამართლებულ იქნა.

ბაქოს გაფიცვის გამო პასუხისგებაში იყო მიცემული 17 კაცი. ამათგან დამნაშავეთ იქნა ცნობილი 15 კაცი და მიესაჯა მათ ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ პროკურორის მოთხოვნით მოსპობილ იქნა

ბათუმის საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული სამი კაცი, რომელნიც დამნაშავედ იქნენ ცნობილი და მიესაჯა ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

კავკავის საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული 1 კაცი. მიესაჯა ციხეში დაპატიმრება 2 წლით.

პიატიგორსკის საქმეზე პასუხის გებაში იყო მიცემული 8 კაცი. ციხეში დაპატიმრება მიესაჯა სხვადასხვა ვადით 7 კაცს, ერთი გაამართლეს.

პიატიგორსკის საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული 4 კაცი. ამათგან ციხეში დაპატიმრება მიესაჯა 3-ს, ერთი გაამართლეს.

გროზნის საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული 2 კაცი. ორივეს მიესაჯა ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

ფოთის საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული სამი კაცი: მიესაჯათ მათ ციხე სხვადასხვა ვადით (2—3 თვემდე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კომპარტიის ცეკას პარტისის გამოცემანი:

1. ჟურ. „რევ. მატიანე“ 1923 წ. №№ 1, 2, 3, 4, 5.
2. „ „ „ 1924 წ. „ 1(6), 2-3(7-8), 4-5(9-10).
3. „ „ „ 1925 წ. „ 1(11), 2(12), 3(13).
4. „ „ „ 1926 წ. „ 1(14),
5. **ლ. ტროცკი**—ლენინი და ძველი „ისკრა“
6. **ფ. შემოქმედელი**—(ფ. მახარაძე) „უთავბოლობის ნაყოფი“ (კრიტიკული შენიშვნები) დაწერილია 1892 წ.
7. **ფ. მახარაძე**—ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა.
8. Ф. Махарадзе—30 летие Тифорганизации.
9. **ს. თალაკვაძე**—საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის
10. С. Талаквадзе—К истории Компартии Грузии.
11. ალბომი (1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას)
12. საქართველოს კომპარტიის ძველი გვარდია (ალბომი)
13. **ფ. მახარაძე**—1905 წელი ამიერ-კავკასიაში—ფ. 2 მ. 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
S 34/31

პარტიის და რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 22
საქ. კომპარტიის ცეკას შენობა, ტელ. 1—92.